გიორგი დევდარიანი

პედოლოგია

ელემენტარული კურსი

მეორე გამოცემა

შესწორებული და შევსებული

სახელმძღვანელო პედტექნიკუმებისათვის.

სახელგამი — 1930 — ტფილისი

ვანო ბოლქვაძის სახელობის
პოლიგრაფსკოლის სტამბა
მთავლიტი № 1670
ტირაჟი 4000
შეკვ. 3140

პირველი გამოცემის წინასიტყვაობა.

წინამდებარე წიგნი შედგენილია, უმთავრესად იმ კონსპექტების მიხედვით, რომლებსაც ავტორი ქუთაისის მაზრის მასწავლებელთა საზაფხულო გადასამზადებელ კურსებისა და ქუთაისის პედტეხნიკუმის მსმენელებს აძლევდა; ავტორს კარგად აქვს შეგნებული ამ წიგნის კონსპექტიურობა და სუსტი მხარეები, რასაც ვერ ასცდება პირველი ცდა მეცნიერების ისეთი დარგის დამუშავებისა, როგორიცაა პედოლოგია; მით უმეტეს ავტორი მოკლებულია ორიგინალობის პრეტენზიებს: ამ ნაშრომის დიდი ნაწილი ავტორიტეტულ მკვლევართა ნააზრევის გადმოცემას წარმოადგენს.

მკითხველების მითითებით ავტორი ამ წიგნის ნაკლულევანებათა გამოსწორებას იმედოვნებს, რისთვისაც წინასწარ მადლობას უცხადებს ყველას, ვინც კონკრეტული შენიშვნებით ავტორს საშუალებას მისცემს გააუმჯობესოს და შეავსოს წინამდებარე ნაშრომი. ხოლო, თუ ავტორმა აქ შესძლო პედოლოგიის ძირითადი მომენტების აღნუსხვა და მკრთალად მაინც მათი გაშუქება, თუ ბავშომცოდნეობის გარკვევის ეს პირველი ცდა ჩვენ სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებსა და მშობლებს პედოლოგიური პრობლემების დასახვით მაინც ოდნავ სამსახურს გაუწევს, აღძრავს მათში პედოლოგიურ ინტერესს და ამ მხრივ მსოფლმხედველობის გაფართოების სურვილსაც, ავტორი თავის მიზანს მიღწეულად, ხოლო თავს სავსებით დაკმაყოფილებლად ჩასთვლის.

წიგნს ბოლოში დართული აქვს სიტყვარი და ლიტერატურა, რომლითაც ავტორი ამ წიგნის შედგენის დროს სარგებლობდა..

„Feci, quod, potui, faciant meliora potentes“.

გ. დევდარიანი.

მეოთხე გამოცემის წინასიტყვაობა

ჩვენი „პედოლოგიის" პირველი გამოცემა განზრახული იყო პედტეხნიკუმებისა და პედგანხრიან ცხრაწლედებისათვის, სადაც 19²⁰/₂₁ სასწავლო წელში, სასწავლო გეგმის მიხედვით პედოლოგიას დათმობილი ქონდა ორი კვირეული საათი ერთი წლის განმავლობაში. მიმდინარე წელში-კი სასწავლო გეგმა შეიცვალა და პედოლოგიას დათმობილი აქვს ორი კვირეული საათი უკვე ორი წლის განმავლობაში. ამ გარემოებამ და აგრეთვე პედოლოგიის სწრაფმა განვითარებამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი წიგნის პირველი გამოცემის შევსების საჭიროება წარმოშვა. ამას გარდა, საჭირო იყო პირველი გამოცემის შესწორება, რადგან მასში, ავტორისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ძალიან ბევრი შეცდომა იყო დაშვებული: ავტორი ქუთაისში იყო, ხოლო წიგნი ტფილისში იბეჭდებოდა, რის გამო ავტორს არ ქონდა საშუალება თვალყური ედევნებია წიგნის სათანადოთ დაბეჭვდისათვის.

ჩვენი „პედოლოგიის" მე-II გამოცემა, პირველთან შედარებით — ბევრ ახალ საკითხის გაშუქებას შეიცავს, ასეთებია: საკითხი მემკვიდრეობითი პრობლემის შესახებ, აზროვნების და ნებისყოფის განვითარება, მახსოვრების ევოლიუცია და მისი სტადიები, „დედისერთა ბავშის" აღზრდის შესახებ, ბავშის შრომა, დროის ბიუჯეტი, ანორმალური ბავშთა შესახებ, სოციალური ფაქტორების უფრო ვრცელი დახასიათება და სხვა. ამასთანავე შევსებულია ცალკე თავები და შესწორებულია ტიპოგრაფიული-სტილისტიური შეცდომები.

ვფიქრობთ, რომ ამ სახით, ჩვენი ნაშრომი დგას თავისი დანიშნულების სიმაღლეზე და განსახკომის პროგრამული მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.

საზოგადოებრივ-პედაგოგიურმა მუშაობამ არ მისცა ავტორს საშუალება აეგო „პედოლოგია" ახალი გეგმის მიხედვით, ე. ი. მოეხდინა ამ ნაშრომის სრული გადამუშავება, თუმცა ასეთი არ წარმოადგენდა აუცილებელ საჭიროებას. 1928 წელში, ქართულ ენაზე გაიოიცა ორი პედოლოგიური ნაშრომი: ერთი ეკუთვნის ვ ს. კ ა პ ა ნ ა ძ ე ს — „პედოლოგიის შესავალი", რომელიც კონსპექტურად განიხილავს პედოლოგიის ძირითად დებულებებს, მეორე — პროფ. კ ო რ ნ ი ლ ო-

ვის წიგნის თარგმანია (Очерки поведения ребенка дошкольного возраста). მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ იწვევს ჩვენი „პედოლოგიის“ ზედმეტობას, ვინაიდან ვს. კაპანაძის წიგნი ეხება პედოლოგიურ საკითხებს ზერელედ, სქემატიურად. ხოლო მეორე-კი, თუმცა ისეთ გამოჩენილ მკვლევარს ეკუთვნის, როგორიცაა პროფ. კორნილოვი, მაგრამ ამის მიუხედავათ: 1) არკვევს მხოლოდ სკოლის ასაკამდე პერიოდს (8 წლამდე), 2) ბევრ მნიშვნელოვან საკითხს უვლის გვერდს და 3) ხშირად შეიცავს ავტორის სუბიექტიურ დასკვნებს (მაგ. საკითხი: დედოფალას შესახებ და სხვა).

მკითხველებისა და, განსაკუთრებით, პედოლოგიის მასწავლებელთა მითითებებს ამ წიგნის ნაკლის შესახებ, ავტორი გულმხურვალედ გამოეხმაურება.

გ. დევდარიანი.

1930 წ. 10 მარტი.

თავი პირველი.

პედოლოგია, როგორც მეცნიერება

1. პედოლოგიის საგანი.

პ ე დ ო ლ ო გ ი ა (παῖς, παιδός—ბავშვი; λόγος—სიტყვა, აზრი, ცოდნა), ანუ ბ ა ვ შ თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა არის მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ბ ა ვ შ ი ს ზრდა-განვითარებას. ბავშვი—პატარა მოზარდი ადამიანია. ზრდა ბავშვისათვის მეტად დამახასიათებელია, რითაც ის განსხვავდება როგორც მოზრდილი ადამიანისაგან, რომელიც აღარ იზრდება, ისე მოხუცისაგანაც, რომელიც პედაგოგის პ. ბ ლ ო ნ ს კ ი ს თქმით „მიწისაკენ იზრდება", ე. ი. თანდათან კლებულობს წონის, სიმაღლისა და სხვა სხეულებრივი და ფსიქიური თვისებების მხრივ. პროფ.ბლონსკი პედოლოგიას განსაზღვრავს, როგორც მეცნიერებას ბავშური ასაკის სხვადასხვა საფეხურის ყველა თავისებურების, ანუ ს ი მ პ ტ ო მ ო კ ო მ პ ლ ე ქ ს ე ბ ი ს შესახებ. ზრდა ადამიანს ჩასახვიდან—20—21 წლამდე ახასიათებს. ამ ხნის განმავლობაში ბავშვი განიცდის მრავალფეროვანსა და მნიშვნელოვან ცვლილებებს და მათი შესწავლა პედოლოგიის მიზანს შეადგენს. პედოლოგია სულ უკანასკნელი დროის მეცნიერებაა, რომელიც ჯერ-ჯერობით მეცნიერების სხვა დარგებისაგან გამიჯვნის პროცესში იმყოფება და, ამიტომ, მას არა აქვს საკუთარი ჩამოყალიბებული სახე. თითქმის ბოლო წლებამდე, პედოლოგიას ე. წ. ბ ა ვ შ თ ა ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ი ს ჩარჩოებში ათავსებდენ: სწავლობდენ მხოლოდ ბავშვის ფსიქიური ცხოვრების განვითარებას და უკანასკნელს არ უკავშირებდენ ან, თუ უკავშირებდენ, ძალიან მკრთალად, ბავშვის ორგანიზმის შემადგენელ მატერიის ზრდას. პედოლოგიის ამგვარად დამუშავება არამართებული და ვიწროა; პედოლოგია ბავშს სწავლობს როგორც მთლიანობას, რომელშიაც მოცემულია სხვადასხვა მხარე: ს ხ ე უ ლ ი, როგორც მეტად განვითარებული ორგანიული მატერია, ფ ს ი ქ ი უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა, როგორც ხსენებული მატერიის თვისება და ყ ო ფ ა-ქ ც ე ვ ა, როგორც ფსიქიური ცხოვრების გარეგნული გამოხატვა. როგორც ვხედავთ, პედოლოგია შეიცავს: ბავშვის ანატომიას, ფიზიოლოგიას, ფსიქოლოგიასა და მეცნიერების სხვა დარგებს, რომლებიც ბუნებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან და ბავშვის ზრდა-განვი-

თარების შესახებ მთლიან სურათს იძლევიან. მაშასადამე, პედოლოგია არის მეცნიერული სინთეზი ყველაფრის, რაც ბავშის შესახებ ცალკე მეცნიერულ დისციპლინათა არსებით შედეგებს შეედგანს. *)

2. ბავშის შესწავლა წარსულში.

ბავშის შესწავლა საზოგადოებრივ ყურადღებას ყოველ დროში იზიდავდა, მაგრამ სისტემატიურ, მეცნიერულ დაკვირვებას ბავშზე გასული საუკუნის ბოლომდე არ ჰქონია ადგილი; გერმანელმა ექიმმა ვილჰელმ პრეიერმა 1882 წ. გამოსცა წიგნი: „Душа ребенка“, რომელშიაც გამოაქვეყნა დასკვნები თავისი შვილის ფსიქიური ცხოვრების განვითარების შესახებ 3 წლის ასაკამდე. ვ. პრეიერამდე კი, ბავშებზე დაკვირვებას შემთხვევითი და არა სრული ხასიათი ჰქონდა. მშობლები და ახლობლები ბავშს დიდი ყურადღებით ეპყრობოდენ, მაგრამ შემთხვევა არ ყოფილა, რომ მშობელს თავისი ყოველდღიური დაკვირვებების ჩაწერა მოეხდინოს და ამით მეცნიერთათვის ბავშის შესახებ ნედლი მასალა მიეცეს. საზოგადოების ფართო წრე ბავშს უყურებდა, როგორც გართობის საშუალებას. ხოლო მეცნიერები კი საჭიროდ არ სთვლიდენ ბავშის სპეციალურად შესწავლას, რადგან ბავშს უყურებდენ, როგორც ფიზიკურად პატარას, ხოლო ფსიქიურად მოზრდილ ადამიანს. „ბავშის ფსიქოლოგია ზოგადი ფსიქოლოგიის ნაწილად მიაჩნდათ“ (ბალდუინი); მათი აზრით, არავითარი განსხვავება, გარდა რაოდენობითისა, არ არის ბავშსა და მოზდილ ადამიანს შორის. და თუ შესწაელული იყო მოზრდილის ფსიქოლოგია, ეს უკვე საკმარისად მიაჩნდათ, რომ მხოლოდ ხარისხის შემცირებით, განესაზღვრათ ბავშის ფსიქოლოგიის ცოდნაც. სრულებით არ აქცევდენ ყურადღებას ბავშის თავისებურებას მოზრდილთან შედარებით, როგორიცაა: სპეციფიური ავადმყოფობანი, თანდაყოლილ მოძრაობათა თავისებურობა, ბავშის სხეული: დიდი თავი, გრძელი ტანი და მოკლე ფეხები, ტვინის წონის შეფარდება მთელი სხეულის წონასთან, განსაკუთრებული ფსიქიური ცხოვრება და სხვა.

მაშასადამე, წინედ ბავშის ზრდა-განვითარების პროცესი განხილული იყო, მეტაფიზიკური თვალსაზრისით: თითქოს ბავში ზრდის დროს იმატებს წონის, სიმაღლისა და სხვა სხეულებრივი და ფსიქიურ თვისებების მხრივ, ე. ი. ხდება ბავშის ანატომიური, ფიზიოლოგიური და ფსიქიური თვისებათა რაოდენობითი ზრდა-გადიდება,

---

*) იხ. ბასოვი: „Общие основы педологии“ ГИЗ. 1928, შესავალი: „Что такое педология“.

რომელიც თვისობრივად უცვლელი რჩება. თანამედროვე დიალექტიური მატერიალიზმის მიხედვით კი, ყოველი განვითარება ნახტომისებურია ე. ი. რაოდენობითი გადიდება განსაზღვრულ მომენტში აკეთებს ნახტომს და ამით, განვითარების პროცესში მყოფი საგანი, იძენს სრულიად ახალ თვისებას: რაოდენობა-თვისებაში გადადის.

ბავშის ზრდაც—დიალექტიური პროცესია ე. ი. რაოდენობითი ცვლილებები აკეთებენ ნახტომს და არსებითად სცვლიან ბავშის ფსიქოფიზიკურ ბუნებას.

როგორც ვხედავთ, მოზრდილი ადამიანი უნდა განვიხილოთ, როგორც არსება, რომელმაც ბავშობის პერიოდში, ზრდის სახით, შეიძინა მრავალი, სრულიად ახალი თვისება, რაც მას ბავშურ ასაკში არ ქონდა ე. ი. მოზრდილი ადამიანი თვისობრივად არსებითად განსხვავდება ბავშისაგან, უკანასკნელი თავისებურებას წარმოადგენს და სპეციალურად უნდა იქნეს შესწავლილი; ეს გარემოება შესაძლებლად და ამასთანავე აუცილებლად ხდის ბავშთმცოდნეობის, ანუ პედოლოგიის არსებობას, როგორც მეცნიერების სხვა დარგთაგან, ცხადათ გამიჯნულ დისციპლინას.

ასეთი ერთეული პირების გამოკლებით, რომელნიც ერთგვარად მაინც დაინტერესებული იყვნენ ბავშების შესწავლით, უნდა ითქვას, რომ არა მარტო საზოგადოების ფართო წრეები, არამედ ის პირებიც კი, რომელთაც ჩაბარებული ჰქონდათ ახალი თაობის აღზრდა, უდიდეს გულგრილობას იჩენდენ ბავშების სათანადოთ შესწავლისადმი.

ანტიურ ქვეყნებში მოზარდი თაობის აღზრდა მონებს ჰქონდა მინდობილი. საშუალო საუკუნეებში აღმზრდელებათ სკოლებში იყვნენ ისეთი პირები, რომელთაც ვერ მოენახათ უფრო ხელსაყრელი საქმე. ცნობილი მწერალი და პედაგოგი ჟან-ჟაკ რუსო ამბობდა, რომ „ბავშებს არ იცნობენო“ და ასეთი საყვედური მის მიმართაც სამართლიანია: თვით რუსოც არ იცნობდა ბავშებს.

ინგლისელი მეცნიერი გერბერტ სპენსერი ინგლისელების შესახებ სწერდა: „ინგლისელებს უფრო ცხენები აინტერესებთ ვიდრე ბავშები და ჯოკეის (მხედარს) უფრო მოწიწებით ეძებენ, ვიდრე პედაგოგებსო“. რუსეთის გამოჩენილი პედაგოგი კ. უშინსკი, რომელმაც, თავის შესანიშნავ თხზულებაში: „Человек, как предмет воспитания“ ბუნებისმეტყველების თვალსაზრისით გადასჭრა პედაგოგიური კითხვები და ამით მეტად მიუახლოვდა თანადროულ მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, პედაგოგის პროფესიის შესახებ

შემდეგს ამბობს: „აღზრდის საქმეს ის თავისებურობა აქვს, რომ თითქმის ყველას, იგი მიაჩნია ნაცნობ და გასაგებ საქმეთ, ზოგიერთებს კი—მეტად ადვილ საქმედ; მით უფრო ადვილათ მისაჩნეევია იგი, რაც უფრო ნაკლებად—თეორეტიულად დ პრაქტიკულად—მას ადამიანი იცნობს. თითქმის ყველა აღიარებს, რომ აღზრდა მოთმინებას მოითხოვს; ზოგიერთი ფიქრობს, რომ ამ საქმისათვის საჭიროა თანდაყოლილი ნიჭი, უნარი; მხოლოდ რამდენიმე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოთმინებისა და თანდაყოლილი ნიჭის გარდა, საჭიროა სპეციალური ცოდნა“. სახელდობრ,—ბავშის ცოდნა.

ყოველი დროისა და ხალხის მხატვრული ლიტერატურა რელიეფურად აღნიშნავდა, როგორც უყურადღებობას ბავშებისადმი, აგრეთვე მათი აღზრდის ჩაბარებას ისეთი პირებისათვის, რომლებსაც არავითარი ცოდნა ბავშების შესახებ არ ჰქონდათ. მაგ. ფ ო ნ ვ ი ზ ი ნ ის კომედიაში „Недоросль“, ბავშის—„მიტროფანუშკას“ აღზრდელებათ იყვნენ მოწვეული: კუტეიკინი—დიაკვანი, ციფისკინი—„სალდათი“ და ვრალმანი—მეეტლე; გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს კომედიაში: „Горе от ума“-ში დასურათებულია მე-XIX საუკუნის დასაწყისის; მოსკოვის საზოგადოება; ერთ-ერთი მომქმედი პირის თქმით, მოსკოვის მცხოვრებლები: „стараются набрать учителей полки, числом побольше, ценою подешевле“. მშობლებისა და აღზრდელებისაგან ბავშისადმი უურადღებას სხვა მრავალი მწერალიც ამგვარადვე ახასიათებს, მაგ. კრილოვი, პუშკინი და სხვა. თქმა არ უნდა, რომ ასეთი ატმოსფერა და პირები ბავშის ბუნებას დაამახინჯებდენ, და მასში შემოქმედების ყოველგვარ უნარს ჩაკლავდენ.

3. პედოლოგია და პედაგოგიკა.

ჩვენს დროში, როდესაც უტყუარად დამტკიცებულია ახლო ურთიერთობა სწავლა-აღზრდასა და ბევშთმცოდნეობას შორის და პესტალოცის აზრი, რომ „სწავლის პრინციპები ბავშის ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდენ“—პედაგოგიური ტრუიზმათ გადაიქცა. კიდევ არიან ისეთები, რომლებსაც საეჭვოდ და არა მიზანშეწონილად მიაჩნიათ პედაგოგიკის დაკავშირება და, მით უმეტესად, დაფუძნება პედოლოგიაზე. თავისი აზრის დასამტკიცებლად ასეთი პირები ორ გამოჩენილ მოაზროვნეს იმოწმებენ: ამერიკელ ფსიქოლოგს ვ ი ლ ი ა მ ჯ ე მ ს ს ა და გერმანელ ფსიქოლოგს გ უ გ ო მ ი უ ნ ს ტ ე რ ბ ე რ გ ს. მათი აზრით, ორივე ბუმბერაზი მკვლევარი უარყოფს ფსიქოლოგიის რაიმე მნიშვნელობას პედაგოგიკისათვის.

მართლაც, გ. მიუნსტერბერგი თავის თხზულებაში: „Очерки психологии“, რომელიც იყო გამოცემული 1892 წ., აღბობს: „ფსი-

ქოლოგიით სარგებლობა პედაგოგიკისათვის—საეჭვოა, რადგან ის (ფსიქოლოგია) ჯერ-ჯერობით წარმოადგენს მეცნიერულ დილეტანტიზმის ნაყოფს: ამიტომ, თვით პედაგოგიკამ უნდა მოახდინოს საკუთარი ექსპერიმენტები და არ კმაყოფილდებოდეს იმ მცირე ნამცეცებით, რომლებიც ფსიქოლოგიის მაგიდიდან სცვივა... უზნეობა იქნებოდა მასწავლებლის მხრივ, რომ მან მოწაფის პიროვნება არ დააფასოს და ის ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების საჯიჯგნ საგნად გახადოს“ მაგრამ იგივე მიუნსტენბერგი თავის ახალ ნაშრომში: „Психология и учитель“ (1911 წ.)ღნიშნავს, რომ მისი აზრები პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიის შორის ურთიერთობის შესახებ „დამყარებულია გაუგებრობაზე“ და აღიარებს, რომ სათანადო პედაგოგიური ხერხების ხმარებისათვის, მასწავლებელი აუცილებლად უნდა იყოს გაცნობილი ფსიქოლოგიას,მხოლოდ ფსიქოლოგიური დაკვირვება მან სასკოლო მოღვაწეო ბისმიზნად არ უნდა გახადოს.

რაც შეეხება ვ. ჯემსს, მასზე მითითება, რომ, თითქოს ის უარყოფდეს ბავშთმცოდნეობის საჭიროების პედაგოგიკისათვის წიგნში. „Психология в беседах с учителями“—უმართებულოა, ვინაიდან ხსენებულ წიგნში, ჯემსი, პირიქით, მეტად უკავშირებს ერთი-მეორეს ამ ორ მეცნიერების დარგს, მხოლოდ აღნიშნავს, რომ მასწავლებლისათვის არ არის მაინც და მაინც აუცილებელი ფსიქოლოგიის დაწერილებითი ცოდნა; აღმზრდელისათვის საკმარისია გაცნობა ფსიქოლოგიის ძირითად დებულებებთან, რომლებიც მოთავსდება „ხელის გულზე“ ე. ი. ძალიან ცოტაა.

სხვა მრავალ პირობას შორის, რომელიც მოეთხოვება მასწავლებელს (გარეგნობა, ხმა, ტაქტი, ბავშების სიყვარული, თავისი საგნის ღრმად ცოდნა და სხ.), აუცილებელია ბავშის ზრდა-განვითარების ცოდნა. თუ მებაღესათვის საჭირო და აუცილებელიცაა სხვადასხვა მცენარისა და ნიადაგის თვისებების შესწავლა; თუ ექიმისათვის აუცილებელია ადამიანის ანატომიის და ფიზიოლოგიის ცოდნა; ინჟენერისათვის საშენი მასალის თვისებების გაცნობა, მით უმეტეს სავალდებულოა აღმზრდელისათვის მისი პედაგოგიური ზეგავლენის ობიექტის — ბავშის შესწავლა. ამოს კომენსკი მასწავლებელს მიუთითებდა ხელოსანზე, რომელიც, სანამ ნედლი მასალის დამუშავებას შეუდგებოდეს, წინასწარ ეცნობა მას. აღზრდის ობიექტს—ბავშს, ცხადია ვერ დავამუშავებთ, ვერ ჩაუნერგავთ მას სათანადო სოციალურ ჩვევებს, ვერ უხელმძღვანელებთ მის ანატომიურ ფიზიოლოგიურ-ფსიქიურ ზრდას, თუ ბავში არ გვყავს შესწავლილი. როგორც ვხედავთ მასწავლებელს მხოლოდ მაშინ შეუძლია ბავშის

აღზრდისადმი საღი მიდგომა, ბავშის ბუნებასთან შეფარდებული პედაგოგიური ხერხების ხმარება, როდესაც ის, ზოგადათ მაინც არის გაცნობილი ბავშთმცოდნეობის ძირითად საფუძვლებს.

4. პედოლოგიის განვითარება ვ. პრეიერის შემდეგ. იმ თხზულებებს შორის, რომელიც ბავშის შესწავლას ეხებოდა 1882 წლამდე, აღსანიშნავია: ტიდემანის სუსტი ცდა: „Наблюдения над развитием душевных способностей у детей (1787 წ.), ბ. სიგიზმუნდის: „Ребенок и мир" (1856 წ.), კუსმაულის: „Исследования над душевной жизнью новорожденного человека" (1859 წ.); ჩ. დარვინის გამოკვლევა (1877 წ.) და სხვა. ზემოჩამოთვლილ თხზულებებს არა აქვთ სრული და მეცნიერულად დამაკმაყოფილებელი შინაარსი. ბავშის სისტემატიური შესწავლა პირველად ვ. პრეიერმა აწარმოვა, რომელმაც მეცნიერულად გააშუქა: ბავშის მოძრაობათა უნარი და მისი განვითარება, მეტყველების წარმოშობა, სივრცისა და დროის აღქმა, მახსოვრობა, ყურადღება, დაქანცვა და ბავშის ფსიქიკის სხვა მხარეები 3 წლამდე.

პრეიერის მიერ მეთოლოგიურად სწორ ლიანდაგზე დაყენებულმა ბავშის ფსიქოლოგიამ, სწრაფი განვითარება დაიწყო. პრეიერის მაგალითმა ბევრი სერიოზული მკვლევარი დააინტერესა და მათ თავისი მდიდარი და ღრმა-შემოქმედებითი ენერგია ბავშის ბუნების შესწავლისაკენ მიმართეს. მცოდნე პირების მთელი რიგი თავის დაკვირვებებს ბავშებზე დღიურების სახით აქვეყნებდა. მაგალითად: ჯონ და ეველინა დიუის დღიურები, ცოლ-ქმარი სკუპინები, პაოლა ლომბროზო, მის შინნი და სხვა. დღიურები, როგორც ნედლი მასალის, მეცნიერული გადამუშავება ხდებოდა ისეთი მეცნიერთა მიერ, როგორიც არიან: ვილიამ სტერნი („Психология раннего детства до 6-летнего возраста"), ერნსტ მოიმანი (Лекции по экспериментальной педагогике" т.т. I. II. III) რუსეთის ფსიქიატრი სიკორსკი, სტენლი ჰოლლი და მრავალი სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ პედოლოგია მეტად ნორჩი მეცნიერებაა, მას ამ ჟამად შედარებით მდიდარი ლიტერატურა აქვს, მით უფრო სიმპტომატიურია პედოლოგიის სათანადო განვითარება-დამუშავება, რომ ეხლა უკვე იშვიათად მოიპოვება ქვეყანა, სადაც არ იყოს გაცხოველებული პედოლოგიური მუშაობა; თითქმის ყველგან დაარსებულია პედოლოგიური ინსტიტუტები*), ბავშის შესწავ-

*) 1929 წლის დასაწყისში ჯანსახკომის მიერ დაარსებულია პედოლოგიური ინსტიტუტი ტფილისშიც.

ლისა და დაცვის საზოგადოებანი, პერიოდული პედოლოგიური გამოცემანი, მასიურად იწერება დღიურები სხვადასხვა ბავშვზე ყოველ-დღიურ დაკვირვებაზე დამყარებული. ბავშის შესწავლა სწარმოებს ზუსტი ობიექტიური მეთოდებით და, პრეიერის მიერ დაწყებული, ბავშის შესწავლა, თანდათან გზას იკვლევს, ვითარდება და ყალიბდება.

5. პედოლოგია საბჭოთა კავშირში. მეტად ინტენსიურია პედოლოგიური მუშაობა საბჭოთა რუსეთსა და უკრაინაში, სადაც ასეთს აწარმოებენ არა მარტო კაბინეტის მუშაკები მრავალ სხვადასხვა პედოლოგიურ ინსტიტუტში, არამედ მასში ჩაბმულია განათლების მუშაკთა მთელი არმია, რომელიც, როგორც სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში, აგრეთვე სკოლებში და მშრომელი მოსახლეობის ფართო წრეშიაც, ჰკრებს და ამუშავებს ცნობებს ბავშის ზრდა-განვითარების დონეს შესახებ სხვადასხვა ასაკში. კოლექტიური შრომა თავდებია იმის, რომ დასკვნები მასიური, ტიპიური, საშუალო ბავშის განვითარების შესახებ, მეცნიერულად უტყუარი და სრული იქნება. სხვა ქვეყნებში (ევროპა, ამერიკა, იაპონია) ერთგვარად მაინც შესწავლილია პრივილეგიური საზოგადოების ბავში; საბჭოთა რესპუბლიკებში კი, სადაც პ ე დ ო ლ ო გ ი ი ს ო ბ ი ე ქ ტ ა დ ა რ ი ს მ შ რ ო მ ე ლ თ ა მ ა ს ი უ რ ი, ს ა შ უ ა ლ ო ბ ა ვ შ ი, რომლის შესწავლა მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაიწყო, საბჭოთა პედოლოგიური მიზნების მისაღწევად ფრიად დიდი მუშაობაა შესასრულებელი. წარმოებული ინტენსიური კოლექტიური შრომა სრულ იმედს იძლევა, რომ საბჭოთა პედოლოგიის მიზნები განხორციელებული იქნება.

მაგრამ ამ ჟამად, როგორც ზევით იყო აღნიშნული, პედოლოგიის მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას, რომ დასაბუთებული პასუხი გაეცეს პედოლოგიური თეორიისა და აღმზრდელობითი პრაქტიკის ყველა საკითხს. „გულწრფელად უნდა გამოვტყდეთ, ამბობს ა. ზ ა ლ კ ი ნ დ ი (იხ. მისი: „Педология в С. С. С. Р. გვ. 24 და შემდეგი), რომ საბჭოთა პედოლოგიამ ჯერ-ჯერობით შესძლო პასუხის გაცემა ჩვენი პედაგოგიკისათვის მხოლოდ „ზოგადათ“, „საერთოდ“... სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს („ГУС“) და სოციალური აღზრდის მთავარმართველობის მეთოდიურ-პედაგოგიურ შეკვეთას პედოლოგია მთლიანად ვერ ასრულებს: ზუსტ, დეტალურსა და მთლიან მეთოდიურ მითითებებს იგი ჯერ ვერ იძლევა.. ჩვენ, ჯერ კიდევ მეტად ღარიბი ვართ პედოლოგიური ლიტერატურის მხრივ და, ამას გარდა, ჩვენი მუშაკები მეტად დატვირთული არიან—ვერ

ასწრობენ წერას; ამიტომ ხ'მირია შემთხვევა, რომ უაღრესად ძვირფასი მასალები, რომლებიც სპეციფიური არიან საბჭოთა პედოლოგიისათვის, ვერ აღწევენ ჩვენამდე". მართლაც უდიდესი მუშაობის ჩატარებაა საჭირო, რომ მთლიანად გამოქვეყნდეს „მეცნიერულ-პედოლოგიური ოპტიმიზმის ის უხვი სიმდიდრე, რომელიც ს. ს. რ. კავშირში დაგროვდა ოქტომბრის შემდეგი წლების განმავლობაში".

1929 წლის დეკემბერში მოწვეულმა სრულიად საკავშირო პედოლოგიურმა ყრილობამ ნათლად გამოამჟღავნა საბჭოთა პედოლოგიის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი და პედოლოგიას, დროებითი სიღარიბის მიუხედავათ, რაც მოკლე ხანში იქნება დაძლეული პედაგოგიური თეორია-პრაქტიკის მთელ რიგ აქტუალურ კითხვებზე შეუძლია უკვე მისცეს სავსებით გარკვეული სახელმძღვანელო მითითებები.

პედოლოგიურ-მეთოდიური დამუშავების მხრივ, კარგათაა შესწავლილი სკოლის ასაკამდე ხანა (0დან-8 წლამდე); უფრო სუსტია პრაქტიკული პედოლოგიის მდგომარეობა სასკოლო პირველი ასაკის (8-დან-12 წლამდე) გარკვევის საქმეში; აქ პედოლოგია იძლევა მხოლოდ ზოგადი ხასიათის მითითებებს ასაკობრივი თვისებების შესახებ.

ხოლო, სქესობრივი მომწიფების (ანუ მე-II საფეხურის სკოლის) პერიოდი—არ არის სათანადოთ დამუშავებული და იგი ამჟამადაც მწვავე დისკუსიის საგანს შეადგენს.

საფუძვლიანადაა დამუშავებული პედოლოგიაში: სქესობრივი აღზრდის, დაღლილობისა და გონებრივი განვითარების გამორკვევის, თამაშობის, ჯგუფებში ერთფეროვანი ბავშთა შემადგენლობის შერჩევის*) საკითხები. განსაკუთრებითაა გამახვილებული საბჭოთა პედოლოგების ყურადღება ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა: ბავშური შრომა და ბავშთა კოლექტივი. კვლევითი მუშაობა ამ მიმართულებით ფართო მაშტაბითა და ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ დაგროვილი მასალა არ იძლევა ჯერ პრაქტიკულ მითითებათა საკმაო რიცხვს.

1929 წლის ივნისში საუწყებათაშორისო საგეგმო პედოლოგიურმა კომისიამ დაამუშავა მთავარი საკითხები, რომლებიც უნდა იქნენ განხორციელებული საბჭოთა პედოლოგიის მიერ ხუთი წლის განმავლობაში (ე. ი. 1932/33 წლამდე). მეცნიერულ-კვლევითი პე-

---

*) იხ. Белоусов. „Как группировать учащихся в школе" გამოც. II. 1929 და ეკ. ვაინბერგ: „Педологические основы комплектования школьных групп" 1929.

დოლოგიური მუშაობის ხუთწლიანი გეგმა, ძირითადათ შემდეგ საკითხებს ითვალისწინებს: 1) უნდა იქნეს გამოკვლეული, თუ რა გავლენას განიცდის ორგანიზმი საბჭოთა კავშირის სოციალურ-ეკონომიურ პირობათა ცვალებადობის სწრაფ ტემპთან დაკავშირებით და როგორია, მაშასადამე, ბავშის ორგანიზმის განვითარების ტემპი.

2) ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ავალებს პედოლოგიას, რომ მან უახლოეს წლებში შეისწავლოს და მტკიცედ დაასაბუთოს მეთოდიურად წარმოებითი აღზრდა-სწავლების მთავარი საკითხები და, აგრეთვე საკითხი წარმოებითი შუალისა და მისი გავლენის შესახებ მოზარდ ორგანიზმზე. ამავე ამოცანას უკავშირდება ისეთი პრობლემების გადაჭრაც, როგორიცაა პოლიტეხნიკური აღზრდა, ბავშთა შრომითი ფსიქო-ფიზიოლოგია, ბავშის ასაკობრივი და კლასიური შრომითი ევოლიუცია, პროფესიონალური საზიანო პირობები ბავშის შრომითი პროცესში და სხვა.

3) სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ფართოდ გაშლა, პედოლოგიის წინაშე აყენებს გადასაჭრელად შემდეგ ამოცანებს: საჭიროა კოლმეურნეობის ახალგაზრდობის სკოლებში მუშაობის მეთოდების პედოლოგიის დამუშავება, მოჯამაგირე, ღერიბსა და საშუალო ფენების ბავშთა პედოლოგიური შესწავლა, კოლმეურნეობრივი შუალისა და მისი გავლენის გამოკვლევა ბავშის ფსიქოფიზიკურ განვითარებაზე და სხვა.

4) ეროვნულ უმცირესობათა შუალის თავისებურებათა პედოლოგიური შესწავლა ადგილებზე ექსპედიციების გაგზავნით*).

5) ქალების პედოლოგიური შესწავლა, რადგან საკითხი სქესობრივი ტიპოლოგიის შესახებ და საერთოდ, ქალთა თავისებური განვითარების შესახებ, ჯერ-ჯერობით არ არის სათანადოთ დამუშავებული პედოლოგიაში;

6) უაღრესი ყურადღებით უნდა იქნეს გადაჭრილი პედოლოგიის მიერ კომუნისტური აღზრდის პრობლემა, სახელდობრ, შემდეგი საკითხები: პიონერმოძრაობის, ა. ლ. კ. კ. (18 წლის ასაკამდე), სასკოლო თვითორგანიზაციის, საზოგადოებრივ-აუცილებელი მუშაობის შესახებ სკოლაში და სხვა.

---

*) ეროვნულ უმცირესობათა პედოლოგიური გამოკვლევის შესახებ იხ. ჟურნალი „Педология“ № 3. (8) 1930 წ.

7) მ ა ს ი უ რ ი პ ე დ ა გ ო გ ი კ ი ს საკითხების დამუშავება და სხვა.

აი ის ძირითადი თემატიური დავალებები, რაც დაკისრებული აქვს გადასაჭრელად პედოლოგიას საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენებლობის პრაქტიკული მსახურებისათვის ხუთწლედის განმავლობაში.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში პედოლოგია ჯერ-ჯერობით terra intacta'-ს (ე. ი. ხელუხლებელ ნიადაგს) წარმოადგენს. ჩვენი რესპუბლიკა, პედოლოგიის დამუშავებისა და მასში თავისი წვლილის შეტანის მხრივ, პრიმიტიულ მდგომარეობას ვერ გასცილებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ: ი. გოგებაშვილის, ბოცვაძის, ი. როსტომაშვილისა და სხვების პედალოგიურ წერილებს, რაც უფრო პედაგოგიური ინტუიციის, ვიდრე ობიექტიური მეცნიერული მეთოდოლოგიის შედეგია და, რომლებიც თანამედროვე სოციალური პედაგოგიკის მოთხოვნილებას ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ. გადაუჭარბებლად უნდა ვთქვათ, რომ, გარდა დ. უზნაძის „ექსპერ. პედაგოგიკის შესავალი"-სა (ქუთაისი, 1912), არც ერთი მნიშვნელოვანი წიგნიც არ მოგვეპოება, რომელიც ეხებოდეს ბავშთმცოდნეობის ზოგად დებულებებს*). იყო ბავშის ფსიქიკის ზოგიერთი თვისების გამოკვლევის რამდენიმე ცდა ანკეტის საშუალებით პროფ. დ. უ ზ ნ ა ძ ი ს და წიფურიას მიერ (იხ. ჟურნალები: „უნივერ. მოაბრე", II „ჩვენი მეცნიერება" წ. II № 1 და „საქ. განდ. მუშაკი") ჟურნალი: ახალ სკოლისაკენ პერიოდულად ათავსებს პედოლოგიურ წერილებს (განყოფილება დაუსწრებელი კურსები) მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მდგომარეობა მით სავალალოა, რომ ორიგინალური თხზულებათა უქონლობის გარდა, პედოლოგიურ დარგში ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ნაშრომის თარგმანიც არა გვაქს**). მშობლების, ან აღმზრდელების დღიურები ბავშის შესახებ სრულებით არ მოგვეპოვება. ჩვენი სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებები (საბავშო ბაღები, სახლები და სხვა), სადაც ბევრი მეტად დახელოვნებული განათლების მუშაკი მოღვაწეობს, თავის დღიურებს, ოქმებსა და დასკვნებს, ბავშებზე დაკვირვებათა შესახებ, არ აქვეყნებენ.

---

*) 1928 წელში გამოცემული იყო ვს. კაპანაძის: „პედოლოგიის შესავალი", რომელიც მისასალმებელი მოვლენაა. რადგან ის არკვევს პედოლოგიური მეცნიერების ძირითად დებულებებს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ეს მერცხალი ვერ იქმნის გაზაფხულს.

**) პროფ. კ. კორნილოვის წიგნის გარდა: „Очерк поведения ребенка дошкольного возраста" (1928 წ.) რომელიც გამოცემულია ქართულ ენაზე რ. ნიკოლაძის რედაქციით.

ასეთი მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს და ჩვენც უნდა შევიტანოთ საკუთარი წვლილი ბავშთმცოდნეობაში ქართველი ბავშის თავისებურებათა გამოკვლევით.

ამ მხრივ სხვათა შორის პედაგოგიურ ინსტიტუტთან--პედოლოგიური განყოფილებისა და განსახკომის ბიერ—პედოლოგიური ინსტიტუტის დაარსება, ისეთი მძლავრი ფაქტორებია, რომლებიც ვიმედოვნებთ, სულ მოკლე ხანში აიყვანებენ სათანადო დონემდე პედოლოგიურ ცოდნასა და ამით მოსპობენ ჩვენი რესპუბლიკის პედოლოგიურ ჩამორჩენილობას.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

პედოლოგიის მეთოდოლოგია

პედოლოგიის მეთოდები. ბავშის შესწავლისათვის პედოლოგია ხმარობს სხვადასხვა მეთოდს; ეს მეთოდები შემდეგია:

1. უშუალო, პასიური ობიექტიური დაკვირვება („ექსტროსპექცია") ბავშის ზრდა-განვითარებაზე; ბავში მოზარდი ადამიანია; ის მრავალ ცვლილებას განიცდის: იცვლება მისი გარეგნობა, ყოფა-ქცევა და ფსიქიური ცხოვრება; შემჩნეულ ცვლილებების თვალ-ყურის დევნება და წერილობითი აღნიშვნა შეადგენს უშუალო, პასიური ობიექტიური დაკვირვების მეთოდის შინაარსს*). ეს მეთოდი მეტად პოპულიარულია; მას მიმართავენ მშობლები, ბავშების ექიმები, აღმზრდელები და თავის დაკვირვებებს ბავშზე აქვეყნებენ დღიურების სახით. უშუალო დაკვირვება ბავშზე არ წარმოადგენს სირთულეს, მხოლოდ დიდი სიფრთხილე და სხვადასხვა პირობის დაცვაა საჭირო, რომ ასეთ დაკვირვებებს ექნეს ერთგვარი მეცნიერული ღირებულება, სახელდობრ: ა) დამკვირვებელი უნდა იყოს დახელოვნებული პირი, რომელიც, ზოგადათ მაინც უნდა იყოს გაცნობილი ბავშთმცოდნეობას: ბ) ბავში უნდა იყოს ბუნებრივ პირობებში და არ უნდა ამჩნევდეს რომ ის დაკვირვების საგანია, რადგან, თუ ბავში ატყობს, რომ მას უკვირდებიან, მისი ყოფა-ქცევა ბუნებრივ ხასიათს დაკარგავს; გ) დაკვირვებებს დრო-გამოშვებითი ხასიათი არ უნდა ქონდეს, არამედ უნდა იყოს ხანგრძლივი და სისტემატიური; დ) ბავშში მომხდარი ცვლილება იქვე უნდა ჩაიწეროს; ე) დამკვირვებელი უნდა ერიდებოდეს ახსნას; მან ქრონოლოგიურად მხოლოდ ფაქტები უნდა აღნიშნოს; ვ) დაკვირვებამდე საჭიროა გამოირკვეს: მშობლების ვინაობა, ჯანმრთელობა, ბავშის სოციალური მდგომარეობა, ეროვნება, ამხანაგების წრის გავლენა და სხვა; ზ) საჭიროა აგრეთვე ბავშის ნახატების, რვეულების, სხვადასხვა ასაკის ფოტოგრაფიული სურათების შეკრება და სხვა; თ) დაკვირვებისაგან მიღებული დასკვნები უნდა იქნეს შედარებული სხვა მკვლევართა დასკვნებთან და სხვა. ხსენებული პირობების შესრულება აუცილებელია, რომ ბავში მეცნიერულად იქნეს შესწავლილი.

---

*) დღიურების შედგენის შესახებ იხ. ჩვენი წიგნის გვ. გვ. 174 და 175.

2. მოზრდილების მოგონებანი თავისი ბავშობის შესახებ, (ე. წ. „ავტობიოგრაფიული“ ანუ „რეტროსპექტიული მეთოდი“). ასეთი მოგონებანი: ავტობიოგრაფიები, მემუარები, დღიურები და სხვა, მეტად მრავალრიცხოვანია. მაგ.: ჟ. ჟ. რუსოს „Исповедь“. ფონვიზინის: „Признание в делах моих и помышлениях“, ი. ე. გოეტეს „Правда и поэзия моей жизни“, ლ. ნ. ტოლსტოის „Детство, отрочество и юность“, ა. წერეთლის „მოგონება“ და მრავალი სხვა. ასეთ მოგონებებში ავტორები (უმთავრესად მოხუცობის ასაკში) აღიდგენენ ხოლმე მეხსიერებაში თავისი ბავშობის ფაქტებს და მათ დაფასებასა და ახსნას ახდენენ. მაგრამ, დაყრდნობა ასეთ წყაროებზე, ბავშური ხანის შესასწავლად, უმეტეს შემთხვევაში, არა საიმედოა, ვინაიდან ხანგრძლივი დრო აცილებს ავტორების ასაკს მათი ბავშობის პერიოდს, რომლის განმაელობაში მკრთალი და მცირერიცხოვანი ხდება მოგონებათა რაოდენობა. ასეთ ნაკლს ერთვის ის გარემოებაც, რომ მეხსიერება, ხშირად უნებლიეთ, აფერადებს წარსულს და იდეალიზაციით ამახინჯებს მას.

მოზრდილთა მოგონებებს თავისი ბავშობის შესახებ შეუძლია გაუწიოს ერთგვარი სამსახური პედოლოგიას მხოლოდ მაშინ, როდესაც მოზრდილების დაკითხვა მოხდება განსაზღვრული გეგმის მიხედვით. სანიმუშოდ აქვე მოგვყავს დაკითხვის პროგრამა, რომელიც შეადგინა მოსკოვის პედოლოგიურმა ინსტიტუტმა: 1) როგორია პირველი მოგონება თქვენი ბავშობის შესახებ? აღწერეთ იგი, რაც შეიძლება ვრცლად. 2) რომელ ასაკს ეკუთვნის თქვენი პირველი მოგონება? 3) რამდენად ნათელია იგი მთლიანად, ან ნაწილებში? 4) როგორ გაქვთ წარმოდგენილი ეს მოგონება (როგორც მხედველობითი სახე, სმენითი და სხვა)? 5) როგორი ემოციონალური ელფერი ჰქონდა ამ მოგონებას განცდის დროს და ეხლა (სასიამოვნო, არასასიამოვნო და სხვა)? 6) რით შეგიძლიათ ახსნათ, რომ ეს პირველი მოგონება დარჩა თქვენს მახსოვრობაში? 7) როგორია მეორე მოგონება თქვენი ბავშობიდან? 8) რა დრომ განვლო პირველსა და მეორე მოგონებას შორის? 9) რომელი ასაკიდან გახსოვთ მოგონებათა მთელი კომპლექსი, რომელიც არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული? 10) რომელი ასაკიდან იწყება თქვენი სიცოცხლის მოგოგებანი, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან? აღწერეთ მოგონებანი 10 წლამდე. 11) როგორი მნიშვნელობა ჰქონდა ბავშობის პირველ ფაქტებს თქვენი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის? 12) რომელი ასაკის შემდეგ გახსოვთ თქვენი ხმა და თქვენი „მე“? 13) გაქვთ, თუ არა სიზმრები თქვენი ბავშობის დროიდან? სიზმრების შინაარსი? 14) თქვენი აზრით,

რა უფრო უკეთ ამახსოვრდება ადამიანს: მწუხარება, თუ სიხარული? 15) ამჩნევთ, თუ არა წარსულის გახსენების უნარში განსხვავებას: უწინ და ეხლა? რაში მდგომარეობს ეს განსხვავება? 16) რამდენი წლისა ხართ, რა საქმე იცით, თქვენი სქესი?

3. ბავშვების შემოქმედებითი ნაწარმოებთა შესწავლის მეთოდი; ასეთ ნაწარმოებთ ეკუთვნის: ბავშის დღიურები, თხზულებები, ნახატები და სხვა. ბავშების ნახატებზე დაკვირვების შესახებ არსებობს მეტად დამუშავებული პროგრამა; უნდა მიექცეს ყურადღება: რამ გამოიწვია არსებული ნახატი? ნატურიდან, სურათიდან, თუ მეხსიერების მიხედვით არის ნახატი? რას ამბობდა ბავში ხატვის დროს? იყო, თუ არა ნახატი ბავშის ნათქვამის ილიუსტრაცია? რამდენად დააკმაყოფილა ნახატმა ბავში და იყო, თუ არა იგივეს დახატვის განმეორებითი ცდა? რა მიმართულებით ხატავს ბავში: მარცხნიდან მარჯვნივ, თუ პირიქით? შეკითხვები ბავშისადმი ნახატის შესახებ, დაკვირვება ხატვის დროს ბავშის პოზაზე, მიმიკაზე და სხვა.

4. ბავშისა და სხვა ცხოველების შედარებითი შესწავლა განვითარების სხვადასხვა პერიოდში. (ე. წ. გენეტიური მეთოდი).

5. ანთროპომეტრიული მეთოდი: სხვადასხვა ასაკში დათვალიერება-გაზომვა ბავშის სიმაღლის, წონის, მკერდის მოცულობის, ფილტვების ტევადობის, თავის მოცულობის, შრომის უნარისა და სხვა*);

6. ექსპერიმენტი — საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ბავშის შესწავლისათვის. ექსპერიმენტი ანუ ცდა არის ისეთი დაკვირვება, როდესაც რომელიმე მოვლენა ჩაყენებულია განზრახ შექმნილ პირობებში იმ მიზნით, რომ იქნეს გამორკვეული, თუ როგორ იცვლება მოვლენა პირობების შეცვლასთან დაკავშირებით. მაგ. გვსურს გავიგოთ ესმის, თუ არა ახლად შობილ ბავშს ბგერა; ამ მიზნით ბავშის ყურთან ხმამაღლა დავიყვირებთ, და ვუკვირდებით თუ როგორ რეაქციას გამოიწვევს ბავშში გაღიზიანება; ან თუ გვსურს გავიგოთ, როგორ შეიცვლება ბავშის სიხარული სათამაშოს წართმევის შემდეგ, ჩვენ შევქმნით ასეთ პირობებს (ე. ი. წავართმევთ მას სათამაშოს) და ამით გავეცნობით ბავშის მიჩნეულ რეაქციებს. პროფ. ე. მოიმანის სიტყვით, ექსპერიმენტს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს

---

*) ანთროპომეტრიული გამოკვლევათა მეთოდიკა-ტექნიკის შესახებ იხ. ჩვენს ნაშრომში: „ანთროპომეტრია“.

უშუალო დაკვირვებასთან შედარებით, რადგან: 1) ექსპერიმენტი გვაიძულებს სისტემატიურად მოვძებნოთ ფაქტი იმის გამო, რომ იგი არ უცდის, უშუალო დაკვირვების მზგავსად, გამოსაკვლევი პროცესების წარმოშობას. 2) ექსპერიმენტი საშუალებას გვაძლევს განუსაზღვრელად.

გავიმეოროთ დაკვირვებანი. 3) მოვლენა შეიძლება იქნეს ჩაყენებული სხვადასხვა პირობებში და ამ რიგად მისი შესწავლა ყოველმხრივი და სრულია. 4) ექსპერიმენტის საშუალებით, ერთი მკვლევარის დასკვნების შემოწმება შეუძლია სხვა მკვლევარსაც, რადგან მათ იციან პირობები, რომელშიაც სწარმოებდა ცდა, ამიტომ საშუალება აქვთ გაიმეორონ ერთი-მეორის ცდები და ეს გარეშოება ქმნის ცდის შედეგების ზედმიწევნით სიზუსტეს.

გასარჩევია ორი სახის ექსპერიმენტი: ბუნებრივი და ლაბორატორული (ხელოვნური).

ა) ბუნებრივი ექსპერიმენტს*) შუა ადგილი უჭირავს უშუალო პასიურ დაკვირვებასა და ხელოვნურ ექსპერიმენტს შორის. ბუნებრივი ექსპერიმენტის დროს დამკვირვებელი თუმცა შესასწავლ მოვლენისათვის პირობებს განზრახ ჰქმნის, მაგრამ ამ პირობებს ბუნებრივი ხასიათი აქვს ბავშისათვის და უკანასკნელი ვერ ამჩნევს, რომ ის არის დაკვირვების საგანი. ბუნებრივი ექსპერიმენტი ღებულობს თამაშობის, ექსკურსიის და გაკვთილის ფორმას, რაც ბავშისათვის არ წარმოადგენს უცხოსა და განსაკუთრებულ ხელოვნურ მდგომარეობას, რაც მისთვის ბუნებრივია და ბავშიც ბუნებრივად იქცევა.

გაკვეთილის სახით ბუნებრივ ექსპერიმენტს, ჩვეულებრივად, მიმართავს ყოველი, ცოტად თუ ბევრად დაკვირვებული, თავისი საქმის წარმატებით დაინტერესებული მასწავლებელი, როდესაც იგი ხმარობს სხვადასხვა პედაგოგიურ ხერხს და ცდილობს მათ შორის ამოარჩიოს უფრო მიზანშეწონილი; მაგ; მიცემული გაკვეთილის მოცულობის შემცირება-გადიდება, შეკითხვების ფორმის შეცვლა და სხვა. პედაგოგიური მიზნებისათვის საჭიროა, რომ ბუნებრივ ცდებს გაკვეთილების დროს ქონდეს სისტემატიური და წინასწარ შემუშავებული, გეგმიანი ხასიათი.

ბუნებრივი ექსპერიმენტის მეორე ფორმას, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, მოწყობილი ექსკურსია წარმოადგენს, როდესაც ბავშებს დავალებული აქვთ განსაზღრული ამოცანების შეს-

*) იხ. სპეციალური მონოგრაფია პროფ. ა. ლაზურსკის: Естественный эксперимент".

ულება; უნდა დაუკვირდეთ შემდეგს: რას აქცევს ყურადღებას ბავშვი ექსკურსიის დროს? რამდენად მიზანშეწონილია ბავშვის ყურადღების მიმართულება? სისტემატიურად უკვირდება ბავშვი მიჩნეულ მოვლენას ან საგანს, თუ იფანტება და ყველაფერს „ედება"? და სხვა. ბუნებრივ ექსპერიმენტს აგრეთვე. თ ა მ ა შ ო ბ ი ს სახე შეიძლება მიეცეს, როდესაც თამაშობა ბავშვის განსაზღვრული სფეროს მოვლენათა გამოსარკვევად ხდება; ასეთი თამაშობის დროს, შეიძლება გავეცნოთ ბავშვის ე მ ო ც ი ო ნ ა ლ უ რ მ ხ ა რ ე ს: გატაცებულია თამაშით თუ არა? ყვირის და ხტის, თუ არა? მოუთმენლად ისმენს თამაშობის პირობების ახსნასა და ცდილობს თამაშობა ჩქარა დაიწყოს, თუ არა? როგორია თამაშობისადმი ინტერესის ხანგრძლივობა? როგორ მოქმედობს მასზე რაიმე შეცდომა და დამარცხება თამაშობაში? და სხვა; თამაშობის დროს აგრეთვე ბავშვის ნებითი რ ე ა ქ ც ი ე ბ ი ირკვევა: აქტიურია, თუ პასიურია ბავშვი? დასახული მიზნისაკენ ურყევად მიიელტვის, თუ არა? როგორ იქცევა ბავშვი თამაშობის კრიტიკულ მომენტში? და სხვა; ირკვევა ბავშვის მოძრაობითი მხარეც: როგორია სირბილის სისწრაფე? ახდენს, თუ არა, ბავშვი თამაშობის დროს საჭიროზე მეტ მოძრაობას? როგორ ძალას იჩენს ბავშვი. მაგალითად ბურთის სროლის დროს? და სხვა.

ბუნებრივი ექსპერიმენტი მეტად მნიშვნელოვანია პედაგოგიკისათვის იმ მხრივ, რომ ბავშვის ყოფა-ქცევა ამ დროს ბუნებრივია: ხოლო მას აქვს არა დამაკმაყოფილებელი თვისება იმ მხრივ, რომ მის მიერ მოპოებული დასკვნები არ შეიძლება იყოს გამოხატული ზუსტი მათემატიკური რიცხვებით.

ბ) ლ ა ბ ო რ ა ტ ო რ უ ლ ი, ა ნ უ ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი ე ქ ს პ ე რ ი მ ე ნ ტ ი ხდება პედოლოგიურ ლაბორატორიებში, კაბინეტებში სხვადასხვა ზუსტი ხელსაწყოების საშუალებით (მაგ. ე ს ტ ე ზ ი ო მ ე ტ რ ი —კანის მგრძნობელობის გასაზომად, ტ ა ხ ი ტ ო ს კ ო პ ი—ყურადღების ძალის ხანგრძლივობისა და მოცულობის გამოსარკვევად, ო ლ ფ ა ქ ტ ო მ ე ტ რ ი—ყნოსვის გასაზომად, ს ფ ი გ მ ო გ რ ა ფ ი—პულსაციისათვის, ე რ გ ო გ რ ა ფ ი—დაქანცვისათვის და სხვა *).

ლაბორატორული ექსპერიმენტის დროს ბავშვი აშკარად ამჩნევს, რომ ის დაკვირვების (ცდების) ობიექტია; ხოლო ლაბორატორული ექსპერიმენტის დადებითი მნიშვნელობა მდგომარეობს იმ ზუსტ ცნო-

*) აღნიშნული და სხვა ხელსაწყოების მოწყობილობისა და ხმარების შესახებ იხ. პროფ. დ. უზნაძე: „ ექსპერიმენტალური ფსიქოლოგია", проф. Г. Челпанов: „Введение в экспериментальную психологию", К. Корнилов и др. „Простейшие школьные психологические опыты" და სხვა.

ბებში, რომლებსაც იგი ბავშის რეაქციების შესახებ, სხვადასხვა სარეგისტრაციო ხელსაწყოების საშუალებით იძლევა.

7. ლაბორატორული ექსპერიმენტის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს: „ პ ი რ ო ბ ი თ ი რ ე ფ ლ ე ქ ს ე ბ ი ს მ ე თ ო დ ი. მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა და, ბავშის ყოფა-ქცევის შესწავლისათვის სათანადოთ იქნა მოხმარებული პედოლოგიის მიერ, მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა ე. წ. „პ ი რ ო ბ ი თ ი რ ე ფ ლ ე ქ ს ე ბ ი ს“ შ ე ს ა ხ ე ბ. ამ მოძღვრების მამამთავრად ითვლება რუსეთის გამოჩენილი ფიზიოლოგი ი. პავლოვი*); თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ მე-XIX საუკუნის ნახევრიდან ამ მოძღვრებას საფუძველი ჩაუყარა ფიზიოლოგმა ი. ს ე ჩ ე ნ ო ვ მ ა, რომელმაც 1863 წელში გამოსცა ნაშრომი: „Рефлексы головного мозга“; შემდეგ, 1867 წელში ეს მოძღვრება ბავშის შესწავლისათვის ცნობილმა პედაგოგმა კ. უ შ ი ნ ს კ ი მ გამოიყენა თავის თხზულებაში: „Человек, как предмет воспитания“ ტ. I და II. ამჟამად კი, პირობითი რეფლექსების მეთოდით წარმატებით ამუშავებენ პედალოგიას პ ა ვ ლ ო ვ ი ს და ბ ე ხ ტ ე რ ე ვ ი ს მიმდევრები: პროფ. კრასნგორსკი, პროფ. არიამოვი, როფ. პროტოპოპოვი, შჩელოვანოვი და სხვები.

პირობითი რეფლექსების მეთოდის შინაარსი შემდეგია:

როგორც ვიცით, ყოფა-ქცევას შეადგენს ჯამი მოძრაობათა, რომლებსაც ცოცხალი არსება გარემოწრის პირობებთან შეგუებისათვის ახდენს. ცოცხალ არსებაზე განუწყვეტლივ გაღიზიანებათა მთელი ნაკადი მოქმედებს: ის ხედავს ფორმებს, ფერებს, მოძრაობას, ყნოსავს სხვადასხვა სუნს, გრძნობს მიკარებას, მას ესმის ბგერები და სხვ. ამ გაღიზიანებათა მოქმედებაზე ცოცხალი ორგანიზმი უპასუხებს განსაზღვრული მოძრაობით, რასაც რ ე ფ ლ ე ქ ს ი, ანუ რ ე ა ქ ც ი ა (ე. ი. საპასუხო მოქმედება) ეწოდება. ცხოველების და ადამიანის ყოფა-ქცევა წარმოშობის მხრივ ორგვარ რეფლექსებისაგან (რეაქციებისაგან) შესდგება: 1) თ ა ნ დ ა ყ ო ლ ი ლ ი, მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ წ ი ნ ა პ რ ე ბ ი დ ა ნ გ ა დ მ ო ც ე მ უ ლ ი, ბ ი ო ლ ო გ ი უ რ ა დ მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ი რ ე ფ ლ ე ქ ს ე ბ ი, რომლებიც ცოცხალ არსებას დაბადებისას მზად დაყენება; ასეთ რეფლექსებს პავლოვი და ბეხტერევი „უ პ ი რ ო ბ ო („უთუო“ თანშობილ) რეფლექსებს“ უწოდებენ, ხოლო ძველ ფსიქოლოგიაში კი მათ „უ ნ ე ბ ლ ი ე“ „შ ე უ გ ნ ე ბ ე ლ ი, „ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი“ (бессознательные непроизвольные) მო-

---

*) იხ. И. Павлов: „Двадцатилетний опыт об'ективного изучения высшей нервной деятельности животных“.

ძრაობანი ეწოდებოდათ. ასეთი „უპირობო რეფლექსები“ ცხოველებს და ადამიანს ძალიან ბევრი აქვს, მაგ., ცხვირში შეხიცინებაზე დაცხინკება, ძლიერ სინათლეზე—თვალების დახუჭვა ან თავის მიბრუნება, ხმაურობაზე--შეკრთომა და სხვა. ასეთი რეაქციების მექანიზმი ცხოველს მზად დაჰყვება დაბადებიდან. მათი წარმოშობის ახსნას ჩ. დარვინის ევოლიუციონური თეორია იძლევა: თუ აღგზნებამ გაიარა რომელიმე ანალიზატორში (ე. ი. ნერვის პოლო აპარატში, თვით ნერვში და ნერვის ცენტრში), ეს ხელს უწყობს შემდეგი თანამიმდევარ აღგზნებათა გაადვილებულად გავლას, რადგან ხდება ნერვიული გზების გაკაფვა. ორგანიზმის განვითარების დროს, რაც მრავალი მილიონი წლებით გაიზომება, ხდებოდა ერთი და იგივე გაღიზიანებისაგან განსაზღვრული უჯრედების და ნერვიული გზების გაკაფვა, რაც მეტად აადვილებდა აღგზნებათა მათში გავლას; ამის შედეგი იყო, რომ მრავალი განსაზღვრული გაღიზიანება მჭიდროდ არის დაკავშირებული (გადაბმული) მიჩნეულ მოძრაობასთან და ეს კავშირი მექანიკურად ხორციელდება. „უპირობო რეფლექსები“ სწორედ ასეთი, მთელი რიგი თაობათა შეგუების პროცესში შემუშავებული და მემკვიდრეობით გადმოცემული რეაქციებია.

აკად. პავლოვი უპირობო რეფლექსების ბუნების გამოსარკვევად ოცდაათი წლის განმავლობაში ცდებს ახდენდა (და ამჟამადაც ახდენს) ძაღლების ნერწყვის ჯირკვლების მუშაობაზე. პავლოვი ძაღლს ნერწყვის ჯირკვალში ხვრელს უკეთებდა, საიდანაც განსაკუთრებული მილით ნერწყვი გარედ გამოდიოდა და შესაძლებელი იყო გამოდენილი ნერწყვის რაოდენობის გაგება.

გამოირკვა, რომ ნერწყვის გამოდენა, რაოდენობისა და თვისების მხრივ, მეტად მიზანშეწონილია და შეესაბამება მოცემულ გამღიზიანებლის თვისებებს, მაგ., ცხოველს რომ მივცეთ ხმელი, მაგარი, საკმელი—მას ბევრი ნერწყვი გამოდინდება, რაც ხმელი და მაგარი საკმლის დარბილება-დასველებისათვის აუცილებელია; თუ ძაღლს ისეთ საკმელს აძლევდენ, რომელშიაც წყლის რაოდენობა საკმაო იყო, მაგ., ხორცს—მაშინ ნერწყვი ცოტა გამოდიოდა; თუ ძაღლს ორგანიზმისათვის მავნე სიმჟავეს აძლევდენ--ჯირკვლებიდან იმდენი ნერწყვი გამოდიოდა, რამდენიც სიმჟავის გახსნისა და მისი უვნებლად—ქმნისათვის არის საჭირო; ქვის პირში ჩადება ნერწყვის დენას არ იწვევდა, რადგან ძაღლს მისი პირიდან გამოგდება უნერწყოდაც შეეძლო; ხოლო სილის ჩაყრის დროს—ნერწყვი უხვად გამოდიოდა და ასე შემდეგ.

2) მაგრამ, როგორც ვიცით, ნერწყვი ძაღლს არა მარტო მაშინ გამოდინდება, როდესაც საჭმელი მას უკვე პირში აქვს ე. ი. საჭმლით მგრძნობიარე გემოვნებითი ნერვების უშუალოდ გაღიზიანების დროს, არამედ ისეთ შემთხვევაშიაც, როდესაც ძაღლი მხოლოდ საჭმელს ხედავს, საჭმლის სუნს შეიგრძნებს, როცა იმ ჭურჭლის ხმაური ესმის, რომლიდანაც მას აჭმევენ და სხვა.

ცხადია, რომ ასეთი რეფლექსი, არ არის თანშობილი; მას, ცხოველის მიერ სიცოცხლის დროს მიღებული გამოცდილება და მიჩვევა იწვევს.

პავლოვის ლაბორატორიაში აღზარდეს ლეკვები, რომელთაც ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ რძით კვებავდენ. რძის დანახვა და სუნი მათში ნერწყვის გამოდენას იწვევდა; ხოლო, სხვა საჭმელზე (ხორცი, პური...) ასეთ რეაქციებს ადგილი არ ჰქონდა. მაგრამ ხორცით (ან პურით) რამდენიმეჯერ გამოკვების შემდეგ, უკვე ხორცის (ან პურის) დანახვა და სუნი ლეკვებში მადის ნიშნებს იწვევდა. როგორც ვხედავთ, ამგვარი რეფლექსი დამოკიდებულია განსაზღვრულ პირობაზე, სახელდობრ,—მისი წარმოშობისათვის საჭიროა, რომ ახალი გამღიზიანებელი (ზევით მოყვანილ მაგალითში—ხორცის ან, პურის შეხედვა და სუნი), რომელიც წინედ რეაქციის წარმოშობაზე გავლენას არ ახდენდა, რამდენიმეჯერ დაუკავშირდეს უპირობო, თანშობილ რეფლექსს (ხორცით, ან პურით მგრძნობიარე გემოვნებითი ნერვების დაბოლოვებათა ქიმიური გაღიზიანების გამო—ნერწყვის გამოდენას). ასეთ რეფლექსს პავლოვმა „პირობითი რეფლექსი“ უწოდა; იგი ცხოველში უპირობო რეფლექსის ნიადაგზე აღზრდისა და საერთოდ, გარემოწრის პირობების ზეგავლენით წარმოიშობა. „პირობითი რეფლექსი არის ასოციაცია განზრახ არჩეულ სტიმულსა და რეაქციას შორის, რომელსაც ჩვეულებრივად მეორე სტიმული იწვევდა“ (Мэтир: „Поведение ребенка“ გვ. 220). პავლოვის, ბეხტერევის და მათი მიმდევრების მრავალი ცდა მოწმობს, რომ ცხოველის თანშობილ რეფლექსთან ხშირი დაკავშირებით მიჩნეული რეფლექსის განღიზიანებლად შესაძლებელია გამოდგეს ისეთი, რომელიც წინად სრულიად ინდიფერენტული იყო ცხოველისათვის.

მაგ., ძაღლს აძლევენ ხორცს; მას ნერწყვი გამოდინდება—ეს თანშობილი რეაქციაა, უპირობო რეფლექსია. თუ ხორცის მიცემასთან ერთად, ან უფრო ადრე ძაღლზე ვიმოქმედებთ სხვა გამღიზიანებლით, მაგ. ელექტრონის სუსტი ნაკადით, ან წითელი სინათლით, ან ზარის ხმაურობით და სხვა, გამეორებათა განსაზღვრულ რიცხვის შემდეგ, ძაღლში პირობითი რეფლექსი შემუშავდება: მას გამოდინ-

დება ნერწყვი უხორცოდ—მხოლოდ ელექტრონის სუსტი ნაკადის, წითელი სინათლის, ან ზარის ხმაურის მოქმედებისთანვე, ე. ი. ძაღ-ლის რეაქციასა (ნერწყვის გამოდენა) და გარემოწრის შორის ახალი კავშირი შემუშავდა; ცხოველმა, რომელიც წინედ ნერწყვის გამოდე-ნით არაოდეს არ უპასუხებდა ელექტრონის ნაკადს, სინათლეს და სხვა, ეხლა შეიძინა პირობითი რეფლექსი. უკანასკნელი ხელოვნური აღ-ზრდის ნაყოფია და ძაღლის მიერ მისი შენარჩუნება იმაზეა დამო-კიდებული, თუ როგორ ხშირად განმეორდება მისი სიცოცხლის გან-მავლობაში ამ ახალი გამღიზიანებლის მოქმედება*).

ადამიანში პირობითი რეფლექსის გამომუშავება იგივე სახით ხდება, როგორც, მაგ: ძაღლში, ხოლო იმ განსხვავებით, რომ თანშო-ბილ რეაქციასთან ახალი გამღიზიანებლის დაკავშირებისათვის სა-კმარისია მხოლოდ რამდენიმე განმეორება (კრასნოგორსკის აზრით 2—10 განმეორება); სხვა ცხოველებში კი—საჭიროა მრავალი გან-მეორება (100—500 და მეტიც).

აღზრდის ზეგავლენით ბავშის თანდათანი ფსიქიური განვითარება მხოლოდ და მხოლოდ პირობითი რეფლექსების შემუშავებას წარმო-ადგენს. პირველი, მეტად მარტივი პირობითი რეფლექსები ბავშს ძალიან ადრე ემჩნევა. ლევონევსკის შვილი—დ ი მ ა, დაბადებიდან მეხუთე დღეს ტირილს თავს ანებებდა, როდესაც ის დედის ძუძუსთან ახლოს მიყავდათ; ამ შემთხვევაში, დედის ძუძუსაგან მიღებულმა მხედველობით-ყნოსვითმა გაღიზიანებამ, პირობითი რეფლექსი (ე. ი. ტირილის შეწყვეტა) წარმოშვა, რადგან ბავშის თანშობილი კვე-ბითი რეაქციას (დედის ძუძუს პირში ჩადებასა და წოვას) მრავალ-ჯერ წინ უძღოდა და დაუკავშირდა ძუძუსთან მიყვანა და უკანას-კნელის აღქმა **).

თუ 3 თვის ბავში გახვევის შემდეგ გამოკვებას მიაჩვიეს, ის მშიერიც წყნარადაა, სანამ მისი გახვევა გრძელდება. 4 თვის შემდეგ, ბავში თავდაცვითი მოძრაობას ახდენს, როგორც კი შეხედავს, რომ სურთ მისი ცხვირის მოწმენდა. საერთოდ, ცხოველების, ადამიანისა და, კერძოდ, ბავშის ყველა „ჩვევანი" (привычки, навыки, выучки)—პირობითი რეფლექსებია.

---

*) დაწვრილებით პირობითი რეფლექსების შესახებ იხ. Павлов: Двадцатилетний опыт объективного изучения высшей нервной деятельности животных", ან. И. Арямов: Общие основы рефлексологии".

**) ბუნებრივია, რომ ბავშის მიერ დედის და, საერთოდ, გარემყარის საგნებისა და მოვლენების აღქმა მეტად ბუნდოვანი და ქაოტიურია.

„ბავშის სიცოცხლის პირველი წელი მეტად საინტერესოა დამკვირვებელისათის და მით უმეტესად,—ექსპერიმენტატორისათვის, რადგან აქ პირობითი რეფლექსების წარმოშობის წმინდა სახის მეთოდიკას ვხვდებით; ამ ასაკში იწყება ადამიანის ყოფა-ქცევის ძირითადი ელემენტარული ფორმების ჩამოყალიბება. კერძოდ, პედაგოგს ეს ხანა საშუალებას აძლევს გაიგოს ბავშის პიროვნების განვითარება დასაწყისშივე და დაკვირვებაც სავსებით მოსახერხებელია სპეციალური ლაბორატორიებისა და ხელსაწყოების გარეშე“*).

პავლოვის მოძღვრება პირობითი რეფლექსიების შესახებ გენიალური და მასთან მარტივი აღმოჩენაა, რომელიც მეცნიერულ ობიექტიურ მეთოდს წარმოადგენს ცხოველის ყოფაქცევის ბუნების შესწავლისათვის. „პირობითი რეფლექსების წარმოშობის კანონი, ზოგადათ შეიძლება იქნეს გამოხატული შემდეგი სახით: ორგანიზმისა და გარემოწრის შორის არსებულ თანშობილი კავშირის გარდა, ორგანიზმი, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, იმუშავებს და ამყარებს ახალ ურთიერთობას გარემოწრის ცალკე ელემენტებსა და თავის რეაქციებს შორის. პავლოვის კანონი ამბობს, რომ ახალი კავშირი შეიძლება იქნეს შექმნილი განსაზღვრულ პირობებში გარემოწრის ყოველი ელემენტისა და ცხოველის ყოველი რეაქციის შორის. ამგვარად, გარემოწრის ყოველი შემთხვევა, ფაქტი, ან მოვლენა შეიძლება იქნეს გამღიზიანებელი ცხოველის ყოველი რეაქციისათვის. ამისთვის მხოლოდ ის არის საჭირო, რომ ეს მოვლენა დროის მიხედვით დაახლოებული იყოს წინა-ბუნებრივი გამღიზიანებელის მოქმედებასთან“ **).

მართლაც, სწავლა პირობითი რეფლექსების შესახებ, აღიარებს —რა, რომ შეძენილი რეაქციები წარმოიშვებიან და მუშავდებიან თანშობილი თვისებების საფუძველზე გარემოწრის პირობების გადამჭრელი ზეგავლენის ქვეშ, პედოლოგიას საშუალებას აძლევს მოიცილოს თავიდან ძველი ფსიქოლოგიის ანიმისტური გავლენა და ბავშის განვითარების შესწავლას ობიექტიური თვალსაზრისით მიუდგეს.

8. თ ვ ი თ დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა, ანუ ინ ტ რ ო ს პ ე ქ ტ ი უ ლ ი (სუბიექტიური) მეთოდი, რომელიც სიტყვიერი ანგარიშის მიცემას წარმოადგენს, სრულიად უვარგისია ბავშის შესასწავლად 3 წლამდე. ვინაიდან ბავში ხსენებულ ასაკამდე მოკლებულია მეტყველებისა და წერის უნარს; მხოლოდ 3 წლის ასაკის ზევით შესაძლებელია მიემა-

*) И Арямов: „Основы педологии“ გვ. გვ. 95—96

**) იხ. ვიგოტსკი; „Педагогическая психология“

რთოთ ინტროსპექციას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მას არ აქვს ავტონომიური, სრული და სწორი მნიშვნელობა. მოზრდილი ადამიანისათვისაც მეტად ძნელია თვითდაკვირვება; მას სპორადიული (შემთხვევითი) შესაძლებლობა აქვს, ობიექტიური უტყუარობის თვალსაზრისით კი—არა სწორი, „სუბიექტიური" და ვიწრო ხასიათის არის. რაც შეეხება ბავშს 3 წლის ასაკის შემდეგ, მისი შესწავლა თვითდაკვირვებაზე დაყრდნობით მეტად საფრთხილო საქმეა, რადგან ბავშს დიდი ხნის განმავლობაში ძლიერი შთაგონება ახასიათებს ე. ი. მოზრდილების და თამაშობის ამხანაგობის აზროვნების უკრიტიკოდ გაზიარება და აგრეთვე მისი გამოთქმები (ზეპირი, ან წერილობითი საკუთარი განცდების შესახებ, ზოგადი მნიშვნელობის და არა სწორი არიან. ამის გამო, თვითდაკვირვებას პედოლოგია დიდი სიფრთხილით მიმართავს და მისი საშუალებით ბავშის შესახებ მოპოებულ ცნობებს მიიჩნევს, მხოლოდ როგორც ნედლ მასალას, რომელიც უნდა იქნეს დამუშავებული და შემოწმებული სხვა მეთოდებით*).

9. ბოლო დროს, მეტად გავრცელებულია პედოლოგიაში ე. წ. ტესტების მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა ერთდროულად ბავშთა დიდი რიცხვის გამოკვლევისათვის. ტესტები — ამოცანა, ან მარტივი დავალებაა, რომლის გადაწყვეტა ბავშის მიერ ადასტურებს უკანასკნელის ფსიქო-ფიზიკური განვითარების დონეს, მაგ. ბავშის მოტორული ფუნქციათა განვითარება იზომება ექ. ოზერეცკის მოტორული ტესტების შკალის საშუალებით (იხ ჩვენი წიგნის გვ. გვ. 167-173), „გონებრივი დაჯილდოების" გამოსარკვევად მეტად პოპულარულია ბინე-სიმონის „მენტიმეტრიული ასაკობრივი შკალა" (გვ. გვ. 135-166) და სხვა.

10. ალსანიშნავია, აგრეთვე, ე. წ. ანკეტების მეთოდი, რომელიც ბავშების, ან მათი მშობლების დაკითხვას წარმოადგენს (უმეტეს შემთხვევაში ანონიმურს) სხვადასხვა რეაქციების შესახებ. ასეთია მაგალითად, ბავშის დაკითხვა ანკეტით, თუ როგორ უყურებს ის ოჯახს, სკოლას, ლენინს, პიონერთა, და ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციებს, რომელი სათამაშო უფრო უყვარს, როგორია მისი იდეალები და სხვა; ან მშობლების დაკითხვა ანკეტით, თუ როგორ გამოხატავს ბავში ამა თუ იმ რეაქციას, როგორია ბავშის ყოფაქცევის მოტივები, სექსუალობის ფორმები და სხვა.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ანკეტის მეთოდი, რომელსაც ხშირად უყურებენ, როგორც ზუსტსა და საიმედო საშუალებას ბავშის

*) დაწვრილებით თვითდაკვირვების შესახებ იხ. Кравков; „Самонаблюдение".

შესწავლისათვის, უნდა იქნეს განხილული, როგორც „ფსიევდოექსპერიმენტალური“ მეთოდი, ინტროსპექტიული მეთოდის კერძო სახე, რადგან ანკეტები ამჟღავნებენ დაკითხულ სუბიექტთა ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას*).

ბავშის შესწავლისათვის უნდა იქნეს გამოყენებული აგრეთვე ტეხნიკის მიღწევები, როგორც მაგ. ფ ო ნ ო გ რ ა ფ ი — ბავშის მეტყველების ჩაწერისათვის, კ ი ნ ო --გარეგნული რეაქციების ასანუსხავად, რ ე ფ ლ ე ქ ს ო ლ ო გ ი უ რ ი ე კ რ ა ნ ი — „ჩვევათა“ შემუშავებისათვის და სხვა.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ბავშის ყოფაქცევა--ფსიქიკის შესწავლისათვის მიუცილებელია იმ პირობების ზედმიწევნითი შესწავლა, რომლებშიაც ცხოვრობს ბავში, სახელდობრ: სოციალური და ბიოლოგიური პირობების გამოკვლევა.

---

*) იხ. Басов: „Общие основы педологии“ Гиз. 1928 გვ. 269.

თავი მესამე

ფსიქო-ფიზიკური განვითარების ძირითადი ფაქტები

1. ნატივიზმი და ემპირიზმი.

საბერძნეთის ფილოსოფოსის პლატონის შემდეგ ჩვენს დრომდე, მეცნიერულ ლიტერატურაში მეტად მწვავედ იდგა საკითხი იმ ფაქტორების შესახებ, რომლებზედაც დამოკიდებულია ადამიანის თავისებური ზრდა-განვითარება (კონსტიტუცია ე. ი. ადამიანის ანატომიური აღნაგობა და ფიზიოლოგიური თვისებები და ფსიქიური ცხოვრება). ამ საკითხის შესახებ იბრძოდა ორი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე შეხედულება: ნატივიზმი და ემპირიზმი (გენეტიზმი).

ა) ნატივიზმი.

ნატივიზმი (ლათ. nativus—დაბადებული, თანშობილი) აღიარებდა, რომ ადამიანის განვითარება სავსებით დამოკიდებულია "თანშობილ მემკვიდრეობით მიღებულ თვისებებზე, რომელსაც გარემოწრის შუალის *) პირობები ვერ სცვლიან; ადამიანს „დაბადებიდან დაჰყვება ნიჭი", რომელიც მთლიანად განსაზღვრავს სიკვდილამდე მის შეგუებას ცხოვრების პირობებთან; სოციალური პირობები და აღზრდა უძლური არიან, რომ ოდნავ მაინც შესცვალონ თანდაყოლილი თვისებები. თავისი შეხედულების დასაბუთებისათვის ნატივისტები მიუთითებდენ: მემკვიდრეობაზე, რომელიც ბავშს თან მოაქვს დედის მუცლიდან ანატომიურ-ფიზიოლოგიურ-ფსიქიური თვისებების სახით; მრავალი ფაქტი მოჰყავდათ, რომ ადამიანები გზას იკვლევენ და გენიოსებათაც ხდებიან („თავისი ნიჭით") მაშინ, როდესაც გარემოწრის პირობები მათ სრულებით ხელს არ უწყობს, რომ აღრზდა უძლურია მოსპოს ინდივიდუმში თანდაყოლილი ცუდი თვისებები და სხვა. ნატივისტური შეხედულების მიმდევრები იყვნენ: არტურ შოპენჰაუერი, რიბო, ამენტი და სხვები.

---

*) შუალი არის გარეგნულ გამღიზიანებელთა განსაზღვრული კომპლექსი, რომელიც იწვევს ადამიანის მხრივ ამა თუ იმ საპასუხო რეაქციას.

ბ) ემპირიზმი. ემპირიზმი (ἐμπειρία—ცდა, გამოცდილება) ამტკიცებდა, რომ თანდაყოლილი არაფერია, გარდა სხეულისა, რომელიც წარმოადგენს „tabula rasa,-ს"—სუფთა. დაუწერელ დაფას, რაზედაც სწერს, რაც სურს, გამოცდილება,—ცხოვრების გაკვეთილები, ე. ი. ადამიანის ზრდა-განვითარებას მხოლოდ გარემოწრის პირობები და აღზრდა განსაზღვრავენ. ემპირისტებს მოყავდათ სხვადასხვა საბუთები; ისინი აღნიშნავდენ, რომ აღზრდას შეუძლია მოახდინოს „სასწაული" ე. ი. სასურველი გზით მიმართოს უზნეო და ცუდი თვისების მქონე ბავშის განვითარება: მიუთითებდენ: მიჩვევის (ჩვეულების) უდიდეს გავლენაზე, რომელიც „მეორე ბუნებადაც" იქცევა ადამიანისათვის, განსხვავებაზე, რომელიც ბავშებს სხვადასხვა აღზრდის ფორმების გამო ახასიათებს, გავლენაზე, რომელსაც ახდენს ბავშზე მასწავლებელი, მშობლები, ამხანაგები და სხვა. ასეთ უკიდურეს შეხედულებას ანვითარებდენ გელვეციი, ჯონ ლოკი, მ. ვ. ვუნდტი და სხ.

2. „კონვერგენციის პრინციპი." ჩვენს დროში, როდესაც ბუნებისმეტყველება მტკიცედ ეყრდნობა ჩარლზ დარვინის, ხოლო სოციოლოგია—მარქსის გენიალურ-მეცნიერულ შემოქმედებას, ორივე შეხედულება: ნატივიზმიც და ემპირიზმიც უკიდურეს და ცალმხრივ თეორიებად უნდა მივიჩნიოთ. გერმანელი ფსიქოლოგის ვ. სტერნის აზრით, ორივე თეორიას, თავისი შეხედულებათა დასამტკიცებლად, წონადი საბუთები მოყავს და ასეთ შემთხვევაში „ეშმარიტება მათ შეერთებაში უნდა ეძებოთო- *). და მართლაც ვილიამ სტერნს ეკუთვნის ე. წ. „კონვერგენციის პრინციპი" ბავშის ზრდა-განვითარების შესახებ: ადამიანის განვითარებას განსაზღვრავენ, როგორც თანდაყოლილი თვისებები, აგრეთვე გარემოწრის (ეკონომიური, პოლიტიკური, სოციალური და იდეოლოგიური) პირობები. ბავში იბადება სხვადასხვა თვისების ჩანასახებით (მოძრაობის, აღქმის და სხვა მექანიზმები), რომლებიც მიჩნეული განვითარებისათვის არ არიან მზა და ჩამოყალიბებული, არამედ მხოლოდ პოტენციალობას (ე. ი. შესაძლებლობას) და ნედლ მასალას წარმოადგენენ. ვ. სტერნი ახლადშობილ ბავშს მცენარის თესლს ადარებს და ამბობს: „მიჩნეულ თესლს თავისი შინაგანი თვისებების მიხედვით, შეუძლია განვითარება მხოლოდ განსაზღვრული

---

*) იხ. ვ. სტერნი: „Психология раннего детства до шестилетнего возраста" გვ. 19.

მცენარის სახით. მაგრამ, თუ როგორი სისწრაფით, როგორი წარმატებითა და როგორი თავისებური ფორმით განვითარდება მცენარე--ეს მხოლოდ რამოდენიმედ არის დამოკიდებული თესლის თვისებებზე". მართლაც, რომელიმე თესლიდან მცენარის წარმოშობა-განვითარებას განსაზღვრავენ, როგორც თესლის თვისებების, აგრეთვე გარეშე პირობები, რომელშიაც იმყოფება თესლი, სახელდობრ: ნიადაგი, წყალი, მზე, გაპოხიერება, სხვა მცენარეებთან შეჯიბრება (სიხშირე), მებაღის მიერ მოვლა-პატრონობა და სხვა.

3 საკითხი მემკვიდრეობის შესახებ.

მემკვიდრეობა ეწოდება მშობლებიდან შთამომავლობაზე თავისი თვისებებისა და ნიშნების გადაცემას. ან სხვაგვარად მშობლების თვისებათა აღდგენა ბავშებში. საკითხი—ბავშების მიერ თავიანთი მშობლებისაგან სხვადასხვა თვისებების მიღების შესახებ, ორ ძირითად კითხვას შეიცავს: 1. როგორი თვისებები გადადიან მემკვიდრეობით წინაპრებიდან შთამომავლობაზე და 2) რ ო გ ო რ ხდება თვისებების მემკვიდრეობით გადაცემა.

1. როგორც ვიცით, ყოველ ორგანიზმს ორგვარი თვისება ახასიათებს: ა) თ ა ნ დ ა ყ ო ლ ი ლ ი, ა ნ უ თ ა ნ შ ო ბ ი ლ ი და ბ) პ ი რ ა დ ი, ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი, ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს დ რ ო ს შ ე ძ ე ნ ი ლ ი. თანდაყოლილ თვისებათა შთამომავლობაზე გადაცემას არავინ არ უარყოფდა, ხოლო შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ პოლემკამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო, მით უმეტეს, რომ ეს პრობლემა მეტად აქტუალურია: გადავცემთ ჩვენ შთამომავლობას, მხოლოდ იმ თვისებებს, რაც მივიღეთ წინაპრებისაგან, თუ შესაძლებელია, აგრეთვე, იმ თვისებათა გადაცემაც, რომლებიც შევიმუშავეთ ხანგრძლივი ვარჯიშობისა და შრომის შედეგათ.

1883 წლამდე, ყველა იმ აზრის იყო, რომ შეძენილი თვისებები მემკვიდრეობით გადაეცემიან შთამომავლობას; ჩ. დარვინის, ლამარკის, გერბერტ სპენსერის, ერნსტ გეკკელის, ი. პავლოვისა და სხვა დიდი მოაზროვნეთა მიხედვით—თვისებები, რომლებიც შეიმუშავა ორგანიზმმა გარემოწრის პირობებთან სათანადო შეგუებისათვის, მემკვიდრეობით გადადის შთამომავლობაზე, რადგან არსებობის შენარჩუნება და, მაშასადამე, გვარის გაგრძელება მხოლოდ ისეთ ორგანიზმს შეუძლია, რომლის ფსიქო-ფიზიკური თვისებები ბიოლოგიურად მიზან შეწონილი არიან.

ამგვარი შეხედულების წინააღმდეგ გაილაშქრა 1883 წელში ცნობილმა გერმანელმა ზოოლოგმა **ვეისმანმა**, რომელიც ერთ-ერთ წერილში ამტკიცებდა, რომ არც ერთი შეძენილი თვისება არ გადაეცემა

შთამომავლობას. ვეისმანმა ასეთი ცდები მოახდინა: თაგვების 22 თაობას ზედი ზედ მოჭრა კუდები დი ალმოჩნდა, რომ არც ერთ თაგვს, რომელიც ოპერაციაქმნილი ცხოველების შთამომავალი იყო, ოდნავადაც არ ემჩნეოდა კუდის დამოკლება;

ცხარე პოლემიკის შედეგათ გამოირკვა, რომ ვეისმანის თეორია, რომელიც უარყოფს შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობით პრინციპს, სწორია-ნაწილობრივ. სახელდობრ: ა) არ გადაეცემა შთამომავლობას მშობლიური ორგანიზმის მიერ დაკარგვა ამა, თუ იმ ორგანოსი, უკანასკნელის ოპერაციით მოცილება, ან დამახინჯება. ამ დებულებას ადასტურებს, როგორც ვეისმანის ცდები თაგვებზე, აგრეთვე ებრაელთა შორის არსებული ჩვეულება ვაჟებისათვის წინა-დაცვეთა, ჩინელ ქალების ფეხების ვიწრო სალტეებში ჩადება და მათი დამახინჯება, ძაღლებისა და ცხვრების ზოგიერთი ჯიშისათვის კუდების მოჭრა და სხვა.

ბ) არ გადადიან მემკვიდრეობით, აგრეთვე, მშობლების ის თვისებები, რომლებიც დამოკიდებული არიან ორგანოების ხმარებაარა ხმარებაზე; როგორც ვიცით, ორგანოს ხშირი ხმარება იწვევს მის გადიდებასა და განვითარებას და პირიქით. მაგრამ, თუ ეს გარემოება გავლენას აბდენს ინდივიდზე,—სრულებით უშედეგოა მისი შთამომავლობისათვის. მაგ. მეტად გაწვრთნილი მუსკულატურის მქონე ატლეტის შვილები, ისეთივე მუსკულატურით იბადებიან, როგორც სხვა ბავშები; დიდი მოაზროვნეს შვილები იბადებიან საშუალო ინტელექტუალური დონის მქონენი; გაწვრთნილი, დაგეშილი ძაღლიც არ გადასცემს თავის ლეკვებს „დრესიროვკისაგან“ შეძენილ თვისებებს და სხვა. გ) არ გადადიან აგრეთვე ის თვისებები, რომლებიც საშუალო სიდიდესაგან გადახრას წარმოადგენენ (მაგ. გადამეტებული სიმსუქნე და სხვა) ნიშნის საშუალო სიდიდე ინარჩუნებს თავის თვისებებს შთამამავლობაში.

მაგრამ ზემოხსენებულ თვისებათა გარდა, არიან ისეთები, რომლებიც გადადიან შთამომავლობაზე; როგორც მრავალმა ცდამ დაამტკიცა, შეძენილ თვისებებს აქვთ მემკვიდრეობით გადაცემის ძალა იმ შემთხვევაში, თუ ეს თვისება შემუშავდა ორგანიზმში ისეთი გარეშე გავლენის მოქმედებით, რომელმაც შეცვალა სქესობრივი უჯრედები (გენები). მაშასადამე, თუ გარეშე გაღიზიანების მოქმედება შეეხო სასქესო უჯრედებს, „რომლებშიაც დამარხულია ყველა მომავალი თაობის თვისებები,“ ამ გზით შეძენილი თვისება მემკვიდრეობით გადადის შთამომავლობაზე.

2) როგორც ზევით აღვნიშნეთ, თანშობილ თვისებათა მემკვიდ-
რეობით გადაცემას არც ერთი მკვლევარი არ უარყოფს: გასული საუ-
კუნის 60-იან წლებამდე გაურკვეველი იყო მხოლოდ, თუ როგორ
ხდება მათი გადაცემა შთამომავლობაზე.

4. მენდელიზმი. 1865 წელში ავსტრიის ერთ-ერთი მონასტ-
რის ბერმა—გ რ ე გ ო რ მ ე ნ დ ე ლ მ ა (1802-1884)
დააწესა კანონები, რომლებსაც ემორჩილება თანშობილ თვისებათა
მემკვიდრეობითი გადაცემა. მენდელის თეორია მემკვიდრეობის შე-
სახებ, რომელიც მეცნიერებაში მ ე ნ დ ე ლ ი ზ მ ი ს სახელწოდებითაა
ცნობილი, უდიდესი აღმოჩენაა, რომელმაც გააშუქა მრავალი ბნელი
საკითხი. მენდელის მოძღვრებამ მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო
მხოლოდ 1900 წ. (დე-ფრიზი).

გრ. მენდელი ცდებს ახდენდა მუხუდოს სხვადასხვა ჯიშებზე,
რომლებიც განსხვავდებოდენ ერთმანეთისაგან: ყვავილების ფერადო-
ბით, თესლის ფერითა და ფორმით, ღეროს სიგრძითა და სხვა. ზო-
გი მუხუდოს ჯიში განსხვავდება სხვა ჯიშებისაგან ერთი ნიშნით,
ზოგი—ორი ნიშნით, ზოგი—სამი და მეტი ნიშნით. მენდელი გადაჯვა-
რედინებით, ე. ი. მტვერის გადატანით ერთი მუხუდოს ყვავილიდან
მეორეზე, უკვირდებოდა მუხუდოთა შთამომავლობას, თუ რომელი
მშობლიური ფორმის თვისება გადაეცა და აგრეთვე რამდენ შთამო-
მავალს (1 წ. ჰიბრიდს) გადაეცა მშობლის განსაზღვრული თვისება.
ასეთ დაკვირვებათა შედეგათ, მენდელმა შეიმუშავა სამი კანონი.

მენდელის I კანონი. როდესაც მენდელმა მოახდინა ერთი ნიშნით
განსხვავებული ორი მუხუდოს გადაჯვარედინება,
აქედან მიიღო ისეთი I თაობა, რომლის წარმომ-
დაგენლებს ქონდათ არა ორივე მშობლის თვისებები, არამედ ყველა
ჰიბრიდს მხოლოდ ერთი მშობლიური (ანუ გამოსავალი) ფორმის თვი-
სება ქონდა. მაგალითად, თეთრი და წითელ ყვავილოვანი მუხუდოს
ჰიბრიდები იყო I თაობაში მხოლოდ წითელ ყვავილოვანი და არც
ერთი არ იყო თეთრ ყვავილოვანი; გრძელსა და მოკლე ღეროიანი
მუხუდოების პირველი თაობა მხოლოდ გრძელ ღეროიანი იყო და
ასე შემდეგ.

მაშასადამე, ზოგი ნიშანი ძლიერია და მხოლოდ ის გადაეცემა
პირველი თაობის ჰიბრიდებს; მათ დ ო მ ი ნ ა ლ უ რ ი ნ ი შ ნ ე ბ ი
ეწოდება; ზოგი თვისება-კი სუსტია, არ გადადის პირველ თაობის
ჰიბრიდებზე და მათ რ ე ც ე ს ი უ ლ ი ნ ი შ ნ ე ბ ი ე წ ო დ ე ბ ა.

მენდელის I კანონი, რომელიც ნ ი შ ნ ე ბ ი ს ჭ ა რ ბ ობ ის კ ა ნ ონ ის
სახელწოდებითაა ცნობილი, შემდეგში მდგომარეობს: „ჰ ი ბ რ ი დ ე ბ ი ს

წყვილი ნიშნით განსხ. პირველ თაობას გადაეცემა მხოლოდ ერთი მშობლიური ფორმის ნიშანი (დომინალური), ხოლო მეორე მშობლიური ფორმის ნიშანი (რეცესიული) სრულიად არ სჩანს, ე. ი. I თაობაში არიან მხოლოდ დომინალური ნიშნის მქონე ჰიბრიდები.

მენდელის მე-II კანონი.

I თაობის ჰიბრიდების გადაჯვარედინება ასეთ შთამომავლობას იძლევა: მეორე თაობის ჰიბრიდები იქნებიან როგორც დომინალური ნიშნებით, გარეთვე რესეციულითაც. მაგ. ერთი ნიშნით განსხვავებულ ორ მუხუდოს მეორე თაობაში იქნება მაგ. წითელყვავილოვანი და, აგრეთვ თეთრყვავილოვანი მუხუდოები: მაშასადამე, რეცესიულმა ნიშანმა, რომელიც გაჰქრა პირველ თაობაში, კვლავ იჩინა თავი მეორე თაობაში. მენდელის ცდებმა დაადასტურა, რომ მეორე თაობის ჰიბრიდთა რიცხვი—დომინალური და რეცესიული ნიშნებით—მუდმივი რაოდენობაა, სახელდობრ: მეორე თაობის: დომინალური და რეცესიული ნიშნების მქონე ჰიბრიდთა რიცხვის შეფარდება უდრის 3: 1 ე. ი. დომინალური ნიშნის მქონე ჰიბრიდთა რიცხვი სამჯერ მეტია, რეცესიულ ნიშნიანი ჯგუფზე. მაშასადამე, თუ მეორე თაობის ჰიბრიდთა საერთო რიცხვი, მაგ. 8-ს უდრის, მათ შორის 6 ($^3/_4$) იქნება დომინალური ნიშნის მქონე, ხოლო 2 (ანუ $^1/_4$)—რესეციული.

მესამე თაობაში ასეთი სურათია: მეორე თაობის დომინალური და რეცესიული ფორმები ორ თანასწორ ნაწილად იყოფა: ყველა რეცესიული ფორმა (ე. ი. ჰიბრიდთა საერთო რიცხვის $^1/_4$) და დომინალური ფორმების $^1/_3$ (ანუ ჰიბრიდთა საერთო რიცხვის $^1/_4$) ე. ი. ყველა ფორმის ნახევარი იძლევა მხოლოდ თავისივე მსგავს ფორმებს ყველა თაობაში (რეცესიული ფორმა—რეცესიულს, დომინალური—დომინალურს); მე-II თაობის ყველა დომინალური ფორმების $^2/_3$-ი (ანუ ყველა ფორმათა $^1/_2$) მესამე თაობაში კვლავ იყოფა 3 დომინალურ და 1 რეცესიულ ფორმად, ასე გრძელდება ყველა შემდეგ თაობაში.

მენდელის მეორე კანონს, რომელიც ეხება ერთი ნიშნით განსხვავებულ ორგანიზმების ჰიბრიდთა თვისებებს მე-II, მე-III, მე-IV და შემდეგ თაობაში,—ნიშნების განაწილების, ანუ ნიშანთა განშტოების კანონი ეწოდება. (იხ. ნახ. 1).



ნახ. 1. მარცხნივ—მშობლიური ფორმებია: თეთრი და შავი თაგვი; მის მარჯვნივ— I თაობის ჰიბრიდები—ყველა შავი თაგვი („დომინალური ნიშანი);
კიდევ მარჯვნივ—მეორე თაობა, რომელშიაც ვხედავთ ნიშანთა გაბნეულობას; არიან თეთრი ($^1/_4$) და შავი ($^3/_4$) თაგვები.

მენდელის მე-III კანონი.

ზემომოყვანილი მენდელის ორი კანონი ეხება ისეთ მარტივ შემთხვევებს, როდესაც მშობლიური ფორმები (P) განსხვავდებიან მხოლოდ ერთი ნიშნით. მაგრამ მენდელიზმი მართლდება ისეთ შემთხვევებშიაც, როდესაც გამოსავალი ფორმები (P) განსხვავდებიან ორი, სამი და მეტი ნიშნით. ამას არკვევს მენდელის მესამე კანონი, რომელსაც ნიშნების დამოუკიდებლობის კანონი ეწოდება. ამ კანონის მიხედვით: თუ მშობლიური ფორმები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რამდენიმე ნიშნით (მაგ. გადავაჯვარედინეთ ორი მუხუდო, რომელთა შორის ერთი: წითელყვავილოვანი, ყვითელმარცლოვანი, გრძელლეროიანია, მეორე-კი—თეთრყვავილოვანი, მწვანე მარცლოვანი და მოკლე ლეროიანია ე. ი. სამი

წყვილი ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მშობლიური ფორმები), ყოველი წყვილი ნიშანი განაწილების დროს (ე. ი. მე-II-ე თაობიდან) ისე იქცევა, თითქო სხვა ნიშანს არ ქონდეს ადგილი ე.ი. ყოველი წყვილი ვითარდება სხვა ნიშნებისაგან დამოუკიდებლივ.

მენდელის კანონები ვრცელდება არა მარტო მცენარეებზე, არამედ— ცხოველებზედაც და, კერძოდ, ადამიანზე. ამასთანავე, მენდელის კანონები განსაზღვრავენ ორგანიზმების ყველა თვისების (მორფოლოგიურსა და ფიზიოლოგიური თვისებების) მემკვიდრეობით გადაცემას შთამომაელობაზე. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ სამივე კანონს არა აქვთ ერთნაირი მეცნიერული ღირებულება. მაგ. მენდელის I კანონს ჯერ წესს უწოდებდენ; ამჟამად-კი დადასტურებულია, რომ ის არ მართლდება პრაქტიკაში, სახელდობრ, ერთი ნიშნით განსხვავებული მშობლიური ფორმები იძლევიან პირველ თაობაში არა მარტო ერთი დომინალური ნიშნის მქონე ჰიბრიდებს, არამედ რეცესიულსაც და. აგრეთვე მოზაიკური, ანუ შერეული ნიშნის მქონე ჰიბრიდებს. მაგ. თეთრი მამლისა და შავი დედლის პირველ თაობაში არიან ჭრელი (ე. ი. ისეთები, რომლებსაც აქვთ არეული ორივე მშობლის ფერი), ნაცრის ფერი წიწილები და სხვა. მენდელის მეორე კანონი—კი ნამდვილ ბუნების კანონად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მას არ ეწინააღმდეგება არც ერთი ექსპერიმენტი, არც ერთი ფაქტი. „მენდელიზმის სიმძიმის ცენტრი სწორედ ამ კანონშია". ხოლო მესამე კანონი კი—მეორე კანონის კერძო შემთხვევა და მისი ზედმეტად დადასტურებაა.

6. მემკვიდრეობა ადამიანებში.

ამის შემდეგ თუ განვიხილავთ საკითხს ადამიანის მემკვიდრეობის შესახებ, უნდა ვაღიაროთ, რომ მემკვიდრეობა ადამიანთა შორის იგივე კანონებს ემორჩილება, რაც დადასტურებული იყო სხვა ორგანიზმების (მცენარეებისა და ცხოველების) შესახებ. მაგრამ, ადამიანი, როგორც მეტად რთული სხეულებრივი ორგანიზაციის მქონე ცხოველი, რომელსაც ურთულეს სოციალურ პირობებში უხდება ცხოვრება, მემკვიდრეობის მხრივ, მოითხოვს სპეციალურ შესწავლას. მით უმეტეს, რომ ადამიანის მიმართ, არ შეიძლება ვიხმაროთ ექსპერიმენტალური მეთოდი, რომლის საშუალებითაც გაშუქდა მემკვიდრეობის ბნელი და რთული საკითხი სხვა ორგანიზმებს შორის.

ამის გამო, საკითხი ადამიანის მემკვიდრეობის შესახებ ბიოლოგიაში შეისწავლება შემდეგი ორი მეთოდით: სტატისტიკური და გენეალოგიური მეთოდებით.

სტატისტიკური მეთოდი მდგომარეობს მასში, რომ მკვლევარი აგროვებს სტატისტიკურ ცნობებს ამა, თუ იმ სხეულებრივ-ფსიქიური ნიშნის შესახებ ადამიანთა რაც შეიძლება მეტ რიცხვზე და აქედან გამოყავს დასკვნა თვისების მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ.

გენეალოგიური მეთოდი კი მდგომარეობს ოჯახთა გენეალოგიის, ანუ გვარტომობრივი ცხრილების შედგენაში, რითაც ირკვევა, თუ რა ნიშანი გადადის, და როგორ გადადის თაობიდან-თაობაზე.

გენეალოგიური ცხრილის შედგენა ორი გზით შეიძლება: 1) თვალყურს ადევნებენ რომელიმე თვისებას შორეული წინაპრიდან დაწყებული დაღმავალ ყველა თაობაში ან, 2) აღმავალი გზით: მიდიან ინდივიდიდან მისი წინაპრებისაკენ.

საკითხი ადამიანის მემკვიდრეობის შესახებ, უდიდეს სირთულეს წარმოადგენს და, ამიტომ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის საკმაოდ გარკვეულია; დიდი მუშაობაა ამ მხრივ შესასრულებელი, მით უმეტეს, რომ ძნელია იმის გამორკვევაც-კი, თუ რა თვისება უნდა ჩავთვალოთ თანდაყოლილად. მაგალითად, თანამედროვე მეცნიერება თანდაყოლილ თვისებებს არკვევს შემდეგი მეთოდების მიხედვით:

1) ირკვევა შეფარდება, რომელიმე ფუნქციის ვარჯიშობასა და მისი ნაყოფიერებას შორის; მაგ. ორმა ბავშმა დაიწყო როიალზე დაკვრის შესწავლა; განსაზღვრული შედეგის მისაღწევად თითოეული ბავშის მიერ საჭიროა ვარჯიშობის სხვადასხვა რაოდენობა: სხვადასხვა დროის ხანგრძლივობა, გამეორებათა სხვადასხვა რიცხვი და სხვა. ასეთ შემთხვევაში გამოყავთ დასკვნა, რომ თანდაყოლილი მუსიკალური „ნიჭი“ უფრო მეტი აქვს იმ ბავშს, რომელსაც უფრო ნაკლები ვარჯიშობა დასჭირდა მუსიკალური შედეგის მისაღწევად. მაგრამ ეს მეთოდი მემკვიდრეობითი მონაცემების აღრიცხვისათვის არ არის ზედმიწევნით ზუსტი, რადგან შეუძლებელია, რომ ეს ბავშები სრულიად ერთნაირ პირობებში სწავლობდენ როიალზე დაკვრას: ერთნაირი იყოს მათი ინტერესი, მასწავლებლის მხრივ სრულიად ერთნაირი მეცადინეობა თითოეულ ბავშთან და სხვა; ამას გარდა, შეუძლებელია საქმე გვქონდეს ბავშთა სრულიად ერთნაირ მოუმზადებლობასთან, ვინაიდან, როგორც ვიცით, მოქმედებათა სხვადასხვა სახეებს შორის არსებობს მჭიდრო ფუნქციონალური ურთიერთობა და, რომელიმე მიმართულებით განვითარებული ფუნქცია, გავლენას ახდენს, აადვილებს სხვა

ფუნქციათა შესრულებას. ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში, ვერ დავადასტურებთ, რომ ორივე ბავში ერთნაირად მოუმზადებელი იყო როიალზე დაკვრისათვის, ადვილად წარმოსადგენია, რომ ერთ ბავშს თამაშობის საშუალებით, უფრო გამახვილებული აქვს მხედველობა, უფრო მკვიდრი ყურადღება აქვს, უფრო განვითარებული თითები აქვს და სხვა.

ამის გამო ამ მეთოდს შეუძლია—მხოლოდ დაახლოებითი ცოდნის მოწოდება მემკვიდრეობითი მონაცემის (ე. ი. მუსიკალური „ნიჭის") შესახებ.

2) ყურადღებას აქცევენ აგრეთვე, შედეგის თვისებასაც, საშუალო დონესთან („ნორმასთან") შედარებით. მაგრამ არც ეს არის საიმედო კრიტერიული მემკვიდრეობითი ფაქტორის ზუსტად განსაზღვრისათვის, რადგან საშუალო დონე—გაურკვეველობას იწვევს და, ამასთანავე, სუბიექტიურად არის დაწესებული.

3) ბუნებრივი ნიჭის გასარკვევევად მიმართავენ დაკვირვებას იმაზე, თუ როდის მეღავნდება ბავშობაში ესა თუ ის თვისება, ან რამდენათ თვისება მკაფიოდ გამოიხატვის არა სათანადო ძალის მქონე სტიმულების ზეგავლენით ამაზე მიგვითითებენ გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიები, სადაც აღნიშნულია, რომ ამ პირებმა ჯერ კიდევ 8 წლის ასაკამდის გამოამეღავნეს ბუნებრივი ნიჭი იმ საქმიანობაში, რითაც შემდეგში უკვდავყვეს თავიანთი ხელისა (ნიუტონი, მოცარტი, კინი, არაგო და სხვები). მაგრამ, „ნიჭის" ე. ი. თანდაყოლილი უნარის, ამგვარი გამომეღავნება ნაადრევი ბავშობის პერიოდშივე იშვიათი მოვლენაა და ისიც ფაქტის შემდეგაა დადასტურებული, სახელდობრ: როდესაც უკვე გვაქვს საქმე გენიალურ პირებთან, ამის შემდეგ ხდება მისი ბიოგრაფიულ ცნობებში ისეთი თვისებათა ამოძებნა, რომლებიც თითქოს, ამეღავნებენ ამ პირის გენიალობას ბავშობაშიაც, მაგრამ ასეთი ახსნა, უმეტეს შემთხვევაში—ილიუზორულია, ტენდენციურია.

როგორც ვხედავთ, მეცნიერებას ჯერ-ჯერობით არ მოეპოვება ისეთი მეთოდი, რომლის გამოყენებით უტყუარად შეეძლოს ადამიანის მემკვიდრეობითი ფაქტორთა ზუსტი აღრიცხვა.

ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოებაც, რომ ზოგი თვისება, რაც მარტივად მიგვაჩნია—განისაზღვრება რამდენიმე ფაქტორით.

მასაშადამე ჯერ-ჯერობით გაურკვეველად უნდა ჩავთვალოთ შემდეგი საკითხები: 1) რომელი თვისება უნდა მივიჩნიოთ თანდაყოლილად? 2) რა ფაქტორების ნაყოფია ეს თვისება? და

3) რონელი თვისებაა **დ ო მ ი ნ ა ლ უ რ ი** და რომელი—**რეცესიული?** *)

ამის მიუხედავად, მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ, რომელიც ამ ჟამად მეტად ფართოდაა გაშლილი, ადამიანის მემკვიდრეობის შესახებ უკვე დაადასტურა შემდეგი: 1) **მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ა ფ ა ქ ტ ი ა, რ ო მ ე ლ ს ა ც უ ნ დ ა გ ა ე წ ი ო ს ს ა თ ა ნ ა დ ო ა ნ გ ა რ ი შ ი;** 2) ადამიანის თანდაყოლილ თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემა **მ ე ნ დ ე ლ ი ს** კანონების თანახმად ხდება; 3) მენდელიზმი განსაზღვრავს ადამიანის არა მარტო ფიზიკურ თვისებათა გადაცემას, როგორიცაა: თვალებისა და თმის ფერი, თმის ფორმა, სიმაღლე, მარცხენა ხელის ხმარება, ორგანიზმის ანატომიურ-ფიზიოლოგიური ანომალიები და სხვა, არამედ ისეთი ფსიქიური თვისებებიც, როგორც: სხვადასხვა „ნიჭი" (მათემატიკური, მუსიკალური, არტისტიული, ლიტერატურული, ორატორული და სხვა), გონებრივი განვითარების დონე, მეხსიერება, ფსიქიური დაავადებანი და სხვა.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, შემდეგი დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ: ადამიანის მემკვიდრეობის სირთულის გამო, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პედოლოგიურ-პედაგოგიური აქტუალობის გარდა, ადამიანთა ჯიშის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ, ე. წ. „ე ვ ე გ ე ნ ი ურ" მოძრაობასთანაა დაკავშირებული, ჯერჯერობით არ არის იმდენათ დამუშავებული, რომ მასზე დაყრდნობით შეიძლებოდეს ნათლად გავარკვიოთ მემკვიდრეობითი ფაქტორის კონკრეტული სახეები და გავლენა ადამიანის ზრდა-განვითარებაზე.

თანდაყოლილ თვისებებს, ანუ მემკვიდრეობას, როგორც ეხედავთ, დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშის ზრდა-განვითარებაზე, მხოლოდ გასარჩევია ორი სახის მემკვიდრეობა: **ბ ი ო ლ ო გ ი ურ ი** და **ს ო ც ი ა ლ უ რ ი****); ბიოლოგიურ მემკვიდრეობას ეკუთვნიან ის თვისებები, რო-

---

*) აკვე უნდა შევნიშნოთ, რომ, სიძნელეთა მიუხედავათ, უკვე დადასტურებულია, ზოგიერთი სნეულების მემკვიდრეობით გადაცემა მენდელის კანონების თანახმად; ბავ: რეცესიულ სნეულებათ ითვლება ფსიქიურ დაავადება და, თითქმის ყველა სახე სიყრუე-სიმუნჯე, თვალის ზოგი სნეულება, ეპილეპსია, იდიოტიზმი; თუ ამგვარი ავადმყოფი დაქორწინდება ჯანმრთელ ადამიანთან (სულერთია, ვინ არის ავად—დედა, თუ მამა) პირველი თაობის ყველა ბავში ჯანმრთელი იქნება; მაგრამ თუ პირველი თაობის ადამიანი, რომელიც გარეგნულად ჯანმრთელია, დაქორწინდება ანგვარივე მემკვიდრეობის მქონე პირთან—მათი ბავში ავადმყოფი იქნება და ასე შემდეგ. დომინალურ ავადმყოფობას ეკუთვნის: თვალების სნეულება—ე. წ. „კატარაკტა". შაქრის ავადმყოფობა (დიაბეტი) ზოგიერთი სიმახინჯე—გაპრილი ზედა ტუჩი. ფეხზე ექვსი თითი და სხვა.

**) იხ. П. П. Блонский: „Педология" М. 1925 წ. გვ. 39 და შემდეგი.

მელნიც დაჰკვება ბავშს დედის მუცლიდან („ხრომატინ—მემკვიდრეობა"); ხოლო სოციალურ მემკვიდრეობას შეადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების ის პირობები, რომლებშიაც ბავშს უხდება ცხოვრება (კულტურის დონე, მშობლების ეკონომიურ-სოციალური მდგომარეობა და სხვა). ამრიგად, ადამიანი ბიო-სოციალური ცხოველია, ე. ი. ისეთი, რომლის ყოველგვარი თვისება და მისი განვითარება დამოკიდებულია ბიოლოგიურსა და, უმეტესად, შუალის ფაქტორებზე.

6. შუალის პირობების გავლენა.

საკითხზე, თუ რომელი ფაქტორი უფრო მნიშვნელოვანია, ბავშის ზრდა-განვითარებაზე ზეგავლენის მხრივ, თანამედროვე მატერიალისტური მეცნიერება შემდეგ პასუხს იძლევა: „თუმცა ბიოლოგიურ ფაქტორს, რომელიც შეიცავს ადამიანის კონსტიტუციას ნერვიულ სისტემით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ცოცხალი ორგანიზმის ყოფაქცევის ფორმების რევოლიუციას ახდენს, მაგრამ მაინც ეს მექანიზმები ყოფაქცევის მთელ შინაარსს ვერ გვირკვევენ. ბიოლოგიურ თავისებურებათა საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი თავისი ფიზიკური ბუნებით ყველაზე უფრო რთულ ცხოველს წარმოადგენს და მეტი არაფერი; მაგრამ, როგორ გახდა იგი ადამიანად ე. ი. საზოგადოებრივ ცხოველად, რომელსაც საწარმოო იარაღის, დამზადება შეუძლია, მეტყველების უნარი აქვს და სხვა—ეს ყველაფერი ბიოლოგიურ საზღვრებს სცილდება და სოციოლოგიის სფეროში გადადის". (პროფ. კ. კორნილოვი: „ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო". გვ. 31-32*) ბიოლოგიური, მემკვიდრეობით გადმოცემული თვისების განვითარება შუალის პირობებზეა დამოკიდებული; თუ ჩვენ მას ეწვრთნით, ვავარჯიშებთ—ის (ე. ი. თვისება) აყვავდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი—ჩაკვდება, ისპობა; მაგ., ჭლექიანი მოდგმის ბავში მართლაც იბადება სუსტი. ფილტვებით და აგებულობით, მაგრამ ეს სოულებით არ ნიშნავს, რომ ეს ბავში აუცილებლად ჭლექისაგან მოკვდება: თუ ასეთი ბავში ცუდათ იკვებება, არაჰიგიენურსა და ანტისანიტარულ პირობებში სცხოვრობს, მას უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება, რომ მოკვდეს ჭლექისაგან, ვიდრე ჯანმრთელი მოდგმის შვილს: მაგრამ, თუ ჩავაყენებთ ამ ბავშს ჯამრთელობისათვის ხელსაყრელ პირობებში, ე. ი. თუ მას ექნება სათანადო,

---

*) ეს საკითხი დაწვრილებით იხილე: ბუხარინის „ისტორიული მატერიალიზმის თეორია"-ში და გ. პლეხანოვის თხზულებაში: „Основные вопросы марксизма".

კვება, სუფთა ჰაერი, მზეზე მოძრაობა და სხვა, ის ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლებს. ასეთივე გავლენას ახდენენ სოციალურ პირობები ადამიანის ყველა მხარეზე; მათზეა დამოკიდებული ადამიანის მსოფლმხედველობა ე. ი. ჯამი პასუხებისა იმ კითხვებზე, რომელთაც უყენებს ადამიანს ცხოვრება; შეფასებები: „კარგი ან ცუდი", „ლამაზი, ან მახინჯი", „ეშმარიტი, ან ყალბი"—დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ადამიანის როლი წარმოებაში: წარმოების საშუალების მესაკუთრეა იგი, თუ არა. მაგ. პროლეტარიატის შეფასებები დიამეტრალურად ეწინააღმდეგება კაპიტალისტების შეფასებებს; რაც „კარგია" პირველისათვის, მეორესათვის „ცუდია" და ასე შემდეგ; რაც ერთ კლასს ზიანს აყენებს და მისთვის მიუღებელი, არა სასურველია, (მაგ., რევოლიუცია), მეორე კლასისათვინ სატრფიალო საგანს შეადგენს. ადამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობა (კლასიური, პროფესიონალური და სხვა) განსაზღვრავს არა მარტო მის ყოფაქცევას, არამედ გარეგნობასაც კი; შედარება მუდამ შრომაში და გაჭირვებაში მყოფ მუშისა და პარაზიტული კლასის წარმომადგენელის, მჭედლისა და ხელოვნების მუშაკის, მემალაროისა და ავიატორის და სხვა— ნათელყოფს, რომ სოციალური შუალის პირობები უდიდეს გავლენას ახდენენ ადამიანზე ყოველმხრივ *).

იმის მიხედვით, თუ რამდენათ ძლიერია შუალის გავლენა ადამიანის ორგანიზმის განვითარებასა და სასიცოცხლო მომქმედიანობაზე, გასარჩევია შუალის ორი სახე: ფიზიკური და სოციალური**).

*) სოციალური ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ, სრულიად საკავშირო I პედოლოგიური ყრილობის რეზოლიუციებში, სხვათა შორის, შემდეგია აღნიშნული: „საბჭოთა პედალოგიის უაღრესად აქტიური ყურადღება უნდა იქნეს მიპყრობილი რსკეთი დობინიური ფაქტორის აღრიცხვაზე, როგორიცაა სოციალური წოე; ამით განსხვავდება საბჭოთა პედელოგია ანტიმარქსისტულ პედოლოგიისაგან, რომელის ბავშის განვითარებაში არ უწევს სათანადო ანგარიშს სოციალურ ფაქტორების მნიშვნელობას. არ უარყოფს რა მემკვიდრეობას, ყრილობა საჭიროდ სცნობს, რომ საბჭოთა პედოლოგიის მიერ დაწყებული ენერგიული მუშაობა მემკვიდრეობითი ფაქტორების ნამდვილი მნიშვნელობის გადასინჯვის მხრივ, უნდა იქნეს გაგრძელებული და გაღრმავებული ბავშვს განვითარების პროცესებში სოციალური ფაქტორთა როლის შესწავლის მიმართულებით".

**) საჭიროა შევნიშნოთ, რომ ფაქტორების გაყოფა (ბიოლოგიური და შუალი ფაქტორები და უკანასკნელის ორი სახე: ფიზიკური და სოციალური შუალი) გამოწვეულია მხოლოდ ვადმოცემის ტეხნიკური პირობებით; ნამდვილად-კი—ბავშის ცხოვრებაში ამ ფაქტორთა გავლენა იმდენათ რთულია და მჭიდროთაა ურთიერთ შორის დაკავშირებული, რომ მათი ერთი-მეორის დაპირისპირება—შეუძლებელია.

ფიზიკურ შუალს ისეთი ფაქტორები შეადგენენ, როგორიცაა: დედამიწის ზოლი, კლიმატიური და ნიადაგის პირობები, მიდამოს რელიეფი, მზე, ჰაერის მოძრაობა, ცხოვრების სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და სხვა, რომლებიც ადამიანის ზრდა-განვითარების მიმართულებასა და ტემპზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. გავიხსენოთ, თუ რა დიდი განსხვავებაა შორეულ ჩრდილოეთისა და სამხრეთის მცხოვრებთა შორის: პირველი დაბალი ტანისაა, ზანტად მოძრავი, მოლუშული, მეტყველების მხრივ ლაკონიური, გონებრივი სიმკვირცხლეს მოკლებული და გრძნობათა გამოხატვის მხრივ —მოდუნებული, მეორე კი—მოძრავია, მკვირცხლი აზროვნების მქონე, დაულალავი მოსაუბრე და ექსპანსიური. ცხადია, რომ განსხვავება მათ შორის გამოიწვია გარემოწრის იმ ფიზიკურმა პირობებმა, რომლებშიაც მათი ცხოვრება მიმდინარეობს. *)

აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის თავისებური გავლენა ბავშის ფსიქო-ფიზიკურ განვითარებაზე, რომელიც ახასიათებს ადამიანთა მიერ დასახლებულ ორ პუნკტს: ქ ა ლ ა ქ ს ა და ს ო ფ ე ლ ს.

ქალაქის ბავში უფრო ადრე მწიფდება სხეულებრივად და ფსიქიურად: მრავალი შთაბეჭდილებათა მიღებისგამო, მას უფრო მდიდარი გონებრივი ინვენტარი აქვს, ვიდრე სოფლის ბავშს. ამასთანავე თუმცა ქალაქის ბავშმა ბევრი იცის, მაგრამ მისი ცოდნა ზედაპირულია, რეაქციები ჩქარი, სოციალური ურთიერთობის მოთხოვნილება ძლიერი და სხვა; მრავალფეროვანი შთაბეჭდილებათა მიღება-გადამუშავება, ცხადია, იწვევს ქალაქის ბავშის ნერვიულ სისტემის დაქანცვა-დაცვეთას და, მაშასადამე, ბავშის ნერვიულ აღგზნებულობას. სოფლის ბავშს კი ახასიათებს: შთაბეჭდილებათა სიღარიბე, ერთფეროვნება, შედარებით დაგვიანებული ფსიქო-ფიზიკური განვითარება, ღარიბი გონებრივი ინვენტარი, მცირე ცოდნის საფუძვლიანობა-სიღრმე, ნერვიული სისტემის ჯანსაღი მდგომარეობა, სოციალური ურთიერთობის მოთხოვნილების სისუსტე და სხვა. ასეთია, ზოგადათ, ის გავლენა, რომელსაც ახდენენ ბავშზე ქალაქისა და სოფლის ცხოვრების განსხვავებული პირობები **).

სოციალურ შუალს ეკუთნიან იმ ადამიანთა საწარმოო-საყოფაცხოვრებო პირობათა და რეაქციათა ჯამი, რომლებთანაც ბავშს უხდება ურთიერთობა. თვით ბავში სოციალური წრის ერთ-ერთი

*) სანიტარულ-ჰიგიენური და სხვა ფიზიკური ფაქტორების ზეგავლენისშესახებ იხ. ჩვენი წიგნის თავი მე-VII-ე.

**) სოფლის ბავშის თავისებურებათა შესახებ იხ. რ ი ბ ნ ი კ ო ვ ი ს სპეციალური მონოგრაფია: „Крестьянский ребенок.“

ელემენტია; აღზდით ბავშში უნდა იქნეს გამომუშავებული ისეთი თვისებები, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივი წრის ცხოვრებაში ნორმალურ მონაწილეობისა და საზოგადოებასთან სათანადოთ შეგუებისათვის. დაბადებიდან დაწყებული, მთელ თავის სიცოცხლის განმავლობაში, ადამიანი გამოიმუშავებს სოციალურ რეაქციებს (იდეების ფონდი, ჩვევანი, მისწრაფებანი და სხვა), რომლებიც ახასიათებენ მის სოციალურ პიროვნებას. ამის გამო, პედოლოგიის ძირითად ამოცანას შეადგენს იმ გამღიზიანებლების შესწავლა, რომლებზედაც პასუხს წარმოადგენენ ადამიანის სოციალური რეაქციები. ის პირობები რომლებშიაც ცხოვრობს ბავში, ან ხელს უწყობენ (ანვითარებენ და განამტკიცებენ) მის დადებით თანშობილ თვისებებს, ან აფერხებენ და სპობენ მათ. ისეთ შემთხვევაში, როდესაც დადასტურდება გარემოწრის საზიანო სტიმულის გავლენა ბავშზე, რომელიც შექმნის ბავშში სახიფათო თვისებებს, ამ სტიმულის თავიდან აცილებით შესაძლებელია ბავშის აღზრდისათვის სასურველი (დადებითი) მიმართულების მიცემა.

სოციალურ შუალში გასარჩევია ფაქტორების ორი ძირითადი ჯგუფი: ა) მ ო ზ რ დ ი ლ ა დ ა მ ი ა ნ თ ა და ბ ა ვ შ თ ა წ რ ე და ბ) ისეთი შუალი, როგორიცაა: ოჯახი, სკოლა, ქუჩა-მოედანი, თეატრი, კინო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები და, საერთოდ, საზოგადოებრივი მოვლენები: ომი, რევოლუცია და სხვა.

ა) მოზრდილთა და ბავშთა წრე.

თუმცა მოზრდილთა შორის ყოფნა აჩქარებს და აადვილებს ბავშის ფსიქიურ განვითარებას, რადგან ბავში მიბაძვით ბევრ ჩვევებსა და მსჯელობას ითვისებს მათგან, მაგრამ ეს გარემოება მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს; პედაგოგიური თვალსაზრისით, მიზანშეწონილათ; მოზრდილთა წრეში ყოფნა იწვევს ბავშის სუსტი ნერვიული აპარატის დატვირთვას მისი ასაკისათვის უჩვეულო აზრებით, გრძნობებითა და ჩვევებით. რაც იძლევა შედეგათ ბავშის გადაღალვასა და ბავშურ გულუბყვილობასა და უდარდელობის მოსპობას. ამასთანავე, მოზრდილთა წრე ბავშში სპობს თვითმოქმედების უნარს, რადგან ბავშისათვის მოზრდილი „ავტორიტეტია", რომელსაც ის ბრმად ემორჩილება და პირადი განხილვის გარეშე იზიარებს მის ყოფა-ქცევა-ფსიქიკას. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ბავში მოზრდილში ხშირად „მტერს" ხედავს, რომელიც (გაწყრომით, დაშლით, ცემით,) ხელს უშლის მისი სურვილების განხორციელებას; ესეც. რომ არ იყოს, ბავში მაინც ამჩნევს, რომ მოზრდილი „სხვა", „უცხოა", რომელთანაც თამაშობა-მუშაობა, მისთვის მძიმე მოვალეობის შესრულებას შეადგენს, ინტერესს მოკლებულია და სხვა. მართლაც, როგორადაც

არ უნდა ეცადოს მოზრდილი, რომ დაუახლოვდეს ბავშის სულის-კვეთებას, ის მაინც ვერ შესძლებს ბავშის ტოლების მაგიერობის გაწევას: მოზრდილის „გაბავშება“-ხტუნვა, ბავშური ენა და სხვა—ბავშისათვის სასაცილოა, რადგან ის ამჩნევს, რომ მოზრდილი „ფალსიფიკაციას“ მიმართავს და, ამიტომ, უნდობლობით უყურებს მოზრდილის მასთან ურთიერთობას. აღნიშნულ მოსაზრებათა გამო, გამუდმებით მოზრდილთა წრეში ყოფნა, ბავშის ცოდნა-ჩვევათა განვითარებისათვის, არ შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილათ.

ბავშთა წრე, რომელშიაც ბავშს უხდება ყოფნა, ასაკის მიხედვით, შეიძლება გაიყოს სამ ჯგუფად: უფროსი, ტოლი და უმცროსი. ბავშთა თითეული ჯგუფის გავლენა ამხანაგებზე სხვადასხვა გვარია: უფროს ამხანაგებთან მეგობრობა ბავშისათვის ხელსაყრელია იმ მხრივ, რომ პირველისაგან ის ითვისებს ბევრ ახალ ცოდნას და ჩვევას. მაგრამ, ამასთანავე, უფროსი ბავშთა წრე ძალიან ცუდათ მოქმედობს ბავშის თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარებაზე, რადგან ის, როგორც სუსტი ფიზიკურად და ფსიქიურად, იძულებულია დაემორჩილოს უფროს ბავშებს, გახდეა მათი ბრძანება-მითითებების აღმასრულებლათ თა სხვა.

რაც შეეხება უმცროს ბავშთა გავლენას, უნდა ითქვას, რომ თუმცა უფროს ბავშს უმცროსთა შორის აქვს საშუალება განავითაროს თვითმოქმედება, საორგანიზაციო უნარი და სხვა, მაგრამ მოკლებულია ისეთ აღმზრდელობით ფაქტორს, როგორიცაა მიბაძვა: უფროსი ბავში დარჩება თითქმის ერთი და იგივე განვითარების დონეზე, რადგან ახალ ცოდნა-ჩვევას უმცროსებისაგან ვერ მიიღებს.

ამრიგად, თავის ტოლებში ყოფნა—ბავშის განვითარების საუკეთესო ფაქტორია.

ბ) ოჯახი, სკოლა, ქუჩა, თეატრი, კინო, პრესა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება.

ჩვენს დროში, როდესაც ოჯახი, როგორც კერძო საკუთრების დაგროვების ინსტიტუტი, გახრწნის პროცესს განიცდის, მაინც მისი გავლენა მოზარდ თაობაზე ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია, თავისებურ დაღს ასვამს ბავშებს და იმუშავებს მათში ინდივიდუალისტურ, ნაციონალისტურსა და რელიგიურ თვისებებს, რაც საბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტენდენციებს ეწინააღმდეგება. ოჯახში აღზრდილი ბავში ისეთი თვისებებით ხასიათდება, რომლებიც არსებითად გაარჩევენ მას სხვა, სოციალურად აღზრდილ ბავშებისაგან, სახელდობრ: ოჯახში აღზრდილი ბავში, ნაადრევათაა განვითარებული, თავ-

მოყვარეა, ღვივრახსნილი ეგოისტი, პესიმისტი, პასიური, მბრძანებელი და, საერთოდ, ანტისოციალური ელემენტია. *)

ამას გარდა, ის უთანხმოება, რომელიც ხშირად არის ოჯახის წევრთა შორის (ცოლი—ქმარი, რძალ—მული, რძალ—დედამთილი და სხვა დაჯგუფებანი) და რომლის მოწმედ არის ხოლმე ბავში, მეტად ცუდ გავლენას ახდენს მასზე.

ქ უ ჩ ა—ბავშზე ზეგავლენის ერთერთი მძლავრი ფაქტორთაგანია. დღეს, როდესაც ყველა მშრომელისათვის ცხადია, რომ ბავში უნდა იყოს ჩაბმული მჩქეფარე რევოლუციოური ცხოვრების ფერხულში და ის უნდა იქნეს გამოყვანილი ოჯახური კარჩაკეტილობიდან, ქუჩებსა და მოედნებს, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრებისა და რევოლუციონური მოქმედებათა ასპარეზს წარმოადგენენ, დიდი და საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს ბავშის აღზრდის საქმეში. „ქუჩის შიში"—ბურჟუაზიული პედაგოგიკის დამახასიათებელი თვისებაა; „ქუჩის ბიჭი", როგორც სამარცხვინო ეპიტეტი—ბურჟუაზიული წარმოშობისაა. საბჭოთა სინამდვილეში, ქუჩა აუცილებელ დადებით აღმზრდელობით ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც ქუჩა არის საბჭოთა აღმშენებლობისა და მაშასადამე, რევოლუციონური ენტუზიაზმის დემონსტრაციის ადგილი, მაგრამ, რამდენადაც, ჯერ-ჯერობით, ქუჩა სხვადასხვა შემთხვევითსა და მავნე ზეგავლენის მატარებელია, იმდენათ საჭიროა ერთგვარი სიფრთხილე და „შიში ქუჩის". მართლაც თანამედროვე ქუჩის სოციალური შემადგენლობა—ჭრელია და ამიტომ მას უკონტროლოთ ჯერ ვერ მივანდობთ მშრომელ ბავშთა აღზრდას.

მეტად დიდია, აგრეთვე, ს კ ო ლ ი ს მნიშვნელობა ბავშთა აღზრდის საქმეში. ამ მხრივ საჭიროა მრავალი, სხვადასხვა ელემენტის ზეგავლენათა აღრიცხვა: აღზრდის სისტემა, მასწავლებლის პიროვნება, ბავშთა სოციალური და პარტიული შემადგენლობა სკოლაში, მუშაობის მეთოდები, ამხანაგების წრე და სხვა. ამ ელემენტების ზეგავლენა იმდენათ მნიშვნელოვანია, რომ ადვილათ შესაძლებელია გამორკვევა, თუ რომელ სასკოლო აღმზრდელობით დაწესებულებაშია ესა თუ ის ბავში. განსაკუთრებით განსაზღვრავენ ბავშის ფსიქიურ ევოლიუციას ისეთი სოციალური ფაქტორები, როგორიცაა: პარტია, ა. ლ. კ. კ. და პ ი ო ნ ე რ თ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი, პ რ ო ფ კ ა ვ შ ი რ ე ბ ი, კ ო ო პ ე რ ა ც ი ა, ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი, კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ბ ა თ ა სხვადასხვა

*) იზოლიაციაკმნილი (განცალკევებული) აღზრდის შედეგების შესახებ იხ. ამ წიგნის თავი XVI: „დედის ერთა ბავშის აღზრდის თავისებურებანი."

ფ ო რ მ ა და სხვა. ამგვარი ორგანიზაცია-ქმნილი შუალის ზეგავლენა გადამჭრელი ფაქტორის როლს ასრულებს ბავშის სოციალური პიროვნების ჩამოყალიბების მხრივ. დასასრულ უნდა აღინიშნოს ისეთი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები, როგორიცაა ო მ ი და რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ა: ბავში მათ მძაფრად განიცდის და სათანადო რეაქციებით ეხმაურება (თამაშობა, ნახატი და სხვ.).

საერთოდ. სოციალური შუალი, როგორც გადამჭრელი მნიშვნელობის ფაქტორი, იმდენად მრავალფეროვანია, რომ მისი ელემენტების სრული აღნიშვნა და გაშუქება უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს. „შუალი, ამბობს პროფ. ბასოვი *) დაუსაზომოა საზღვრების მიხედვით დაუსრულებლივ მრავალფეროვანია და მუდამ ცვალებადია".

ი ი რას სწერს ბ უ ხ ა რ ი ნ ი სოციალური ფაქტორების მნიშვნელობის შესახებ: „თუ ჩვენ განვიხილავთ კერძო პიროვნებას მის განვითარებაში, ჩვენ დავინახავთ, რომ ის არსებითად. როგორც ძეხვის ქერქი, გატენილია წრის ზეგავლენით. ადამიანი აღზრდას ღებულობს ოჯახში, ქუჩაზე და სკოლაში. ლაპარაკობს იმ ენაზე, რომელიც საზოგადოებრივ განვითარების შედეგს წარმოადგენს, აზროვნებს იმ ცნებებით, რომელნიც გამომუშავებულია წინაპართა მთელი რიგის მიერ, ხედავს თავის გარშემო სხვა ადამიანებს, რომელნიც მასზე ყოველ წუთს ზეგავლენას ახდენენ; ერთი სიტყვით, იგი ღრუბელივით სულ ახალსა და ახალ შთაბეჭდილებებს შეისვამს. ამ ნიადაგზე ხდება მისი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბება. მაშასადამე არსებითად ყოველ პიროვნებაში ჩადებულია საზოგადოებრივი შინაარსი. თვით ცალკე პიროვნება—ეს მხოლოდ საზოგადოებრივი ზეგავლენათა შეჯამებაა".

7. ბიოლოგიური ფაქტორების გავლენა.

ბიოლოგიური ფაქტორი, როგორც ვიცით. ადამიანის ორგანიზმის ანატომიურ-ფიზიოლოგიური მექანიზმის აღნაგობითა და დანიშნულებით განისაზღვრება. ბიოლოგიურ პირობებს ეკუთვნიან, მემკვიდრეობით-წინაპრებიდან გადმოცემული თვისებები, რომლებიც ადამიანს დაბადებისას თან დაყვება. ადამიანის ორგანიზმის ანატომიურ-ფიზიოლოგიური აპარატი, ცხოვრების პირობების გამო, მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება. მაგ. ადამიანს შეიძლება თანდაყოლილი ჰქონდეს ნორმალური და საღი გული, მაგრამ შემდეგი ცხოვრების პირობებში შეიძლება მეტად ადვილად მიიღოს გულის დაავადება: ასეთი შემთხვევები ხშირია: ალკოგოლის,

*) op. cit გვ. 61

აუტანელი შრომისა და სხვა პირობების გამო. ადამიანის ორგანიზმის ყველა მორფოლოგიურ ფიზიოლოგიურ, ბიო-ქიმიურ და ევოლიუციონურ თვისებათა ჯამს, თანამედროვე ბუნებისმეტყველებაში ეწოდება კონსტიტუცია. კონსტიტუციას შეადგენენ, როგორც ადამიანის გარეგნობის დამახასიათებელი თვისებები (სიმაღლე, წონა, მკერდის მოცულობა, პროპორცია სხეულის ნაწილებს შორის, რეცეპტორების: თვალის, ყურის, კანის, ცხვირის და ენის ზედაპირის, კბილების, ლორწოიანი გარსის მდგომარეობა), აგრეთვე თავისებური აგებულება შინაგანი ორგანოების, ფიზიოლოგიური პროცესები, როგორც: სისხლის მიმოქცევა, სუნთქვა, საჭმლის მონელება, სხეულის ტემპერატურა, გარეგანი და შიხაგანი სეკრეციის ჯირკვილების, კუნთების მოქმედება ყოფაქცევის თავისებურობა და ყველა ამ თვისებათა ევოლიუცია*). თუ როგორი მნიშვნელობა აქვს სხეულებრივ მოვლენებს მაგ. ფსიქიური ცხოვრებისათვის, ამას პირველყოფილი ადამიანიც ამჩნევდა; მან იცოდა, რომ სიკვდილის დროს ისპობა ფსიქიური ცხოვრებაც. საბოლოოდ გამორკვეულია, რომ ცხვირის ანომალია, თუ მასში არიან ე. წ. „პოლიპები", ანუ „ადენოიდები" (ხორცმეტები) და ადამიანს პირიდან სუნთქვა უხდება, იწვევს დიდ ცვლილებებს მასში: ასეთ ადამიანს პირისახის იდიოტური გამომეტყველება აქვს და სწავლაში სრულ უნიჭობას იჩენს; მაგრამ, საკმარისია ოპერაციით მოაცილონ „ადენოიდები" და ადამიანმაც დაიწყოს ცხვირიდან სუნთქვა, რომ აღნიშნული ნაკლი მოისპოს, ყველასათვის აშკარა შესამჩნევი და ცნობილია, რომ სასიცოცხლო ორგანოების მდგომარეობაზეა დამოკიდებული ადამიანის გარეგნობა, ყოფაქცევა და ფსიქიური ცხოვრება; ეს ორგანოებია: გული, ფილტვები, კუჭი, ნაწლავები და სხვა; ასევე აშკარაა ის ზეგავლენა, რომელსაც ახდენს ადამიანზე: ნ ერ ვ ი უ ლ ი ს ი ს ტ ე მ ი ს მდგომარეობა, ტვინის თვისებები და სხვა.

— — —

*) მოძღვრება კონსტიტუციათა შესახებ იხ. კრეჩმერის ნაშრომი: „Строение тела и характер", აგრეთვე ჩვენი: „ანთროპომეტრია" და სხვა.

აქ არ მოგვყავს ბავშთა დაყოფა კონსტიტუციონალურ ტიპებათ (Sigaud-ს მიხედვით), რადგან საკითხი ბავშთა კონსტიტუციების შესახებ არ არის სათანადოთ დამუშავებული, რადგან ასეთი, ბავშის ზრდის გამო, დიდ სიძნელეს წარმოადგენს.[1]

ამ მხრივ აღსანიშნავია ექ. მილლერის მოხსენება, რომელიც მან წაიკითხა I პედოლოგიურ ყრილობაზე: გამოკვლევა შეეხო ლენინგრადის 3000 ბავშვს 3—15 წ. ასაკამდე და დადასტურდა, რომ ტიპებს ეკუთნის ბავშთა მხოლოდ 30%. გამოკვლეული ბავშები უფრო ხშირად ეკუთნოდენ რ ე ს პ ი რ ა ტ ო რ უ ლ („ს უ ნ თ ქ ვ ი ს") და დ ი გ ე ს ტ ი უ ლ („მ უ ც ლ ი ს") ტიპებს; უფრო მცირე იყო ცერებრალური („ტვინის") და კიდევ უფრო ნაკლები—მ უ ს კ უ ლ ა რ უ ლ („კ უ ნ თ ე ბ ი ს") ტიპების რიცხვი.

9. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები.

მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გამოირკვა ის უდიდესი გავლენა, რომელსაც ახდენს ადამიანის განვითარებაზე ე. წ. შინაგანი სეკრეციის ანუ ენდოკრინალური ჯირკვლების სისტემა.

ადამიანის ორგანიზმში ორგვარი ჯირკვალია: ა) გარეგანი სეკრეციის ჯირკვლები, რომლებიც ერთგვარ სითხეს ე. წ. ექსკრეტებს გამოყონავენ გარედ; ასეთი ჯირკვლებია: ოფლის, ქონის. ნერწყვის, კუჭის წვენის, ცრემლის, ბარტოლინის და სხვ. და ბ) შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები, რომელთაც გარედ გამოსავალი მილები არ აქვთ და მათ მიერ შემუშავებული წვენი („სეკრეტი") ე. წ. ინკრეტები, ანუ „გორმონები" (ὁρμάω—ვაღელვებ) სისხლს, ან ლიმფას ერთვის და მათი საშუალებით ორგანიზმის ყველა ნაწილში ვრცელდება.

ბავშის ზრდა-განვითარების თავისებურებას ამკარად განსასლვავს, აგრეთვე, ისეთი ბიოლოგიური მონაცემი, როგორიცაა—სქესი. ვაჟი და ქალი განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც სხეულებრივი თვისებებით (პირველადი და მეორედი სქესობრივი ნიშნები, სიმაღლე, წონა, ფიზიკური ძალა, სუნთქვა, ბეჭებისა და მენჯის სიფართოე და სხვა), აგრეთვე ფსიქიკის თავისებურებითაც. მაგ. ქალებს უფრო ძლიერი ემოციონალობა, გარეგრძნობათა სიმახვილე, და სხვა ახასიათებს, ვიდრე ვაჟებს.

თუმცა სქესთა შედარებითი ფსიქოლოგია არ არის ჯერ-ჯეროებით სათანადოთ დამუშავებული, მაგრამ სქესთა თავისებურებანი ხელელე დაკვირვების შემდეგადაც უკვე ცხადი ხდება.

ასევე ცხადია ასაკის უაღრესი მნიშვნელობა ბავშის ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობისათვის. ახლადშობილი, 1 წლის, 8 წლის, 16 წ. 21 წ. და სხვა ასაკის ბავში მეტად განსხვავებული არიან ერთმანეთისაგან მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური, ბიო-ქიმიური, ფსიქიური და ევოლიუციონური თვისებებით, რაც საშუალებას აძლევს პედოლოგიას მოახდინოს ბავშთა ასაკობრივი დაყოფა და, ამასთანავე, ავალებს მას (ე. ი. პედოლოგიას) აღწეროს და ახსნას ასაკობრივი თავისებურებანი.

შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებს ეკუთვნიან: 1. ფარისებური ჯირკვალი (щитовидная железа) (იხ. ნახ. № 2), რომელიც იწონის 25-50 გრამს და წინა ნაწილშია მოთავსებული. როგორც გამორკვეულია, ფარისებური ჯირკვალის „გორმონი" 60%-ით იოდს შეიცავს*)

*) ზოგი მკვლევარი უარყოფს ფარისებური ჯირკვალის გორმონის ამგვარ შემადგენლობას და აღიარებს, რომ ეს „გორმონი" შეიცავს 60% „ სოდას, იოდი-კი მასში სულ არ არის (ე. წ. პიროქსი).

მიუხედევათ იმისა, რომ ეს ჯირკვალი ძალიან პატარაა. დღე-ღამეში მასში 16-ჯერ გაივლის მთელი ორგანიზმის სისხლი და უკანასკნელს ფარისებური ჯირკვალის „გორმონი"-ც ე. წ. ტიროქსინი ერთვის. ფარისებური ჯირკვალის არა ნორმალური მოქმედება ადამიანის ორგანიზმის პათოლოგიურ მდგომარეობას იწვევს. თუ ეს ჯირკვალი სუსტად მუშაობს, ადამიანის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ-ფსიქიური მდგომარეობა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ის კახექსიით ანუ, მიქსედიმით დაავადება, რომლის ნიშნებია: ადამიანი აღარ იზრდება, კანი უხმება (ქონის ჯირკვალის არა სათანადო მოქმედების გამო), სუქდება, თმა სცვივა, მუდამ მთვლემარე მდგომარეობაშია, ენდემიური კრეტინიზმით და იდიოტიზმით დაავადდება და სხვა (იხ. ნახ. № 3). ფარისებური ჯირკვალის არა საკმაო მოქმედების შემთხვევებში, ავადმყოფს არჩენენ, ან იოდით („იოდოტირინი"), ან აკმევენ მას ცხოველიდან ამოღებულ ფარისებურ ჯირკვალს*, რაც საკმლის მომნელებელ ორგანოებიდანაც ავადმყოფობაზე გავლენას ახდენს და ავადმყოფი იკურნება. ამერიკის სკოლებში, ხსენებული მიზნით შემოღებულია მოწაფეების ყოველ წლიურად იოდით ექიმობა (იხ. ნახ. № 4).

ნახ. 2
ფარისებური ჯირკვალი

ფარისებური ჯირკვალის გადამეტებული სეკრეცია კი იწვევს ეგრედ წოდებულ „ბაზედოვის ავადმყოფობას", რომელიც შემდეგით გამოიხატება: ავადმყოფს მუდმივი ოფლიანობა ახასიათებს, კანი გაქონილი აქვს, თვალები ორბიტებიდან გადმოდიან, ადამიანი ხდება, კისერი უმსხვილდება, ისტერიულად იცინის და ტირის, ზედმეტი ნერვიულობა ემჩნევა და სხვა. ამ შემთხვევაში ფარისებური

*) აქიმობის ასეთ მეთოდს—ორგანოთერაპია, ანუ ოპოთერაპია ეწოდება.

ჯირკვალის დიდი ნაწილის ამოკრა „ბაზედოვის ავადმყოფისაგან“ განკურნებას იწვევს *).

ნახ. 3
მოზრდილი კრეტინები (კრეველინის მიხედვით)

2. ჰ ი პ ო ფ ი ზ ი ანუ ტვინის ქვედა დანამატი (нижний придаток мозга), მეტად პატარა ჯირკვალია. ჰიპოფიზის წონა თანდათან იკლებს: ახლადშობილი ბავშის ჰიპოფიზი იწონის—0,13 გრამს; 10 წლის ბავშის—0,33 გრამს, 20 წლის—0,54 გრ., 30 წლ. ადამიანის—0,63 გრამს და ასე შემდეგ. მას აქვს უდიდესი გავლენა ადამიანის სიმაღლესა და მოცულობაზე, განსაკუთრებით კი კიდურების სიგრძეზე. ჰიპოფიზის

*) იხ. მე 52 ჯგ.

*) ბაზედოვის ავადმყოფობისა და კახექსიის, (მოქმედების) ნიშანთა შედარების ცხრილი:

ბაზედოვის ავადმყოფობა (ანუ ჰიპერტირეოზი):	კახექსია (მოქმედება, ანუ ჰიპოტირეოზი):
1. სიმაღლის ძლიერი ზრდა, თხელი ჩონჩხი, აქა-იქ რბილი და წვრილი ძვლები;	1. ძვლების ზრდის შეჩერება, მოკლე და მსხვილი, ხშირად, გამრუდული ძვლები:
2. გრძელი და წვრილი თითები წვეტიანი დაბოლოებით;	2. ბოლოში გაფართოებული მოკლე, მსხვილი თითები:
3. კიდურების კანკალი, სახსრების გადამეტებული მოძრაობა;	3. კიდურების გაძნელებული მოძრაობა;
4. მუდმივი მოუსვენარობა და შიში;	4. სიზანტე;
5. სხეულის წონის დაკლება;	5. სხეულის წონის გადიდება;
6. ნივთიერებათა გაძლიერებული გაცვლა-გამოცვლა სხეულში;	6. ნივთიერებათა გაძნელებული გაცვლა-გამოცვლა:
7. უხვი გარეშე სეკრეცია, ძლიერი მადა;	7. გარეშე სეკრეციის შესუსტება, ცუდი მადა;
8. ხშირი, დაჭიმული ნახტომისებური, უსწორუზომო პულსი;	8. ნელი, სუსტი, სწორზომიანი პულსი;
9. აუტანელი სიცხის განცდა;	9. მუდმივად სიცივის განცდა;
10. ზერელე სუნთქვა;	10. გაძნელებული, ღრმა სუნთქვა;
11. უძილობა და მოუსვენარი ძილი;	11. ხანგრძლივი, ღრმა ძილი;
12. მოუსვენარი, შეშფოთებული გამოხედვა თვალებიდან და უჩვეულო, თავისებური, ბრწყინავი თვალები;	12. მშვიდი, უდარდელი, უსიცოცხლო გამოხედვა თვალებიდან;
13. მოქმედების, აღქმისა და შეგრძნების გაძლიერება;	13. მოქმედების, აღქმისა და შეგრძნების დასუსტება:
14. აზრების ხტუნვა და ფსიქიური აღგზნება - გალიუცინაციამდე.	14. აზრის სინაკლულე, უგრძნობელობა.

გადამეტებული მუშაობა (სეკრეცია) იწვევს მახინჯ გიგანტიზმსა და აკრომეგალიას*), ამოღება (მოზრდილ ასაკში) და არა საკმარისი მოქმედება კი—კარლიკობას და ლილიპუტობას. ასეთი დანიშნულების გარდა, ჰიპოფიზს აქვს გავლენა სქესობრივ სფეროზე. ჰიპოფი-

ნახ. 4
ა) 4½ წ. ქალიშვილი-კრეტინი (ჭონიგმანის მიხედვით)

ბ) იგივე ქალიშვილი (5½ წ.) ფარისებური ჯირკვალის საშუალებით 13 თვის ექიმობის შემდეგ

ზის დაზიანება იწვევს: მამაკაცებში სქესობრივი გრძნობის, ერექციისა და სათესლე ჯირკვლების ატროფიას—დასუსტებას, ან ძოსპობას, ქალებში კი—მენსტრუაციის ანომალიას და სრულებით მოსპობასაც; მხედველობაც სუსტდება და ადა-მიანი ზომაზე მეტად სუქდება.

3. ეპიფიზი, ანუ ტვინის ზედა დანამატი (верхний придаток мозга) ჯერ-ჯერობით მეტად სუსტადაა შესწავლილი. გამორკვეულია მხოლოდ, რომ მას აქვს კავშირი სქესობრივ ცხოვრებასთან. მისი ავადმყოფობა, ან ოპერაციით ამოღება ნაადრევ სქესობრივ მომწიფებას იწვევს, მაგ. 5-6 წლის ბავშვებს, ეპიფიზის ავადმყოფობის ან ამოღების შემდეგ, უკვე საკმაოდ განვითარებული სქესობრი-

---

*) აკრომეგალიას ახასიათებს: საერთო სისუსტე, სქესობრივი უნარის დაკარგვა, პირისახის ძვლების (უმეტესად ნიკაპის), ხელ-ფეხის თითების დაბოლოებათა, ნეკნებისა და ხერხემლის ძვლების მეტად გადიდება, დიდი ცხვირი და ტუჩები და სხვა.

ვი ორგანოები აქვთ, ხმაც უსხვილდებათ და სხვა. ეპიფიზი მოქმედებს მხოლოდ 7 წლამდე, შემდეგ კი ხდება მისი ატროფია,

4. თირკმლების ზედა-ჯირკვალი (надпочки, надпочечные железы) გამოყონავს გორმონს, ე. წ. ადრენალინს. თუ თირკმლების ზედა ჯირკვალი ნორმალურად მუშაობს, ადამიანის კონსტიტუცია, ყოფაქცევა და ფსიქიური ცხოვრებაც ნორმალურია. მაგრამ, მისი სუსტი მუშაობა ე. წ. „ადონისის", ანუ „ბრინჯაოს", ავადმყოფობას იწვევს; უკანასკნელის ნიშნებია: დაბალი, გამხდარი ტანი, პიგმენტის ზედმეტი დამუშავება სხეულში, რაც კანს შავგვრემანს, „ბრინჯაოს" ფერს აძლევს, ცივი სხეული, სუსტად განვითარებული თმიერება, ფიზიკური და ფსიქიური მუშაობის სისუსტე. ამავე ჯირკვალზეა დამოკიდებული კუნთების სათანადო მოქმედება, ენერგიის რაოდენობა სხეულში და სხვა*).

5. სქესობრივი ჯირკვლები. სასქესო ჯირკვლებს ორგვარი ფუნქცია აქვთ: ა) გარეთ გამოყოფენ სქესობრივ უჯრედებს: მამაკაცი გამოყოფს თესლს (სპერმა), ქალი—„გრაფის ბუშტებს" საშოში; ამ მხრივ სასქესო ჯირკვალი გარეგანი სეკრეციის ჯირკვალია; ბ) იმუშავებენ გორმონებს ე. წ. „გენოლებს"—ე. ი. სასქესო ჯირკვლები შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებიც არიან. მამრობითი სქესისათვის სასქესო ჯირკვალს შეადგენს—სათესლე, მდედრობითი სქესისათვის კი—საკვერცხე. მათ მიერ სისხლში გამოყონილი გორმონები სქესობრივ ტიპს („ქალი"—„კაცი") განსაზღვრავენ. თუ მამაკაცს სათესლეს მოვაცილებთ და ქალს—საკვერცხეს—შემუშავდება სქესობრივად ნეიტრალური (უსქესო) ტიპი.

სქესობრივი ჯირკვლების გადანერგვით შესაძლებელია დედლის მამლად გადაქცევა და პირიქით; მხოლოდ მათ არ ექნებათ განაყოფიერების საშუალება. (იხ. პროფ. ზავადოვსკის ცდები ქათმებზე-ნახატი № 5).

სქესობრივი ჯირკვლების გადანერგვის ცდებთან დაკავშირებულია „გაახალგაზრდავების" თეორია; მოხუც ადამიანს სათესლე ჯირკვლებს ამოაცლიან და ჩაუნერგავენ ახალგაზრდა ცხოველის (მაიმუნის) სათესლე ჯირკვალს, ან—ერთ-ერთ სათესლე ჯირკვალის მილს გასკვნიან.

მაგრამ, „გაახალგაზრდავების," თეორია, რომელიც ეყრდობა მხოლოდ სქესობრივი ჯირკვლების გადანერგვას, ან სქესობრივი გორმონის შეშხაფუნებას, არ შეიძლება ჩაითვალოს მკვიდრ და უტყუარ მეცნი-

*) გადამეტებული მოქმედების დროს, აბდენენ თირკმლების ზედა-ჯირკვლის ამოკვრას, რომლის $^1/_{11}$ ნაწილის დატოვება საკმაოა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

ერულ დებულებათ, ვინაიდან, როგორც ვიცით, ადამიანის ორგანიზმი წარმოადგენს მთლიანობას, რომლის ელემენტები (ნერვიული სისტემა, გარეშე და შინაგანი სეკრეციის ორგანოები, კუნთები, სასიცოცხლო ორგანოები და სხვა) ერთი მეორესთან მჭიდროთ და მიზეზობრიეათა დაკავშირებული მოხუცი ადამიანის ორგანიზმში; დაცვეთილი და გადაგვარებულია არა მარტო სასქესო ჯირკვლები



ნორმალური მამალი



ნორმალური დედალი

არამედ ყველა უჯრედი; ამის გამო, გადანერგილი და ინტენსიურად ამოქმედებული სასქესო ჯირკვლის მუშაობა და არა შესაბამი მოქმედება სხვა ორგანოების—კატასტროფიული ხდება „გაახალგაზრდავებულ მოხუცისათვის“ და ის სიცოცხლეს ესალმება. ასეთია ჯერ-

კასტრაცია-ქმნილი მამალი



კასტრაცია-ქმნილი დედალი

ჯერობათ „გაახალგაზრდავების“ ცდების შედეგები. ზემოხსენებულ ჯირკელების გარდა, ენდოკრინულია აგრათვე: პ ა რ ა ფ ა რ ი ს ე ბ უ რ ი ჯ ი რ კ ვ ლ ე ბ ი, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლის წითელი სორსლების რაოდენობას, ხრტილოვანი ნაწილების ძვლად გადაქცევას

და. საერთოდ, უდიდეს გავლენას ახდენენ ცხოველის ნერვიულ-კუნთურ აპარატზე; კუჭის ქვედა ჯირკვალი, რომელიც ახდენს შაქრის რაოდენობის რეგულიაციას სხეულში და სხვა.

ბოლო დროს, შემუშავებულია თეორია, რომლის მოხედვით სხეული სყოველი უჯრედი—ენდოკრინულ ჯირკვალს წარმოადგენს *).





ნახატ.

კასტრაცია-ქმნილი მამალი, რომელსაც გადანერგილი აქვს საკვერცხე

კასტრაცია-ქმნილი დედალი, რომელსაც გადანერგილი აქვს სათესლე.

10. ენდოკრინული სისტემა. უნდა, დავსძინოთ, რომ ცალკე ჯირკვალის მუშაობაზე ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ პირობით ლაპარაკი, ნამდვილათ—კი ადამიანის სხეულში ჩვენ საქმე გვაქს არა ცალკე, დამოუკიდებლათ არსებულ ჯირკვალთან, არამედ ჯირკვლების მთლიან სისტემასთან, რასაც ენდოკრინული სისტემა, ანუ ენდოკრინული აპარატი ეწოდება.

ერთეული ჯირკვლები ერთმანეთზე მეტად დიდსა და რთულ ზეგავლენას ახდენენ: ერთი ჯირკვალის სუსტი მოქმედება (ან სრული უმოქმედობა) ასუსტებას (ან სპობს) მეორე ჯირკვალის მუშაობას, ან, პირიქით, სანამ ერთი ჯირკვალი ინტენსიურად მუშაობს, ის ამით ასუსტებს („ამუხრუჭებს") მეორეს მოქმედების, ხოლო, როდესაც პირველი ჯირკვალის მოქმედება შემცირდება, ამით ხდება მეორე ჯირკვალის მოქმედების გაძლიერება („გამუხრუჭება") და ასე შემდეგ. მაგ. მეტად ნათელია ურთიერთ გავლენა ეპიფიზისა და სასქესო ჯირკვალის: სანამ ეპიფიზი მოქმედებს (7 წლის ასაკამდე—მეტად სუსტია („დამუხრუჭებულია") სასქესო ჯირკვალის მუშაობა; ხოლო, თუ ბოისპო ეპიფიზის შემაკავებელი გავლენა—ასეთ შემთხვევაში,

*) წინაგანი სეკრეციის შესახებ იხ. ვეილსის სპეციალური მონოგრაფია „Внутренняя секреция 1907 г.

ნაადრევ ასაკშიაც-კი, მეტად ძლიერად იწყებს მუშაობას სასქესო სფერო. ამასთანავე, სასქესო ჯირკვლების არა საკმაოდ ფუნქციონალობის დროს გაძლიერებულად მუშაობას იწყებს ჰიპოფიზი (მაგ. კასტრატების კიდურების ძლიერი ზრდა დასხვა). ასეთივეა ურთიერთ ზეგავლენა: ჰიპოფიზისა და ფარისებური ჯირკვალის, თირკმლების ზედა ჯირკვალისა და სასქესო ჯირკვალის და ასე შემდეგ, (იხ. სქემა ამ თავის ბოლოში).

ის ფაქტი, რომ ყოველ ასაკს არ ახასიათებს სხეულის სხვადასხვა თვისებების არა სწორზომიერი განვითარება (მაგ. 8 წლამდე ბავშში იზრდება უმეტესად კიდურების გაგრძელების საშუალებით, (8 წლის ასაკის ზევით—ტანის ზრდით და სხვა) აიხსნება მით, რომ ყოველ ასაკს აქვს თავისი ე. წ. ენდოკრინული ფორმულა ე. ი. შინაგანი სეკრეციის აპარატის თავისებური წყობა: სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა ჯირკვალი მოქმედებს ან უფრო ძლიერად, ან უფრო შესუსტებულად ან სრულებით ისპობა რომელიმე ჯირკვალის მოქმედება და მის ადგილს იჭერს ახალი ჯირკვალი.

11. შინაგანი სეკრეცია და შუალის პირობები.

როგორც დავინახეთ, ბავშის ფსიქო-ფიზიკური განვითარება დამოკიდებულია ისეთ თანდაყოლილ მექანიზმებზე, როგორიც არიან, სხვათა შორის, ენდოკრინული ჯირკვლები. მაგრამ, ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ჯირკვლების გავლენა არ არის ავტონომიური, არამედ მათი მოქმედება-მუშაობა უალრესად არის დამოკიდებული გარემო წრის (სოციალურ) პირობებზე; მაგ. პროფ. შტეფკოსადა ექ. ნიკოლაევის გამოკვლევით, კვების პირობები (რაც მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორთაგანია) უდიდეს ცვლილებებს იწვევენ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებში: შიმშილობის დროს ფარისებური ჯირკვლების წონა შემცირდა 70%-მდე, დიდი ცვლილებები მოხდა ჰიპოფიზში, სასქესო ჯირკვლებში (მაგ. ვაეებში შიმშილობამ გამოიწვია ე. წ. კრიპტოხრიზმი, ანუ სათესლე ჯირკვლების ზევით აწევა, ხშირად-კი—ჯირკვალის ნაწილობრივი ატროფია) და სხვა. დამტკიცებულია აგვეთვე, რომ არა მარტო სრული შიმშილობა, არამედ ე. წ. ავიტამინოზი, ანუ ვიტამინების სიმცირე საკველში—იგივე გავლენას ახდენს ენდოკრინულ სისტემაზე. კვების გარდა, მეტად მნიშვნელოვანი და უშუალოა ზეგავლენა ენდოკრინულ აპარატზე—ნერვიული სისტემის მხრივ; მაგ. ადრენალინის რაოდენობა სისხლში დამოკიდებულია ამაღელვებელ გაღიზიანებათა ზეგავლენაზე, ე. ი. ნერვიული აღგზნების გამო თირკმლების ზედა ჯირკვლები გაძლიერებულად იწყებენ მუშაობას. დადასტურებულია

რომ ბაზედოვის ავადმყოფობას იწვევს ხოლმე შიში, ან სხვა საბის ნერვიული მძიმე განცდა; აქედან ცხადია, რომ ნერვიული სისტემის მდგომარეობა უშუალო გავლენას ახდენს ფარისებური ჯირკვალის დაავადებაზე.

როგორც ვიცით, ნერვიული სისტემის დანიშნულებაა — კავშირის გაბმა ორგანიზმისა და გარემოწრეს შორის და სწორედ გარემოწრე უთუო გავლენას ახდენს ორგანიზმზე ნერვიული აპარატის მეშვეობით; უკანასკნელი-კი, როგორც ზევით დავინახეთ, მჭიდროდ არის დაკავშირებული ენდოკრინულ სისტემასთან.

აქედან ნათელია, თუ რამდენათ უდავო და გადამწყვეტია გარემოწრის და, უმეტესად-კი სოციალურ ეკონომიური პირობათა გავლენა თანდაყოლის მექანიზმებზე, — კერძოდ-კი — ნერვიულ სისტემასა და ენდოკრინულ აპარატზე.

სოციალური ფაქტორის გადამჭრელი მნიშვნელობის აღიარება გვავალებს, რომ ბავშის ყოფაქცევის შესწავლის დროს ზედმიწევნით განვიხილოთ და შევისწავლოთ ის სოციალური შუალი, რომელშიაც ბავში იმყოფება და, აგრეთვე, აღვრიცხოთ ის გამღიზიანებლები (სტიმულები), რომლებიც განსაზღვრავენ ბავშის რეაქციებს.

ბავშის შესწავლა და მასზე პედაგოგიური ზეგავლენა შეუძლებელია, თუ არ იქნა გამორკეული ბავშის ცხოვრების დამახასიათებელი ბიოლოგიური და სოციალური შუალი, ვინაიდან, კერძოდ — აღზრდა — სათანადო შუალის ორგანიზაციას წარმოადგენს*).

---

*) ბავშის ბიო-სოციალური პირობათა გამოკვლევის პროგრამა იხ. წიგნის ბოლოში გვ. 174 და შემდეგი.

თავი მეოთხე

პერიოდიზაცია პედოლოგიაში. დედის მუცელში ყოფნის პერიოდი

1. ბავშის ხანის პერიოდიზაცია პედოლოგიაში.

ბავშობის ხანის პერიოდიზაცია, ე. ი. განსაზღვრულ ხანებათ დაყოფა ჯერ-ჯერობით კიდევ არ არის სათანადოთ გადაწყვეტილი პედოლოგიურ ლიტერატურაში. სხვადასხვა ავტორის ასაკობრივი კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ბავშის ორგანიზმის სხვადასხვა თავისებურება. ჯერ კიდევ არისტოტელე (384-322 წ.) ბავშობის მთელ დროს სამ 7-წლეულად ყოფდა: I ხანა—დაბადებიდან 8 წლამდე; II—8 წლიდან-15 წლამდე და III—15-დან-21 წლამდე. ცნობილი პედაგოგი იან ამოს კომენიუსი (1592-1670) ბავშობის ხანას ოთხ პერიოდათ ყოფდა, რომლებიც, მისი აზრით, წლის ოთხ დროს უნდა შევადაროთ: I-2 დან-6 წლამდე—„გაზაფხული", II-6-დან-12 წლამდე—„ზაფხული", III -12-დან-18 წლამდე—„შემოდგომა" და IV-1 8-დან-24 წლამდე--„ზამთარი". მაგრამ ამგვარი პერიოდიზაცია, ცხადია, არ არის, დაყრდნობილი მკვიდრს მეცნიერულ საფუძველზე და პედაგოგიური ინტუიციის ნაყოფს წარმოადგენს. ჩვენს დროში არსებული მრავალი სხვადასხვა პერიოდიზაციის სახე დამოკიდებულია იმ განსხვავებულ თვალსაზრისზე, რომლითაც პედოლოგები უდგებიან ბავშის შესწავლას; მაგ., გერმანელი პედოლოგი შტრატეი სქესობრივი განვითარების მომენტების მიხედვით ბავშობის ხანას ჰყოფს შემდეგ პერიოდებათ: 1) ძუძუს წოვის ასაკი 0-დან-2 წლამდე, 2) „ნეიტრალური" (უსქესო) ასაკი 2-დან-8 წლამდე, 3) ორივე სქესის („ბისექსუალური") ასაკი- 8 დან-15 წლამდე, და 4) სქესობრივი მომწიფების ხანა-15 დან 20-წლამდე.

ლანგშტეინი და პ. ბლონსკი ასაკობრივ დაყოფას საფუძვლად უდებენ „კბილის" ნიშანს და გაარჩევენ: 1) დედის მუცელში ყოფნის დრო, 2) უკბილო ბავშობა (0 დან-2 წლამდე), 3) რძის კბილების ხანა 2-დან—7-8 წლამდე) და 4) მუდმივი კბილების ხანა (7-8 წლის ზევით). სხვა ავტორები

სხვაგვარ პერიოდიზაციას იძლევიან. ამგვარი მდგომარეობა აიხსნება მით, რომ ასაკობრივ დაყოფას აქვს უფრო პრაქტიკული, ვიდრე მეცნიერული მნიშვნელობა. მართლაც, ბავშის განვითარება განუწყვეტელი დიალექტიური პროცესია: ბავში მუდმივ იცვლება გარემოცული შუალის რთული და მრავალფეროვანი ზეგავლენათა გამო. ამიტომ, არ შეიძლება იყოს ზუსტი გამიჯვნა სხვადასხვა ასაკს შორის, ვინაიდან ყოველი ასაკი შეიცავს: წინა ასაკის თვისებათა და შესაძლებლობათა თავიდან აცილებას, ან მათი განვითარება-საბოლოო ჩამოყალიბებას,—ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ—მომავალი ასაკის დამახასიათებელ თავისებურებათა წარმოშობას.

აქედან ცხადია, რომ ბავშობის ხანის სხვა და სხვა ასაკად დაყოფა პირობითია და ნაკარნახევია არა მეცნიერული, არამედ პრაქტიკული მოსაზრებით, სახელდობრ, მით, თუ როგორია ხასიათი, ორგანიზაცია და ამოცანები იმ აღმზრდელობითი დაწესებულებათა, რომლებიც ემსახურებიან პედაგოგიურად ამა თუ იმ ასაკს. მაშასადამე, პედაგოგიური თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია ბავშობისხანისშემდეგი პერიოდიზაცია: 1) პირველი ბავშობა, ანუ სკოლაში შესვლამდე ხანა (0-8 წლამდე, რომელიც თავის მხრივ სამპერიოდათ უნდა დაეყოთ: ა) ჩვილი ბავშიბის ანუ ძუძუს წონის პერიოდი (0-დან 2 წლამდე), ბ) სკოლის ასაკამდე წინა ხანა (предшк. возраст 2-დან 4 წლამდე), და გ) თვით სკოლის ასაკამდე ხანა (4 დან 8 წლამდე 2) პირველ ი სასკოლ ო ასაკი ანუ წინაპუბერტუალური ბავშობა pubertas სათესლე ჯირკვლები) 8 დან -12 წლამდე;

3) მეორე საბკოლო ასაკი ანუ პუბერტუალური ბავშობა 12-დან—16 წლამდენ 4) სქესობრივი სიმწიფის პერიოდი, რომელიც გრძელდება 20-21 წლამდე და ამ ასაკის სრულდება ორგანიზმის ზრდა-განვითარება.*

ამგვარ პერიოდიზაცას ამართლებენ როგორც პრაქტიკული პედაგოგიური პირობები ისე ცვლილებები, რომლებსაც განიცდის ბავშვი ბიოლოგიური თავისებურებებისა და ყოფა-ქცევის მხრივ: I პერიოდს (სკოლის ასაკამდე ხანას) ახასიათებს თამაშობა, ტვინის ინ-

---

* პედოლოგიაში დამკვიდრებული აზრი, რომ ბავშობა გრძელდება ქალისათვის 22 წლამდე, ხოლო მამაკაცისთვის— 25 წლამდე ჩვენი დროისათვის, როდესაც ბევრად ჩქარია ცხოვრების განვითარების ტემპი, მეტად განვითარებულია ურბანიზმი (ქალაქური ცხოვრება) ისპობა განსხვავება ქალაქისა და სოფელს შორის და აგრო-ინდუსტრიალური სოციალისტური ქალაქების აგების პროცესში ვართ უშარეებულად უნდა ჩაითვალოს.

ტენსიური ზრდის შეჩერება, და რძის კბილების მოცვლა; მეორე პერიოდში იწყება თამაშობისა და შრომის გაყოფა და ეს ასაკი წინა უძღვის სქესობრის მომწიფებას. მესამე პერიოდი—სქესობრივი მომწიფების ხანას წარმოადგენს, ხოლო მეოთხე პერიოდი—სქესობრივი სიმწიფით ხასიათდება.

მაგრამ ასეთი დაყოფაც უსრულო იქნება, თუ მას არ დაუმატებთ ბავშის ზრდა-განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელონი პერიოდს, სახელდობრ—დედის მუცელში ყოფნის ხანა. ამრიგად თანამედროვე პედოლოგიური პერიოდიზაცია შემდეგი სქემის სახეს მიიღებს:

2. დედის მუცელში ყოფნის დრო „ანტენატალური ბავშობის ხანს“

ა) ჩასახვა.

ბავშის ჩასახვა სქესობრივი აქტის შედეგად ხდება, როდესაც მამაკაცის სპერმატოზოიდი დედაკაცის ვერცხთან შეერთდება. როგორც სპერმატოზოიდი, ისე ქალის კვერცხებიც („ოოგონია“ მიკროსკოპიული ერთ-უჯრედიანი ორგანიზმებია. სქესობრივი აქტის დროს ბრავალი ბილიონი სპერმატოზოიდი მოთავსდება ქალის სქესობრივ ორგანოში. ქალს ორი საკვერცხე აქვს, რომელიც თვეში მხოლოდ ერთ კვერცხს მოამწიფებს; მომწიფებული კვერცხი ნელა გადადის საშოს მილებში, ან თვით საშოში. მოუმწიფებელი კვერცხების რიცხვი საკვერცხეში მეტად დიდია: 3 წლის ქალს აქვს 800.000 ოოგონია, 18 წლისათვის აქედან რჩება მხოლოდ 72.000 ოოგონია. 50 წლისათვის კი არც ერთი ოოგონია. აღნიშნული რიცხვიდან მწიფდება, ე. ი. შეიძლება განაყოფიერდეს მხოლოდ 400-მდე ოოგონია. დანარჩენი კი იღუპება. სანამ ქალის კვერცხს შეხვდებოდეს და მას შეუერთდებოდეს, სპერმატოზოიდმა, შედარებით თავის მოცულობასთან, მეტად გრძელი გზა უნდა გაიაროს; რომ წარმოვიდგინოთ სპერმატოზოიდი ადამიანის სიდიდის მქონეო, ეს გზა 7.000 კილომეტრზე მეტს შეადგენს.

საშოში მისვლის შემდეგ, სპერმატოზოიდები გარს ეხვევიან ქალის კვერცხს და ცდილობენ მის შიგნით მოთავსებას. როდესაც ერთ-ერთი სპერმატოზოიდი მოთავსდება კვერცხში, დანარჩენნი იღუპებიან, რადგან ამის შემდეგ კვერცხის კანი მეტად მაგარი ხდება. ამრიგად, ჩანასახი წარმოადგენს ერთ-ერთი სპერმის შეერთებას ოოგონიასთან. ჩანასახი უძრავად დამაგრდება საშოში და იწყებს ზრდას.

ჩვენში, ქალის სქესობრივი ცხოვრება გრძელდება 14-დან 40-45 წლამდე ე. ი. საშუალოდ 30 წელიწადი; აღნიშნული 400 ოოგონიდან შესაძლებელია შეუერთდეს სპერმას მხოლოდ იმდენი, რამდენ წელსაც გრძელდება ქალის სქესობრივი ცხოვრება; ე. ი. რიცხვი 30 არის ფეხმძიმეობის მაქსიმუმი.

მრავალი მოსაზრება იყო გამოთქმული იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ჩანასახის სქესის გამორკვევა გარეგნულად. არსებობდა აზრი, რომ ვაჟები მასიურად იბადებიან ომიანობის შემდეგ, რომელმაც იმსხვერპლა მრავალი მამაკაცი და „ბუნება" ცდილობს დანაკლისის ანაზღაურებას ვაჟების ჩასახვით; ეკონომიურად მოლონიერებული და კმაყოფილი ცხოვრების დროს კი მასიურად იბადებან ქალები, ვინაიდან ბუნება „სუსტი სქესის" შესახებ ზრუნავს და მათ წარმოშობს მხოლოდ უმტკივნეულო ცხოვრების პირობებში. გარდა იმისა, რომ ზემოდ მოყვანილი აზრი მეცნიერული დილეტანტიზმის ნაყოფია, აკრავს აგრეთვე მეტაფიზიკური და ანტიფეძინისტური ელფერი.

რუსეთის პედოლოგს პ. ბ ლ ო ნ ს კ ი ს სქესის გამორკვევის შესახებ აქვს ე. წ. „ხრომატინის თეორია"*): მამაკაცის და ქალის სქესობრივი უჯრედების ძირითად ნივთიერებას „ხრომატინი" შეადგენს: ოუ, სპერმასა და კვერცხის შეერთების შემდეგ ხრომატინის სიჭარბეა, ჩანასახი იქცევა ქალად; ხრომატინის სიმცირე კი—ჩანასახს ვაჟად აქცევს; ე. ი. ქალი არის „პლიუს-ხრომატინი", ვაჟი—„მინუს ხრომატინი". ყოველ შემთხვევაში, საკითხი ჩანასახის სქესის განსაზღვრის შესახებ, ჯერ-ჯერობით მეტად დაუმუშავებელი და ბნელია.

ა) ჩანასახის განვითარება.

მუცელში ყოფნის ხანა 280 დღე გრძელდება, ანუ 10 მთვარის თვე; ეს ხანა შესაძლებელია გაიყოს ორ პერიოდად: 1) ე მ ბ რ ი ო ნ ა ლ უ რ ი ბ ა ვ შ ო ბ ა, რომელიც გრძელდება ჩასახვიდან 2 თვის ბოლომდე და 2) პ ლ ა ც ე ნ ტ უ რ ი ბ ა ვ შ ო ბ ა—3 თვიდან—დაბადებამდე. ემბრიონალურ ბავშობის დროს, ჩანასახს სისხლის მიმოქცევა არა აქვს ჩასახვისთანავე, შეერთებული სპერმა და კვერცხი იწყებენ გეომეტრიული პროგრესით დაყოფვას პატარა უჯრედებად (2, 4, 8, 16, 32... ჩანასახი ღებულობს ბეოლის (თუთის) ან ჟოლოს მარცვლის ფორმას; ასეთ ჩანასახს, რომელიც მასსის მხრივ არ იზრდება და უჯრედების კოლონიას წარმოადგენს, „მორულა" ეწოდება. „მორულა" 3-4 დღის განმავლობაში იმყოფება საკვერცხეს მილში, რის შემდეგ, მილის წამწანისებური ბეწვების მოძრაობის გამო, ჩამოდის საშოში და მის კედლებზე მიმაგრდება. „მორულა" აქ იკვებება საშოს ლორწოვანი გარსით, სწრაფად იზრდება და იცვლის ფორმას: ჯერ ბუშტს წაგავს (ე. წ. „ბლასტულა"), შემდეგ—ნაწლავს. ორი წყება კედლით (ე. წ. „გაორსტრულა") და სხვა. ზრდის პროცესში, ჩანასახში თანდათან გაირჩევიან კიდურები, პირის, თვალების და ყურების დასაწყისი და ნა-

*) იხ. П. П. Блонский: „Педология" М. 1925. გვ. 31 და შემდეგ.

წლავები, რომლის ბოლო პირს წარმოადგენს. ჩანასახი ორი თვე განმავლობაში თევზის მზგავსია და არაფრით არ განსხვავდება სხვა ხერხემლიან ცხოველების ჩანასახისაგან.

მესამე თვიდან ბავშს სისხლის სადენი მილების სისტემა გაუჩნდება და ის იწყებს დედის სისხლით კვებვას („პლაცენტური ბავშობა") და 10 თვის თავზე „პატარა, კვერცხის ოდენა ჩანასახი 8 გირვანქიან ბავშად გადაიქცევა".

ბ ა ვ შ ო ბ ა (ჩასახვიდან — 20-21 წლის ასაკამდე)



ჩანასახის ზრდა დედის მუცელში ელვისებური სისწრაფით ხდება; პირველი თვის განმავლობაში ის იმატებს 10.000-ჯერ სიმაღლესა და წონას. მაგრამ ზრდის ეს ტემპი თანდათან იცვლება შემდეგი ცხრილის შიხედვით, რომელიც მოჰყავს პ. ბლონსკის. (ცხრ. იხ. ამავე გვერდზე).

ვინაიდან ჩანასახი პლაცენტური ბავშობის დასაწყისიდან დედის სისხლით იკვებება, საჭიროა, რომ უკანასკნელის კვება 20%-თ მაინც გადიდდეს. ფეხმძიმე ქალი უნდა იკვებებოდეს ცილოვანი საკვლებით (რძე და კვერცხი), ხილით და აგრეთვე ბევრ წყალს უნდა სვამდეს; დედის ჯანმრთელობა და სიწყნარე აგრეთვე აუცილებელი პირობებია ბავშის ნორმალური ზრდისათვის.

ჩანასახის წონა (გრამებში).

1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	7 თვე	8 თვე	9 თვე	10 თვე
1	3	25	85	297	678	1077	1608	2289	3142

ჩანასახის სიმაღლე (სანტიმეტრებში)

1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	7 თვე	8 თვე	9 თვე	10 თვე
0,125	2,4	10	15	22,5	30	35	40	55	50

ნობეკურის მიხედვით ჩანასახის სიგრძის ზრდა შემდეგ სურათს იძლევა:

19—21 დღემდე ჩანასახის სიგრძე უდრის	3—4 მილიმეტრს
21—25	6
25—36	14
37—38 „	16
მე 60-ე დღეს	26 „
მე-3-თვის ბოლოს	10 სანტიმეტრს;
„ 4	17 „
„ 5	28
6 „	35-38
„ 7 „ „	39-41
„ 8 „ „ „ „	46-47
ახლადშობილის სიგრძე უდრის	50 „

ჩანასახის წონა კი, იგივე ნობეკურის მიხედვით, შემდეგგვარად იზრდება:

მე 15-ე დღეს ჩანასახი იწონის 1 გრამს;	
6 თვისაზე	1000 გრამს;
„ 7	1500-1700 გრ;
„ 8	2100-2200 „ ;
„ $8^1/_2$ „	2500 გრამს;
ახლადშობილი ბავში „ „ „	3000-3250 გრ

ბავშის დედის მუცელში ყოფნა მეტად მნიშვნელოვანი გარდატეხით, რევოლიუციით გვირგვინდება, რასაც დაბადება წარმოადგენს: ბავში დედის წიაღიდან გამოდის და იძულებულია, პარაზიტული არსებობის მაგიერ, ერთგვარად თავისუფალ, დამოუკიდებელ არსებობას მიმართოს.

თავი მეხუთე.

ბავშობა დაბადების შემდეგ („პოსტნატალური ბავშობის ხანა") ბავშის თანდაყოლილი რეაქციები

1. ბავშობა დაბადების შემდეგ.

როგორც ვიცით, ბავშობა დაბადების შემდეგ შეიცავს ადამიანის სიცოცხლეს დაბადებიდან—20—21 წლამდე. ეს ხანა, თავის მხრივ, სამ პერიოდათ იყოფა: 1) ბავშობა სასკოლო ასაკამდე (0—8 წლამდე), 2) სასკოლო ასაკი (8—15 წლამდე) და 3) სქესობრივი მომწიფების ასაკი (15—20—21 წლამდე). არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს პერიოდიზაცია პირობითი და ხელოვნურია, რადგან ბავშის ზრდა-განვითარება განუწყვეტელი განვითარების ჯაჭვს წარმოადგენს, რომელშიაც ყოველი ასაკი მიზეზობრივად დაკავშირებულია ერთმანეთთან. „ერთი ასაკის მეორესაგან გამოყოფვა, მისი ცალკე შესწავლა, მთელ სიცოცხლესთან დამოკიდებულების გარეშე, ნიშნავს: სინამდვილის შეკვეცასა და დამახინჯებას და დროთა კავშირის გაწყვეტასო" ამბობს ე. არკინი. ამის მიუხედავად, თითოეულ ასაკს ახასიათებს თავისებურობა, რომლითაც იგი განსხვავდება სხვა ასაკისაგან და ეს გვაძლევს საშუალებას მივმართოდ აბსტრაქციას, ე. ი. განუწყვეტელი ინდივიდუალური განვითარებიდან, გამოვყოთ თავისებური ნიშნების მქონე ასაკი და შევისწავლოთ იგი ისე, თითქოს მას არ ქონდეს ორგანიული კავშირი სხვა ასაკთან.

სკოლის ასაკამდე ხანა გრძელდება დაბადებიდან—8 წლამდე. ამ პერიოდს ახასიათებს: რძის კბილები, რომელიც 2—2½ წლის ბავშს ამოუვა, მათი მოცვლა მე-8 წლამდის, ტვინის ინტენსიური ზრდის შეჩერება და ყოფა-ქცევის მხრივ—თამაშობა.

2. ახლადშობილი ბავში.

იმ ცვლილებათა შორის, რომელსაც განიცდის ადამიანი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, დაბადება უდიდესი და უძლიერესი ცვლილებაა ბავშის ცხოვრებაში. ვ. სტერნის სატყვით,—ბნელს, ვიწრო, თბილსა და წყნარ საპყრობილედან, რომელსაც დედის წიაღი წარმოადგენს, ბავში გამოდის ფართო სამყაროში, სადაც მრავალ-ფერო-

ვანი გაღიზიანებათაგან უჩვეულო ზეგავლენას განიცდის და პარაზიტულ არსისაგან, თუმცა უსუსურ, მაგრამ მაინც ნამდვილ ინდივიდუუმად იქცევა.

დაბადებისას ბავში ყველა ცხოველზე უფრო უმწეო და უსუსურია; გასარჩევია ბავშის სამგვარი უსუსურობა: ფიზიკური, სოციალური და ფსიქიური უსუსურობა. ბავში ყოველმხრივ სხვებზეა დამოკიდებული და მოკვდება რამდენიმე საათის შემდეგ, რომ დახმარება არ გაუწიონ და თავის ძალებს მიანდონ. ბაშვს თავისთავად სრულებით არ ძალუძს ადგილის გამოცვლა, ჭამა, თავის დაცვა, ორგანოების ხმარება (ე. წ. ფიზიკური უსუსურობა) და სხვა, მაშინ, როდესაც, მაგ. ხბო დაბადებისთანავე კუნტრუშს იწყებს, წიწილი კვერცხიდან გამოჩეკისთანავე—მარცვლების კენკვასა და სირბილს, ბატისა და იხვის ჭუკი—ცურვას და სხვა. ბავშის სოციალური უსუსურობა მდგომარეობს იმაში, რომ ბავში მოკლებულია საშუალებას ურთიერთობა იქონიოს სოციალურ წრესთან, არავის არ ჯნობს, არავინ არ „უნდა", ცხოვრების თავისი ეწრო, ინდივიდუალური ცხოვრობით და, ერთად ერთი ურთიერთობის ფორმა— არის ყვირილი. ამის გარდა, გარემყარი ბავშისათვის ქაოსს წარმდადგენს, რომელშიაც არ არის განყოფილი (დიფერენციაციაქმნილი) ცალკე ელემენტებს; ამაშია ახლადშობილის ე. წ. ფ ს ი ქ ი უ რ ი უ ს უ ს უ რ ო ბ ა.

თანაემედროვა ბიოლოგიის მიერ დამტკიცებულია, რომ ბიოლოგიური განვითარების რაც უფრო მაღალ საფეხურზეა ცხოველი, ე. ი. რაც უფრო რთულია ცხოველის სხეულებ რივი ორგანიზაცია, მით უფრო ხანგრძლივია მისი უსუსურობა და მეტი დროა საჭირო, რომ ცხოველი სასიცოცხლო მოვალეობათა შესასრულებლად მ ო ე მ ზ ა დ ო ს: ბავშობის ხანის შეფარდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასთან, დაახლოვებით, ასეთია: ადამიანის —$^1/_3$, სპილოს—$^1/_4$, ცხენის—$^1/_5$, ძაღლის—$^1/_7$, კატის—$^1/_{10}$ და სხვა.

ახლადშობილი ბავში მოზრდილ ადამიანისაგან მეტად განსხვავდება და უკანასკნელზე უფრო უახლოვდება ცხოველებს, მაგ. — მაიმუნს. ბავშს მაიმუნის თვისებების მთელი რიგი თანყვება: თმიანობა, მაიმუნის მზგავსი ფეხის ტერფი, ხელების დიდი ძალა, გვერდებისაკენ გაბრუდული ფეხები, მსუნაგობა და სხვა. მოზრდილი ადამიანის სხეულთან შედარებით, ბავშის სხეული თავისებურია. ბავშს აქვს დიდი თავი, მოკლე კისერი, გრძელი ტანი, დიდი თვალები, დიდი შუბლი, პატარა პირისახე და მოკლე ფეხები; ახლადშობილი ბავშის თავის მოცულობა მთელი სხეულის $^1/_4$-ს უდრის; მოზრდილის თავის მოცულობა კი—მთელი ტანის მოცულობის $^1/_8$-ს (იხ. ნახ. №6).

ასეთივე დიდია შეფარდება ბავშის ტვინის წონისა და მთელი სხეულის წონას შორის: ახლადშობილის უდრის 1:8; მოზრდილის კი— 1:45 (საშუალოდ 1:49), ე. ი. ბავშის ტვინი 8-ჯერ მსუბუქია მთელი სხეულის წონაზე, მოზრდილი ადამიანის ტვინი კი—45-ჯერ. გარდა ამისა, ბავშის ტვინი ძალიან სუსტად არის განვითარებული და მისი ზედაპირი თითქმის მთლიანად გადაგლესილია, რომელშიაც მხოლოდ მთავარი ნაპრალებია შესამჩნეები.



ნახ. 6.

ბავშის სხეულის პროპორციები სხვადასხვა ასაკში.

ქიმიური შემადგენლობით ადამიანის სხეული ასეთია: ჩანასახის სხეული შეიცავს წყლის 94,5%, ახლადშობილი ბავშის—74,7% და მინერალურ ნივთიერებათა 2,24%; მოზრდილის კი—წყლის 58,5% და მინერალურ ნივთიერებათა 7,29%-ს.

ბავშის სხეული, ანატომიური თვისებების გარდა, ფიზიოლოგიურადაც განსხვავდება მოზრდილ ადამიანისაგან: ახლადშობილი ბავშის ს უ ნ თ ქ ვ ი ს სიხშირე წამში უდრის 40—45, 12 წლის ბავ-

შის—20, მოზრდილის კი—15—18: ფილტვების ტევადობა („15 სუნთქვის სიღრმე") ბავშს გაცილებით მცირე აქვს, ვიდრე მოზრდილს: ახლადშობილი ბავშის ფილტვების ტევადობა უდრის 25—40 კუბ. 1480 კუბ. სანტ., 8 წლ.—1480 კუბ. სანტ., 12 წ.—1880 კუბ. ს. მოზრდილს კი—3 300—3400 კუბ სანტ.

სისხლის მიმოქცევის მხრივ ზრდასთან ერთად თანდათან მცირდება პულსაციის რიცხვი: დაბადების 1 დღეს ბავშის პულსაცია უდრის 156 (მაქსიმუმ)—95-მდე (მინიმუმ), 6-7 წლის ასაკში—128 (მაქსიმუმ)—72 (მინიმუმ) 10-11 წლის ასაკში—108 და 56; 13-14 წლის ასაკში—114 და 66, მოზრდილი ადამიანის კი 90 და 60. ბავშის სხეულში სისხლის სრული ბრუნვა ხდება 12 წუთის განმავლობაში; მოზრდილ ადამიანში კი—22 წუთში.

გარდა ამისა, ბავშის კანი გაცილებით უფრო მგრძნობიარეა ვიდრე მოზრდილის, რაც შეგვიძლია მით ავხსნათ, რომ ბავშის კანის ზედაპირი უფრო პატარაა, ნერვების რაოდენობა კი ბავშის და მოზრდილის თათქმის თანასწორია.

ბავში განსხვავდება მოზრდილისაგან სისხლის შემადგენლობითაც: თუმცა წითელი სორსლები ახლადშობილს უფრო მეტი აქვს, ვიდრე მოზრდილს (სახელდობრ, სისხლის 1 კუბ. მილიმეტრში მოზრდილს აქვს 5.000.000 ერიტროციტი (წითელი სისხლი), ახლადშობილს-კი 6.000.000 ერიტრ; მაგრამ მათი შეფარდება სისხლის თეთრ ბურთულებთან (ლეიკოციტებთან) უფრო ნაკლებია. ახლადშობილის 1 ლეიკოციტზე მოდის 230-მდე ერიტროციტი, მოზრდილის კი—350 ერიტროციტი.

ზემოხსენებულს თუ დავუმატებთ, რომ ბავშის კუნთები გაუწვრთნელი და სუსტია, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედება სუსტდება, ან ძლიერდება სხვადასხვა ასაკის მიხედვით, რომ ბავშს ახასიათებს თავისებური ფსიქიური ცხოვრება, რაზედაც ქვევით გვექნება ლაპარაკი და სხვა, ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ბავში არ არის „დაპატარავებული მოზრდილი, არამედ ის განვითარების მხრივ სპეციფიურ პირობებში უნდა იქნეს ჩაყენებული, მას თავისებური ხელმძღვანელობა ესაჭირეობა, რომ არ დაკნინდენ, დამახინჯდეს, ან სიცოცხლეს არ გამოესალმოს.

დაბადების შემდეგ, ბავშს მხოლოდ კიდურების მოძრაობა შეუძლია: ბავში ტუჩებს ამოძრავებს, ხელებსა და ფეხებს უწესრიგოდ აქნევს და ძუძუს სწოვს, თუ იგი მის ტუჩებს მიაკარეს, სტირის უცრემლოდ, სუნთქავს, ახველებს, ამთქნარებს, აზმორებს, აცხინკვებს, უძგერს გული, სძინავს; ხდება მასში კუჭის და ნაწლავების პერის-

ტალტიური მოძრაობა და სხვა. როგორც ვხედავთ, ბავშს სხვა და სხვა მოძრაობის თანდაყოლილი უნარი აქვს, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ამ მოძრაობებს ბავში „შეგნებულად", განსაზღვრული მიზნით ახდენს, როგორც ამას ხსნიდენ უწინდელი მკვლევარები, რომელნიც ბავშში პატარა ადამიანს ხედავდენ. აი იმის მაგალითები. თუ როგორ ახსნას აძლევდენ ბავშის ყვირილს: მ ი შ ლ ე ბავშის ყვირილში ხედავდა „სულის პროტესტს მატერიისადმი მორჩილების წინააღმდეგ"; იმ. კ ა ნ ტ ი ს აზრით: „ბავში ყვირის, რადგან მას სურს მოძრაობა, მაგრამ ვერ ახერხებს და ამ მოუხერხებლობას გრძნობს, როგორც პირადი თავისუფლების შეზღუდვას". პესიმიზმის მამამთავარი ა რ ტ ურ შ ო პ ე ნ ჰ ა უ ე რ ი ამ ბ ობ დ ა, რომ „ბავში ყვირის, რადგან ადამიანის ცხოვრებაში დასაწყისიდანვე ტკივილი და ტანჯვა სჭარბობს" და სხვა. თანამედროვე პედოლოგიის მიერ საბოლოოდ უარყოფილია ზემოხსენებული მეტაფიზიკური თეორიები და ბავშის ყვირილი ახსნილია მარტივი ფიზიკური და ფიზიოლოგიური მიხეზებით: ბავში დაბადებისას სტირის, რადგან მისი კანი დედის მუცლიდან გამოსვლის შემდეგ ცივდება და აგრეთვე, მას არ ყოფნის ჟანგბადი.

გარეშე დაკვირვების დროს, ახლადშობილი ბავშის მოძრაობანი მოკლებული არიან ყოველგვარ მიზანს, მაგრამ ეს შემცდარი დასკვნაა. თუმცა ბავშის მოძრაობა არ არის დამოკიდებული ე. წ. „შეგნებულ" სურვილებზე, თავის-თავად ხდება, მაგრამ მას უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. თანდაყოლილი მოძრაობით ბავში გ ა - მ ო ს თ ქ ვ ა მ ს, თუ რა აწუხებს მას, მაგალითად, ბავშის ყვირილი მომვლელისთვის იმის უტყუარი ნიშანია, რომ ბავშის მდგომარეობას დახმარება ესაჭიროება, რომ ბავშს აწუხებს: ან ტკივილი, ან შიმშილი, ან სისველე და ან დაღლილობა. თავისებური ინფორმაციული მნიშვნელობის გარდა, ასეთ თანდაყოლილ მოძრაობას აქვს გ ა წ ვ რ თ ნ ი ს, ანუ ვ ა რ ჯ ი შ ობ ი ს მნიშვნელობა. მაგ., უცრემლოდ ყვირილით ბავში ფილტვებს, სასუნთქ მილებს და, საერთოდ, მეტყველების აპარატს ავარჯიშებს; ხელებით მოძრაობის დროს, ბავში წვრთნის ხელების კუნთებს; ფრიად საყურადღებოა ბავშის მოძრაობა ფეხებით: ბავში იშვიათად ამოძრავებს ერთად ორივე ფეხს: უმეტესად: როდესაც ერთი ფეხი გაკიმულია, მეორე მოღუნულია და პირიქით ე. ი. ასეთ მოძრაობაში აშკარად შესამჩნევია თანშობილი ჩანასახი სიარულისა, რომელიც მხოლოდ 1 წლის ასაკის შემდეგ არის შესაძლებელი. ბავშის თანდაყოლილი მოძრაობა არის კიდევ რ ე ა ქ ც ი ა, ანუ პ ა ს უ ხ ი გარეშე გაღიზიანებაზე, მაგ., ძლიერ ხმაუ-

რობაზე ბავში შეკრთება, ძუძუს ტუჩზე მიკარებას ბავში წოვითი მოძრაობით უპასუხებს, ძლიერ სინათლეს—თვალების დახუჭვით და სხვა.

ძუძუმწოვარ ბავშის თანდაყოლილი მრავალფეროვანი მოძრაობა შეიძლება სამ ჯგუფად გავანაწილოთ:

3. „უპირობო რეფლექსები". რ ე ფ ლ ე ქ ს ი, ანუ რეფლექტორული მოძრაობა არის ორგანიზმის საპასუხო მოქმედება (რეაქცია) გარეშე გაღიზიანებაზე; რომელიმე გარეშე გაღიზიანება (სინათლე, ბგერა, სითბო, სიცივე, მიკარება და სხ.) მიჩნეულ მგრძნობიარე ნერვის ბოლო აპარატზე მოქმედებს; მგრძნობიარე ნერვს აღგზნება ზურგის ტვინში მიაქვს, იქ გადაეცემა უმაღლეს ნერვიული ცენტრების გარეშე, მამოძრავებელ ნერვს, რომელიც აღგზნებას წამოიღებს უკანვე—პერიფერიებში და მოახდენს იმ კუნთის მოძრაობას, რომელშიაც ეს ნერვი თავდება. როგორც ვხედავთ, რეფლექსის მექანიზმი რკალს წარმოადგენს (იხ. ნახატი № 7), ამიტომ უწოდებენ ხსენებულ მოძრაობას რ ე ფ ლ ე ქ ს ს, ანუ უ კ უ ქ ცე უ ლ, გ ა მ ო კ რ თ ო მ ი ლ მ ო ძ რ ა ო ბ ა ს (ლათ. reflexus—ნიშნავს გამოკრთომას). რეფლექსებს ეკუთვნიან შემდეგი მოძრაობანი: დაცხვინკვა, ხველება გაციების, ან საჭმელისა და ნერწყვის სასუნთქ ორგანოებში მოხვედრის დროს, თვალის დახუჭვა ძლიერი სინათლის მოქმედების გამო, სიცილი შეხიცინებისაგან, ან სიცივისაგან, კანის ხორკლიანობა სიცივეში (ე. წ. „ბატის კანი"), შეკრთომა და ყვირილი ხმაურობის დროს, სლოკინი და სხვა.

რ ე ფ ლ ე ქ ს ი თ ა ნ დ ა ყ ო ლ ი ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა ა, რომელიც ბავშს დედის მუცელშიაც კი ახასიათებს; მაგ. ექიმები, როდესაც ბავშის მდებარეობას დედის მუცელში არკვევენ, მისდევენ ფორმულას: „ბავშის ხელი მიკარებას, მოკიდებით უპასუხებს", ფეხი კი—უკუაგდებს მიკარებას". („ручка-хватает, ножка-отталкивает"). დაბადების შემდეგ კი ბავშებში რეფლექსები მეტად განვითარებულია: სიცივეს ბავში უპასუხებს სლოკინით, ცხვირის ნერვების გაღიზიანებას—დაცხვინკვებით, ხმაურობას—შეკრთომით, ძლიერ სინათლეს—თვალების დახუჭვითა და სხვა. რეფლექტორული მოძრაობა ბიოლოგიურად მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ი ა, რადგან ნერვის შემაწუხებელ გაღიზიანებას აცილებს.



ნახატი 7.

„რეფლექსის რკალი" (ან ორდეკალი). 1 კანის ზედაპირი. A. მგრძნობიარე ნერვი. B. ცენტრალური ნერვიული უჯრედი. C. მამოძრავებელი ნერვი. 2. კუნთი.

4. ინსტინქტები. ინსტინქტიური მოძრაობანი. ინსტინქტს ისეთი თანდაყოლილი მოძრაობა ეკუთვნის, რომელიც მიზნად არსებობის შენარჩუნებისა და შთამომავლობის წარმოშობას ისახავს. როგორც განმარტებიდან სჩანს, ინსტინქტებს უდიდესი ბიოლოგიური დანიშნულება ეძლევა. ინსტინქტს წარმოადგენს შემდეგი რეაქციები: მუდმივად გალიაში გაზრდილი ფრინველი, რომელსაც არასოდეს ჯარ უნახავს, თუ როგორ აკეთებენ მისი გვარის ფრინველები ბუდეს, გაზაფხულზე მასალის მოგროვებას იწყებს და მისი ყოფაქცევა ნათლად გვიჩვენებს, რომ ის ბუდის გაკეთებას აპირებს; ქათამი სამი კვირის განმავლობაში აზის კვერცხებს, მიუხედავად იმისა, რომ მან არ იცის, თუ რა მიზანს ემსახურება მისი ასეთი საქციელი: გაჟირვების დროს ცხოველები სიკვდილის სიმულიაციას ახდენენ (ე. ი. სიკვდილს იგონებენ); წიწილა გამოჩეკისთანავე კენკავს მარცელს, ბატი—ცურავს, ხბო—დარბის და სხვა. როგორც ვხედავთ, ინსტინქტი: მემკვიდრეობითი, თანშობილი და მიზანშეწონილი მოძრაობაა, რომელიც ცხოველის ყოფექცევის ფუძეს წარმოადგენს, რომელზედაც სოციალურ პირობათა ზეგავლენით წარმოიშვება სათანადო ჩვევები, ცოდნა და სხვა.

მთელი ინსტიქტების სხვადასხვაობა შეიძლება 3 კლასად დავაჯგუფოთ:

I. თვით შენახვის ინსტინქტი (**инстинкт самосохранения**), რომელიც მიზნად ინდივიდუალური არსებობის შენარჩუნებას ისახავს, მას ეკუთვნის: ა) კვებითი ინსტინქტი, როგორიცაა: საკვები მასალის დაგროვება, წოვა, ღეჭვა, კენკვა და სხვა;

ბ) თავდაცვითი ინსტინქტი—მიბაძვა და ცხოველის საორიენტაციო მოძრაობა, როგორც საცხოვრებელი წრის პირობებთან შეგუება (ყურადღების ჩანასახი), სიკვდილის მოგონება, გაქცევა („დეზერტირობა"), თამაშობა, რომელიც მომავალი სერიოზიული სასიცოცხლო მოვალეობათა შესრულებისათვის მომზადებაა და სხვა;

II. სოციალური ინსტინქტი, ანუ ჯოგური ინსტინქტი (**социалый или стадный инстинкт**)—თვითშენახვის ინსტინქტის შედეგს წარმოადგენს, რადგან ჯგუფური ცხოვრება ახასიათებს იმ ცხოველებს, რომელთაც მხოლოდ შეერთებულად შეუძლიათ ინდივიდუალური არსებობის შენარჩუნება. მაგ. კოლექტიურად ცხოვრობენ: მწერები, თევზები, ფრინველები, ძუძუმწოვარი ცხოველები, ვინაიდან მათი ერთად ყოფნა, თანამშრომლობა არსებობისათვის წარმატებითი ბრძოლის აუცილებელი პირობაა. ისეთი ცხოველები კი,

როგორიც არიან: არწივები, ბუები ლომები, ვეფხები და სხვა— არაოდეს არ სცხოვრობენ ჯოგებად.

მესამე თვემდე ბავშის სოციალური ლტოლვა მეტად გაურკვეველია და ის ამ მხრივ „სოციალურად უსუსურ" არსებას წარმოადგენს. მესამე თვიდან-კი, უკვე ბავშის სოციალური რეაქციებია შესამჩნევი: ბავში მარტოობას ვერ იტანს, ულიმის მომვლელს და სხვა. მეექვსე თვიდან ბავშს განსაკუთრებული სიმპატია პატარა ბავშებისადმი ემჩნევა, რომელთა სრული მაგიერობის გაწევა არ შეუძლია არც ერთ მოზრდილს. მესამე წლიდან-კი სოციალური ინსტინქტი მომწიფების აშკარა ნიშნებს იძლევა და ბავში გრძნობს უძლეველ ლტოლვასა და ინტერესს თავისი ტოლი ბავშებისადმი; თავისი ტოლებთან ყოფნა და თამაშობა—ბავშისათვის სიამოვნების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს. ამ ასაკში იწყება ბავშებს შორის „მეგობრობა", „ამხანაგობა" ე. ი. იქმნება ბავშთა თავისუფალი ჯგუფები ანუ კოლექტივები. ექიმი ე. არკინის, ზალუენის, ვარენდონკის და სხვა პედოლოგების დასკვნით, ბავშთა კოლექტივის რიცხობრივი შემადგენლობა ასაკით განისაზღვრება. 3—5 წლამდე ასაკის ბავშთა კოლექტივი ჩვეულებრივად შესდგება არა უმეტეს 2—3 ბავშისაგან, შემდეგ ასაკში-კი ბავშთა კოლექტივს შეადგენს 5—6 და მეტი ბავში ე. ი. თანდათან მწიფდება სოციალური ინსტინქტი.*)

III. გამრავლების ინსტინქტი (инстинкт размножения) —ემსახურება შთამომავლობის წარმოშობასა და გვარის გაგრძელებას. გამრავლების ინსტინქტი ორი სახისაა: ა) სქესობრივი ინსტინქტი, რომლის დანიშნულებაა შთამომავლობის წარმოშობა; ეს ინსტინქტი მეღავნდება ისეთ რეაქციებში, რომელიც განსაზღვრას სხვადასხვა სქესის ერთმანეთისადმი მიმზიდველობას: სიყვარული, სქესობრივი აქტი, ფლირტი („არშიყობა"), კეკლუცობა და სხვა. თანამედროვე ცხოვრების პირობებში, სქესობრივი ინსტინქტი ხშირად დამახინჯებულ სახეს ღებულობს: ის მიზნად არა სასქესო უჯრედის განაყოფიერებას ისახავს, არამედ მხოლოდ სქესობრივი სიამოვნების მიღებას. ბ) მშობლიური ინსტინქტის დანიშნულება ბავშებისათვის ზრუნვაში გამოიხატება: მოვლა-პატრონობა, აღზრდა და სხვა. აქედან ცხადია მშობლიური ინსტინქტის დიადი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მშობლიური ინსტინქტი, მეტად ძლიერია და თავგანწირვამდე მიდის. მაგრამ საჭიროა, რომ ეს ინსტინქტი გასცილდეს ოჯა-

---

*) ბავშთა კოლექტივების შესახებ: Е. Аркин—Об изучении детского колектива» М. 1927., აგრეთვე: Варендонк:„ Детские сообщества.

ხის ვიწრო ჩარჩოებს, დაიხვეწოს ეგოისტური ანტისაზოგადოებრივი თვისებების მხრივ და მთელი საზოგადოების ზრუნვის ფორმა მიიღოს მომავალი თაობის შესახებ.

სხვა ცხოველებისაგან, რომელნიც თავიდანვე თითქმის ყველა ინსტინქტს ამჟღავნებენ, ბავში მეტად განსხვავდება ინსტინქტების სიღარიბით. როგორც ობიექტიური დაკვირვებები და ცდები გვიჩვენებს, ახლადშობილ ბავშს ინსტინქტები მხოლოდ ემბრიონალურ, ანუ პოტენციონალურ მდგომარეობაში აქვს და, მათი განვითარების შესაძლებლობა შემდეგში, დაკავშირებულია მხოლოდ სათანადო პირობებთან; მზა, მომწიფებული, ჩამოყალიბებული ინსტინქტი კი ახლადშობილს აქვს მხოლოდ ორი: წ ო ვ ი თ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა და თ ა ვ ი ს მ ო ბ რ უ ნ ე ბ ა. *) (ესენიც არა სავსებით) დანარჩენი ინსტინქტები კი თ ა ნ დ ა თ ა ნ მწიფდება. წოვითი მოძრაობას, ტუჩების ცმაცურს ბავში დაბადების მომენტშივე იწყებს. თითის მიკარებაზე ტუჩებზე ან ლოყაზე ბავში ტუჩების საწოვრად დალაგებით უპასუხებს; თუ თითს პირში ჩაუდებთ—ბავში წოვას იწყებს და სხვა. მე-3—4 დღიდან ბავში თავს აბრუნებს და ეძებს თითს.

ხშირად ინსტინქტებს უწოდებენ რთულ რეფლექსებს და ვერავითარ განსხვავებას ვერ ნახულობენ მათ შორის. მაგრამ, ეს აზრი დიალექტიური მატერიალიზმის თვალსაზრისით არ არის მართლებული, რადგან ინსტინქტი რეფლექსებისაგან განსხვავდება, როგორც თვისობრივად განსხვავებული რეაქცია: დანიშნულებით და ცვალებადობითაც. მართლაც, როგორც დავინახეთ, რეფლექსების მიზანია—მგრძნობიარე ნერვის განთავისუფლება გარეშე გაღიზიანებისაგან, ინსტინქტური მოძრაობა-კი არსებობი სშენარჩუნებისა და გვარის გაგრძელების საქმეს ემსახურება. გარდა ამისა, რეფლექტორული მოძრაობა მექანიკურად, უცვლელი სახით, მეორდება, გარეშე გაღიზიანებასთან დაკავშირებით. მაგ. რამდენჯერაც შეგვიხიცინებენ, იმდენჯერვე გავიცინებთ, ან გავიქცევით; ძლიერი სინათლის მოქმედების დროს, თვალს ყოველთვის დავხუჭავთ; დავახველებთ, რამდენჯერაც საკმელი სასუნთქ ორგანოებში გადაგვიარდება და სხვა; ინსტიქტიური მოძრაობა კი არ არის დამოკიდებული მხოლოდ გარეშე პირობებზე (გაღიზიანებაზე). არამედ მას იწვევს შინაგანი, ფიზიოლოგიური პროცესები, მაგ., ბავში ძუძუს მხოლოდ მაშინ მოსწოვს, როდესაც მას აწუხებს შიმშილი; საკმელით დაკმაყოფილებული ბავში ძუძუს არ მოსწოვს, კიდეც რომ

---

*) ახლადშობილი ბავშის სქესობრივი ინსტინქტის შესახებ იხ. ამ წიგნის სპეციალური თავი.

მის ტუჩებს დედის ძუძუ მიეკაროს; გალიაში გაზრდილი ფრინველი აგროვებს მასალას მხოლოდ მაშინ, როდესაც დაცგება გაზაფხული, ესე იგი, მოვა კვერცხების დადების დრო და სხვა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ინსტინქტებს ახასიათებს განვითარება, გაუმჯობესება; რეფლექსები-კი, უცვლელათ რჩება მაგ. წოვითი მოძრაობა თანდათან უფრო მოხერხებული, გაბედული და ჩქარი ხდება. მაშასადამე, თუმცა ინსტინქტი რეფლექსთა შეჯამებას, ანუ რთულ რეფლექსს წარმოადგენს, მაგრამ რეფლექსებისაგნ არსებითად განსხვავდება, რადგან ის (ე. ი. ინსტინქტი) სულ სხვა რომელობითი ფორმაა*).

5. იმპულსები. იმპულსიური, ავტომატიური, ანუ სპონტანური ეწოდება ისეთ მოძრაობას, რომელსაც კუნთებში დაგროვილი ჭარბი ენერგია იწვევს. იმპულსიური მოძრაობა, გარეშე დაკვირვების დროს, უწესრიგო, უაზრო, ყოველგვარ მიზახს მოკლებული მოძრაობაა. მაგ. ახლადშობილი ხბოს უთავბოლო კუნტრუში, ხანგრძლივი ძილის შემდეგ ძაღლების უწესრიგო სირბილი და ყეფა, უძრაობის შემდეგ მოზრდილი ადამიანის მიერ დამთქნარება, გაზმორება, თითების მტვრევა და სხვა. თანამედროვე ფიზიოლოგია და ფსიქოლოგია იმპულსიური მოძრაობის მიზეზად სთვლის ნერვიულსა და მუსკულების ცენტრებში ზედმეტი ენერგიის დაგროვებას, რაც უსიამოვნო გრძნობას იწვევს და საჭიროებს დაცლას მოძრაობაში.

ბავშის იმპულსიური მოძრაობანი შესამჩნევია ჯერ კიდევ დედის მუცელში ყოფნის დროს, მხოლოდ საჭიროა, რომ დედებმა პედოლოგია სზედ მიწევნით ობიექტიური დღიურები მიაწოდონ ბავშზე დაკვირვების შესახებ, რადგან ეს საკითხი ჯერ-ჯერობით სათანადო თდამუშავებული არ არის. დღიურში საჭიროა გაეცეს პასუხი შემდეგ კითხვებს:

1. როდის შეამჩნია დედამ ბავშის პირველი მოძრაობა? 2. როგორი იყო ეს მოძრაობა: ხანმოკლე თუ ხანგრძლივი, სუსტი, თუ ინტენსიური, მხოლოობითი, თუ მრავლობითი და სხვა? 3. როგორ ვითარდებოდა ეს მოძრაობა? 4. რომელი დროიდან იყო შესაძლებელი ბავშის მოძრაობის გაგება მუცელზე ხელის დადებით? 5. იყო, თუ არა ბავშის მოძრაობა შესამჩნევი თვალით? და სხვა.

ბავშს დაბადების შემდეგ პირველ დღეებშივე უკვე აქვს იმპულსიური მოძრაობანი: ბავშს აზმორებს, ამთქნარებს, ის ჭყვირის, კიდურებს ამოძრაავებს და სხვა.

---

*) თუ როგორია თანამედროვე ფსიქოლოგიის შეხედულება ელემენტებისა და „მთელის“ იგივეობის შესახებ, იხ. ჩვენი წიგნის თავი XI, § II.

როგორც ვხედავთ, დაბადებისთანავე ბავშს, შედარებით, მეტად განვითარებული მოძრაობის სფერო აქვს, რაც აუცილებელი თანშობილი საფუძველია ბავშის ზრდა-განვითარებისა და არსებობისათვის საჭირო საშუალებათა ხმარებისათვის.

6. ატავიზმები და რუდიმენტები.

როგორც დავინახეთ, თანდაყოლილი მოძრაობანი: რეფლექსები, ინსტინქტები და იმპულსები მიზანშეწონილი რეაქციები არიან. ისინი ცხოველს ხელს უწყობენ, რომ მან პირადი არსებობა შეინახოს და გვარი გააგრძელოს. ახლადშობილ ბავშს, ხსენებული თანდაყოლილი და მიზანშეწონილი თვისებების გარდა, მემკვიდრეობის წინაპრებისაგან გადმოეცემა ისეთი თვისებები და ორგანოები, როშლებიც არსებობისათვის საჭიროებას არ წარმოადგენენ, რადგან მიჩნეულ საზოგადოებრივ ფორმას არ შეეფერებიან. ასეთ თვისებებს ეწოდება ა ტ ა ვ ი ზ მ ე ბ ი, ორგანოებს კი — რ უ დ ი მ ე ნ ტ ე ბ ი. ატავიზმები და რუდიმენტები არიან ძველი დროის ნაშთები, როდესაც მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არსებობისათვის; სამეურნეო ცხოვრების განვითარებამ ახალი საჭიროება და საშუალებები წარმოშვა, მაგრამ, რადგან სამეურნეო ფორმებს ბიოლოგიური და სოციალური ინერცია და კონსერვატიზმი ახასიათებს, ძველი საშუალებები რჩებიან დროთა განმავლობაში, როგორც ძველი დროის მოგონებანი. ახლადშობილ ბავშის ატავიზმებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი თვისებები:

ა) ახლადშობილმა ბავშმა სრულებით ცურვა არ იცის, და წყალში იქვე იძირება; ს

ნაშთია; დ) ბავშის გვერდებისაკენ გაღუნული ფეხები (რკალისებური) დარჩენილია იმ დროიდან, როდესაც ხიზე ცხოვრების გამო ბავში გაჭირვების დროს ფეხებით უნდა მოხვეოდა დედას; ე) ყურების მოძრაობა ახლადშობილს უფრო ემარჯვება, ვიდრე მოზრდილს; ესეც ცხოველური ხანის ნაშთია, 3) ბავშს მეტად უყვარს წვიმის ქვეშ ყოფნა, ბანაობა („ჰიდროფსიქოზი და სხვა").

ატავიზმების გარდა, ადამიანს თანდაყოლილად აქვს სხვადასხვა ორგანო, რომელიც თანამედროვე ცხოვრების პირობებში, სრულებით გამოუსადეგარია; ასეთ რუდიმენტალურ ორგანოებს ეკუთნის: ბრმა ნაწლავი, რაც დარჩენილია იმ დროიდან, როდესაც ადამიანი მცენარეული საჭმელით იკვებებოდა;

ხერხემლის ბოლო ძვალი ე. წ. კუდუსუნის ძვალი, რომელიც ადამიანში თითქმის ატროფიაქმნილია, ყურის მამოძრავებელი კუნთების მოქმედება, თმები სხეულზე, უკანა ძირის კბილები („სიბრძნის კბილები") და სხვა.

თავი მეექვსე.

ბავშის ფსიქიური ცხოვრება

რა არის „ფსიქიური ცხოვრება“?

ფსიქიური ცხოვრება, მატერიალისტური მეცნიერების გაგებით, არის მხოლოდ ბიოლოგიური საშუალება ე. ი. მისი დანიშნულებაა არსებობის შენარჩუნება და მისი გაუმჯობესება გარემოწრის პირობებთან სათანადო შეგუებით.

არაფერი მისტიური და მეტაფიზიკური მასში არ არის ისე, როგორც, მაგალითად, ბუნებისმეტყველებაში; ჩვეულებრივ, ბუნებრივ მოვლენად ითვლება მაგ. ქამელეონის კანის ფერის ცვლა საცხოვრებელი წრის პირობების მიხედვით, ყვავილების ფერადობა —მწერების მოსაზიდავად, მცენარის ღეროს მოძრაობა სინათლისაკენ („გელიოტროპიზმი“), ხოლო ფესვების მოძრაობა მიწისაკენ („გეოტროპიზმი“), მზესუმზირის მიბრუნება მზისაკენ და სხვა. ფსიქიური მოვლენები ბუნების მოვლენათა ბუნებრივი გაგრძელება და დაგვირ ვინებაა; ასეთები მაღალი განვითარების საფეხურზე მდგომი და რთული ორგანიზაციის მქონე ორგანიული მატერიის თვისებები არიან.

ფსიქიური ცხოვრება, როგორც ბიოლოგიური საშუალება, შეიცავს სამ მომენტს: 1) ინფორმაცია, შეტყობინება, გაგება საცხოვრებელი წრის პირობების, 2) დაფასება გაგებული პირობათა ადამიანის ჯანმრთელობისათვის (ემოცია, ანუ გრძნობა, „სასიამოვნო და არა სასიამოვნო“) და 3) რეაქციები ანუ პასუხები მოძრაობით გარეშე სტიმულებზე (გაღიზიანებაზე). მართლაც, რომ ცხოველმა შეინარჩუნოს არსებობა, მან უნდა იცოდეს: რა ხდება იმ წრეში, სადაც ის ცხოვრობს? სასარგებლოა, თუ საზიანოა ესა, თუ ის მოვლენა მისი კეთილდღეობისათვის? თუ საზიანოა—მან უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა (შეებრძოლოს, ან გაიქცეს) თუ სასარგებლოა—დაუახლოვდეს, ხელიდან არ უნდა გაუშვას, მიისაკუთროს. ხსენებული მომენტების მიხედვით, ფსიქიური მოვლენები სამ კლასად იყოფა: 1. შემეცნებითი მოვლენები (ანალიზატორები და აზრები), 2) ემოციონალური მოვლენები (გრძნობები). და 3) მოძრაობანი (რეაქციები). უნდა გვახსოვდეს, რომ ეს კლასიფიკაცია ხელოვნურია

აბსტრაქტიულია: ყოველი ფსიქიური მოვლენა აუცილებლად სამივე ელემენტს შეიცავს, მისი ცალკე ვანხილვა კი აბსტრაქციის ნაყოფი არის, როდესაც, რომელიმე მოვლენის უფრო კარგათ შესწავლისათვის, ხდებდა მისი გამოყოფა და სხვა ელემენტებისაგან დამოუკიდებლად განხილვა. გარემოწრისა და თავის სხეულში არსებული მოვლენის გაგებისათვის, ადამიანს სხვადასხვა საშუალება აქვს: მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა, ს მ ე ნ ა, შ ე ხ ე ბ ა, გ ე მ ო ვ ნ ე ბ ა, უ ნ ო ს ვ ა, მ ო ტ ო რ უ ლ ი (მოძრაობა), ს ტ ა ტ ი კ უ რ ი (წონასწორობის) და ო რ გ ა ნ ი უ ლ ი (სხეულის ჯანმრთელობის) შეგრძნება, ანუ გაგება („ანალიზატორი").

2. ტვინი, როგორც ფსიქიური ცხოვრების ორგანო.

როგორც ვთქვით, ფსიქიური ცხოვრება მეტად განვითარებული ორგანიული მატერიის თვისებაა. ადამიანის ორგანიზმს, რომელიც რამდენიმე მილიონი უჯრედისაგან შესდგება, მეტად მდიდარი ფსიქიური ცხოვრების წარმოშობის თვისება აქვს. ფსიქიური ცხოვრება მთლიანი ორგანიზმის ნაყოფია, მხოლოდ რამდენადაც ეს ორგანიზმი დიფერენციაციაქმნილია ე. ი. რამდენადაც ამ ორგანიზმში ცალკე ნაწილს (ორგანოს) სპეციფიური დანიშნულება აქვს მინიჭებული, იმდენად ფსიქიური ცხოვრების ორგანოდ თავის ტვინი უნდა მივიჩნიოთ.

ასეთ დასკვნას, რომ ტვინი ფსიქიური ცხოვრების ორგანოა, მრავალი ცდა ამტკიცებს: 1) ამაში გვარწმუნებს ტვინის ამოღება („ექსტირპაცია"): გერმანელმა მეცნიერმა გ ო ლ ც მ ა ძალლს ამოუღო დიდი ტვინის ორივე ნახევარი სფერო; „გოლცის ძალლმა", ტვინის ამოღების შემდეგ, 18 თვე იცოცხლა, მაგრამ ფსიქიური ცხოვრების ყველა ნიშანი დაკარგა: ვერ სცნობდა პატრონს, ვერ მოძრაობდა, დაკარგა სმენა, უნოსვა, მხედველობა და სხვა. 2) ყველამ იცის, თუ როგორ სცვლის ფსიქიურ ცხოვრებას სიმთვრალე (ალკოგოლი); ამ ცვლილებას იწვევს სისხლის გაძლიერებული დენა ტვინისაკენ; 3) ადამიანის ფსიქიური ცხოვრების სიმდიდრე, მისი ინტელექტუალური თვისებები დამოკიდებულია ტვინის თვისებებზე: მაგ. ა) ტ ვ ი ნ ი ს მ ო ც უ ლ ო ბ ა ზ ე; საშუალოდ კულტურული ადამიანის ტვინის მოცულობა, მეტია, ვიდრე უკულტურო ადამიანის; ბ) ტ ვ ი ნ ი ს წ ო ნ ა ზ ე; იდიოტის ტვინის წონა 1—2 გირვანქას არ აღემეტება, მამაკაცის ტვინის წონა კი $3^1/_2$ გირვანქას, ქალის —3--$3^1/_4$ გირვ., გამოჩენილი მწერლებისა და მეცნიერთა ტვინის წონა კი 4--5 და მეტ გირვანქას. შეცდომა იქნება, რომ ვიმსჯელოთ ფსიქიური ცხოვრების სიმდიდრის შესახებ მხოლოდ ტვინის სიმძიმის მიხედვით ასეთი

დასკვნა, მაგ., საფრანგეთის ფიზიოლოგმა ბ ი შ ო ფ მ ა გამოიტანა, რომელმაც აღიარა, რომ ქალები თავისი ინტელექტუალური თვისებებით, ვერაოდეს ვერ ამაღლდებიან მამაკაცის დონემდე, რადგან მათი ტვინი, უფრო მსუბუქია, ვიდრე მამაკაცის ტვინიო; მაგრამ, ბიშოფის აზრი ქალების შესახებ საბოლოოდ შემდეგმა კურიოზმა გააბათილა: როდესაც ბიშოფი ვარდაიცვალა, მისი ტვინის სიმძიმე უფრო ნაკლები აღმოჩდა, (1245 გრამი), ვიდრე საშუალო ქალის ტვინის წონა.

გ) უდიდესი და უტყუარი მნიშვნელობა ტ ვ ი ნ ი ს ზ ე დ ა პ ი რ ი ს თვისებებს აქვს: რაც უფრო მეტი ნაოჭები, სორკლები, ხნულები აქვს ტვინის ზედაპირს (ტვინის გარსს, ტვინის გარეგან-ნაცრისფერ ნივთიერებას), მით უფრო მდიდარია ადამიანის ფსიქიური ცხოვრება. იდიოტების, ბავშვებისა და ახლადშობილთა ტვინის ზედაპირი თითქმის გადაგლესილი უნაოჭოა და მხოლოდ მთავარი ნაპრალებია შესამჩნევი. (იხ. ნახატი № 8). გენიალური პირების ტვინის ზედაპირი კი მეტად



ნახ. 8.

ექვსი თვის ადამიანის ჩანასახის ტვინი

დახნული და დანაოჭებულია (იხ. ნახატი №№ 9-10.) დ) მნიშვნელობა აქვს აგრეთვე შეფარდებას ტვინის წონასა და მთელი ორგანიზმის წონას შორის. სხვადასხვა ცხოველისათვის ეს შეფარდება შემდეგია: თევზები— 1:5666, ქვემძრომნი 1:1320, ფრინველები—1:212, ადამიანი—1:40 ან 60. (საშუალოდ:1:49).

ვიმეორებთ, რომ თითოეული პირობა ადამიანის ინტელექტუალური თვისებების გამოსარკვევად, ცალკე არავითარ საიმედო ცნობას არ იძლევა; ყოველი მათგანი უტყუარ საზომს წარმოადგენს მხოლოდ მაშინ, როდესაც დანარჩენი სხვა პირობა თანაბარია.

ახლადშობილ ბავშს, გარეგნულად, თავის ტვინი იმავე ფორმის აქვს, როგორიც მოზრდილს, მაგრამ მისი ტვინი მეტად სუსტადაა განვითარებული. თუმცა ბავშის ტვინი მოცულობით დიდია და სიმძიმითაც მნიშვნელოვანია, მაგრამ სხვა ზემოჩამოთვლილი პირობები ნათელყოფენ, თუ რატომ არ არის ბავშის ტვინის ფუნქციები სათა-

ნადოთ განვითარებული: ბავშის ტვინის ზედაპირს არა აქვს ნაპრალები, გარდა ორი-სამი ხნულისა და საერთოდ, მორფოლოგიურად ბავშის ტვინი პრიმიტიულ მდგომარეობაშია.



ნახ. 9.
მათემატიკოს გ ა უ ს ი ს
ტვინის ნაპრალები.



ნახ. 10.
ფიზიკურად მომუშავეს
ტვინის ნაპრალები

ბავშის ტვინზე დაკვირვება ნათელყოფს, რომ მას მოტორული (მოძრაობის) ცენტრები უფრო განვითარებული აქვს, ვიდრე სენსორული (მგრძნობიარე). სენსორულ ცენტრებს შორის ერგვარად მომქმედია: შეხების, ყნოსვისა და გემოვნების ცენტრები.

3. ბავშის კავშირი გარემოსთან:

ა) შეხება.

შ ე ხ ე ბ ი ს საშუალებით ადამიანი საგნების ტერმინსა (ტემპერატურულ) და ტაქტილურ (ზედაპირის) თვისებებს გებულობს. მას ეკუთნის: სითბოსა და სიცივის გაგება, ზედაპირის: სიბლაგვის, სიმახვილის, მოლიპულობისა და ხორკლიანობის გაგება. გარეგნული დაკვირვებით და მარტივი ცდებით შეგვიძლია გამოვარკვიოთ, თუ რამდენად აქვს ბავშს შეხების უნარი განვითარებული. ბავშის ტუჩებზე მიკარება წოვით მოძრაობას იწვევს; თვალებზე მიკარება—მათ დახუჭავს. ახლადშობილს, რომ ხელის გულზე მივეკაროთ, ბავში ხელს დამუჭნის და მაგრად მოგვკიდებს ხელს; ფეხის გულზე შეხიცინების დროს—ბავში ფეხს გასწევს; ცხვირზე ხელის მოკიდებაზე ბავში თვალების დახუჭვით უპასუხებს; ცხვირში შეხიცინება ბავშს აწუხებს და ბავში მას დაცხინკვებით უპასუხებს; ბავშის თვალების წინ, რომ ხელი გავაქნიოთ, ბავში თვალებს არ დაახამხამებს, სანამ თვით თვალებს არ მივეკარებით. ბავში აგრეთვე სითბოსა და სიცივეს გებულობს; დაბადების შემდეგ ბავში ყვირის და კანკალებს სიცივის გამო, მაგრამ

საკმარისია ბავში თბილად გავხვიოთ, ან თბილ აბანოში, მოვათავსოთ რომ ის დაწყნარდეს. ბავში სულის შებერვასაც გრძნობს, რასაც მისი უსიამოვნების გამომხატველი მიმიკა და თვალების დახამხამება ამოწმებს.

ბ) ყნოსვა. ყნოსვა ცხოველის ჯანმრთელობისა და თავდაცვის დარაჯად ითვლება. ცხადია, თუ როგორ მნიშვნელობა აქვს ყნოსვას სხვადასხვა მონადირე ცხოველებისათვის მაგ-ძაღლისათვის და სხვა. ახლადშობილ ბავშს, თუმცა აქვს ეს ანალიზატორი, მაგრამ იგი მეტად სუსტია, შედარებით სხვა ცხოველების ყნოსვასთან, რომლითაც ცხოველები სასარგებლოსა და უვარგისს საკმელებს არჩევენ. ბავში ვერ გებულობს სუნს დაბადების შემდეგ, მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში, სანამ მისი ცხვირი ლორწოთია სავსე. მაგრამ, 3-4 საათის შემდეგ, როდესაც სუნთქვის გამო, ლორწო ცხვირს მოსცილდება, ბავში უკვე არჩევს სუნს. ძლიერი სურნელოვანი საგნის მოახლოვების დროს, ბავში ისეთ მოძრაობას მოახდენს, რომელიც გვიჩვენებს, რომ ბავში დაცვასა და, ამ სუნის მოცილებას ცდილობს. დედამ, რომ ძუძუზე ნავთი, ან სხვა სურნელოვანი ნივთიერება წაისვას, ბავში ძუძუს აღარ მოსწვეს. დედის ძუძუს მიახლოვების დროს, ბავშვის ძუძუს ყნოსვის საშუალებით „ეძებს“ და სხვა.

გ) გემოვნება. რომ ავიღოთ ქინაქინი და შაქრის ხსნილი და წვეთობით მივცეთ ბავშს, შევამჩნევთ, რომ იგი მათ განსხვავებულად უპასუხებს: შაქრის ხსნილის მიღების დროს ბავში გამოყოფს ენას და ილოკავს ტუჩებს, ხარბად სწოვს და გაფართოვებული თვალებით ყლაპავს („სიამოვნება“); ქინაქინის მიღების დროს-კი—დახუჭავს თვალებს, არ გადაყლაპავს, იყვირებს და სხვა („უსიამოვნება“). ასეთივე რეაქციებს ახდენს ბავში მჟავესა და მლაშე საკმელის მიღების დროს. შემჩნეულია აგრეთვე, რომ ბავში პირველ დღეებშივე უარს ამბობს წამლისა და ძროხის რძის მიღებაზე.

დ) სმენა. ახლადშობილ ბავშს სმენა პირველი კვირის განმავლობაში სრულებით არ აქვს; ის ყრუ, არის. ბავშის რეაქცია-შეკრთომა ძლიერ ხმაურობაზე 0,-8 დღემდე აიხსნება ერა მით, რომ ბავშს იგი ესმის, არამედ შეხებითი შეგრძნობით. ბავშის სიყრუეს ის გარემოება იწვევს, რომ მისი სმენითი მილები სავსეა წებოიანი ჟელატონოზური ლორწოთი. მაგრამ ლორწოს მოცილების შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში, ბავშს სმენა მაინც მეტად სუსტი აქვს. დედის ხმას ბავში მხოლოდ 1 თვიდან —4 თვემდე იცნობს. ხმაურობაზე თავის მობრუნება კი მხოლოდ მე-

4—5 თვის შემდეგ იწყება. მუსიკალური მელოდიები ბავშში იწვევს სიამოვნებას მხოლოდ მე-3 თვიდან, ხოლო მუსიკალური „სმენა“ ე. ი. კილოების გარჩევა შეუძლია ბავშს მხოლოდ 8 წლის ასაკის შემდეგ.

ე) მხედველობა. მხედველობაც ბავშს მეტად სუსტად აქვს განვითარებული; „თვალები ახილული აქვს, მაგრამ ბრმა არის“. თვალებს ბავში სრულებით არ ახამხამებს. თავ-დაცვითი რეაქციებს, (თვალების დახუჭვა და სხვა) ხელის, ან რომელიმე საგნის მიახლოების დროს, ბავშში ადგილი არ აქვს. საგნების ფერის, ფორმის, მდებარეობის, მანძილის, სიდიდისა და სხვა სივრცეობითი თვისებების გაგებაზე—ლაპარაკიც ზედმეტია. მხოლოდ ძლიერი სინათლის მოქმედების დროს ბავში თვალებს ხუჭავს. აგრეთვე ბავშს ორი თვის განმავლობაში არ აქვს თვალებით მოძრაობის კოორდინაცია (შეთანხმება); ხან ერთი თვალი აქვს გახილული, ხან—მეორე; თუ ორივე თვალია გაღებული—მათ თანხმოვნობა მოძრაობის მიმართულების მხრივ არ აქვთ და ბავში ელამივით იყურება; ბავშს ცალი თვალით მოძრაობა შეუძლია, როდესაც მეორე თვალი უძრავად არის, მაგ. როდესაც ერთი თვალი ზევით იყურება, მეორე პირდაპირ მიჩერებია და სხვა. ფერების გარჩევას ბავში ახდენს მე-11 თვიდან. ყველაზე უფრო ადრე ბავში არჩევს ერთმანეთისაგან თეთრსა და შავ ფერებს; ხატვის დროს ბავში უფრო ხშირად ხმაროპს ლურჯს, წითელს და მწვანე ფერებს.

ვ) მოტორული შეგრძნება. მ ო ტ ო რ უ ლ ი, ანუ მ ო ძ რ ა ო ბ ი ს შ ე გ რ ძ ნ ე ბ ა ეწოდება ისეთ ფსიქიურ მოვლანას, რომლითაც ადამიანი გებულობს თავისი სხეულის ორგანოების მოძრაობას და მდებარეობას სივრცეში ე. წ., „კინესტეზიური შეგრძნება“) და აგრეთვე გებულობს იმ წინააღმდეგობასაც, რომელსაც განიცდის ადამიანი სხვადასხვა საგნისაგან; მაგ. ხელის მდებარეობის გაგება მაშინ, როდესაც თვალები დახუჭული გვაქვს და ესა, თუ ის მდებარეობა ხელს მისცა სხვა ადამიანმა, აგრეთვე საგნის წონადობისა და სხვა თვისებების გაგება, რომელიც დაკავშირებულია, უმთავრესად, კუნთების მოქმედება-დაჭიმვასთან—მოტორულ შეგრძნებებს ეკუთვნის. ახლადშობილ ბავშს, რომელსაც მხოლოდ თანშობილი უნარი აქვს მოძრაობისა და ეს-ეს არის დაიწყო მოძრაობა, ცხადია მოტორული შეგრძნება არა აქვს.

ზ) სტატიკური შეგრძნება.

იგივე ითქმის სტატიკური შეგრძნების შესახებ. სტატიკური ეწოდება შეგრძნებას, რომლითაც ადამიანი ეცნობა თავისი ორგანიზმის მდებარეობას სივრცეში. რეცეპტორად, ანუ წონასწორობის ფიზიოლოგიურ ორგანოდ, სამ მუხლოვანი მილია (полукружные каналы) შინაგან ყურში, რომლის სამივე მუხლი ერთგვარი სითხითაა ავსილი; ორგანიზმის ჩვეულებრივი (სწორი) მდებარეობის დროს სითხე სამივე მილში ერთ დონეზეა; სხეულის გადახრა ან, საერთოდ მდებარეობის შეცვლა, იწვევს ცვლილებას მილებში სითხის სიმაღლის მხრივ და, მგრძნობიარე ნერვის საშუალებით, ადამიანმა იცის, თუ როგორი მდებარეობა აქვს მის სხეულს სივრცეში. (შეადარეთ ეს რეცეპტორი თარაზოს!)

თ) ორგანიული შეგრძნება.

მგრძნობიარე ნერვების საშუალებით, ადამიანს აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ მის სხეულში ამა თუ იმ ორგანოს მდგომარეობა როგორია. ადამიანის ორგანიზმი მეტად რთული ფიზიოლოგიური მექანიზმია. ერთდროულათ მრავალი სხვადასხვა პროცესი მიმდინარეობს მასში. ადამიანი თავს გრძნობს ხან ჯანმრთელად, ხან ცუდათ: ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია კომპლექსი, ანუ შეერთება მასში ერთდროულად არსებული სხვადასხვა ფიზიოლოგიური პროცესების. ამ საერთო მდგომარეობას ფსიქოლოგიაში თვითგრძნობა ეწოდება **настроение, самочувствие,** ხოლო ცალკე ფიზიოლოგიური პროცესის გაგებას კი ორგანიული შეგრძნება (ორგანიული ანალიზატორი). უკანასკნელის სახეებია: გაგება სხეულის ტემპერატურის (უთერმომეტროდ), სისხლის პულსაციის, ორგანოს ტკივილის, დაღლილობის, გულის. არევის, შიმშილის, წყურვილისა და სხვა. ზემოაღნიშნულ ორგანიულ შეგრძნებებიდან ბავში გამოხატავს შიმშილისა და წყურვილს (რაც ბავშისათვის განუყრელია), ტკივილსა და დაღლილობას. სამივეს ბავში უპასუხებს ყვირილით, ხოლო დაღლილობას კიდევ—ძილით. აღსანიშნავია, რომ ბავშის მგრძნობელობა ტკივილის გამომწვევ მიკარებისადმი მეტად სუსტია, მაგ. ბავშს რომ წვეტიანი საგნით ვუჩხვლიტოთ (ნემსით), ის ამაზე სუსტ რექციას მოახდენს. მაგრამ, თუ გამაღიზიანებელი ბლაგვი ზედაპირის მქონეა, ე. ი., თუ იგი ერთდროულად ნერვის ბოლოების დიდ რიცხვს ეხება, მაგ. თუ ბავშს ხელს გავარტყამთ ლოყაზე, ბავში იქვე და მძლავრი რეაქციით —ყვირილით გვიპასუხებს.

ი) დაქანცულობა და ძილი.

ახლადშობილ ბავშს თითქმის სულ სძინავს, რაც აუცილებელია მისი ზრდა-ჯანმრთელობისათვის, რადგან ძილის დროს სიცოცხლისათვის საჭირო ენერგიის მომარაგება-დაგროვება ხდება." დაბადების შემდეგ ბავში მოძრაობს, რაც მის ენერგიას ხარჯავს და ამით დაღლილობას იწვევს. უკანასკნელი, მოძრაობის ბუნებრივი შედეგია. და მას გამაფრთხილებელი დანიშნულება აქვს, რომელიც მიუთითებს ცხოველს, რომ მან მოძრაობას (თამაშობას და გონებრივ-ფიზიკურ შრომას) თავი უნდა დაანებოს. ფიზიოლოგიურად, დაქანცულობა ერთგვარი „დამქანცველი ნივთიერებით" მოწამლას წარმოადგენს, რომელსაც „ჰ ი პ ტ ო ტ ო ქ ს ი ნ ი" ანუ „კ ე ნ ო ტ ო ქ ს ი ნ ი" ეწოდება; იმდენად ძლიერია ხსენებული გორმონის ჰიპტოტოქინის მოქმედება ცხოველის ორგანიზმზე, რომ, საკმარისია იგი შეუშხაპუნოთ სრულიად ჯანმრთელსა და დასვენებულ ძაღლს რომ მან იქვე დაიძინოს. დაქანცულობას ახასიათებს: კუნთების ტკივილისა და სიმძიმის შეგრძნება, ძლიერდი, აჩქარებული პულსი და სუნთქვა, მოდუნებული მოძრაობა, მეტყველება და აზროვნება, მთვლემარე მდგომარეობა, მახსოვრობის დასუსტება, შთაგონებისადმი მორჩილება, კანის მგრძნობელობის დაჩლუნგება, აპეტიტის დაკარგვა და სხვა. თუ, ასეთი გამაფრთხილებელი ნიშნების, მიუხედავათ, ადამიანი კვლავ განაგრძნობს მუშაობას, დაქანცულობა ქრონიკულ (მუდმივ) ხასიათს მიიღებს, რომელსაც ველარ სპობს დასვენება: ადამიანი ნევრასტენიით (ე. ი. ნერვების სისუსტით) დაავადდება, ამას დაერთვის უ ძ ი ლ ო ბ ა, რაც კიდევ უფრო ართულებს ორგანიზმის მდგომარეობას. ასეთ. ქრონიკულ დაქანცულობას გ ა დ ა ქ ა ნ ც ვ ა, ანუ გადაღალვა ეწოდება (переутомление). დასვენების შემდეგ, მაგ. დილით, გადაღლილი ადამიანი თავს კვლავ დაღლილად გრძნობს.

ხშირად ფიქრობენ, თითქოს ფიზიკურ მუშაობას სულ სხვა ენერგიის წყარო აქვს, გონებრივს კი—სულ სხვა და, მაგ. გონებრივი მუშაობით გამოწვეულ დაღლილობისათვის ფიზიკური ვარჯიშობა დასვენებას წარმოადგენს. სასკოლო პრაქტიკაში მიღებულია გაკვეთილების შემდეგი განაწილება: პირველი გაკვეთილები დათმობილი აქვს სხვადასხვა სასწავლო საგანს, რომელიც გონებრივ მუშაობას მოითხოვს, ხოლო უკანასკნელ გაკვეთილად არის ფიზიკური ვარჯიშობა. გაკვეთილების ასეთ განაწილებას საფუძვლად უდებენ ზემომიყვანილ მოსაზრებას, მაგრამ ეს დიდი შეცდომაა. როგორც ნერვიული (გონებრივი), ისე კუნთების მუშაობა მოითხოვს ენერგიის დახარჯვას; მუშაობის ორივე სახე ენერგიას ხარჯავს ერთსა და იმავე

წყაროდან, რასაც ადამიანის მ თ ლ ი ა ნ ი ორგანიზმი წარმოადგენს. ასე რომ, ენერგიის დახარჯვა ერთი მიმართულებით ორგანიულად დაკავშარებულია მეორე მიმართულებით მუშაობისათვის საჭირო ენერგიის რაოდენობის შემცირებასთან და ამიტომ ფიზიკური ვარჯიშობა გაკვეთილების შემდეგ, პირიქით, უფრო მეტ დაღლილობას იწვევს. წესიერი ცვლა: შრომისა და დასვენების გონებრივი და ფიზიკური შრომის, ნორმალური ძილი და კვება და სხვა დაღლილობის საზიანო შედეგებთან ბრძოლის მთავარი საშუალებაა*).

დახარჯული ენერგიის ასანაზღაურებლად, ძილი საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს; ძილის დროს ადამიანი ხარჯავს მხოლოდ 14% იმ ენერგიისა, რაც სიფხიზლის დროს იხარჯება. ახალადშობილის ძილი დღე-ღამეში 20—22 საათი გრძელდება და ბავში ილვიძებს მხოლოდ საჭმელის მისაღებად. ინგლისელ ექიმს დ ი უ კ ს შედგენილი აქვს ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორი ხანგრძლივობის ძილია საჭირო ბავშისათვის სხვადასხვა ასაკში.

ასაკი:	ძილის ხანგრძლივობა დღე-ღამეში:	ასაკი:	ძილის ხანგრძლივობა დღე-ღამეში:
ახალადშობილი	20—22 საათი	10 წ.	11 საათი
2 წლ.	15 საათი	13 წ.	10½ „
2-6 წლამდე	13	15 წ.	10
7 წლ.	12½ „	17 წ.	9½ „
8 წლ.	12	19 წ.	9
9 წლ.	11½	19 წ. ზევით	9

ეს ცხრილი ცნობებს ნორმალური ძილის ხანგრძლივობის შესახებ იძლევა; სხვა პირობებში კი (ბავშის ავადმყოფობა და სხვა) ეს ცხრილი მიუღებელია.**)

---

*) ბავშთა დროის ბიუჯეტის რაციონალურად განაწილების ნორმები იხ. ამ წიგნში დამატება მე-III

**) ძილის შესახებ დაწვრილებით იხ.: Е. А. Аркин: „Сон и жизни взрослого ребенка".

კ. გარემყარის აღქმა ბავშის მიერ.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ბავში გარემყართან გაცნობის დროს მიდის მარტივიდან—რთულისაკენ, ანალიზიდან—სინთეზისაკენ: თითქოს, ბავშის მიერ გარემყარის აღქმა იწყება მარტივი, ერთეული თვისებების გაცნობიდან, და შემდეგ თანდათან ხდება მაღი შეჯამება, რთული ფსიქიური მოვლენების შედგენა. პირიქით, ბავშის პირველდაწყებითი მდგომარეობა უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც „გაფანტული ზოგადი მგრძნობიარობა“ (ვ. სტერნი — „рассеянная, общая чувствительнсть“.) რომელიც რთულ ქაოსს წარმოადგენს და სადაც ცალკე თვისებები არ არის დიფერენციაციაქმნილი (გამოყოფილი).*) ბავშის ფსიქიური მდგომარეობა შეგვიძლია შევადაროთ მოზრდილი ადამიანის მთვლემარე მდგომარეობას, რომლის დროს იგივე არჩევს ცალკე: სინათლეს, ხმაურობას, ტანსაცმელის სიფიწროვეს, ოთახის ტემპერატურას, გულის ძგერას, სისხლის ცირკულიაციასა და სხვა; პირიქით, ყოველივე ეს შეერთებულია, გაერქვეფილია საერთო მგრძნობიარობაში (ე. წ. „გენერალიზაციის სტადია“). ბავშის მდგომარეობა დედის წიაღიდან გარემყარში გამოსვლის შემდეგ მთვლემარე მოზრდილ ადამიანზე კიდევ უფრო ბუნდოვანი და ქაოტიურია.

ამ ქაოსში ბავში ერკვევა თანდათან: ბავშის თანდაყოლილი მოძრაობა და ყურადღება ამ ქაოსიდან გამოყოფს ცალკე თვისებებს და ბავში ამ გზით ეცნობა მისთვის ახალ ცხოვრებას. ასეთ გამოყოფას მოყვება ცალკე თვისებების კვლავ შეერთება („ასოციაციები“) მხოლოდ ახალსა და უფრო ნათელ ფორმებში და ბავში ეცნობა, როგორც ეროეულ საგნებსა და მოვლენებს, აგრეთვე მათ მთლიანობასაც. ცხოვრებაში გარკვევის გზა ბავშის მიერ შემდეგ სქემას წარმოადგენს: მთლიანი ქაოსი>—ანალიზი>—სინთეზი>—ანალიზი etc. მაგალითად, დედის პირისახე ბავშს ეჩვენება, ალბად, როგორც გაურკვეველი ნათელი წერტილი; ბავში დედის პირისახის დეტალებს თანდათან არჩევს, ამას დედის სიმღერისა და მეტყველების ბგერათა შთაბეჭდილება ერთვის და სხვა. (ანალიზისა, ანუ „დიფერენციაციის სტადია“). ვილიამ სტერნ'მა მოახდინა ცდები „სხვადასხვა ასაკის ბავშებზე და დააწესა ბავშთა აღქმის 4 სტადია (ე. წ. „სტადიათა კანონი“); სტერნი აძლევდა ბავშებს სურათს და თხოვდა აეწერათ იგი; გამოირკვა, რომ სხვადასხვა ასაკში ბავში სურათის სხვადასხვა მხარეს აქცევდა ყურადღებას.

---

*) ასეთივე აზრს ბავშის აღქმის შესახებ იზიარებს პროფ. არიამოვი („Основы педологии“ გვ. 95) შელოვანოვი და სხვა პედოლოგები.

ხსენებული სტადიების დასაბასიათებლად ავიღოთ, სანიმუშოდ, სურათი „ავადმყოფი ბავში“ (იხ. ნახ. 11.); ამ სურათის შინაარსი

11.

ასეთია: სარეცელზე წევს ავადმყოფი ბავში; მის გვერდით სკამზე ზის ექიმი: ბავშის ახლოს ზის დედა და ტირის; მაგა დგას და ამშვიდებს მას; მაგიდაზე უწესრიგოდ დალაგებულია: სანათი, ჭურჭელი, წამლები. იატაკის სხვადასხვა ადგილას არიან: კატა და კნუტი, „სამოვარი,“ სკივრი და სხვა... როგორ აგვიწერს ბავში ამ სურათს თავისი სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდში?

1) 8 წლამდე ბავშის აღწერა: „ეს რა არის? ბებია, კიდევ ბიძია, აი დეიდა, აი ციცუნია, კიდევ ციცუნია, არა! კნუტი; ეს ვინ არის? ბავში. ლოგინი, ღუმელი, სანათი, შუშა კიდევ შუშა“ და ასე შემდეგ.

როგორც ვხედავთ, ბავში სურათის აღქმის დროს ხედავს მხოლოდ ერთეულ საგნებსა და პირებს, ჩამოთვლის მათ და არ ამყარებს მათ შორის კავშირს, რაც საჭიროა მთლიანი სურათის ძირითადი შინაარსის გასაგებათ. აღქმის ამ სტადიას — საგნობრივი სტადია ეწოდება.

2) 8 წლის ბავში იგივე სურათს სხვაგვარად აგვიწერს: „ერთი ბიძია ზის. მეორე—დგას, დეიდა ტირის. ბავში წევს, კატა თამაშობს. „სამოვარი დგას“ და სხვა. სურათის აღქმის დროს ბავში ამ სტადი-

აში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოქმედებას, მდგომარეობას, თუ რას აკეთებენ ადამიანები და ცხოველები და რა მდგომარეობაში არიან დახატული საგნები. მეორე სტადიას— მ ო ქ მ ე დ ე ბ ა თ ა ს ტ ა- დ ი ა ეწოდება.

3) 9-10 წლის ბავშისათვის ტიპიურია ასეთი აღწერა სურათის: „ბიძია ზის ბავშის ახლოს", „ბიძია ზის ს კ ა მ ზ ე", „კატა თამაშობს ი ა ტ ა კ ზ ე", „ჟურჟელი არის მ ა გ ი დ ა ზ ე" და სხვა. მესამე სტა- დიას, რომელსაც მ ი მ ა რ თ ე ბ ა თ ა ს ტ ა დ ი ა ს უწოდებენ, ახასია- თებს სივრცეობათი, დროისა და მიზეზობრივი ურთიერთობათა კა- თეგორიები სურათზე დახატულ საგნებს, ცხოველებსა და ადამიანთა შორის.

4) ჩავატაროთ იგივე ცდა 11-12 წ ლ ი ს ბავშზე; სურათის აღწერა ასეთი იქნება: „პ ა ტ ა რ ა ბავში წ ე ვს ლ ო გ ი ნ ზ ე", „ბავში ავადმყო- ფია", „ექიმი—მ ო ხ უ ც ი ა, წ ვ ე რ ი ა ნ ი ა", „დედა ზის, მ ო ღ უ ნ უ- ლ ი ა", „მაგიდა აულაგებელია, მაზე არის ჟურჟელი, პ ა ტ ა რ ა შ უ შ ა", „ი ა ტ ა კ ზ ე პ ა ტ ა რ ა კ ნ უ ტ ი თამაშობს" და სხვა. როგორც ამ აღწე- რიდან სჩანს, ბავში უკვე აპყრობს ყურადღებას საგნების დამახასია- თებელ თვისებებს, ნ ი შ ნ ებ ს. მეოთხე სტადიას— თ ვ ი ს ე ბ ა თ ა, ანუ ნ ი შ ა ნ თ ა ს ტ ა დ ი ა ეწოდება.

მაშასადამე, ვ. სტერნის მიხედვით, ბავში ითვისებს პირველად საგნის მხოლოდ ფ ო რ მ ა ს, შემდეგ—მოძრაობას, ამის შემდეგ—საგან- თა ურ თ ი ე რ თ მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ი ს ს ი ვ რ ც ე შ ი დ ა ბ ო ლ ო ს—თ ვ ი- ს ე ბ ებ ს, კ ე რ ძ ო დ ფ ე რ ი ს ა და ფ ო რ მ ი ს დ ე ტ ა ლ ებ ს. სტერ- ნი შენიშნავს, რომ სტადიათა გავლის ტემპი დამოკიდებულია ვარ- ჯიშობაზე და, ამიტომ, შეუძლებელია დაწესდეს ისეთი ასაკი, რომელ- საც ახასიათებს დამკვირვებლობის (აღქმის) ესა, თუ ის ეტაპი. ამასთანავე შესაძლებელია, რომ ბავში იყოს ერთი და იგივე ასაკში, იყოს სხვადახვა სტადიაში თავისი რეაქციების მიხედვით.

თავი მეშვიდე.

ბავშის სხეულის ზრდა-განვითარება

ბავშის ჯანმრთელობის პირობები.

როგორც ვიცით, ბავში მოზარდი ადამიანია. ბავშის ზრდა წარმოადგენს მისი ორგანიზმის შემადგენელ ნივთიერების (მასის) რიცხვობრივ გადიდებას, სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით. ნივთიერების გადიდება ორგანიზმში სხვადასხვა ცვლილებას იწვევს: იცვლება ადამიანის კონსტიტუცია (სიმაღლე, წონა, სხვადასხვა ორგანოების მოქმედება და სხვა), და ფსიქიური ცხოვრება.

ადამიანის ორგანიზმის ფიზიკური მდგომარეობა - განვითარების ძირითად მაჩვენებლებს სიმაღლე და წონა წარმოადგენს.

1. სიმაღლე. ახლადშობილი ბავშის სიმაღლე 50 სანტიმეტრს უდრის; თანდათან ბავშის სიმაღლე იმატებს შემდეგი ცხრილის მიხედვით:

ასაკი:	დაბადების დროს	1 თვე	6 თვე	12 თვე	2 წ.	3 წ.	4 წ.	5 წ.	6 წ.	7 წ.	8 წ.
სიმაღლე (სანტიმეტრ.)	50	53	63	70	80	88	95	101	107	113	119

ეს ცხრილი ეხება რუს ბავშებს 0—8 წლამდე, სქესის გენურჩეველად.

აქვე მოგვყავს სიმაღლის ზრდის ცხრილი, რომელიც შემუშავებულია სხვადასხვა ქვეყნის ავტორების მიერ და 60,000 დაკვირვების შედეგს წარმოადგენს:

ასაკი.	სიმაღლე (სანტიმეტრ.)		ასაკი	სიმაღლე (სანტიმეტრ.)	
	ვაჟი	ქალი		ვაჟი	ქალი
0 წ.	50	50	9 წ.	122.2	121.1
1 წ.	70	70	10 წ.	127.7	127.
2 წ.	80.7	80.7	11 წ.	131.1	132.0
3 წ.	88.2	88.2	12 წ.	136.0	137.0
4 წ.	93.7	93.6	13 წ.	141.3	142.9
5 წ.	102.2	101.3	14 წ.	147.6	148.6
6 წ.	107.8	106.9	15 წ.	153.0	150.9
7 წ.	113.6	112.1	16 წ.	160.0	151.9
8 წ.	117.0	116.3	17 წ.	162.2	153.9
			18 წ.	165.8	155.2

ქალების სქესობრივი მომწიფება მათი სიმაღლის სწრაფად ზრდას იწვევს. (11 წლიდან—15 წლამდე).

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, ვაჟების სიმაღლე საშუალოდ მეტია ქალებზე, სქესობრივი მომწიფების პერიოდის გამოკლებით.

აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ ბავშის სიმაღლის ზრდა ხდება ხერხემლისა და, უმეტესად კი, ქვედა კიდურების გაგრძელებით.

ბავშის ორგანიზმის სიგრძის ზრდა დამოკიდებულია ისეთ ენდოგენურ ფაქტორებზე, როგორიცაა: მემკვიდრეობა, შინაგანი სეკრეცია, კონსტიტუცია და სხვა; ისეთი მძლავრი სოციალური ფაქტორის ზეგავლენითაც კი, როგორიცაა საკვები მასალის სინაკლულე, ან სრული შიმშილობა, სხეულის სიგრძის ზრდა ჰაინც გრძელდება იმ დროამდე, სანამ არ იქნება დახარჯული ორგანიზმის საარსებო მარაგი. თუმცა საკვები მასალის სიმცირეს, ან უქონლობას შეუძლია, ერთგვარად მოახდინოს გავლენა სხეულის სიგრძის ზრდაზე (მაგ; ბავშები ცუდი კვების დროს ნელა იზრდებიან, ან სრულიად ჩერდება მათი ზრდა). მაგრამ, თუ შიმშილობის შემდეგ ჩავაყენეთ ისინი კვების სათანადო პირობებში, ასეთი ბავშები მალე დაეწევიან სიმაღლის მხრივ უკეთესი კვების მქონე ბავშებს. ასეთი გარემოების მიუხედავათ, სიმაღლის ზრდის დამოკიდებულება სოციალურ ფაქტორებზე მაინც უდავოა. ამას ადასტურებს თუ გინდ, ის ფაქტიც, რომ ღარიბი წრის ბავშები საშუალოდ უფრო დაბალი არიან, ვიდრე შეძლებული ოჯახების შვილები, რასაც ნათელყოფს შემდეგი ცხრილი.

მოსწავლეთა სიმაღლე (სანტიმეტრებში) მატერიალური უზრუნველ-ყოფის მიხედვით.

ასაკი	მდიდრები	საშუალოდ უზ-რუნველყოფ.	ღარიბები
9—10 წ.	130,6	130.4	128,0
10—11 „	135,2	134.1	131.4
11—12	139,0	138,4	135,9
12—13	145,0	142,6	140,4
13—14	146,9	147,9	146,0
14—15 „	157,0	155,6	153,3
15—16 „	162,3	161,7	159,3
16—17	166,8	165,6	163,7
17—18	169.1	167.8	166,5
18—19 „	169,7	169,6	167,9
19—20 „	170.8	170,2	168,7
20—21 „	171,3	168,9	168,6.
დაკვირვებათა რიცხვი	1984	3385	1189 .

ამ ცხრილიდან ნათელია, თუ რამდენათ მნიშვნელოვანი არიან ეკონომიური პირობები სიმაღლის ზრდაზე ზეგავლენის მხრივ. სიმაღლის ზრდაზე გავლენას ახდენს სქესობრივი მომწიფების თარიღიც. რაც უფრო გვიან ასაკში სრულდება სქესობრივი მომწიფება, მით უფრო ინტენსიური და ხანგრძლივია სიმაღლის გაძლიერებული ზრდის პერიოდი და პირუკუ: **რაც უფრო ადრე სრულდება სქესობრივი მომწიფება, მით უფრო იკვეცება სიმაღლის გაძლიერებული ზრდის პერიოდი და მით უფრო ნაკლებია სიმაღლის საბოლოო შედეგები“** (ვაისენბერგი).

ამ დებულების სისწორეს ადასტურებს, სხვათაშორის, ვაჟების სიმაღლის უფრო მეტი შედეგები, ვიდრე ქალების, რადგან უკანასკნელთა სქესობრივი სიმწიფის პერიოდი სრულდება ვაჟებზე უფრო ადრე.

ამას გარდა, დადასტურებულია, რომ სამხრეთის ქვეყნებში მცხოვრებნი შედარებით უფრო დაბლები არიან, ვიდრე ჩრდილოეთის მცხოვრებნი; ეს მით აიხსნება, რომ პირველთა სქესობრივი მომწიფების პერიოდი უფრო ხანმოკლეა, ვიდრე ჩრდილოეთის მცხოვრებთა.

2. წონა წონას, ანუ სხეულის, მასას „ადამიანის სასიცოცხლო ბარომეტრს უწოდებენ, რამდენადაც წონა მართლაც არის საიმედო ნიშანი, რომლითაც განისაზღვრება ადამიანს ორგანიზმის ძალთა მარაგი*) ქვემო მოყვანილი ცხრილი ცხადათ გვიჩვენებს, რომ მატერიალურად ცუდად უზრუნველყოფილი წრის ბავშები წონის მხრივ ჩამორჩებიან მდიდარი წრის თავისი ტოლებისაგან.

სოციალური შუალის გავლენა სიმაღლესა

და წონაზე.

(ვლეზინგერის მიხედვით).

ასაკი	სიმაღლე (სანტიმეტრებში)		წონა (კილოგრამებში)	
	კარგად უზრუნველყ.	არა უზრუნველყოფილნი	კარგად უზრუნველყოფ.	არაუზრუნველყოფილნი.
6 წ.	118,0	112,0	40.9	18,6
7 წ.	122,0	118,0	22,3	20.6
8 წ.	126,5	123,0	24,5	23,1
9 წ.	132,5	128,0	27,6	24,6
10 წ.	135,5	130,5	28,9	27,1
11 წ.	139,5	135,0	31.5	28,2
12 წ.	145,5	141,5	34.7	32,2
13 წ.	150,0	147,5	38,8	33,8
14 წ.	157,0	151,5	42.5	38,8
15 წ.	163,0	154,0	49,0	43,5
16 წ.	168.5	158,0	54,7	48,6
17 წ.	170,0	—	—	—
18 წ.	172,0	—	—	—
19 წ.	172,0	—	—	—
20 წ.	172,0	—	—	—

ადამიანის ფიზიკურ განვითარებაზე უდიდეს გავლენას ახდენს სოციალური შუალის ისეთი ფაქტორი, როგორიცაა პროფესია. პროფესიის გავლენა ბავშთა სიმაღლეზე, წონას და სხეულის ძალაზე გამოკვლეული იყო ისეთ ბავშებზე, რომლებიც სამგვარი სიძნელის საქმიანობას მისდევდენ: ზოგი ისეთ მუშაობას ეწეოდა, რომელიც არ მოითხოვდა ფიზიკურ ძალთა ხარჯვას დიდი რაოდენობით, მაგ. თერძები, წიგნების ამკინძველები, და სხვა (ე. წ. „მსუბუქი პროფესია“); ბავშთა მეორე ჯგუფი ეწეოდა მძიმე ფიზიკურ შრომას,

*) ასეთი დებულება ზედმიწევნით სწორია იმ შემთხვევაში, როდესაც წონა გამოხატავს ჩონჩხისა და მუსკულატურის და არა ცხიმების ქსოვილის სიმძიმეს.

როგორიცაა: მჭედლობა, ფურგლობა და სხვა (ე. წ. „მძიმე პროფესია“); დანარჩენი საშუალოდ მძიმე შრომის წარმომადგენლები იყვნენ (ე. წ. „საშუალოდ მძიმე პროფესია“).

სხვადასხვა პროფესიის ბავშთა სიმაღლე წონა და სხეულის ძალა,
(ვაისენბერგის მიხედვით).

ასაკი	სხეულის სიგრძე (სანტიმ.)			წონა (კილოგრამებში)			სხეულის ძალა (კილოგრამებში)		
	მსუბუქ. „პროფ.“ ბავშები	საშუალ. „ბავშ.“	„მძიმე“ ბავშ.	მსუბუქ. „პროფ.“ ბავშები	საშუალ. „ბავშ.“	„მძიმე“ „პროფ.“ ბავშები	მსუბუქ. „პროფ.“ ბავშ.	საშუალ. „ბავშ.“	„მძიმე“ „პროფ.“ ბავშები
13 წ.	138,4	137,7	138,4	33,52	33,34	33,68	65,4	50,8	67:0
14	144,4	144,8	143,8	37,47	37,89	36,59	80,3	80,1	80,3
15 „	147,7	148,2	145,9	40,07	40,98	40,30	81,9	90,6	89,7
16 „	152,5	155,8	149,7	45,52	46,34	40,87	97,1	107,2	111,7
17 „	160,0	160,1	157,4	50,10	51,40	51,40	98,7	119,2	138,9
18	159,0	161,1	161,0	50,86	53,98	52,84	120,8	129,6	136,8
19 „	161,0	164,1	165,0	54,24	56,75	61,50	123,0	143,4	175,0
20 „	164,5	164,0	163,3	24,67	56,60	57,10	124,7	149,3	175,2

სხვადასხვა ჯგუფის ბავშთა სიმაღლის, წონისა და სხეულის ძალის ზრდაზე პროფესიის გავლენა, ამ ცხრილის მიხედვით, განსაკუთრებით შესამჩნევია რამდენიმე წლის შრომის შემდეგ: „მძიმე პროფესიის“ ბავშები 19 წლის ასაკის შემდეგ ყოველ მხრივ ასწრებენ დანარჩენი ორი ჯგუფის ბავშებს: ისინი უფრო მაღლები, მძიმე და ღონიერი არიან.

ბავშის წონის ზრდას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

წონის გადიდება (კამერერისა და შტრატცის მიხედვით)

ასაკი	წონა (კილოგრამ.)		წონ. წლიურ. მომატ. (კგ.)		ასაკი	წონა (კილოგრამ.)		წონ. წლიურ. მომატ. (კგ.)	
	ვაჟები	ქალებ.	ვაჟები	ქალებ.		ვაჟები	ქალებ.	ვაჟები	ქალებ.
1 წ.	9	9	6	6	11 წ.	30,5	33,5	4	5
2 „	12,5	12,5	3,5	3.5	12 „	33	35.5	2,5	3
3 „	14	14	1,5	1.5	13 „	37	40	4	4,5
4 „	16	16	2	2	14 „	40	46	3	6
5 „	17,5	17,5	1,5	1.5	15 „	47	52	7	6
6 „	19	19	1.5	1.5	16	55	53	8	1
7	22	22	3	3	17	60	55	5	2
8 „	24	24	2	2	18 „	64	56	4.0	1,0
9 „	26	26	2	2	19 „	67	57	3.0	1,0
10 „	26,5	27,5	0,5	1.5	20 „	69	57,5	2,0	0,5

როგორც ვხედავთ, ქალები ყველა ასაკში უფრო ნაკლებს იწონიან ვიდრე ვაჟები, 10-15 ასაკის გამოკლებით, როდესაც ქალები, სქესობრივი მომწიფების პერიოდის გამო, ვაჟებზე უფრო მძიმე არიან. ამ ცხრილიდანვე სჩანს, რომ წონის წლიური მომატება არ არის ერთი და იგივე — სხვა და სხვა ასაკში.

რაც შეეხება სიმაღლისა და წონის ურთიერთ დამოკიდებულებას, შემჩნეულია, რომ მათი ზრდა არ ხდება შეთანხმებულად და ერთიმეორესაგან დამოუკიდებლივ ვითარდება. მოზარდი ორგანიზმი დროგამოშვებით უფრო მეტს იმატებს სიგრძის მიმართულებით, ვიდრე წონის მხრივ. ასეთ ასაკს „გაჭიმვის, ანუ გაზიდვის პერიოდი ეწოდება. ხან, პირიქით, იმატებს წონა, სიმაღლე კი—გაცილებით ცოტას—ე. წ. „გამრგვალების პერიოდი". ამის მიხედვით ადამიანის ზრდის ხანა (ე. ი. ბავშური ასაკი) შემდეგ პერიოდებად არის დაყოფილი:

1) „გამგრვალების პირველი პერიოდი" 1— 4 წლამდე.
2) „გაჭიმვის, ანუ გაზიდვის პირვ. პერ." 5— 7
3) „გამრგვალების მეორე პერიოდი" 8—10 „
4) „გაჭიმვის, ანუ გაზიდვის მეორე პერ." 11—16 „
5) „გამგვრავლების მესამე პერიოდი" 17—30 „

თუმცა ბევრი მკვლევარი არ იზიარებდა ამ პერიოდიზაციას, მაგრამ უკანასკნელი დროის ანთროპომეტრიული გამოკვლევები ასეთს ადასტურებენ.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბავში დაბადების შემდეგ მე-9—10 დღემდე წონის მხრივ 250 გრამამდე იკლებს; ამ გარემოებას სხვადასხვა მიზეზი იწვევს: 1) ბავშვის არა სათანადოთ მოხერხებული წოვა, 2) ხშირი შემთხვევა, რომ დედას მშობიარობის პირველ დღეებში არ აქვს საკმაო რაოდენობით რძე, 3) ბავშის არსებობის პირობათა შეცვლით გამოწვეული—სხეულის სითბოს დიდი რაოდენობით დახარჯვა, 4) ნივთიერებათა არა წესიერი გაცვლა-გამოცვლა და საერთოდ, ბავშის ორგანიზმის შეგუებითი ბრძოლა ახალსა და უჩვეულო პირობებთან.

3. თავის მოცულობა და გარშემოწერილობა.

მოზრდილ ადამიანთან შედარებით ახლადშობილი ბავშის თავის მოცულობის შეფარდება მთელი სხეულის მოცულობასთან—მეტად დიდია. 2 თვის ემბრიონის თავის მოცულობა მთელი სხეულის მოცულობის $^1/_2$ შეადგენს; 5 თვის ემბრიონის—სხეულის მოცულობის $^1/_3$, 0 წლის ბავშის თავი უდრის მთელი მისი ტანის $^1/_4$-ს, 2 წლის ბავშის თავი=$^1/_5$-ს; 6 წლის=$^1/_6$-ს; 12 წ.=$^1/_7$-ს და მოზრდილი ადამიანის თავის მოცულობა კი, მისი ტანის მხოლოდ $^1/_8$-ს შეადგენს.

რაც შეეხება თავის გარშემოწერილობის გაზომვას, ასეთი ხდება სანტიმეტრებათ დაყოფილი ლენტით, რომელსაც შემოავლებენ ბავშს თავის ირგვლივ წარბების დონეზე. რუსი ბავშების გაზომვან ასეთი შედეგები მისცა პროფ. კ. კ ო რ ნ ი ლ ო ვ ს:

1	დღის ბავშის თავის გარშემოწერილობა	=34 სანტიმეტრს.
1	თვის	=37 „
6	„	=43
1	წლის	=46
2		=48
3		=49
4		=50
5		=50
6		=51
7		=51
8		=51
10		=53
15	„	=54
25	„	=57

თავის გარშემოწერილობის განვითარებაზე და ყოველწლიურ მომატებაზე გავლენას ახდენს ს ქ ე ს ი, რასაც შემდეგი ცხრილიდან ეხედავთ:

თავის გარშემოწერილობის ზრდა (ექ. შეპოვალნიკოვის მიხედვით) (სანტიმეტრებში)

ასაკი	ვაჟები	ქალები	ასაკი	ვაჟები	ქალები
8	51,24	50.76	14	52.83	52.64
8½	51,48	50,78	14½	53.00	52.86
9	51,67	50.84	15	53,21	53.07
9½	51.83	50.93	15½	43,47	53,27
10	51,97	51.05	16	53,77	53.64
10½	52.08	51,20	16½	54,13	53.62
11	52,18	51,37	17	54,55	53.77
11½	52,27	51.56			
12	52,36	51,76			
12½	52,46	51,97			
13	52,56	52,19			
13½	52,68	52,41			

4. **თავის ტვინის განვითარება.** ასაკის ზრდასთან ერთად იმატებს წონას თავის ტვინი. ადამიანის ჩანასახის ტვინის წონის ზრდის შესახებ, ჯერჯერობით, მცირე მასალა მოგვეპოვება. ციგენის მიხედვით, ჩანასახის ტვინის წონის ზრდა შემდეგით გამოიხატება: 2 თვის ჩანასახის ტვინის წონა უდრის $1^1/_2$-2 გრამს;

5 „ 20-24

7 „ 120 „ ;

9 „ „ 290-305 ;

რაც შეეხება ზოგიერთი ავტორის მტკიცებას, რომ თავის ტვინის ზრდა სრულებით ჩერდება 8 წლის ასაკის შემდეგ, ასეთი აზრი უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს. შემდგომ ასაკშიაც გრძელდება ტვინის წონის მომატება, მაგრამ განვითარების ტემპი არ არის ისე შესამჩნევი და ჩქარი, როგორც სკოლის ასაკამდე პერიოდში.

თავის ტვინის წონა სხვა და სხვა ასაკში. *)

(გრამებში)

ასაკი	ვაჟები	ქალები
1 თვის. ბოლ.	455	374
2	558	418
3	515	514
4-5	573	566
6-7	734	664
8-9 „	752	721
10-12 „ „	852	789
2 წლ. ბოლ.	977	913
3-4	1150	1025
5-8 „	1202	1164
9-12 „	1279	1265
12-14 „	1346	1221
15-17 „	1371	1307
18-19 „	1427	1311
20-29 „ „	1410	1293
30-39 „ „	1403	1275
40 წ. ზევით	1390	1269

როგორც ვხედავთ 20-29 წლის ასაკის შემდეგ ტვინის წონა თანდათან იკლებს.

*) ცხრილი მოცემულია ფისტერ'ისა და მარშან'ის ცნობების მიხედვით.

თუ განვიხილავთ შეფარდებას ტვინის წონასა და მთელი სხეულის წონას შორის, ვნახავთ შემდეგს: ახლადშობილი ბავშის ტვინის წონა უდრის მთელი ორგანიზმის წონის $^1/_8$-ს; 3 წლის ბავშის—$^1/_{10}$-ს: 7 წლის—$^1/_{13}$-ს; 12 წლის—$^1/_{40}$-ს და მოზრდილი ადამიანის კი—$^1/_{45}$-ს ($^1/_{42}$ ან $^1/_{45}$—მამაკაცისათვის და $^1/_{40}$—ქალებისათვის.)

5. მკერდის გარშემოწერილობა და სუნთქვა.

მკერდის გარშემოწერილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ვინაიდან მასზეა დამოკიდებულ სასუნთქი ორგანოების მოქმედება: რაც უფრო დიდია მკერდის გარშემოწერილობა, მით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს ადამიანს ჰაერის დიდი რაოდენობა ჩაისუნთქოს და ამოისუნთქოს, (მკერდის „ექსკურსია") და პირიქით, ბრტყელი, ვიწრო და „ჩავარდნილი„ მკერდი ადამიანის სუსტი აგებულობის უტყუარი ნიშანია. ფართო მკერდი მაჩვენებელია „სიცოცხლის უნარისა" და ჯანმრთელობის. მკერდის საშუალო გარშემოწერილობის ზრდა ასეთია: ახლადშობილი ბავშის მკერდი=32 სანტიმეტრს, 1 თვ.=34 ს., 6 თვ.=41 ს., 1 წ.=45 ს., 2 წ.=47 ს., 3 წ.=49 ს., 4 წ.=50 ს., 5 წ.,=52 ს., 6 წ.=54 ს., 7 წ.=56 ს., 8 წ.=58 ს., 10 წ.=72 სანტ., 15 წ.=78, 25 წ.=99 სანტიმეტრს.

მკერდის გარშემოწერილობის სიდიდის მიხედვით ვაჟები ყოველ ასაკში უფრო მაღლა სდგანან, ვიდრე ქალები; თუმცა 10—14$^1/_2$ წლის ასაკში ქალების მკერდის გარშემოწერილობის წლიური მომატება დიდია, მაგრამ ისინი მაინც ჩამორჩებიან ვაჟებს და მხოლოდ 13$^1/_2$—15 წლის ასაკში უახლოვდებიან ვაჟების მკერდის გარშემოწერილობას, 0,3—0,4 სანტიმეტრის განსხვავებით.

ცნობებს მკერდის გარშემოწერილობის გაზომვათა გასახებ ცხრილი იძლევა.

მკერდის გარშემოწერილობა (სანტიმეტრებში)

ასაკი	ვაჟები	ქალები
8	58,93	57,74
8$^1/_2$	29,47	57,87
9	60,62	58,18
9$^1/_2$	60,59	58,66
10	61,19	59,28
10	61,83	60,02

მკერდის გარშემოწერილობა (სანტიმეტრებში)

ასაკი	ვაჟები	ქალები
10 ნახ.	62.50	60.68
11	63.21	61,83
11 ნახ.	63,98	62.85
12	64,79	63.93
12 ნახ.	65.67	65,04
13	66.61	66,17
13 ნახ.	67.63	67,30
14	68.72	68,42
14 ნახ.	69,89	69.49
15	71,15	70,52
15 ნახ.	72,50	71,47
16	73,95	72,33
16 ნახ.	75,51	73,08
17		

ორგანიზმის სიმაგრის შესახებ მსჯელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შეფარდებას მკერდის გარშემოწერილობასა და სიმაღლეს შორის. მკერდის გარშემოწერილობა ნორმალურად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ის შეადგენს მთელი სიმაღლის 52%-ს.

6. სხეულის ფუნქციონალური განვითარება.

ფიზიოლოგიურად ადამიანი მეტად რთულ მანქანას წარმოადგენს; მისი შინაგანი ორგანოების მდგომარეობა-განვითარების გამორკვევა შეიძლება, სხვათა შორის, ფუნქციონალური გამოკვლევათა ისეთი ორი სახით, როგორიცაა დინამომეტრია, ანუ მუსკულატურის განვითარების გაზომვა და სპირომეტრია —ფილტვების ტევადობის გაზომვა. *)

ა) დინამომეტრია: ანთროპომეტრია კუნთების ძალას არკვევს ორგვარად: ხელის კუნთების ძალას და მთელი სხეულის ძალას. მთელი სხეულის ძალის განვითარების შესახებ ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ცნობები (იხ. ცხრილი: „სხვა და სხვა პროფესიის ბავშთა სიმაღლე, წონაზე და სხეულის ძალაზე“ გვ. 95).

ხელის კუნთების ძალას ზომავენ კოლენ'ის დინამომეტრის საშუალებით.

*) დანამომეტრიისა და სპირომეტრიის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩვენს ნაშრომში: „ანთროპომეტრია“.

აქვე მოგვყავს ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდება ხელის კუნთების ძალა ასაკის მიხედვით:

მარჯვენა ხელის დინამომეტრია (კილოგრამებში)

ასაკი	ვაჟები	ქალები
8	17,54	17,49
8 ნახ.	18,76	17,49
9	20,03	17,80
9 ნახ.	21,36	18,48
10	22,78	19,48
10 ნახ.	24,30	20,77
11	25,94	22,31
11 ნახ.	27,71	24,06
12	29,64	25,98
12 ნახ.	31,73	28,03
13	34,02	30,18
13 ნახ.	36,51	32,39
14	39,23	34,61
14 ნახ.	42,19	36,82
15	45,41	38,96
15 ნახ.	48,90	41,01
16	52,69	42,93
16 ნახ.	56,79	44,67
17	61,22	46,20

ბ) ᲡᲞᲘᲠᲝᲛᲔᲢᲠᲘᲐ სუნთქვის საშუალებით ორგანიზმი იძენს ჟანგბადს, რაც სიცოცხლის აუცილებელი პირობაა. „ფილტვებს ჩვენს სხეულში იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სამჭედლოში საბერველს: რაც უფრო ძლიერად მუშაობს საბერველი, მით უფრო ღვივდება ცეცხლი. ასევე ხდება სხეულშიც: რაც უფრო ძლიერია მკერდისა და, მასთან ერთად, ფილტვების ქანაობა, მით უფრო ღვივდება სასიცოცხლო პროცესები" ამბობს ე. არკინი*). ფილტვების ტევადობას, ე. ი. ჰაერის რამდენი კუბიკური სანტიმეტრი შეიძლება იქნეს მოთავსებული ფილტვებში, ერთგვარი ხელსაწყოს საშუალებით არკვევენ, რომელსაც **ს პ ი რ ო მ ე ტ რ ი** ეწოდება. მილლერმა, 6000 გამოკვლევის შედეგად, შემდეგი ცხრილი შეადგინა ფილტვების ტევადობის შესახებ სხვადასხვა ასაკში (5 წლის ასაკიდან.)

*) იხ. ეკ. ე. არკინი: „Дошкольный возрасть". გვ. 145.

ასაკი	ფილტვების ტევადობა (კუბიკურ სანტიმეტ.)		ასაკი	ფილტვების ტევადობა	
	ვაჟები	ქალები		ვაჟები	ქალები
5 წ.	792	645	13 წ.	2071	1692
6	948	827	14 „	2240	1930
7	1150	866	15 „	2603	1964
8	1257	1087	16 „	3053	2063
9	1468	1180	17 „	3286	2162
10	1602	1344	18 „	3370	2275
11	1780	1381			
12	1910	1600			

დამტკიცებულია, რომ ფილტვების ტევადობა იმატებს 35 წლ. ასაკამდე, შემდეგ კი—იკლებს.

სუფთა ჰაერით სუნთქვა ცხვირიდან, და არა პირიდან მიუცილებულია ორგანიზმის ჯანმრთელობისათვის. პირიდან სუნთქვა, რასაც ადენოიდები ან ბავშობიდან დარჩენილი მავნე ჩვეულობა იწვევს, ბავშს აჩლუნგებს, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქიურადაც. იმ ბავშს, რომელიც პირიდან სუნთქავს, განუვითარებული, ჩავარდნილი გული აქვს, რადგან პირიდან, რომელიც სუნთქვის დროს ნახევრად—გაღებულია, უფრო ცოტა ჟანგბადი ჩადის ფილტვებში, ვიდრე ცხვირიდან სუნთქის დროს. გარდა ამისა, ჰაერი, ცხვირიდან სუნთქვის დროს, სანამ ფილტვებში ჩავიდოდეს, იწმინდება სხვადასხვა მავნე ნივთიერებისაგან, თბება და ორთქლით იჟღენთება. აი რა ცვლილებებს იწვევს ადამიანში პირიდან სუნთქვა: „ცხვირიდან სუნთქვის ქრონიკული შეუძლებლობა, იწვევს მძიმე თავითგრძნობას, თავის ტკივილებს, სმენის დასუსტებას, ცუდსა და არაგამომაფხიზლებელ ძილს, ენერგიის დაკარგვას, მეხსიერების დასუსტებას, უნაყოფო გონებრივ მოქმედებასა და სწრაფ გონებრივ სხეულებრივ დაქანცულობას; ეს ყველაფერი მეტად დაბალ დონეზე აყენებს ადამიანის ინტელიგენტობას*); ამ სურათს თუ დავუმატებთ, იმასაც, რომ პირიდან სუნთქვას თან ახლავს: მშრალი, დამსკდარი ტუჩები, გამომშრალი პირი, ყელისა და ფილტვების სნეულებანი, ჩამოგრძელებული, იდიოტური გამომეტყველების მქონე პირისახე, კბილების

*) იხ. Преображенский „Носовые и горловые болезни“.

გაფუჭება, შარდის შეუკავებლობა, ხშირი თავის ტკივილი, ენის დაბმა და მრავალი სხვა ნაკლი — ჩვენთვის ნათელი იქნება, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ცხვირიდან სუნთქვას ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

თუმცა ავადმყოფობა და, მით უმეტესად, სიკვდილი ბუნებრივად დაკავშირებულია მოხუცობის ასაკთან, მაგრამ ბავშვების ავადმყოფობათა და სიკვდილიანობის სტატისტიკა ნათლად მოწმობს, რომ ასეთი ბავშობის ასაკშიაც მეტად ხშირი მოვლენაა. მაგ. ინგლისის ერთ-ერთ საიმედო სტატისტიკური ცნობის მიხედვით, ყოველი 1000 დაბადებაზე ბავშვების სიკვდილიანობა 1 წლამდე იყო 131—262-მდე. ბავშვების სიკვდილიანობის ასეთ დიდ პროცენტს იწვევდა, როგორც ბიოლოგიური პირობები—რომელიმე თანდაყოლილი ნაკლი, ან მემკვიდრეობითი ავადმყოფობანი (მშობლების სიფილისი, ჟლექი. ალკოჰოლიზმი და სხვა), აგრეთვე, უმეტესად, სოციალური პირობები—ცუდი კვება, არა საკმაო სითბო და საერთოდ, ანტისანიტარული და ანტიჰიგიენური პირობები, რომელშიაც ბავშს ცხოვრება უხდებოდა, გადამდები სნეულებანი და სხვა. სოციალურ ფაქტორთა შორის, ბავშვების ავადმყოფობასა და სიკვდილს მეტად ადიდებს—მოვლელების უვიცობა, ან უყურადღებობა. ფონვიზინის კომედიაში „Недоросль"-ში, მემამულე ქალი პროსტაკოვა თავის ოჯახის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: პროსტაკოვას მშობლებს—სკოტინინებს—ყავდათ 18 შვილი, რომელთა შორის მოზრდილ ასაკს მხოლოდ ორმა მიაღწია; დანარჩენი 16 ბავში მოუვლელობისაგან დაიღუპა: ზოგი სამრეკლოდან გადმოვარდა, ზოგი აბანოში დაიხრჩო და ზოგი კი სპილენძის ქვაბიდან რძის ჭამამ მოწამლა.

ჩვენს დროში, როდესაც კაპიტალისტური წყობილების პირობები გართულდა და სიდუხჭირე, უსაზღვრო ექსპლოატაცია და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში მშრომელთა მილიონებს, აუტანელ მატერიალურ გაჭირვებაში აგდებს, როდესაც მან თავისივე დასაყრდნობი ძალა—ოჯახი გახრწნა და ქალებიც დაქირავებულ მშრომელებად გახდა, დედებს უკვე თავის შვილების მოვლის საშუალება არა აქვთ; ბავშვები უპატრონოდ რჩებიან შინ და, ბუნებრივია, რომ არა ნორმალური კვებისა და ცხოვრების სხვა პირობების გამო, ათასობით იხოცებიან. „კვება ერთად ერთი წყაროა ორგანიზმის სასიცოცხლო ძალებისათვის. მთელი ენერგია, რომელსაც ადამიანი თავისი მრავალფეროვანი მოქმედების სახით ხარჯავს, როგორიც არის: კუნთების მუშაობა, ჯირკვლების ქიმიური მუშაობა, გონებრივი და ფსიქიური მუშაობა, საკმელის საშუალებით მოიპოვება". ქვემომოყვანილი ცხრი-

ლი ნათელყოფს, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს მოწაფეების გონებრივ განვითარებასა და კვების მდგომარეობას შორის, რაშდენადაც უკანასკნელი (ე. ი. კვება) წონით გამოიხატება, რადგან „წონა—ადამიანის სასიცოცხლო ბარომეტრია“:

საშუალო წონა კილოგრამებში:

ასაკი	ვაჟები				ქალები			
	ნორმალური	გონებრივ ჩამორჩენილი	გონებრივ სუსტ	იდიოტი	ნორმალური	გონებრივ ჩამორჩენილი	გონებრივ სუსტ	იდიოტი
5 წ.	20	19	18	16	20	20	17	15
6	22	21	20	18	22	20	20	16
7	25	24	22	21	24	22	22	20
8	27	25	24	23	26	25	24	22
9	30	27	26	25	29	27	26	23
10	32	29	29	26	31	30	29	25
11	35	32	32	29	36	33	32	29
12	38	36	33	29	40	37	35	33

ბავშებს უკბილო პერიოდში, უმთავრესად, კუჭის აშლა ახასიათებს, რასაც ხელოვნური კვება იწვევს. ბუნებრივი საკმელი ამ ხანაში ბავშისათვის არის დ ე დ ი ს რ ძ ე. სხვა საკმელი, როგორც ძროხის, თხისა და სხვა ცხოველების რძე, მით უმეტეს, ბავშის ფიზიოლოგიური აპარატისათვის ისეთი უჩვეულო საკმელი, როგორიცაა ფქვილის („დაღეკილი“) საკმელები, ან ხორცი, უსათუოდ ბავშის საკმელის ზომნელებელი ორგანოების დაავადებას იწვევს და 7—8 ჯერ ბავშების სიკვდილიანობას დედის რძით კვებასთან შედარებით ადიდებს. გარდა ამისა, მეტად ხშირია შემთხვევა, რომ ბავშს აშლილი აქვს კუჭი მაშინაც, როდესაც ის მხოლოდ დედის რძით იკვებება. ამას იწვევს ის ჩვეულება, რომელიც მეტად გავრცელებულია ჩვენში და ყველგან, ეს არის წამდაუწუმ ბავშისათვის ძუძუს მიწოდება, რითაც სურთ დააწყნარონ ატირებული ბავში. ასეთი ხშირი კვების გამო „ბავშის სუსტი კუჭი რძის ცხიმების გადახარშვას ვერ ერევა, მასში სიმჟავე გროვდება, რაც ბავშს წამლავს და ხშირად სიცოცხლესაც

ასალმებს"*). ბავშის ჯანმრთელობაზე დიდი გავლენა აქვს აგრეთვე ცხოვრების პირობებს ფეხმძიმეობის დროს, რაც სჩანს შემდეგი ცხრილიდან:

ბავშის საშუალო წონა:

1) თუ დედამ იმუშავა ბავშის დაბადებამდე შეუწყვეტლივ=3010 გრ.

2) თუ დედამ დაისვენა 10 დღით მშობიარობამდე=3290 გრ.

3) თუ დედას არ უმუშავნია ფეხმძიმეობის დროს=3360 გრ.

ამის გარდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშისათვის, ჩასახვის პირობებსაც, მაგ. მშობლების სიმთვრალეს სქესობრივი აქტის დროს, რაც იწვევს ბავშის იდიოტიზმსა და ეპილეპსიას, ბ) ფეხმძიმე ქალის ნერვიულ აღგზნებულობას, რაც ბავშსაც გადაეცემა და მას ნევრასტენიით დაავადებს და სხვა.

დედის მუცლიდან გამოსვლის შემდეგ, ბავშის სათუთ კანს ატმოსფერის დაწოლის, სიცივისა და უსუფთაობის გამო სხვადასხვა მუწუკები, ბღერი და სხვა კანის ავადმყოფობა უჩნდება. ბავში სიცივეს ვერ იტანს, სასუნთქი ორგანოების სნეულებით ავად ხდება, რაც ბავშების სიკვდილიანობის თითქმის 20%-ს იწვევს. ბავშებს სხვადასხვა ინფექციური (გადამდები) ავადმყოფობაც ავლებს მუსრს, როგორიცაა მაგ.: მუცლის ტიფი, ხოლერა, ყვავილი, ყელჭირვება, დიფტერიტი, ინფლუენცია (გრიპპი), ხველა, წითელა, ყბა-ყურა; ჭლექი და სხვა. სასუნთქი ორგანოების დაავადება ბავშებში მას შემდეგ უფრო ვრცელდება, რაც ისინი იატაკზე ფორთხვას იწყებენ, სადაც სიცივის გარდა, მრავალი სიბინძურე და ბაქტერიებია. ბავშის ჰიგიენურსა და სანიტარულ პირობებში ჩაყენება (რასაც ხელს უშლის სიღარიბე და მისი თანმხლები—უვიცობა), ე. ი. სუფთა ჰაერი, ნათელი და მშრალი ბინა, სათანადო ტანსაცმელი, რაციონალური კვება, მოძრაობათა თავისუფლება და სხვა, გააჯანსაღებს ჩვენი მომავლის იმედს—ნორჩ ბიაობას **).

ქვემომოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ რა გავლენა ჰქონდა ინგლისის სოციალურ-ეკონომიურ პირობებს 1911 წელში ბავშების სიკვდილიანობაზე სხვადასხვა ავადმოფობისაგან:

---

*) П. Блонский: „Педологія" გვ. 77. დაწვრილებით ხელოვნური კვებისა შესახებ იხ. პროფ. გოგიტიძის: „Искусственное вскармливание грудных детей" (არის ქართული თარგმანი: „ბავშის კვება").

**) იხ. Аркин „Дошкольный возраст" (სათანადო თავები)

ავადმყოფობანი:	სიკვდილიანობა 1000 ბავშზე:	
	მატერიალურად უზრუნველყოფილ ოჯახებში	მუშების ოჯახებში
თანდაყოლილი სისუსტე .	12,9	48,9
გადამდები სნეულება .	1,2	10,9
ჰლექი .	—	5,3
კუჭის სნეულება .	6,9	40,7
სხვა ავადმყოფობა .	14,0	57,3

1911 წელში ლენინგრადის მუშათა ოჯახების გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბავშების სიკვდილიანობის % დამოკიდებულია მამის ხელფასის რაოდენობაზე:

მამის ხელფასი თვეში	ბავშების სიკვდილიანობის %
20 მანეთზე ნაკლები .	28,4%
21 მანეთიდან 30 მანეთამდე .	24,4 „
31 მანეთიდან 50 მანეთამდე .	19,1 „
50 მანეთზე მეტი .	11,5 „

რუსეთში რევოლუციის წინა ხანაში ბავშთა სიკვდილიანობა პირველი წლის განმავლობაში უდრიდა:

1) იმ გლეხების შვილების, რომლებსაც ქონდათ 5 დღიურამდე მიწა—21,2%-ს;

2) იმ გლეხების შვილების, რომლებსაც ქონდათ 5—15 დღიურამდე მიწა—18,7%-ს;

3) იმ გლეხების შვილების, რომლებსაც ქონდათ 15—25 დღიურამდე—15,%-ს.

მოგვყავს კიდევ ექ. ვ ო ლ ფ ი ს ცხრილი ბავშების სიკვდილიანობის შესახებ:

ასაკი	ბავშვების სიკვდილიანობა		
	მუშების ოჯახებში	საშუალო წოდ. (წვრილი ბურჟუაზიის) ოჯახებში	მდიდარ ოჯახებში
1 წლამდე	35,5%	17,3%	8,9—
1—2 წლამდე	11,5 „	5,5 „	1,9 „
3—5	13,6 „	6,5 „	2,6 „
6—10	6,8 „	3,8 „	1,3 „
11—14 „	2,5 „	1,1 „	0,8 „

აქედან ცხადია შემდეგი: რაც უფრო მცირე ასაკისაა ბავში, მით უფრო მეტია სიკვდილიანობის % და, მაშასადამე, მით უფრო სუსტია ბავშის ორგანიზმი ავადყოფობასთან და სხვა საზიანო პირობებთან ბრძოლაში ე. ი. ბავშს სკოლის ასაკამდე ხანაში განსაკუთრებულად ფრთხილი და გონიერი ხელმძღვანელობა ესაჭიროება.

თავი მერვე

ბავშის თანდათანი განვითარება. მნიშვნელოვან ფსიქიურ ფუნქციათა ევოლიუცია.

1. ბავშის თანდათანი განვითარება. როგორც ვიცით, ბავშის ზრდა-განვითარება ბიოლოგიური და, უმეტესად, სოციალური ფაქტორებით განისაზღვრება: ბიოლოგიური მონაცემის განვითარების მიმართულება, თვისებები და ტემპი სოციალური შუალის გამლიზიანებლებზეა დამოკიდებული. განსაკუთრებით ჩქარია ბავშის ფსიქო-ფიზიკური განვითარების ტემპი 0—2 წლამდე.

თავისი სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში ბავში იმდენ რეაქციებს შეისწავლის, რამდენსაც შემდეგში ვერც ერთი საუკეთესოდ დაყენებული სკოლა წლიური მეცადინეობის შედეგად ვერ განახორციელებს: ბავში ერკვევა იმ ქაოსში, რომელსაც მისთვის გარემყარი წარმოადგენს, არჩევს თავის სხეულს გარეშე ბუნების სხვა საგნებისაგან, უწესრიგო თანშობილი მოძრაობანი მოწესრიგებულ მოძრაობათა სახეს ღებულობენ და გარეგნული ნიშნებით (მიმიკა, პოზა, ჟესტიკულაცია და პრიმიტიული მეტყველება) ფსიქიურ პროცესებს ვავოხატავენ; ბავში შეისწავლის: თავის გაჩერებას, წამოდგომას, ფორთხვას, ფეხებზე გაჩერებას, სიარულს, ტიტინს, საგნების გატეხას, ქაღალდის დახევას, გაგონილი ბგერების გამეორებას, შემჩნეული მოძრაობის მიბაძვას; ბავშს ემჩნევა ყურადღების, მეხსიერების, გრძნობასა და სხვა ფსიქიური უნარის წერმოშობა-განვითარება და საერთოდ, ერთი წლის შემდეგ ბავშს „შავი მუშაობა“ საცხოვრებელი წრის პირობებთან შეგუებისათვის უკვე შესრულებული აქვს. 8 წლის ასაკისათვის-კი ბავში უკვე საკმაოდ მომწიფებულია, რომ, სკოლის საშუალებით შეითვისოს კულტურის მონაპოვარი. *)

თუ რამდენათ მნიშვნელოვანია სიცოცხლის პირველი წელიწადი და, საერთოდ, სკოლის ასაკამდე ხანა ბავშის განვითარებისათვის, ამას ცნობილი რუსეთის პედაგოგი და მოაზროვნე ლ. ნ. ტოლსტოი შემდეგი სიტყვებით გამოხატავს: „მე ხომ მაშინ (ე. ი. სკოლის ასაკამდე ხანაში გ. დ.) შევიძინე ყველაფერი, რითაც ეხლა ვცხოვრობ, და შევიძინე ისე სწრაფად და იმდენი, რომ ჩემი შემდეგი ცხოვრების

განმავლობაში მას ერთი მეასედიც არ მომატებია... ხუთი წლის ბავშსა და ჩემს შორის—ერთი ნაბიჯია; ახლადშობილსა და ხუთი წლის ბავშს შორის—უდიდესი განსხვავებაა; ჩანასახსა და ახლადშობილს შორის კი—უფსკრულია." ასეთი სწრაფი და ყოველმხრივი განვითარების ფაქტორებია:

ა) სხეულის ზრდა-განვითარება: ძვლების გამაგრება და ზრდა, ნერვიული სისტემის სპეციალიზაცია, კბილების ამოსვლა და მაგარი საკმლის მონელება, კუნთების ძალის გადიდება, უმეტესად-კი ტვინის მომწიფება-განვითარება და სხვა;

ბ) ინსტინქტების მომწიფება: როგორც ვიცით ინსტინქტებს შორის, ბავშს დაბადებიდან მზად დაჰყვება მხოლოდ: თავის მობრუნება და წოვითი მოძრაობა; სხვა ინსტინქტი კი ემბრიონალურ (ე. ი. ჩანასახის), პოტენციალურ (ე. ი. შესაძლებლობის) მდგომარეობაში არის, ზრდასთან ერთად თანდათანობით მეღავნდება და განვითარება-მომწიფებისათვის ერთგვარ გარეშე ხელმძღვანელობასა და დახმარებას მოითხოვს.

ვ. სტერნი და სხვა პედოლოგები შემდეგ თანდათანობას აღნიშნავენ ბავშის ინსტინქტების მომწიფებაში*):

პირველი წლის პირველ მეოთხედში (0--4 თვემდე) ბავში შეისწავლის: ბგერის მიმართულებისაკენ და მოძრავი და ნათელი საგნებისაკენ თავისა და თვალების მობრუნებას, რაც ყურადღების ინსტინქტის მომწიფებას მოასწავებს; სხეულებრივი მოძრაობათა შორის ამ ასაკში აღსანიშნავია: თავის აწევა და მისი თავისუფლად გაჩერება; 1, 6 წლიდან შესამჩნევია მიბაძვის ნიშნები;

პირველი წლის მეორე მეოთხედში (4—7 თვემდე) ბავში მიეჩვევა: მეოთხე თვიდან—კბენასა და თითქმის იმავე ასაკიდან—ღეჭვას; წამოდგომასა და დაჯდომას ჯერ სხვების დახმარებით, შემდეგ კი—თვითონ; ხელის წავლებას: ბავში ყველაფერს თვითონ კიდებს ხელს და ამ ასაკში, სიგიზმუნდის სიტყვით, ბავში „მტაცებელია" („хватун"). ეს აქტიური ხელის წავლება მეტად მნიშვნელოვანია ბავშის განვითარებისათვის: ბავში ამით თავისი ხელის ხმარებას ეჩვევა, მანძილის თვისებებში ერკვევა, ხელების მოძრაობას მხედველობას უკავშირებს და თავის- თითებიდან გამოყოფს

---

*) იხ. В. Стерн; „Психология раннего детства до шестилетняго возраста". Р. Гаупп: „Психология ребенка" და К. Корнилов: „Методика исследования ребенка".

მ ა თ ი თ ს ა (საჩვენებელ თითს) და ცერს; ყოველივე ამას, როგორც ვიცით პირველყოფილ ადამიანისათვის იარაღებით სარგებლობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ქონდა.

პირველი წლის მესამე მეოთხედში (7—10 თვემდე) ბავშში შემდეგი ინსტინქტები მომწიფდება: ფ ო რ თ ხ ვ ა, ფ ე ხ ზ ე გ ა ჩ ერ ე ბ ა და მ ი ბ ა ძ ვ ა;

პირველი წლის მეოთხე მეოთხედში კი (10—12 თვის ბოლომდე) ბავში სიარულს შეისწავლის ე. ი. ვერტიკალური მდებარეობით მოძრაობას, რაც სპეციფიურად ადამიანური უნარია და მას, სხვათაშორის დანარჩენ ცხოველებისაგან გაარჩევს. მიბაძვის ინსტინქტის მომწიფება ამ ასაკში გრძელდება.

მ ი ბ ა ძ ვ ი ს ი ნ ს ტ ი ნ ქ ტ ი უდიდესი ფაქტორთაგანია ბავშის განვითარებისათვის. „მიბაძვით ბავში ითვისებს ყველაფერს, რაც შეძენილი იყო წინა თაობათა მიერ“ (კ. გროოსი). მიბაძვა იწყება $1^1/_2$ თვის ასაკიდან და პირველად ბავში თავის მოძრაობას ბაძავს: შემთხვევით მომხდარ მოძრაობას ბავში ხშირად იმეორებს, მაგალ., ყველა ბავშს „აღუ“-ს თქმა ემარჯვება; ამ ბგერას ბავში პირველად შემთხვევით იტყვის, შემდეგ კი ხშირად იმეორებს მას. ასეთ მიბაძვას ვ. სტერნი „თ ვ ი თ მ ი ბ ა ძ ვ ა ს“ უწოდებს. ამის შემდეგ, რომ ჩვენ ბავშთან რამოდენიმეჯერ წარმოვსთქვათ „აღუ“, ბავში მას გაიმეორებს ე. ი. მოგვბაძავს. ვ. პ რ ე ი ე რ ი ს 3 თვის ბავში უფროსების ტუჩების გამოწვევას ბაძავდა; ს კ უ პ ი ნ ი ს 6 თვის ბავში პირს აღებდა, როდესაც სხვების მღერას უყურებდა; 3—4 თვის ბავშთან რომ თვალები დავხუჭოთ, ან ენა გამოვყოთ, ბავში მოგვბაძავს და სხვა. მიბაძვა ბავშში, როგორც ვხედავთ, ძალიან ადრე იჩენს თავს. მიბაძვა თვითშენახვის ინსტინქტის ერთ-ერთი სახეა, რადგანაც ის საცხოვრებელ წრის პირობებთან შეგუების საშუალებას წარმოადგენს. დამთქნარება, როგორც გადამდები მოქმედება, ადამიანს სიბერემდი რჩება და ბავშსაც ახასიათებს.

იმ პირობათა შორის, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშს, რომ იგი მოემზადოს ცხოვრებისათვის, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა თ ა მ ა შ ო ბ ი ს ი ნ ს ტ ი ნ ქ ტ ს უნდა მივაკუთვნოთ. თამაშობა თანდაყოლილი მოძრაობაა, რომლითაც ბავში „შეუგნებლად“ ემზადება და იწვრთნება მომავალი სერიოზული ფუნქციების შესასრულებლად (ე. ი. შრომისათვის); ახლადშობილი ბავში ჰყვირის; ხელებს თვალებთან ათამაშებს, ან ფეხებს ანძრევს და სხვა. ასეთი მოქმედებით ბავში ვარჯიშობს და გარემყარისა და თავის სხეულის სხვადასხვა თვისებას ეცნობა. თამაშის ინსტინქტი იჩენს თავს დაბადების პირვე-

ლი დღეების შემდეგ და სწრაფად მწიფდება. ძუძუმწოვარა ბავშის თამაშობის განვითარებაში გასარჩევია სამი სტადია: ა) თ ა მ ა შ ო ბ ა ს ა კ უ თ ა რ ს ხ ე უ ლ ი ს ნ ა წ ი ლ ე ბ თ ა ნ: ბავში ეთამაშება თავის ხელებს, ფეხებს, ულურტულებს, თავისი ხელების მოძრაობას უკვირდება და სხვა; ამით ბავში ემზადება ცხოვრებისათვის, ეცნობა („იპყრობს") თავის სხეულს და ახლობელ სივრცეს; ბ) მე-3-ე თვიდან ბავში იწყებს ს ა გ ნ ე ბ თ ა ნ თ ა მ ა შ ო ბ ა ს: აკვანზე ჩამოკიდებულ მძივებს ათამაშებს, ქალალდს ხევს, სარახუნოს ანძრევს, მაგიდაზე კოვზს უკაკუნებს, საგნებს მრავალჯერ გადააგდებს: მოზრდილისათვის, ბავშის მონოტონური მოქმედება საგნებთან, მოსაბეზრებელია და მასში უაზრობის მეტს ვერაფერს ხედავს. ნამდვილად კი, ბავში ასეთი თამაშობით ეჩვევა საგნებთან დამოკიდებულებას და ეცნობა მათ თვისებებს: კოვზის მაგიდაზე ან ჭიქაზე კაკუნით ბავში ცოდნას ღებულობს, რომ: „საგნებით შეიძლება ხმაურობის მოხდენა", ან „მე ვახდენს ხმაურობას", ან „სხვადასხვა საგანს, სხვადასხვა ბგერა აქვს" და სხვა. ვ. სტერნი ამბობს: „ბავში, რომელიც ქალალდს ხევს, თავის თავს მცირე გაკვეთილს აძლევს ფიზიკასა და გეომეტრიაში: ის ა მ ჩ ნ ე ვ ს, რ ო მ ს ა გ ნ ე ბ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე ბ ო ბ ა ს ი წ ვ ე ს, რ ო მ ს ა გ ნ ე ბ ი ძ ი რ ს ე შ ვ ე ბ ა, თ უ მ ა თ ჰ ა ე რ შ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დ დ ა ვ ტ ო ვ ე ბ თ, რომ საგნების მრავალფეროვანი ფორმები ერთი მეორედან წარმოიშობა, რომ დიდი საგანი გაყოფვის გამო პატარაედება და სხვა. ერთი და იგივე მოქმედების მრავალჯერ გამეორება საჭიროა საგნის კარგად და ყოველმხრივი შესწავლისათვის, რადგან „ყოველი გამეორება ბავშისათვის არის ახალი ცდა, რომელიც მას საგნის სულ ახალსა და ახალ მხარეებს აცნობს და ბავში აღმოჩენებს ახდენს". გ) მე-6—9 თვიდან ბავში თავისი თავითა და საგნებით არ კმაყოფილდება და ს ხ ვ ა ა დ ა მ ი ა ნ ე ბ თ ა ნ თ ა მ ა შ ო ბ ა ს იწყებს. (ს ო ც ი ა ლ უ რ ი თ ა მ ა შ ო ბ ა ნ ი); მარტოდ დარჩენილი ბავში ტირილს იწყებს, რაც იმ დრომდე გრძელდება, სანამ მასთან რომელიმე ახლობელი მივიდოდეს. ახლობელი პირების დამალვა-გამოჩენა, ან თვით ბავშის მიერ თავის მიბრუნება, ან დედის კალთაში დამალვა, ან თვალებზე ხელების მიფარება და გამოჩენა,—ბავშში აღტაცებას იწვევს. *)

სხვა ინსტინქტების მომწიფების შესახებ მოკლეთ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: კვების ინსტინქტი, რომელიც I წლის განმავლობაში წოვის, კბენისა და ღეჭვის სახეს ღებულობს, თანდათან მწიფ-

*) თამაშობის შესახებ იხ. ამ წიგნის სათანადო თავი.

დება და ძლიერდება სასკოლო ასაკამდე ბავშობის პერიოდში. პროფ. ნეჩაევმა რამდენიმე ათასი ბავში დაჰკითხა (4—5 წ.), თუ რა უფრო უყვართ მათ და თითქმის ყველა უპასუხებდა, რომ ჭამა ყველაფერზე უფრო კარგიაო. მე-3-ე წლიდან მოქმედებას ნგრევითი-ინსტინქტი იწყებს, მე-4-ე წლიდან—აფორთხებისა და ხელებზე ჩამოკიდების ინსტინქტი, მე-5-ე წლიდან—ბრძოლის ინსტინქტი,, (ძლიერი ყვირილი, დარტყმევა, პწკენა, მიფურთხება, ჩხუბი ამხანაგებთან, ბრძანების აუსრულებლობა და სხვა), მე-6-ე- წლიდან—შეგროვების, ანუ კოლექციურობის ინსტინქტი (შეკრება: წუმწუმის, კოლოფების, ფერადი ქაღალდების, ფანქრების, ფოლაქებისა და სხვა). ამ წიგნში ცალკე თავად გვაქვს შეტანილი საკითხი სქესობრივი ინსტინქტის მოშწიფების შესახებ, რადგან, ამ საკითხის სწორად გადაჭრას, უდიდესი პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს.

შეცდომა იქნება ვიფიქროთ, თითქოს ინსტინქტების მომწიფების ტემპი და თარიღი ერთნაირი იყოს ყველა ბავშისათვის. აქ ჩვენ აღვნიშნეთ ინსტინქტების გამომქლავნების მხოლოდ თანდათანობა და თანამიმდევრობა, მათი ტემპი და თარიღი კი ბიოლოგიური და უმეტესად, სოციალური პირობებით განისაზღვრება. დაბადებიდანვე სუსტი სხეულებრივი ორგანიზაციის მქონე ბავში უფრო გვიან შესძლებს თავის აწევას, დაჯდომას, ფორთხვას, სიარულს, მეტყველებასა და სხვა, ვიდრე ძლიერი ბუნების მქონე ბავში. გარდა ამისა, გარეშე პირობები: ცუდი კვება, აკვანში გაკვრა და აკვნის რახუნი იატაკზე, ბნელი და უსუფთაო ოთახში ყოფნა, მშობლების მხრივ ბავშისადმი უყურადღებობა, ბავშის მარტოობა და სხვა, მეტად უშლის ხელს ბავშის ინსტინქტების მომწიფებას.

ინსტინქტიური მოძრაობათა მომწიფების გარდა, რომელთა წარმოშობა თავის თავად გარემოწრის პირობების უშუალოდ მოქმედების გარეშე ხდება, ძუძუმწოვარი ბავშის სხეულებრივ-ფსიქიური განვითარებას აგრეთვე ხელს უწყობს ე. წ. ემპირიული გაწვრთნა „დრესიროვკა“ ანუ „პირობითი რეფლექსების“ შემუშავება*). ემპირიულ გაწვრთნას უნდა მივაწეროთ ბავშის შემდეგი მოქმედებანი: ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ ქოთანზე გადაყენების დროს, „თვალის ქნევა“, „ტაში“ და სხვა ბავშის მიჩვევები, რომლებიც მოზრდილებს ეგზომ ართობენ. ძუძუმწოვარი ბავშის

---

*) „პირობითი რეფლექსების“ შემუშავების მეთოდების შესახებ იხ. სპეციალური თავი ამ წიგნში: „პირობითი რეფლექსის მეთოდი“.

ხსენებული ჩვეები „შეგნებული“ მოქმედების შედეგი არ არის, როგორც ამას ბავშის სიყვარულით დაბრმავებული მშობლები ფიქრობენ. იმის თქმა, თითქოს ბავშმა უკვე იცის, თუ რას აკეთებს, თითქოს „ის ჭკუაში მოვიდა“, შეუძლებელია. „ტაში“, „თვალის ქნევა“ და სხვა, მხოლოდ ემპირიული გაწვრთნის შედეგი არის, რომლის დანიშნულება და მიზანი ბავშს სრულებით არ ესმის. ეს არის ბავშის მექანიკური მოქმედება, სწორედ ისეთი მოქმედება, რომელსაც ცირკში სხვადასხვა გაწვრთნილი ცხოველი ახდენს. მაგ. ცხენი, გამწვრთნელის სათანადო შეძახების შემდეგ ცეკვავს, მაყურებლებს უკრავს თავს და სხვა. ბავშში, მოზრდილის მიერ სხვადასხვა სიტყვისა და მასთან დაკავშირებული მოქმედების ხშირი განმეორების გამო, იბმება განუწყვეტელი ასოციაცია მიჩნეულ სიტყვისა და მოქმედების შორის: მაგ. მოზრდილისაგან ბავშს ესმის სიტყვები: „დაუკარი ტაში“, ან „უქნიე თვალი“ და ამას ტაშის დაკვრისა ან თვალის ქნევის ჩვენება მოყვება. ასეთი სიტყვებისა და სათანადო მოქმედებათა ხშირად დაკავშირებულად აღქმის გამო, ბავშში შთაბეჭდილებების ეს ორი წყება (ბგერითი და მხედველობითი) ერთმანეთს გადაებმის ისე, რომ საკმარისია ერთი აღმოცენდეს, რომ მან ბუნებრივად მეორე წარმოშვას. ასეთი გაწვრთნის შემდეგ, ძ ლ ი ე რ ი მ ი მ ბ ა ძ ვ ე ლ ო ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ, ბავში, გაიგონებს რა ბგერას („დაუკარი ტაში“), ამ ბგერასთან ასოციაციაში მყოფ მოძრაობას მოახდენს (დაუკრავს ტაშს). ბავშის ემპიროიული გაწვრთნა, თუმცა „შეუგნებელი,“ მაგრამ ბავშის მნიშვნელოვანი მომზადებაა, როგორც მეტყველებასთან გაცნობისათვის, აგრეთვე სიტყვებისა და მოძრაობასა შორის არსებული კავშირის გამოსარკვევად; და, საერთოდ, გარემოწრის პირობებთან შეგუებისათვის. ბავშის მიერ თავისი უმწეობის თანდათანი დაძლევას, პედოლოგიაში შემდეგი სახელწოდებით გამოხატავენ: „მაწოვარი“, „მეთვალყურე,“ „მტაცებელი,“ „მფორთხავი,“ „მოსიარულე,“ „მოლაპარაკე,“

2. მეხსიერების განვითარება.

რომელიმე გაღიზიანების მოქმედება ეგრძნობიარე ნერვზე მისი მოცილების შემდეგ არ ჰქრება. შთაბეჭდილება მიღებული გაღიზიანებისაგან, ნერვიულ ცენტრებში გაკაფული გზისა და კვალის სახით რჩება, რომელიც სათანადო პირობებში შეიძლება იქნას აღდგენილი. ტვინის უნარს, რომლის მიხედვით შესაძლებელია შთაბეჭდილების მიღება, შენახვა და აღდგენა, მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა ეწოდება. იმ დროს, რომლის განმავლობაშიაც ინახება შთაბეჭდილება ტვინში—ლ ა ტ ე ნ ტ უ რ ი პ ე რ ი ო დ ი („დამალული ხანა“) ეწოდება.

ამრიგად, მეხსიერებაში სამი მომენტია გასარჩევი: ა) რ ე ც ე პ-ც ი ა, პ ე რ ც ე პ ც ი ა, ანუ შთაბეჭდილების მ ი ღ ე ბ ა, ბ) ლ ა ტ ე ნ-ტ უ რ ი პ ე რ ი ო დ ი ანუ შთაბეჭდილების შენახვა (კვალის სახით) ტვინში და გ) რ ე პ რ ო დ უ ქ ც ი ა, ანუ ა ღ დ გ ე ნ ა. შთაბეჭდილების ლატენტური პერიოდის ხანგრძლივობა მრავალ სხვადასხვა პირობაზეა დამოკიდებული: მნიშვნელობა აქვს: ტვინის მდგომარეობას, შთაბეჭდილების ინტენსიობას, განმეორებას, ინტერესს, დროს (დილა-საღამო) შთაბეჭდილების ასაკს, გაკეთული ნერვიული გზების რაოდენობასა და სხვ.

ძუძუმწოვარა ბავშის მეხსიერებას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ის 1 თვის შემდეგ უკვე ი ც ნ ო ბ ს დედის ხმას და ტირილს თავს ანებებს; ბავშს აგრეთვე აქვს მ ო ლ ო დ ი ნ ი, რომ განსაზღვრულ მოქმედებას, თან მოყვება მეორე მოქმედება, მაგ. აკვანში ჩაკვრის დროს ბავში მეტად ტირის, მაგრამ იმ დრომდე, სანამ განვითარდებოდეს ეს პროცედურა; როდესაც ბავშის გახვევა დასრულდება, ბავში ტირილს თავს ანებებს, რადგან მ ო ე ლ ი ს, რომ მას ძუძუს მისცემენ; თუ ბავშს რამდენიმეჯერ მოჰხოცეს ცხვირი, რაც ბავშში ტკივილს იწვევდა, საკმარისია ბავშმა შეამჩნიოს, რომ მისი ცხვირისაკენ ხელი ან ცხვირსახოცი მიგვაქვს, რომ წინააღმდეგობა გაგვიწიოს და ცხვირი არ დაგვანებოს, რადგან მას აქვს მ ო ლ ო დ ი ნ ი (ხსოვნა), რომ ცხვირზე მიკარებას ტკივილი მოყვება, 4-5 თვის ბავში უცხო პირებს არ ეკარება და ულიმის დედას (ნ ა ც ნ ო ბ ო ბ ა).

ბავშის მეხსიერების ლატენტური პერიოდი ძალიან მოკლეა: 4 თვის ბავშის ლატენტური პერიოდი =1 დღეს, $^1/_2$ წლის=1 კვირას, 1 წლის=2-3 კვირას, 2 წლის=1 თვეს; 3 წლის-რამდენიმე თვეს, 4 წლის-1 წელიწადს; 5 წლის=2 წ. და სხვა. ქვემომოყვანილი ცდებით შეგვიძლია გამოვარკვიოთ, თუ როგორია ლატენტური პერიოდი სხვა დასხვა ასაკში: ა) ავიღოთ ცხელი წყლით სავსე ჭიქა, რომლის მიკარება ოდნავ ტკივილს იწვევს და მივცეთ 5—6 თვის ბავშს; ბავშს ხელი ეტკინება და ის ტირილს დაიწყებს; ეს ჭიქა მეორე დღეს მივსცეთ და ბავშის რეაქციებს დაუკვირდეთ: მოკიდებს ის მას ხელს, თუ არა. ასეთი ცდების მრავალჯერ და სხვადასხვა ასაკის ბავშებზე მოხდენა გაგვაგებინებს, თუ რამდენ ხანს ახსოვს ბავშს ესა, თუ ის შთაბეჭდილება; ბ) 1—2 წლის ასაკის ბავშს მისი საყვარელი სათამაშო გამოვართვათ და ბავშის შესამჩნევად სადმე დაემალოთ, ბავში რამდენიმე ხნის განმავლობაში გაეართოთ და შემდეგ ვკითხოთ, თუ სად არის მისი სათამაშო? გ) 3—4 წლის ბავშს მიეცით საღამოს დავალება, რომელიც მან მეორე დილით უნდა შეასრულოს, მაგ. დილით

გაღვიძების შემდეგ უნდა მოიტანოს ჭიქით წყალი. დაუკვირდით, გაახსენდება მას დილით დავალება, თუ არა? ბავშის ასაკის მიხედვით გააგრძელეთ დავალების შესრულების დრო: 2 დღით, 1 კვირით და სხვა.

3 წლის ასაკის შემდეგ ბავშები უკვე ლექსებს სწავლობენ ზეპირად: მათ სწრაფად ამახსოვრდებათ არა მარტო ის ლექსები, რომლის შინაარსი მათთვის გასაგებია, არამედ ისეთებიც, რომელიც გაუგებარია. ბავშებს ინსტინქტიური მექანიკური მეხსიერება აქვთ, რომელიც „თუთიყუშის“ მეხსიერებას შეგვიძლია შევადაროთ. აღსანიშნავია, რომ სასკოლო ასაკამდე ბავშები მთლიანად სწავლობენ ლექსებს და არა ნაწილ-ნაწილად და უფრო ემარჯვებათ ლექსების დასწავლა, ვიდრე სხვა ფორმის თხზულების, რადგან ლექსს მუსიკალური რიტმი ახასიათებს.

რაც შეეხება მოზრდილების მოგონებებს თავისი ბავშობის შესახებ, უნდა ითქვას, რომ, თუმცა ზოგი ამტკიცებს, რომ ადამიანს უკვე ორი წლის ასაკის შემდეგ ბავშობის დროის მოგონობები აქვს, მაგრამ, რამდენადაც ჯერ-ჯერობით მოზრდილების დაკითხვის საშუალებითაა დამტკიცებული, ცოტად თუ ბევრად ნათელი მოგონებები მხოლოდ 5 წ. ასაკს აღწევენ, 5 წლამდე კი ბავშობის ხანის მოგონებები მეტად ბუნდოვანი და ბურუსით მოცული არიან.

ზოგადათ მეხსიერების განვითარებაში გასარჩევია შემდეგი საფეხურები:

I პერიოდი—ფიზიოლოგიურ-ინსტინქტიური მეხსიერება, რომელიც ახასიათებს ბავშს დაბადებიდან—9 დღემდე. ამ პერიოდში ბავშს არა აქვს ინდივიდუალური მეხსიერება (ცნობა, მოლოდინი), მისი მეხსიერება—ბიოლოგიურია, ინსტინქტიურია, რომელიც იღებს და ინახავს შთაბეჭდილებებს; ხოლო როდესაც მე-9 დღის შემდეგ ბავში უკვე იცნობს საგნებს (ან მოელის მათ) ე. ი. როდესაც ბავში უკვე აღადგენს მიღებულსა და შენახულ შთაბეჭდილებებს, ეს, ცხადია, უკვე არ ხდება, არამედ მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ ბავშში, ამ ხნის განმავლობაში ინსტინქტიურად გროვდებოდენ შთაბეჭდილებები, მაგრამ ასეთები უმეტესად დამალული იყვნენ, გარეგნულად არ მეღავნდებოდენ.

მე-II-ე პერიოდი—პირველადი მეხსიერება (9 დღიდან-$1^1/_2$ წლამდე). ჯერ კიდევ ე. სტერნი ამბობდა, რომ მეორე თვიდან უკვე შეგვიძლია დავუკვირდეთ, რომ ბავში დედის შეხედვასა და ხმას—ღიმილით უპასუხებს ე. ი. ბავშმა „იცნო“ დედა. ამასვე ადასტურებენ ბეხტერევი და შჩელოვანოვი: „თუ ჩვენ ავიყვანთ ერთი თვის ბავშს ხელში, ის იწყებს „ძებნას“ ე. ი. აამოძრაევებს

თავს, აღებს პირს, შემდგ-კი—რიტმიული წოვითი მოძრაობას ახდენს, ე. ი. ენისა და ქვედა ყბის მოძრაობას და სხვა. ხოლო, პირობითი რეფლექსის შემუშავებას, იგივე მკვლევარები, უკვე ბავშის სიცოცხლის მე-9 დღის შემდეგ, ახდენდენ, რამდენადაც ასეთი „ცნობა“ და „მოლოდინი“ ახასიათებს სხვა ცხოველებსაც, რაც არ საჭიროებს მეტყველებას და, მაშასადამე, მახსოვრობის უმარტივეს სახეს წარმოადგენს, მას—პირველადი მეხსიერება „ანუ“ ცნობითი მეხსიერება ეწოდება.

მე-III-ე პერიოდი—პ ა ს ი უ რ ი მ ო გ ო ნ ე ბ ი თ ი მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა. პირველადი მეხსიერების პერიოდში, როგორც ვთქვით, ბავში „იცნობდა“ საგანს ე. ი. მოიგონებდა მას, მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ საგანს უშუალოდ აღითქვამდა; მაშასადამე ბავში აღადგენდა წარსულს, მაგრამ მხოლოდ ფაქტის დროს. მე-III-ე პერიოდში-კი, ბავშს უკვე შეუძლია მოიგონოს წარსულში მიღებული შთაბეჭდილება საგნისაგან, ამ უკანასკნელის აღქმის გარეშეც ე. ი. წარმოდგენის საშუალებით, როდესაც გასახსენებელი საგანი (სტიმული) არ არის თვალწინ.

ამგვარი მოგონებითი მეხსიერების საილიუსტრაციოთ ტ რ ე ს ი ს შემდეგი მაგალითი მოჰყავს: $1^1/_2$ წლის ბავშმა გაიგონა, რომ ერთმა ბავშმა დაცემით იტკინა ფეხი, როდესაც, რამდენიმე დღის შემდეგ მეორე ბავში შევიდა ოთახში, პირველმა მიირბინა მასთან და უთხრა: „დაეცი, ფეხი იტკინე“! ამ მაგალითში გასარჩევია ორი სახის მეხსიერება: 1) ცნობითი მეხსიერება—ბავშმა იცნო ფეხ ნატკენი ბავში და 2) მოგონებითი მეხსიერება—ბავშმა არა მარტო იცნო, არამედ მოიგონა ისიც, რაც არ იყო უშუალოდ დაკავშირებული ფეხ ნატკენი ბავშის აღქმასთან, სახელდობრ—თუ რა უთხრეს ან ბავშის შესახებ. ვ. პრეიერი თავისი 2 წლის შვილის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: ერთხელ დედამ გაუკეთა მას ღია ბარათიდან სათამაშო ციგა; რამდენიმე დღის შემდეგ, ბავშმა აიღო რა წერილების დამტარებლისაგან მოტანილი ღია ბარათი, ყვირილით გაიქცა დედასთან: „დედა, ციგა!.“

მოგონებითი მეხსიერების განვითარება იწყება იმ დროიდან, როდესაც ბავში მეტყველებას, ერთგვარად, ისწავლის; საშულოდ ეს პერიოდი მეხსიერების გრძელდება $1^1/_2$ წლიდან—$2^1/_2$ წლამდე.

მ ე-IV პ ე რ ი ო დ ი—ა ქ ტ ი უ რ ი მ ო გ ო ნ ე ბ ი თ ი მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ი ს ს ტ ა დ ი ა.

ამ სტადიაში გრძელდება და ვითარდება „ცნობაც“ და „მოგონებაც“ მხოლოდ, განსაზღვრული მიზნისა და მიმართულების გარე-

შე არსებული მოგონება, რაც მე-III-ე პასიური მოგონებითი მეხსიერებას ახასიათებს, აქტიურ სახეს იღებს. აქტიური მოგონებითი მეხსიერება არის „წარსულის შესახებ მოგონებათა არა თავისუფალი მიმდინარეობა, არამედ—წარსულიდან მხოლოდ განსაზღვრულ შთაბეჭდილებათა გახსენება მიჩნეული მიზნის მიხედვით.

მაგ. სტერნის ქალიშვილი ჰ ი ლ დ ა (2. 1.) კითხვაზე თუ რა იყო სადილათ, ჩამოთვლიდა თუ რა შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო სადილათ და არა იმ საჭმელებს, რაც იყო ნამდვილად სადილის დროს. ორი თვის შემდეგ-კი (2.3) ჰილდა უკვე ასეთ პასუხებს იძლეოდა: „რა ჭამე დღეს?“--„წვენი“ „კიდეე?“ —„ხორცი“, კიდეე“—„პოტნეტი“ (pot nicht). უკანასკნელ პასუხებში უკვე ვხედავთ, რომ ბავში იგონებს არა ყველაფერს, რაც იცის მან შეკითხვის ირგვლივ, არამედ უკვე ამოარჩევს თავისი ცოდნიდან ისეთ სახეებს, რომლებიც შეეფერება შეკითხვაზე სწორი პასუხის მიცემას. ასეთი აქტიური მეხსიერება იწყება, საშუალოდ $2^1/_2$ წლის ასაკის შემდეგ და გრძელდება, ღრმავდება და ვითარდება მთელ სიცოცხლის განმავლობაში.

აქვე მოგვყავს ვ. სტერნის ცხრილი, რომელიც ნათელყოფს, თუ რამდენ ხანს გრძელდება ლატენტური პერიოდი სხვა და სხვა სახის მეხსიერებითი პროცესებისათვის.

ასაკი / პროცესები	1 წლამდე	1-2 წლამდე	2-3 წლამდე	3-4 წლამდე	4-5 წლამდე	ლატენტურ პერიოდის სიგრძე
ცნობითი	რამდენიმე დღე	რამდენიმე კვირა	რამდენიმე თვე	1 წლამდე	1 წელზე მეტი	
პასიურად მოგონებითი	0	რამდენიმე დღე	რამდენიმე კვირა	1 წლამდე	1 წელზე მეტი	
აქტიურად მოგონებითი	0	1 დღე	რამდენიმე კვირა	1 წლამდე	1 წელზე მეტი	

სკოლის ასაკამდე ხანაში, აქტიური მეხსიერების განვითარების შემდეგ, თანდათან ფართოვდება მეხსიერების მოცულობა, იზრდება ლატენტური პერიოდი და მატულობს მეხსიერების სიზუსტე.

როგორც ვიცით, მეხსიერება-დავიწყების მხრივ გასარჩევია შემდეგი ტიპები:

1) სწრაფად შემსწავლელი და ნელა დამავიწყებელი 2) ნელა შემსწავლელი და ნელა დამავიწყებელი, 3) სწრაფად შემსწავლელი და სწრაფად დამავიწყებელი და 4) ნელა შემსწავლელი და სწრაფად დამავიწყებელი.

გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ბავში იმ სფეროში, რომელიც მისი ასაკისათვის მისაწვდომია—ძალიან კარგი მეხსიერების მქონეა, მაგ. წვრილმანების დამახსოვრება, უცხო ენების შეთვისება და სხვა ბავშებს მეტად ეადვილებათ.

საერთოდ-კი ბავშის მეხსიერება მე 3-ე ტიპს უნდა მივაკუთნოთ ე. ი. ის მალე ითვისებს, მაგრამ მალეც ავიწყდება.

მაშასადამე, ბავშს განვითარებული აქვს მექანიკური მეხსიერება: ბავში უფრო მალე ითვისებს გაუგებარი შინაარსის მქონე იდეურ მასალასაც კი, რადგან პლასტიურობა მეტად ახასიათებს მის ცენტრალურ ნერვიულ სისტემას (კვალისფიქსაცია ტვინში) სასკოლო ასაკში. (ე. ი. მე-8 წლიდან) ბავშში ვითარდება აქტიური მოგონებითი მეხსიერების უმაღლესი სახე, რომელიც მას საშუალებას აძლევს დასძლიოს სკოლის საპროგრამო სიძნელენი. რომლის მიხედვიდაც ბავშს სკოლაში აძლევენ სრულიად ახალ მასალას და მოითხოვენ, რომ მან შეითვისოს ეს მასალა განსაზღვრული ფორმით.

წარმოდგენათა განცდის მიხედვით, თუ როგორ არიან განაწილებული სხვადასხვა ასაკის ბავშები, ჯერჯერობით პედოლოგიას არ მოეპოვება საკმაოდ საიმედო და მასიური გამოკვლევები. იმ ცნობების მიხედვით, რომელიც დაგროვილია ამ საკითხის შესახებ, ღნდა დავასკვნათ, რომ სკოლის ასაკამდე ხანაში სპარბობენ: მხედველობით-მოტორული, *) შემდეგ—სმენით-მოტორული და, ბოლოს,—მხედველობით-სმენითი ტიპები.

3. ბავშის ყურადღება **)

ყურადღება, მეხსიერებასთან ერთად, ადამიანის ფსიქო-ფიზიკური აპარატის უთავრეს თვისებას წარმოადგენს. თანამედროვე ფსიქოლოგიის გაგებით, ყურადღება არის ორგანიზმის მომართვა გარემოწრის პირობების საუკეთესოდ აღქმისათვის, რადგან ასეთი მომართვის დროს ხდება ფსიქიური ენერგიის მობილიზაცია და მიჩნეულ საგანზე, ან მოვლენაზე დაგროვება.

ყურადღების შედარება მხედველობასთან ნათელყოფს პირველის თავისებურობას: მაგალითად, ერთდროულად ჩვენ ვხედავთ მრავალ საგანს: სახლებს, ადამიანებს, ხეებსა და სხვას, მაგრამ ამ საგნებში არის ისეთი, რომელსაც სხვებზე უფრო კარგად და ნათლად ვხედავთ; უკანასკნელის შესახებ ამბობენ, რომ ის არის მხედველობის „ფიქსა-

---

*) ყურადღების განვითანების შესახებ იხ. თავი მე -XV-ე

**) ვ. სტერნის აზრით, სკოლის ასაკამდე ხანის ბავშებში სპარბობს მოტორულ-სმენითი ტიპი.

ციურ წერტილში" (ე. ი. ნათელი მხედველობის წერტილში); იმ საგანს, რომელიც ფიქსაციური წერტილის ახლო არის, უფრო კარგად ვხედავთ, შორს მყოფ საგნებს კი — ცუდათ. ბუნდოვანათ. ანალოგიური მდგომარეობა ახასიათებს ცენტრალურ ნერვიულ აპარატსაც: ერთდროულად იგი მრავალ გაღიზიანების ზეგავლენას განიცდის, რაც მისი ნაწილების სხვადასხვა ხარისხით აღგზნებას იწვევს; ამ აღზნებულ ნაწილებს შორის ერთ-ერთი მაქსიმალურად აღზნებულია, მთელი ტვინის ნერვიულ ენერგიას იკრიბავს და დანარჩენ ნაწილებზე ბატონობს. ტვინის ასეთი გაბატონებულ აღზნებულ ნაწილს „კერას" დომინანტა" ეწოდება, ხოლო მის მიერ დამორჩილებულ ტვინის ნაწილებს კი – „ს უ ბ დ ო მ ი ნ ა ნ ტ ა". დომინანტას გაბატონება ნერვების ცენტრალურ აპარატში შეტად ხანმოკლეა: რომელიმე სუბდომინანტა თანდათან იწყებს გაძლიერებას, მთელ ნერვიულ აღგზნებას მიიზიდავს, გაბატონდება — დომინანტად იქცევა და ასე შემდეგ. ამრიგად, ტვინში განუწყვეტლივ სხვახასხვა დომინანტის წარმოშობა ხდება, რასაც ეწოდება ყურადღების გადატანა ერთი საგნიდან მეორეზე: ამა თუ იმ გაღიზიანების ყოფნას ტვინის დომინანტურ, ანუ ფიქსაციურ ნაწილში ყურადღების გაძლიერებას ვუწოდებთ, ხოლო მისი (გაღიზიანების) სუბდომინანტურ ცენტრში მოთავსება ყურადღების დასუსტებას წარმოადგენს.

ყურადღების გაძლიერება დაკავშირებულია მრავალ სხეულებრივსა ანუ ფიზიოლოგიურ ცვლილებასთან: როდესაც ადამიანი ყურადღებას რაიმეს აპყრობს, ის უ ძ რ ა ვ ა დ ხდება; ამ დროს შეფერხებულია ის მოძრაობანი, რომლებიც ხელს შეუშლიან ორგანიზმის მომართვას; მხედველობა, სმენა, მთელი სხეული და თავი მიმართულია იმ მხრივ, საითაც არის ყურადსაღები საგანი, შუბლი შეჭმუხულია, წარბები შეკრული, სუნთქვა შეჩერებული და სუსტი, ხდება გაძლიერებული სისხლის დენა თავის ტვინში და სხვა.

ყურადღება ხელს უწყობს მოვლენათა კომპლექსიდან ერთერთის გამოყოფასა და მისი ნათლად შესწავლას; ადიდებს ფსიქიური პროცესების ინტენსიობას; რაც უფრო მეტ ყურადღებას მივაპყრობთ მაგ. კბილის ტკივილს, მით უფრო გაძლიერდება იგი და პირიქით; გარდა ამისა, ყურადღება ფსიქიური პროცესების მდინარეობას აჩქარებს, შთაბეჭდილებათა დამახსოვრებას ხელს უწყობს და აზროვნების უნარს აღრმავებს.

ყურადღება ორგვარია: ა ქ ტ ი უ რ ი და პ ა ს ი უ რ ი. პასიური ეწოდება ისეთ ყურადღებას, რომელსაც გარეშე გაღიზიანება იწვევს მაგ. თოფის სროლა, „მყვირალა" აფიშა, უჩვეულო რეკლამა და სხვა;

აქტიური ყურადღება-კი დამოკიდებილია ადამიანის ინტერესზე, ე. ი. რამდენათ მიჩნეული საგანი ან მოვლენა არის საჭირო საცხოვრებელი წრესთან საუკეთესოდ შეგუებისათვის.

რადგან ცოცხალი ადამიანის ნერვიული პროცესების მდინარეობა განუწყვეტელია, ამიტომ შეუძლებელია ვიფიქროდ, რომ არის ისეთი მომენტი ანუ პაუზა, როდესაც ადამიანს არა აქვს ყურადღება. ა ბ ნ ე უ ლ ო ბ ა (рассеянность) ხშირად ძლიერი ყურადღების მაჩვენებელია. მაგ. „ანეგდოტები პროფესორების“ შესახებ, სადაც მოთხრობილია, რომ მათ ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებში ახასიათებს აბნეულობა, აიხსნება მით, რომ პროფესორებს ყურადღების ძლიერი დაპიმვა მიმართული აქვთ რომელიმე მეცნიერულ საკითხებისაკენ და ცხოვრების სხვა მხარეები კი უყურადღებოდ რჩება. აბნეულობა ორი სახისაა: 1) ნ ა მ დ ვ ი ლ ი ა ბ ნ ე უ ლ ო ბ ა, როდესაც ყურადღების ძალა სუსტია, როდესაც იგი შეუჩერებლივ ერთი საგნიდან მეორეზე გადარბის და ვერც ერთს სათანადოთ ვერ ითვისებს და 2) ა ბ ნ ე უ ლ ო ბ ა, როგორც ძლიერი ნერვიული დაპიმვის (ცალმხრივი კონცენტრაცია (დაგროვება), როდესაც ყურადღების ცენტრში ერთი ოდენელიმე საგანი, ან მოვლენა არის. მასწავლებლის უკმაყოფილება მოწაფის უყურადღებობის გამო, ნიშნავს, რომ ¡მოწაფეს არა აქვს ის ყურადღება, რომელსაც მასწავლებელი მოითხოვს ე. ი. ყურადღება გაკვეთილისადმი; საერთოდ ყურადღება კი მოწაფეს აქვს; მაგ. ის უყურებს ბუზების ფრენას საკლასო ოთახში, თვალყურს ადევნებს, თუ რა ხდება ეზოში. ათვალიერებს მასწავლებლის გარეგნობას და სხვა ე. ი. მოწაფეს პასიური ყურადღება აქვს. ახლადშობილ ბავშს ყურადღება არ აქვს; მხოლოდ დაბადების ერთი თვის შემდეგ, ბავში თვალყურს განათებულ და მოძრავ საგნებს ადევნებს, ძლიერ ხმაურობას მიაყურებს და სხვა. ბავშს პასიური ყურადღება ახასიათებს; აქტიური ყურადღების ნიშნებს მას მხოლოდ 5 თვის ასაკიდან ვამჩნევთ: ბავში თავის ხელების მოძრაობას ათვალიერებს და ძლიერ ინტერესს იჩენს იმ შთაბეჭდილებისადმი, რომელმაც მასში სიამოვნება გამოიწვია (ე. წ. სენსოდრული ინტერესი). ბავშში თანდათან, სხეულებრივი განვითარების მიხედვით, ჩნდება ძლიერი ინტერესი ფორთხვისადმი, ფეხებზე გაჩერებისა და სიარულისადმი; აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბავში დიდ ყურადღებას აქცევს სიტყვასა და მათ წარმოთქმას (1 წლის შემდეგ), სირბილს, გარემოწრის მოვლენებს, დანგრევას, აშენებას და 7—8 წლის ასაკისათვის,— კითხვას, წერასა და ანგარიშს. ბავშის ყურადღება სუსტია, აბნეულია და დიდხანს

ერთ საგანზე შეჩერება მას არ შეუძლია.*) რადგან ყურადღების მიპ-ყრობა ფსიქიური და სხეულებრივი ძალების დაჭიმვას მოითხოვს, ბავში მალე იღლება და შთაბეჭდილებათა შეცვლას საჭიროებს; ბავში ხან ერთი ხან მეორე სათამაშოთი ერთობა, მაგრამ ორივე მალე მოსწყინდება და ახალი სათამაშო ესაჭიროება. როგორც ვიცით, ბავშისათვის საცხოვრებელი წრე ბუნდოვანსა და ქაოტიურ მოლიანობას წარმოადგენს და ამ ქაოსში გარკვევას, შთაბეჭდილებათა მოწესრიგებასა და ერთი მეორესაგან გარჩევას — ყურადღება ანხორციელებს.

პროფ. მ ო ი მ ა ნ ი ს მიხედვით ბავშის ყურადღება მოზრდილი ადამიანის ყურადღებით შემდეგით განსხვავდება:

ბავშების ყურადღება:	მოზრდილი ადამიანების ყურადღება:
1. ექსტენსიური	1. ინტენსიური.
2. განზე იხრება.	2. ოდნავ იხრება განზე.
3. მოხეტიალე.	3. ფიქსაციაქმნილი.
4. პასიური.	4. ნებითი (აქტიური).
5. გრძნეული.	5. გონებრივი.
6. ნელა შეგუებითი.	6. ჩქარა შეგუებითი.
7. დინამიური.	7. სტატიური.
8. მკაფიოთ გამოხატული — შეგუებითი მოძრაობანი.	8. მკრთალად - გამოხატული — შეგუებითი მოძრაობანი.
9. ჩქარი დაქანცვა.	9. უფრო ნელი დაქანცვა.

*) ამ ბოლო დრომდე პედოლოგიაში იყო აზრი, რომ ბავშის ყურადღების ხანგრძლივობა არ აღემატება 15 წუთს. თანამდროვე რუსეთის პედოლოგის შ ე ლ ო ვ ა ნ ო ვ ი ს მიხედვით კი, მეორე თვის ბოლოს ბავშის ყურადღების ხანგრძლივობა თითქმის 10 წამს უდრის.

თავი მეცხრე

სივრცისა და დროის აღქმა

1. სივრცის აღქმა. გერმანელი ფილოსოფოსი იმმანუილ კანტი გარემო ბუნებაში ორი მხარეს არჩევდა: მასალას (материал внешней вещи) და ფორმას (форма внешней вещи). მისი აზრით გარემყარის მასალას იმ თვისებების ჯამი შეადგენს, რომელსაც ადამიანი, უთავრესად, „ხუთი გარეშე გრძნობის" საშუალებით ეცნობა: ეს თვისებებია: სინათლე-ფერები, ბგერა, გემო, ტაქტილური და ტერმიული თვისებები, სუნი და სხვა. ფორმა — კი გარემყარის მეორე მხარეა, რომელსაც შეადგენს სივრცე და დრო ე. ი. ის თვისებები, რომელიც განსაზღვრავს საგნებისა და მოვლენების დალაგებას.

სივრცეს სხვადასხვა თვისება აქვს: „ზევით"-„ქვევით", „წინ"-„უკან", „მარჯვნივ",-„მარცხნივ", „შორს„-„ახლოს", „დიდი"-„პატარა", „ბრტყელი"-„რელიეფური", „საგნების გარეგნობა" (სფერო, ოთხკუთხი...) და სხვა.

სივრცის აღქმის შესახებ, მეტად ხანგრძლივი დროის განმავლობაში, იბრძოდა ორი თეორია: 1) ნატივიზმი, რომელიც აღიარებდა, რომ სივრცის თვისებების აღქმა ადამიანის თანდაყოლილი უნარია და მხოლოდ მხედველობით ხორციელდება და 2) ემპირიზმი ანუ ბერკლის თეორია, რომლის მიხედვით სივრცის აღქმა შეძენილია პირადი მოტორულ-შეხებითი გამოცდილებით. თანამედროვე ფსიქოლოგიაში, საკითხი ადამიანის განვითარებისა და კერძოთ, სივრცის აღქმის ფაქტორების შესახებ, ასეა გადაჭრილი: სივრცის აღქმას განსაზღვრავს, როგორც თანდაყოლილი თვისებები, (მხედველობა), აგრეთვე უმეტესად, მოძრაობით-შეხებითი გამოცდილება.

დაბადებისას ბავშს არავითარი წარმოდგენა არ აქვს სივრცის შესახებ. სივრცის აღქმა ბავშში მოძრაობათა განვითარებასთან პარალელურად ვითარდება.

სივრცის „დაპყრობის" ევოლიუციაში, აღსანიშნავია შემდეგი საფეხურები:

1) ინსტნიქტიურ-იმპულსიურ მოძრაობათა გამო, ბავში ჯერ ეგრეიდწოდებულ „პ ი რ ვ ე ლ დ ა წ ყ ე ბ ი თ ს ი ვ რ ც ე ს“ ეცნობა „(იპყრობს“); უკანასკნელი ტუჩების მოძრაობისა (წოვა) და თავის მობრუნების სფეროთი განისაზღვრება; 2) დაბადებიდან 3-4 კვირის შემდეგ, ბავში ე. წ. „ ა ხ ლ ო ბ ე ლ ს ი ვ რ ც ე ს“ ეცნობა, ამ სივრცის რადიუსი $^1/_3$ მეტრს უდრის, ე. ი. ბავშის ხელების სიგრძეს: ბავში თვალების წინ ხელებს ამოძრავებს, მიიტანს მათ პირთან (ხშირად პირს ვერ მიაგნებს) და ასეთი მოძრაობით ბავში ახლობელ სივრცეს იპყრობს, ე. ი. იმ სივრცეს, რომელსაც ბავში ხელებით წვდება; აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ახლადშობილი ბავში ერთნაირად სარგებლობს, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ხელით; სამ წლამდე ბავში ორივე ხელით მოქმედობს და ამ ასაკის შემდეგ კი უფრო ხშირად მარჯვენა ხელს მიმართავს და მარცხენა ხელი კი უმოქმედოთ რჩება. განსაკუთრებულად მარჯვენა ხელით სარგებლობა (წერა, ხელის ჩამოართმევა და სხვა) ალამიანის შრომის ნაყოფიერებას მეტად ამცირებს და მას სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს: საჭიროა, რომ ბავში მიეჩვიოს ორივე ხელით ერთნაირად სარგებლობას.*)

მე-4 თვიდან ბავში ხმაურობის მიმართულებაში ერკვევა: კარების ხმაურობაზე, ან ძაღლის ყეფის დროს, ბავში მიაბრუნებს თავს იქეთ, სადაც ხმაურობას აქვს ადგილი.

3) შ ო რ ე უ ლ ს ი ვ რ ც ე ს ბავში ფორთხვის, სიარულის და სირბილის დაწყების შემდეგ ეცნობა. როგორც ვხედავთ, სივრცის აღქმისათვის უმთავრეს საშუალებას მოძრაობა წარმოადგენს: სივრცის თვისებების სრულად და სწორად აღქმა იმაზეა, დამოკიდებული თუ როგორ მოტორული გამოცდილება აქვს მიღებული ბავშს. იმ დრომდე კი, სანამ ბავში სივრცის დაპყრობისათვის მხოლოდ თავის მხედველობას ეყრდნობა, მას არავითარი ზუსტი ცოდნა არა აქვს სივრცის შესახებ. მაგ. რომ ბავშს, დაბადების შემდეგ პირველ თვეებში ანთებული სანთელი გაუწოდოთ, ბავში ხელს სანთლის ქვედა ნაწილისაკენ გამოსწვევს, რადგან მას არავითარი მოძრაობითი გამოცდილება არა აქვს და სივრცის თვისებები—„ზევით“ და „ქვევით“—მან იცის მხოლოდ მხედველობის საშუალებით; თვალში კი სანთლის გამოხატულება შებრუნებულია; მრავალი შეცდომის შემდეგ, ბავში გაიგებს, თუ სად არის—„ზევით“ და „ქვევით“. იგივე უნდა ითქვას მანძი-

*) მარჯვენა და მარცხენა ხელის ერთნაირად გაწურთნას განსაკუთრებით ექცევა ყურადღება ამერიკის სკოლებში.

ლისა და სხვა სივრცეობითი თვისებების აღქმის შესახებ: ბავში პირველ ხანებში, თუმცა საგნებს ხედავს, მაგრამ მანძილი არ იცის: ხელს გაუწოდებს ისეთ საგნებს, რომელსაც ვერ მიწვდება; ჯონ დიუის აზრი ბავშის შესახებ, რომ „იგი მთვარეს ეპოტინება“ შესაძლოა გადამეტებულია, მაგრამ მაინც მეტად დამახასიათებელია ბავშის ყოფა-ქცევისათვის. პრეიერის აზრით, ბავშების ხშირი დაცემას, სხვათა შორის, სივრცის უცოდინარობა იწვევს. თანდათან დაუდეგარი და მუდმივი მოძრაობათა გამო (ფორთხვა, სიარული, სირბილი) ბავში 7—8 წლის ასაკისათვის სივრცეს საბოლოოდ ეცნობა და მას „იპყრობს“.

ტროშინის მიხედვით *), ბავში გაივლის ოთხ სტადიას სივრცის წარმოდგენის მხრივ.

I. ინსტინქტიურ-ფიზიოლოგიური სივრცის სტადია:

ამ სტადიაში სივრცე ვიწრო მოცულობისაა და მისი მოცულობა ბავშის პირველდაწყებითი ფიზიოლოგიური პროცესებით განისაზღვრება. ბავში იცნობს სივრცეს იმდენად, რამდენადაც არკვევს მას უშუალოდ აღქმის საშუალებით. ბავშს არა აქვს წარმოდგენა ისეთი თვისებების შესახებ, როგორიცაა: სიმაღლე, სიფართოე, სიღრმე; ამასთანავე, ბავში ვერ არჩევს ზუსტად სივრცეობით სახელწოდებებს: „ზევით-ქვევით, „მარჯვნივ-მარცხნივ, „იქ-აქ“ და სხვა. ეს სტადია გრძელდება $2^1/_2$ წლამდე.

II. კონკრეტული სივრცის სტადია—$2^1/_2$ წლიდან—8 წ. განვითარების ამ საფეხურზე ბავში ერკვევა სივრცეში ნაცნობი საგნების მიხედვით. სივრცე ბავშისათვის „არ არის დაუსრულებელი“, რადგან იგი კონკრეტულია და არ შეიძლება იქნეს „წარმოდგენილი განსაზღვრული მატერიალური ავსილობის გარეშე“.

III. კონკრეტულ ბასტრაქტული (განყენებული) სივრცის სტადია: ამ სტადიაში სივრცე წარმოდგენილია, როგორც ყველა კონკრეტული საგნის შემცველი არე, რომელიც ჯერ კიდევ მოკლებულია უსაზღვრობას. სივრცის საზომები (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე) და ფორმები, თუმცა კვლავ ატარებენ კონკრეტულ ხასიათს, მაგრამ თანდათან თავისუფლდებიან კონკრეტულ საგნებთან უშუალო კავშირისაგან და განყენებულ მნიშვნელობას იღებენ, ეს სტადია 10 წლის ასაკის ბავშებს ახასიათებს.

---

*) იხ. გრ. ტროშინი: „ Сравнительная психология нормальных и ненормальных детей“.

IV. განყენებულ სივრცისსტადია—შეეფერება მოზრდილ ასაკს, როდესაც სივრცე წარმოდგენილია, როგორც მთლიანი, უსაზღვრო, და განუწყვეტელი არე, რომელშიაც მოცემულია გეომეტრიული ფორმები და, პირობით განყენებულ ცნებათა მნიშვნელობის მქონე საზომები.

2. დროს აღქმა. ბავშს 4 — 5 წ. ასაკამდე „აწმყო დროის არსებას“ უწოდებენ, რადგან მას არავითარი წარმოდგენა არ აქვს ნამყოსა და მყოფადის შესახებ. ეს მით აიხსნება, რომ სასკოლო ასაკამდე ბავშის წარმოდგენა დროის შესახებ მჭიდროთაა დაკავშირებული მისი ცხოვრების განსაზღვრულ გამღიზიანებლებთან, შემთხვევებთან.

პროფ. არიამოვის აზრით, ბავშს რომ საჩუქრის მიცემა შევპირდეთ, ის მოგვთხოვს საჩუქარს „ეხლავე“, რადგან ბავშისათვის სულ ერთია იქნება ეს დაპირება შესრულებული ერთი დღის, ერთი კვირის, ერთი თვის, თუ წლის შემდეგ; ბავშისათვის მხოლოდ „ეხლა“ არსებობს და არა განუსაზღვრელი შორეული მომავალი. ასეთივე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ბავშს წარსულის შესახებ.

ამას ის ფაქტი მოწმობს, რომ ბავშები $2^1/_2$ წლამდე ზმნების დროებს ვერ ხმარობენ და შეკითხვაზე „როდის მოდი“? უპასუხებენ —„ხვალ“, „როდის წახვალ“? — „გუშინ“, ან ბავშის შეკითხვა: „დღეს—„ხვალ არის? და სხვა.

ყოველ შემთხვევაში, ბავშს არ შეუძლია მოვლენების თანამიმდევრობა გამოარკვიოს, არ ახსოვს თუ რომელი მოვლენა იყო უფრო ადრე ან გვიან და თუ აქა-იქ მას გაახსენდება წარსულიდან ერთეული ფაქტი, ასეთი დაკავშირებულია ძლიერ აღგზნებასთან (როგორც, მაგალითად, ჭამა, სათამაშო, მგზავრობა და სხვა). წარსული, აწმყო და მომავლის შესახებ საკმაოდ ნათელი წარმოდგენა აქვს ბავშს მხოლოდ 5 წლის ასაკის შემდეგ, მაგრამ ამ ასაკშიაც ბავშს არ ძალუძს ზუსტად გამიჯნოს ერთმანეთისაგან დროის პერიოდები და გაერკვეს დროის გამომხატველ სიტყვების მნიშვნელობაში—წუთი, საათი, კვირა, თვე, წელიწადი, საუკუნე. მკვლევარი დეკედრის დაკვირვებამ დაადასტურა, რომ 2—3 წლის ასაკის ბავშებმა არ იციან არც ერთი დღე კვირაში, 4 წლის ბავშებმა იციან მხოლოდ 2 დღე, 5 წლის ასაკში—3 ან 4 დღე და მხოლოდ 7 წლის ბავშებმა იციან კვირის ყველა დღეები. რაც შეეხება თვეების ჩამოთვლას, აღმოჩნდა, რომ ხუთი წლის ასაკამდი ბავშებმა სრულებით არ იციან თვე-

ები და 7 წლის ბავშებიც ასახელებენ მხოლოდ 8—9 თვეს. უფრო დიდი პერიოდების შესახებ კი, როგორც წელიწადი, ან .საუკუნე, სასკოლო ასაკამდე ბავშებს არავითარი წარმოდგენა არ აქვთ.

დროის აღქმის განვითარებაში ტროშინი იგივე სტადიებს აღნიშნავს, რასაც სივრცის შესახებ. მისი აზრით, გასარჩევია ოთხი სტადია:

I. ინსტინქტიურ-ფიზიოლოგიური დროის სტადია, როდესაც დრო განისაზღვრება ფიზიოლოგიური ფუნქციებითა და რამდენიმე მოგონების ვიწრო ფარგლებით. არის მხოლოდ აწმყო, რომელიც განიზომება მარტივი ორგანიული ფუნქციების ხანგძლივობით. ეს სტადია გრძელდება $2^1/_2$ წლამდე.

II. კონკრეტული დროის სტადია: ბავში არჩევს ერთმანეთისაგან აწმყოს, ნამყოსა და მომავალს ახლობელი კონკრეტული მოვლენათა ფარგლებში. ეს სტადია შეიცავს ასაკს $2^1/_2$—8 წლამდე. შემდეგი განვითარების საფეხურია — კონკრეტულ-განყენებული დროის სტადია (III)—(10 წლის ასაკში) და ბოლოს—განყენებული დროის სტადია (VI)--მოზრდილ ასაკში,—როდესაც დრო წარმოდგენილია, როგორც მთლიანი, დაუსრულებელი, განუწყვეტელი, პირობითი ფორმებითა და ზომებით.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე

ბავშის ემოციონალური რეაქციები. ბავშთა იდეალები და ინტერესები

1. სიამოვნებისა და უსიამოვნების რეაქციები.

გრძნობათა შორის, რომლებიც ადამიანისა და გარემოწრის ურთიერთ დამოკიდებულებას განსაზღვრავენ, ახლადშობილ ბავშს თანდაყოლილათ აქვს: სიამოვნების და უსიამოვნების რეაქციები. დაბადებისთანავე, ბავში უსიამოვნებას ყვირილით გამოხატავს, რასაც შეიძლება იწვევდეს: შიმშილი, სიცივე, ჟანგბადის სინაკლულე, დაღლილობა, ტკივილი ან სისველე.

საშველით დაკმაყოფილება, სითბო, მშრალი გასახვევი, საშუალო ძლიერების გაღიზიანება, ფერადი, ნათელი, მოძრავი საგნები, ჯანმრთელური თვითგრძნობა და საკუთარი მოძრაობანი (ხტუნვა, „ბუქნა") და სხვა—ბავშში კმაყოფილებასა და სიამოვნებას იწვევს.

თანდათან ბავში ტირილს უკლებს და მისი თვითგრძნობა სიამოვნებისკენ იხრება. ვილიამ სტერნის სიტყვით„ ნახევარი წლიდან ბავშის სიცოცხლე მზიანი და ნათელი დღეა, იშვიათი ღრუბლებით". სიამოვნებას ბავში თვალების გაბრწყინვებით გამოხატავს, ტუჩების ბოლოების აწევის — ღიმილითა,*) ჟღურტულით - ღუღუნით („აღუ"), სიცილით, ქყვირილით, მიხუტებითა და სხვა რეაქციებით. სიცილი და ღიმილი მხოლოდ ადამიანების თვისებაა, სხვა ცხოველებს კი იგი სრულებით არ ახასიათებს.

უკმაყოფილების გამოხატვის ნიშნებია: ტირილი, რომელიც 1-თვის ბოლომდე უცრემლოდ ხდება და თავდაცვითი მოძრაობანი, როგორიცაა—ხელების აქნევა და წინაალმდეგობა წამლის მიღების, ჩაცმის, გახვევისა და ცხვირის მოხოცვის დროს. პირველად ტირილი ერთნაირი კილოსი, ტემბრისა და ძლიერებისაა („უე", „უე"); შემდეგ-კი ხდება ტირილის დიფერენციაცია: მონოტონურ და ყოველგვარი უსიამოვნების ერთგვარად გამომხატველ „უე", „უე"-ს ცრემლები დაერთვის; ტირილის კილო და ინტენსივობა იცვლება;

*) 0—8 დღემდე დაბადების შემდეგ, ბავში უმეტესად ძილში ღიმება; ბავში ღიმილს გაღვიძების დროს დაახლოებით 1 თვის შემდეგ იწყებს.

სუსტ უსიამოვნებას ბავში ხმადაბლა ტირილით გამოხატავს, ძლიერ უსიამოვნებას კი — ხმამაღლა ტირილით, პირისახე ულურჯდება, ფეხებს აცმაცუნებს, ხელებს მუშტებათ აკეთებს, ხმა უწყდება და ხშირად დიდხანს ჰაერს ვერ ჩაისუნთქავს. ტირილის კილო იმდნად იცვლება, რომ დედას, 1/½ თვის შემდეგ, ბავშის ყვირილით შეუძლია გაიგოს, თუ რა აწუხებს ბავშს: შიმშილი, ტკივილი, დაღლილობა თუ სისველე. სანამ ტირილს დაიწყებდეს, ბავშს შეგვიძლია შევამჩნიოთ მომზადება ტირილისათვის: დაუნაოქდება ტუჩების სფერო („გაკეთებს ტუჩებს") და შუბლი, წარბებს დაკმუხავს, ცრემლები წამოუვა, ხშირ სუნთქვას იწყებს და სხვა. ბავში უსიამოვნებას გამოხატავს აგრეთვე თავის მობრუნებით (შეადარეთ: მოზრდილის მიერ თავის გაქნევით უარის გამოხატვა!).

2. შიში. გასარჩევია ორგვარი შიში: ა) ინსტინქტიური, როდესაც ცხოველს არ აქვს მოლოდინი რაიმე უბედურების და ბ) შიში ცდით გამოწვეული ცხოვრების გაკვეთილების შედეგათ შეძენილი. მაგ. ამბობენ „რომ დამწვარ ბავშს ცეცხლის ეშინია."

ახლადშობილ ბავშს ინსტინქტიური შიშიც აქვს, რაც „შეკრთომით გამოიხატება*). ინსტინქტიურ შიშს 'ბავშში იწვევს: ძლიერი ხმაურობა, სინათლე და აგრეთვე „შიში უჩვეულოსი" ან უცნობის (боязнь непривычного, неизвестного).

დამტკიცებულია მრავალი დაკვირვებით, რომ ახლადშობილ და პატარა ბავშებს სრულებით შიში არა აქვთ: სიბნელის, წყლის, გარეული ცხოველებისა და ჭექა-ქუხილის. უკანასკნელთა შიში ბავშებში ჩანერგილია მოზრდილების მიერ, რომლებიც ბავშს განზრახ აშინებენ).

3. განრისხება. განრისხება, როგორც თავდასხმის ემოცია, ბავშს დაბადების პირველი კვირის შემდეგ ემჩნევა, რასაც ბავშის მიერ უკმაყოფილობის გამოხატვაზე დაკვირვება დაგვიდასტურებს: ბავშს ტირილის დროს თვალებიც ირგვლივ ნაოკები უჩნდება, რაც განრისხების უტყუარ ნიშანს წარმოადგენს. ნახევარი წლის ბავშს, რომ მისი საყვარელ სათამაშოები გამოვართვათ და სხვები მიეცეთ, შევამჩნევთ გულმოსულობის ტიპიურ ნიშნებს. ამის გარდა, თუ რისხვამ აგრესიული (თავდასხმითი) სახე მიიღო ბავშს შემდეგი რეაქციები ახასიათებს: წართმევა, და დაკავება, რტყმევა, კბენა და კაწვრა.

---

*) ფრეიდის მიხედვით, ბავშის მიერ პირველი შიშის განცდა დაკავშირებულია დაბადების აქტთან.

4. კოლექტიურობის გრძნობა, ანუ თანაგრძნობა.

კოლექტიურობის გრძნობა, ანუ თანაგრძნობა (სიმპატია) საზოგადოებრივი ინსტინქტის შედეგია და სხვა ადამიანების გრძნობათა გაზიარებას წარმოადგენს. თანაგრძნობას ამჟღავნებს ნახევარი წლის ბავშიც კი: მაგ. თუ ბავში ხედავს, რომ მის დედას სცემენ, ბავში იწყებს ტირილს; თუ ბავში ხედავს მცინარე პირისახეს—თვითონაც იცინის, იღიმება და სხვა. ჩვეულებრივი შეხედულება ბავშზე უარყოფს მასში თანაგრძნობის ემოციას: ამბობენ, რომ ბავშს არ აქვს შეცოდება, შებრალება, ცხოველების, ვერ იზიარებს ოჯახში მომხდარ უბედურებას (მაგ. ოჯახის წევრის გარდაცვალებას) და სხვა. საერთოდ ბავშის ზნეობის შესახებ არსებობს ორი მოწინააღმდეგე შეხედულება: ა) ბავშები ეგოისტები, ბოროტები არიან; ბ) მეორე შეხედულების მიხედვით, ბავშები ალტრუისტები, კეთილი არიან დაბადების დროს და „ცხოვრების პირობები ხდის მათ ბოროტად, ეგოისტებად“; (ე. ე. რუსო). მაგრამ ორივე შეხედულება ყალბია, რადგანაც ზნეობა, როგორც სოციალური წრის ნაყოფი, არ არის უცვლელი და მარადიული; ზნეობა იცვლება და დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ამა თუ იმ სოციალური კლასის სასიცოცხლო ინტერესები. ამ თვალსაზრისით, ბავში არც ბოროტია, არც კეთილია; ბავში ჯერ სელლის თქმით, წარმოადგენს ზნეობის ნედლ მასალას. მისი ყოფა-ქცევა დამოკიდებულია პედაგოგიურ ზეგავლენასა და იმ როლზე, რომელიც ბავშს საზოგადოებრივ წარმოებაში ექნება. და თუ ასეთ ფაქტებზე მიუთითებენ, რომ ბავში შეუბრალებლად აწვალებს ცხოველებს (წიწილს, კატას...), აცლის ფრთებს პეპლებსა და ბუზებს, არ არის მოწყენილი ახლობელის სიკვდილის დროს და სხვა, ეს აიხსნება უმთავრესად მით, რომ ბავშმა თავისი მოქმედების მნიშვნელობა არ იცის და ვერ ერკვევა ისეთ მოვლენებში, როგორიცაა სიკვდილი, ავადმყოფობა და სხვა. საკმარისია ბავშს აუხსნან, თუ რა ტკივილებს განიცდიან ცხოველები წვალებისაგან, ან მის სხეულებზე მოახდინონ ისეთი ცდები, რომლითაც ბავში ცხოველებს წვალების დროს უმასპინძლდება, რომ ბავშმა ცხოველების წვალებას თავი დაანებოს, *) ბავშის სისასტიკეს ცხოველებისა და საგნების მიმართ ე. წ. „ბავშურ ვანდალიზს“ ხსნიან კიდევ—ბავშის ცნობისმოყვარეობით, რომელიც აიძუ-

*) არსებობს სხვაგვარი ახსნა, თუ რატომ აწვალებენ შეუბრალებლად ცხოველებს ბავშები: ბავშის ხსენებულ მოქმედებაში ხედავენ ატავიზმებს, რომელიც დარჩენილია იმ დროიდან, როდესაც პირველყოფილ ადამიანებს გარეულ ცხოველებთან ბრძოლა უხდებოდათ.

ლებს ბავშს ყველაფერი გამოიკვლიოს და ამით ავარჯიშოს თავისი ფიზიკური ძალები. როგორც ალტრუიზმის, ისე ეგოიზმის ჩანასახი ბავშს თანდაყოლილი აქვს, ხოლო მათი განვითარება დამოკიდებლია სოციალურ პირობებზე.

ბავშების ზნეობრივ შეხედულებებს სასკოლო ასაკამდე მხოლოდ უტილიტარული ხასიათი აქვს; მაგ. შეკითხვაზე, თუ რატომ არ შეიძლება ქურდობა, ბავშები (6 წლის ასაკის) უპასუხებდენ: „ქურდობა არ არის კარგი, რადგან ამისთვის საპყრობილეში აჯენენ", ან: „ჩხუბი არ ვარგა, რადგან შეიძლება თვალის დაზიანება" და სხვა.

5. ჯიუტობა. ჯიუტობა ბავშს ახასიათებს 1 წლის ასაკის შემდეგ. ჯიუტობა გამოიხატება შემდეგში: ბავშს სურს ის, რასაც უკრძალავენ და არ სურს ის, რასაც მისგან მოითხოვენ. მაგ. ბავშისაგან მოითხოვენ ჭამას—ბავში არ ჭამს; ბავშს უკრძალავენ ჭამას—სჭამს. იმდენათ ძლიერია ბავშის ჯიუტობა, რომ ის ჭამაზე იტყვის უარს მაშინაც კი, როდესაც მეტად დამშეულია. ბრძანებებს: „არ წახვიდე", „არ გადააგდო", „არ დაარტყა" და სხვა, ბავში უპასუხებს საწინააღმდეგო მოქმედებით: წავა, გადააგდებს, დაარტყამს და სხვა. იმ ხანას, როდესაც ბავშის ჯიუტობა მაქსიმალურად არის განვითარებული (3—8 წლამდე) „უარყოფის პერიოდი ანუ „ნეგატივიზმის ხანა" ეწოდება. რუბინშტეინს („Очерки педагогической психологии") ასეთი მაგალითი მოყავს: ერთი ბავში, ნეგატივიზმის ხანაში, შემდეგნაირად კითხულობდა ლოცვას: „მამაო ჩვენო": „არა მამაო, არა ჩვენო, არა რომელი, არა ხარ" და სხვა. რობერტ გაუპი („Психология ребенка") თავისი 3 წლის შვილის შესახებ გადმოგვცემს, რომ მის შეკითხვაზე: „Будешь умно вести себя„? უპასუხებდა: „Буду нет, буду нет".

ასეთ საწინააღმდეგო ყოფა-ქცევაში თანამედროვე პედოლოგია ბავშის ინდივიდუალობის განვითარებას ხედავს. („სხვებს არ ემორჩილებიან").

6. პოზა და სირცხვილი. ადამიანთა შორის ცხოვრება ბავშში იწვევს ეგრედწოდებულ „პოზას",*) ანუ ისეთ განზრახ ყოფაქცევას, რომლითაც ბავში სხვებზე ზეგავლენის მოხდენას მოელის. მაგ. თუ მტირალი ბავში გრძნობს, რომ მისი ტირილი ახლობელებს აწუხებს და მას ყურადღებას აქცევენ, ის ტირილს განაგრძნობს და, კიდეც, უმატებს; სკუპინებს თავისი შვილის პოზის შემდეგი მაგალითი მოყავთ:

*) იხ. ვ. სტერნი: „Психология раннего детства до 6 летнего возраста", გვ. 249—258.

2.4$^{1}/_{2}$. „თუ ჩვენ მას უყურებთ, ის ხშირად ტირის და მისი კუთხიდან გულამოსკვნილი კვნესა მოისმის; თუ ის გრძნობს, რომ მას უკვირდებიან, ის თავის შემაბრალებელ გრიმასებს აორკეცებს; არა ერთხელ შეგვიმჩნევია, რომ ის სრულიად დაწყნარებული იყურება ოთახში, მაგრამ, როგორც კი შენიშნავს, რომ ჩვენ მას უყურებთ, იმ წამსვე კვნესასა და ტირილს იწყებს“.

პოზას ეკუთვნის, აგრეთვე, ბავშის ისეთი ქცევა, როდესაც იგი სხვების ყურადღების მისაპყრობად უმნიშვნელო ტკივილს აძნელებს. მაგ. დიდხანს აქვს შეხვეული ოდნავ გაკაწრული თითი, საშინლად იყვირებს, თუ მის თითს შეეკარენ, სულ ნატკენის შესახებ ლაპარაკობს და სხვ.

აღსანიშნავია ბავშის მეტად ტიპიური ყოფა-ქცევა, როდესაც ის უცხო პირებს ხედავს—მაგ. სტუმრებს: ბავში, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში წყნარი და დამჯერე იყო, სტუმრებთან აუტანელი ხდება; ცოტა ხნის „უცხოობის“ შემდეგ, ბავში საჭიროზე მეტ ყვირილს, სიმღერას და სირბილს იწყებს, მაგიდაზე ადის, მშობლებს მუხლებზე და მხრებზე შეაჯდება, ამტრევს ჩაის ჭიქას და, საერთოდ, ისეთ უწესოებას ეწევა, რასაც „საქციელის წახდენას“ უწოდებენ. მოზრდილების ხვეწნა, ან მუქარა მასზე არავითარ გავლენას არ ახდენს და ბავში უწესოებას კიდევ უფრო უმატებს. ბავშის ასეთი საქციელი განსაკუთრებით შესამჩნევია, როდესაც ის ხედავს მეორე სქესის ბავშს. როგორც კი უცხო პირები წავლენ, ბავში კვლავ წყნარდება, მას უკვე ჩვეულებრივი ყოფა-ქცევა აქვს. ბავშის მიზანია ასეთ შემთხვევაში საყოველთაო ყურადღება მიიპყრას, რასაც უჩვეულო და „უწესო“ ყოფაქცევით აღწევს.

ს ი რ ც ხ ვ ი ლ ი პოზის საწინააღმდეგო გრძნობაა, რადგანაც მას აქვს მიზნად დასახული მაყურებლებისაგან დამალვა. სირცხვილს იწვევს, როგორც ინდივიდუალური, თანდაყოლილი პირობები, აგრეთვე განსაკუთრებით გარემოწრის გავლენაც. სირცხვილის დამოკიდებულება თანდაყოლილი პირობებისაგან იქიდან ჩანს, რომ მისი გამოხატულება სხვა და სხვა ინდივიდუუმში, მეტად სხვადასხვაგვარია: ზოგი ბუნებით მორცხვია, ზოგი—უფრო ნაკლებად და სხვა. სირცხვილის განვითარებას სოციალური პირობები ხელს მეტად უწყობს (აღზრდა); ბავში მორცხვობას უმთავრესად მას შემდეგ იწყებს, რაც მოზრდილები, ასეთი სიტყვების ხშირი განმეორებით, როგორიცაა; „სირცხვილია“ „არ გრცხვენია“ და, აგრეთვე, დატუქსვით, მას სირცხვილის გრძნობას ჩაუნერგავენ.

ბავშის მორცხვობა პირველ ხანებში (1 წლის ასაკის შემდეგ) უცნობი პირებისაგან დამალვის სურვილს წარმოადგენს:

1 წლის ბავში, რომელიც დედას ხელში აყვანილი ჰყავს, თავს მოაბრუნებს და ცდილობს პირის სახე დამალოს დედის მკერდზე, ან კალთაში, მაშინ, როცა ხედავს, რომ მასთან უცხო ადამიანი მოდის; ბავში იქვე გამოიხედავს, რომ შეუმჩნეველად უცხობს შეხედოს, მაგრამ, როგორც კი დაინახავს, რომ უკანასკნელი მას მისჩერებია, ბავში კვლავ მოაბრუნებს თავს. ამგვარად, „ბავში ცდილობს სხვებს შეხედოს, (ცნობის მოყვარეობა), მაგრან თავისი თავი—კი რაც შეიძლება ნაკლებათ დაანახოს სხვებს“.

სირცხვილისაგან გაწითლებას ბავში მხოლოდ 3 წლის ასაკის შემდეგ იწყებს; ამ დრომდე კი ბავშმა გაწითლება არ იცის. სირცხვილის მიზეზად შეიძლება იყოს, არა მარტო იმის შიში, რომ სხვები ბავშის გაუბედავ მოქმედებას შეამჩნევენ, რომელსაც ბავშვი ინსტინქტიუად ასრულებს („боязнь обнаружения“), არამედ შექებაც.

ვ. სტერნს აღნიშნული აქვს შემდეგი დაკვირვებები თავისი შვილზე:

„გიუნტერი 1. 3 $^1/_2$: ბავში სწავლობს სიარულს. მეტად ხანგრძლივმა დრომ განვლო, სანამ ის სიარულს სხვების დაუხმარებლად მიეჩვია. მხოლოდ სულ უკანასკნელ დროს მან დაიწყო, როდესაც ფიქრობს, რომ მას არავინ უყურებს, სკამის, ან მაგიდის მიტოვება და თავისუფალ სიარულის ცდა“.

„გიუნტერი 2. 2.: ხშირად ბავშს რომელიმე ახალი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, თითქოს რცხვენია. ამაოდ ცდილობენ, რომ ბავშმა ეს სიტყვა გაიმეოროს; ისეთი შთაბეჭდილება იბადება, თითქოს ის „მორცხვობს“.

აი კიდევ მაგალითი, რომ ბავშს შექების სირცხვილი ახასიათებს:

„გიუნტერი 4. 10$^1/_2$. როდესაც მას აქებენ, არ იქნებოდა ურიგო, რომ მისი კინემატოგრაფიული სურათი გადაეღოთ, რადგან ამ შემთხვევაში ის ამეღვანებს ამპარტავნობის, სიხარულის, სირცხვილისა და, ყველა მათი დამალვის სურვილის, აუწერელ შერევას. მისი სურვილი, რომ არ შეამჩნევიოს სხვებს თავისი გრძნობები, ხანდიხან გასაოცარ გრიმასებს ბადებს“.

უფრო ხშირად ბავშის სირცხვილს იწვევს აზრი იმის შესახებ, რომ მან დაუშვებელი მოქმედება ჩაიდინა: „სკლპინი 2.11. ბავში მიჩვეული იყო სისუფთავეს, მაგრამ ხანდახან იჩენდა უსუფთაობას, რისთვისაც ისჯებოდა. ამიტომ ბავშს ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მეტად რცხვენოდა, ძირს წევდა თავს, უწესრიგოთ ათამაშებდა თითებს და თვალების ზევით აწევას ვერ ბედავდა“.

ბავში არავითარ სირცხვილს არ გრძნობს სიტიტვლისა და ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების დროს, სანამ მოზრდილისაგან აკრძალვითა და, ხშირად, რტყმევითაც არ გადაეჩვევა ის ხსენებულ მოქმედებათა საჯაროდ შესრულებას და არ მიეჩვევა სირცხვილს.

7. თავმოყვარეობა. ბავშის თ ა ვ მ ო ყ ვ ა რ ე ო ბ ა იმ მძლავრ რეაქციებში გამოსჭვივის, რომლითაც იკი უპასუხებს გალახვას, გაწყრომას და სხვა. თავმოყვარეობით აიხსნება აგრეთვე ბავშის ყოფა-ქცევა, როდესაც მას სურს, რომ სხვებს თავი ღონივრად მოაჩვენოს. უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველად დაუშვებელია ბავშის თავმოყვარეობის დაძლევა, გათელვა რტყმევითა და სხვა უხეში საშუალებებით.

8. სიყვარული და სიძულვილი. მე-4-ე თვიდან ბავში უკვე მომვლელისადმი სიყვარულს სხვადასხვა ინსტინქტიურ რეაქციებით გამოხატავს: ბავში დედას მიეხუტება, სურს, რომ აიყვანონ ხელში, ხელებს მოხვევს, „მოეფერება“ და სულ გვიან კი ბავში ეჩვევა კ ო ც ნ ა ს. როდესაც ბავში ამჩნევს, რომ მას უყლიან, ეხმარებიან, მის სურვილებს ასრულებენ, იმდენად ძლიერია მისი სიყვარული ამა თუ იმ პირისადმი. ბავშს ახასიათებს, აგრეთვე, ინსტინქტიური ლტოლვა ადამიანებისაკენ, რაც წარმოადგენს ფუძეს, რომელზედაც შემდეგში სიყვარულის გრძნობა წარმოიშობა. მაგრამ ბავშის სიყვარული დედისადმი ინსტინქტიური არ არის: ბავშს შეუყვარდება ყველა, ვინც მის სიყვარულს დაიმსახურებს მოვლით, ზრუნველობით, საჩუქრებით და სხვა.

სიყვარულის საწინააღმდეგო გრძნობა—ს ი ძ უ ლ ვ ი ლ ს ბავში იჩენს იმ ადამიანებისა და საგნების მიმართ, რომლებმაც მას რაიმე ზიანი მიაყენეს. სიძულვილი პრიმიტიულად გამოიხატება მით, რომ ბავში მოაბრუნებს თავს, არ მიეკარება და იტირებს მაშინ, როდესაც მას მიუახლოვდება ადამიანი, რომელმაც ან გალახა იგი, ან მას სათამაშო წაართვა და სხვა.

9. შურიანობა და ეჭვიანობა. შემჩნეულია აგრეთვე, რომ ბავშები მე-3 თვის შემდეგ შ უ რ ი ა ნ ო ბ ა ს ა და ე ჭ ვ ი ა ნ ო ბ ა ს გამოხატავენ. მაგ. როდესაც ბავში ხედავს, რომ სხვა ბავში მის დედის კალთაშია, ან წოვს მის ძუძუს, მისი პანტომიმიკა (ე. ი. მთელი სხეულის მომართვა, ყოფაქცევა) აშკარად მოწმობს, რომ ბავში შურიანობისა და ეჭვიანობის გრძნობებით არის შეპყრობილი.

10. ესთეტიური გრძნობები.

ესთეტიური გრძნობები ბავშს თითქმის არ ემჩნევა 2 წლის ასაკამდე: ბავში მუსიკისაგან 6 თვის შემდეგ კმაყოფილებას განიცდის; ესთეტიური განცდის დანარჩენი სახეები კი ბავშში მხოლოდ ნელ-ნელა ვითარდება. 2 წლის ბავშს ფერებს შორის მოსწონს სოსანი, წითელი, ყვითელი და ლურჯი; არ უყვარს: შავი, თეთრი და სხვა. ბუნების სილამაზეთა ესთეტიური აღქმა (ზღვის სილამაზე, ვარსკლავებიანი ცა, მზის აისი და დაისი და სხვა) ბავშს მხოლოდ 4 წლის ასაკის შემდეგ შეუძლია. ხელოვნებაში ბავშებს სასკოლო ასაკამდე აინტერესებთ, შინაარსი და არა ფორმა; მაგ. ბავშებს უყვავთ ის სიმღერები, რომლებსაც საინტერესო ლიბრეტტო (სიტყვები) აქვს და არა ისეთები, რომელთაც ლამაზი მელოდია ახასიათებს. ამას გარდა, ბავშებზე მოახდინეს ცდები (4—8 წლამდე) და აღმოჩნდა, რომ მათ უფრო მოეწონათ უბრალო, არა მხატვრულად შესრულებული სურათი, რომელზედაც დახატული იყო ლამაზი კაცი, ვიდრე მეორე სურთი, რომელზედაც მხატრულად იყო დახატული მახინჯი ადამიანი.

ბავშების დაკითხვამ (4—8 წლამდე), თუ რას თელიან ისინი ლამაზათ, გამოირკვა რომ მათ სილამაზის სხვადასხვა ობიექტი აქვთ: ბავშების 20%-მა დაასახელა ბუნება, 30%-მა ტანსაცმელი, 30%-მა ადამიანები და სხვა.

11. ბავშთა იდეალები და ინტერესები.

თითქმის ყველა ქვეყანაში, ამ ბოლო დროს მასიურად იყო ჩატარებული ბავშების დაკითხვა იმის შესახებ, თუ ვის რას სურს ემსგავსებოდეს და რატომ? გამოირკვა, რომ ბავშების იდეალებს, სასკოლო ასაკამდე, განსაკუთრებით „ოჯახური“ ხასიათი აქვს, ე. ი. ბავშებს სურთ დაემსგავსონ თავის მშობლებს, ნათესავებსა და ნაცნობებს. სქესობრივი ნიშნის მიხედვით აღმოჩნდა, რომ ვაჟები იდეალათ უფრო ხშირად ქალებს ისახავენ, ქალიშვილები კი—მამაკაცებს. გამოირკვა აგრეთვე, რომ მშრომელი კლასების შვილები უფრო ადრე აპყრობენ ყურადღებას თავის მომავალ პროფესიას, ვიდრე მატერიალურად უზრუნველყოფილი კლასების შვილები. ბავშების იდეალს სასკოლო ასაკამდე ხანაში აგრეთვე ცხოველები შეადგენენ: მელია, ლომი, სპილო და სხვა.

რაც შეეხება I საფეხურის სკოლაში მოსწავლეთა იდეალებისა და ინტერესების შესწავლას, ამ მხრივ 1925 წელში გამოკვლეული იყო ანკეტის მეთოდით მოსკოვის სკოლების 1000 ბავში.

ეს გამოკვლევა ეხებოდა მათი პროფესიონალური ინტერესებს, პიროვნების იდეალებს, მკითხველთა ინტერესებს და სხვა.

თუ როგორია თანამედროვე მოსწავლათა პროფორიენტაცია ამას შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს:

თანამედროვე მოსწავლეთა პროფესიონალური იდეალები.

რომელ პროფესიას, ბავშთა როგორი % ირჩევს.

ასაკი	მუშები	ხელოსნები	მოსამსახურეები	ინჟენერები	პედაგოგები	ექიმები	ხელოვნებ. მუშაკები	საზოგადოებრივი-პოლიტიკ. მუშაკები	ტუბისტები	ავიატორები	ტენნიკოსები	შენიშვნა.
9 წ.	27	—	—	5	27	—	5	—	—	—	—	დაკითხული იყო 800 ბავში
10 „	18	12,5	7	12,5	16	10	3,5	10	—	—	4	
11 „	12,7	12	12,7	9	17	6	4,8	5.5	—	0,6	3,1	
12 „	26	13	12	10	8	7	5	7	—	1	1,6	
13 „	17.	14	13	12	6,5	7	8	—	1,2	2	2,6	

ჩატარებულმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ 8-9 წლის ასაკის ბავშებს არა აქვთ განსაზღვრული მკვიდრი პროფორიენტაცია. მიღებულია ბუნდოვანი პასუხები, ზოგიერთ შემთხვევაში პასუხი არ არის გაცემული კითხვებზე. ასეთ შემთხვევები—50%-ს აღწევს. სოციალური წარმოშობის მიხედვით ბავშთა პროფორიენტაცია შემდეგია: მუშების შვილების 30%-ს სურს მუშათ ყოფნა, 30%-ს—პედაგოგებათ. ამგვარი პასუხები მოწმობენ, რომ 8-9 წლის ბავშთა გამოცდილება და წარმოდგენები მეტად ვიწრო და ღარიბია: მათ არ იციან სხვა პროფესიის შესახებ არაფერი: იცნობენ მხოლოდ თავისი მშობლების პროფესიას და პედაგოგის პროფესიას, რომელსაც გაეცნენ სკოლაში ყოფნის გამო.

პიროვნებათა იდეალი.

(პროცენტული შეფარდება გამოკვლეულთა რიცხვთან

ასაკი	ე. ი. ლენინი	ს. ბელადები	პედაგოგები	მშობლები	ნათესავები	ამხანაგები	კინომსახიობები	მეცნიერები, გამომგონებლები	ლიტერატურული გმირები	შენიშვნა.
8 წ.	—	—	80	6	4	10	—	—	—	
9 „	—	—	62	4	—	19	—	—	—	გამოკვლეული
10 „	20	10	27	12	9	14	—	—	—	იყო 1000 ბა-
11 „	30,4	3,5	18	12	3,5	10,7	6	3	—	ვში.
12 „	15,7	8,7	20	11,5	5	7,5	1	3	6	
13 „	18,7	5,7	26	11	5	7	2	2	17	

როგორც ვხედავთ, პიროვნების იდეალათ ბავშებს (8—13 წ). დასახული ყავთ, უმეტეს შემთხვევაში—პედაგოგები, ამხანაგები და მშობლები ე. ი. ის ადამიანები, რომლებთან ისინი უშუალო ურთიერთობაში არიან.

მკითხველთა ინტერესები. (პროცენტებში).

ასაკი	საზოგადოებრივ-პოლიტიკური	სახელმძღვანელოები	ქრესტომატიები	ზღაპრები.	ლაბორატორიული	ტექნიკური	ანამბეთრული
8 წ.	—	—	80	20	—	—	—
9 „	—	10	75	6,2	—	—	—
10 „	10	3	16	8,9	5	3	—
11 „	10	9	8	15	4	11	3
12 „	15	7	7	3	6	14	18,5
13 „	12	8	6	4	17	11	13

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ 8—9 წლის ასაკში მკითხველთა ინტერესები მეტად ვიწრო და ერთფეროვანი არიან. შემთხვევათა დიდი %—ქრესტომატიებს და ზღაპრებს ეხება, ეს კი ნიშნავს, რომ ხსენებული ასაკის ბავშებს არ აქვთ განვითარებული განყენებული აზროვნების უნარი და მათი მისწრაფებანი დაკავშირებული არიან უშუ-ე

ლოდ გარემოცულ პირობებთან. 10-11-12-13 წლის ასაკში კი ბავშთა ინტერესი ფართოვდება და მრავალფეროვანი ხდება: ინტერესი ქრესტომატიულ ლიტერატურისა და ზღაპრებისადმი მეტად ეცემა: და მათ ადგილს იკავებს ინტერესი საზოგადოებრივ-პოლიტიკურისა (უმეტესად—პიონერულ) და ტურისტულ ლიტერატურისადმი. ეს გარემოება უთუოდ, სკოლის გავლენას უნდა მიეწეროს.

და ბოლოს უნდა დავსძინოთ, რომ პედაგოგისათვის აუცილებელ საპიროებას წარმოადგენს მოსწავლეთა იდეალებისა და ინტერესების შესწავლაზე თავისი მუშაობის აგება: თუ აღმოჩნდება, რომ ბავშთა ინტერესები ეწინააღმდეგებიან სკოლის ამოცანებს, მასწავლებელთა მოვალეობას შეადგენს სათანადო პედაგოგიური ზეგავლენის მოხდენა, რომ შეუფერებელი ინტერესები შეიცვალონ სასურველი სულისკვეთებით.

თავი მეთერთმეტე.

ბავშის მეტყველებისა და აზროვნების განვითარება

I. მეტყველების განვითარება.

1. ადამიანის მეტყველება.

როგორც დავინახეთ თავისი სიცოცხლის პირველ თვეებში ბავში განვითარების მხრივ უფრო დაბლა სდგას, ვიდრე რომელიმე სხვა ცხოველი; უკანასკნელს მომწიფებული ინსტინქტების მხრივ ბავშთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს, მაგრამ პირველი წლის თავზე, ბავშში უკვე განვითარებულია ახალი უნარი, რომელიც მას მაღლა აყენებს და სხვა ცხოველებისაგან არსებითად გაარჩევს; ეს უნარი არის: ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ ს ი ა რ უ ლ ი და მასზე დამოკიდებული ნ ა წ ე ვ რ ო ვ ა ნ ი მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა. ვერტიკალური სიარული ანვითარებს მკერდსა და სასუნთქ ორგანოებს და ანთავისუფლებს წინა კიდურებს—ხელებს სხვადასხვა რთულ მოძრაობის შესასრულებლად (წერა, იარაღების კეთება, შრომა); მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა კი საშუალებას აძლევს ადამიანს განავითაროს აზროვნება და იქონიოს საპირო და გარკვეული ურთიერთობა სხვა ადამიანებთან. საკუთარი ფსიქიური განცდების გარეგნულად გამოსახატავად ცხოველებსაც სხვადასხვა საშუალება აქვთ; პ ო ზ ა (ორგანიზმის თავისებური მდებარეობა სივრცეში) მ ი მ ი კ ა (პირისახის გამომეტყველება), ჟ ე ს ტ ი კ უ ლ ი ა ც ი ა (კიდურების თავისებური დალაგება ორგანიზმის მიმართ), მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მ ე ტ ყ ვ ე ტ ე ბ ა ე. ი. ბგერებით განცდების გამოხატვა. ცხოველების მეტყველების უნარზე მიგვითითებს შემდეგი ფაქტები:

ძაღლები ჰყეფენ 4-6 სხვადასხვა კილოზე (ყეფა, ღმუილი, წკმუტუნი...), მაიმუნების ერთ-ერთ ჯიშს—შიმპანზეს 25-30 სიტყვისაგან შემდგარი ლექსიკონი აქვს; ხოლო მაიმუნების ენის მკვლევარს ამერიკელ ბუნებისმეტყველს—გარნერს ჩაწერილი აქვს თითქმის 200 სიტყვა. მაგ., „ახრუ“ ნიშნავს—მზეს, ცეცხლს, სითბოს, „კუკხა“—წყალი, წვიმა, სიცივე, „გოშკუ“—საჭმელი და სხვა*). მაგრამ, ვერც ერთი

*) იხ. Арямов. „Общие основы рефлексологии“ მე 4 გამოცემა გვ. 149.

ცხოველი დაახლოვებითაც კი განვითარების იმ დონეს ვერ აღწევს, რომელიც აქვს ადამიანს პოზის, მიმიკის, ექსტიკულიაციისა და, უმეტესად, მეტყველების განვითარების მხრივ. ზეპირი და ბეჭდვითი სიტყვით მრავალი თაობათა ფსიქიური მუშაობის შედეგები გადმოგვეცემა, რაც დამქანცველი ინდივიდუალური შრომის უდიდეს რაოდენობას ჰკვეცავს ⁄ ადამიანთა შორის ურთიერთობას აადვილებს*). ასეთი მნიშვნელობის გამო, საკითხს, თუ როგორ ისწავლა ადამიანმა მეტყველება, ყოველთვის ცენტრალური ადგილი ეჭირა, როგორც ფსიქოლოგიაში, აგრეთვე ფიზიალოგიაშიაც, რადგან მეტყველება ორ მხარეს გულისხმობს: ფ ი ზ ი ო ლ ო გ ი უ რ ს—სწორი მეტყველებითი მოძრაობათა შეთვისება-შესწავლასა და ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ს—სიტყვების და წინადადებების მნიშვნელობის გაგებასა და მათ სწორად ხმარებას.

2. მეტყველების განვითარების ფაქტორები.

ადამიანისა და, კერძოდ, ბავშის ენის წარმოშობის შესახებ სწარმოებდა ბრძოლა ნ ა ტ ი ვ ი ზ მ ი ს ა და ე მ პ ი რ ი ზ მ ს შ ო რ ი ს. თანამედროვე ახსნა კი ბავშის მეტყველების წარმოშობა-განვითარების შესახებ შემდეგია: ახლადშობილ ბავშს თანდაყოლილი აქვს მეტყველების აპარატი: ფილტვები, ყელი, ენა, ტუჩები; ბავში სუნთქავს, ყვირის, „აღუს“ ამბობს, მაგრამ ნაწევროვანად ვერ მეტყველებს ე. ი. მეტყველების აპარატით სათანადოთ სარგებლობა არ შეუძლია. ასე რომ, მემკვიდრეობით თანდაყოლილი მეტყველების აპარატი და მოძრაობანი (ყვირილი, სუნთქვა), აუცილებელი პირობაა მეტყველების განვითარებისათვის. მაგრამ ამ თანდაყოლილი პირობების გარდა, ბავშის მეტყველებისათვის უდიდესი მნი'შვნელობა გარემოწრის მოვლენებისადმი (ბგერებისადმი) მ ი ბ ა ძ ვ ა ს აქვს. „ყრუ-მუნჯი მუნჯია თავისი სიყრუის გამო“. უნდა აღინიშნოს, რომ ბავში ყველაფერს არ ბაძავს: ის მხოლოდ იმ მოძრაობას ბაძავს, რომელიც შეეფერება მის ასაკს, სქესს, ინტერესსა და სხვას. მრავალი დაკვირვება მოწმობს, რომ რაც უფრო მეტს ელაპარაკებიან ბავშს ე. ი. რაც უფრო ხშირად მეორდება და მეტი მისაბაძი მასალა აქვს ბავშს, მით უფრო მალე ეჩვევა იგი მეტყველებას. არის შემთხვევა, რომ ბავში მეტყველების განვითარების მხრივ ძალიან აგვიანებს: მას ესმის, თუ რას ეუბნებიან უფროსები, მაგრამ თვითონ ძალიან ღარიბი თავისი ბავშური სიტყვების ინვენტარი (მარაგი) აქვს თითქმის 4-5 წლის ასაკამდე. ასეთი იყო, მაგალითად

*) იხ. Р. Гауди: „Психология ребенка“ გვ. 101—102.

ფსიქოლოგი შტუმპფის ბავშის ენის განვითარება $3^1/_2$ წლამდე. მეტყველების ასეთი დაგვიანება არ არის საშიში, რადგან, თუმცა მეტყველების განვითარების შეჩერება ხანგრძლივია, მაგრამ იგი დიდი ხნის განმავლობაში, გარეშე დაკვირვებისათვის შეუმჩნეველი მომზადებაა სწორი და სრული მეტყველებისათვის და დიალექტიურ ნახტომს უცებ აკეთებს. შემჩნეულია, რომ ქალები ვაჟებზე უფრო ადრე იწყებენ ლაპარაკს.

გარეგნულად (ფონეტიურად) ბავშის ენის განვითარება სამ ხანას განიკიდის:

3. მეტყველების განვითარების პირველ დაწყებითი სტადია.

ყვირილი, ტიტინი და მეტყველება. დაბადებიდანვე ბავშს მხოლოდ ყვირილი ახასიათებს, რომელიც პირველი თვის განმავლობაში სხვადასხვა კილოს იღებს; დაკვირვებულ დედას შეუძლია გამოარკვიოს, თუ რას გამოთქვამს ბავში: სიამოვნებას, სიხარულს თუ უსიამოვნებას, შეწუხებას. ორი თვის შემდეგ, ბავშს უკვე რამდენიმე დასაწყისი ბგერა აქვს, რომლითაც ბავში ცდილობს, რომ ახლობლებს თავისი რეაქციები შეატყობინოს: ასეთი მეორედი გამოთქმის საშუალებებს ეკუთვნის: ჭყივილი, ღუღუნი, ხრუტუნი, და მწლაკუნი. მის ლექსიკონს შეადგენს მარტივი მარცვლები ან მათი შეერთება, როგორც: ბა, ბა-ბა, და-და, ვა-ვა ატა და სხვა.

მე-6-8 თვიდან ბავში უკვე მოსმენილ ბგერებს ბაძავს, მაგრამ მათი მნიშვნელობა ბავშს არ ესმის.

ბავშის მეტყველების განვითარებაში ვ. სტერნი 4 საფეხურს, (სტადიას) არჩევს:

4. პირველი სტადია.

I სტადიას „ეხოლალია“ ანუ „თუთიყუშის ხანა“ ეწოდება, როდესაც ბავში სიტყვებს იმეორებს და მათი მნიშვნელობა კი არ იცის. ასეთი მიბაძვით ბავში სიტყვების გამოთქმას ეჩვევა, და მეტყველების ორგანოებს ავარჯიშებს. ამ ხანას დიდი მნიშვნელობა აქვს მეტყველების განვითარებისათვის. როგორც აღვნიშნეთ დაბადებიდან ყრუ ბავშები მეტყველებას ვერ ეჩვევიან; შემჩნეულია, რომ უმცროსი ძმები და დები უფრო მალე და ადვილად სწავლობენ მეტყველობას, ვიდრე პირველი შვილები, რადგანაც უკანასკნელნი სწავლობენ ლაპარაკს უფროსებისაგან, რომელთაც არ აქვთ დრო, რომ ბავში გაართონ ლაპარაკით და უმეტესად კი მიტომ, რომ უფროსების ლაპარაკი ბავშისათვის უფრო გაუგებარი და ძნელად მისაბაძია, ვიდრე მაგ. უფროსი ბავშების: დების და ძმების; დაკვირვება

მოწმობს, აგრეთვე, რომ ეკონომიურად შეძლებული კლასების ბავშვები ლაპარაკს უფრო მალე იწყებენ, ვიდრე ღარიბი კლასების ბავშვები, რადგან ღარიბებს არა აქვთ თავისუფალი დრო, რომ ბავშთან დიდხანს დარჩენ და მათ ელაპარაკონ: ეს ფაქტები ამტკიცებს, რომ მიბაძვას უდიდესი გავლენა აქვს ენის განვითარებაზე.

ხსენებულ „ეხოლალიის" პერიოდს ეგრედწოდებული ბგერა-მიბაძვითი სიტყვები ახასიათებს (звукоподражателные слова), მაგ. „მიაუ"—კატა, „ბუ"—ხარი, „ყი-ყი-ყო"—მამალი, „ამ ამ"—ძაღლი, „ფუა"—ტკივილი (რადგან ხშირად მშობლები ბავშის ტკივან ადგილს სულს უბერავენ), „ფი-ფი"—ცუდი (რადგან უსიამოვნებას ამოსუნთქვა ახსიათებს) და სხვა. ამ პერიოდის ბავშების ლექსიკონს საერთაშორისო ნიშანავსება აქვს.

ასოებს (ბგერების) შორის, ბავშს დასაწყისში ხმოვანი ასოების (ბგერების) წარმოთქმა ემარჯვება, რომლებიც შემდეგი თანდათანობით წარმოიშვებიან: **ა, ე, ო, უ, ი.**, თანხმოვან ასოებში-კი—**ბ, პ, მ, დ, ტ, ფ, ლ, ნ, ს**; უკანასკნელი ექვსი ბგერა ბავშის წარმოთქმისათვის შესაძლებელია მხოლოდ $1^1/_2$ წ. შემდეგ. როდესაც ბავშს რამოდენიმე კბილი ამოუვა და, ერთგვარად, განავითარებს თავის მეტყველების მექანიზმს. ბავშებისათვის დიდ სიძნელეს წარმოადგენენ თანხმოვანი ასოები: **რ** (=**ლ**), **კ**(=**ჰ**, მაგ. ჰაცი), **შ** (=**ს**), **გ**(=**დ**. ან **ჰ**, მაგ. დოდო, ან ჰოჰო—გოგო).

ბავშის პირველი სიტყვები ბეთელ წინადადებას გამოხატავენ, მაგ. სიტყვა „ბუ", ნიშნავს: „აი ხარი", „წამიყვანეთ ხართან", „მიეცით ხარს საჭმელი" და სხვა;. დედა" ნიშნავს: „დედასთან მინდა მისვლა", „დედა, საჭმელი (ძუძუ) მომეცი", „დედა, დამაჯინე სკამზე", „დედა, მტკივა თავი" და სხვა მსჯელობას, რომლის სუბიექტადაც შეიძლება იყოს—აზრი დედის შესახებ. ამ სტადიაში ბავში აგრეთვე სხვა ადამიანის მეტყველების გაგებას ეჩვევა. როგორც ვხედავთ, ბავშის მეტყველების განვითარების I სტადიას (1—$1^1/_2$წლამდე) ახასიათებს: ეხოლალია (თუთიყუშობა), ბგერა-მიბაძვითი სიტყვები და სიტყვები წინადადებები. ბავშის სიტყვების მარაგი ამ ხანის ბოლოსათვის 6-8 სიტყვას არ აღემატება.

5. მეორე სტადია. მე-II-ე სტადია ბავშის ენის განვითარებაში, საშუალოდ, იწყება $1^1/_2$ წლიდან და გრძელდება 6 თვის განმავლობაში, ე. ი. 2 წლამდე. ამ დროს ბავში შეამჩნევს, რომ ყოველ საგანს თავისი სახელწოდება აქვს. ამ აღმოჩენაზე ბავშების დაუსრულებელი კითხვები მიგვითითებენ: „ეს ლა არი? ეს?, ეს? და სხვა. ამ სტადიაში ბავშის ლექსიკონი მეტად მდიდრდება და

200-300 სიტყვას აღწევს. შორისდებულები, რომელნიც სპარბობენ პირველ სტადიაში, თანდათან ბავშის ლექსიკონში მცირდებიან და მათ ადგილს არსებითი სახელები იკავებენ (ე. წ. „საგნების ფაზა“); ამავე სტადიაში ზმნები წარმოიშვება (ე. წ. „მოქმედებითა ფაზა“); უფრო გვიან ზედსართავი სახელები, რიცხვითი სახელები, ნაცვალ სახელები და მეტყველების სხვა ნაწილები (ე. წ. „ურთიერთობათა და ნიშნების ფაზა“. ქვემო-მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ როგორი შემადგენლობისაა ბავშის ლექსიკონი სხვადასხვა მეტყველების ნაწილების მიხედვით (შორისდებულების გარდა):

ასაკი	არსებითი სახელები	ზმნები	ზედსართავი სახელი	მეტყველების სხვა ნაწილები
1.6 წ.	100 %	—	—	—
2.0 წ.	75 %	22 %	2 %	1 %

ბავში ეჩვევა აგრეთვე ორსიტყოვან წინადადების გამოთქმას.

როგორც აღნიშნეთ, მე-II-ე სტადიაში ბავში ახლობელებს დაუსრულებელ შეკითხვებს აძლევს იმის შესახებ, თუ რა სახელწოდება აქვს სხვადასხვა საგანს. ამ სტადიას სელლი „კითხვების პერიოდს“ უწოდებს. „ამ კითხვებით ბავში შეუგნებლად თავისი ძალების ეკონომიას იცავს: კითხვებით და მათზე პასუხის მიღებით, ბავში ცდილობს შეიძინოს ცოდნა და ახალი ფაქტები, საკუთარი ენერგიის მინიმალურად დახარჯვის საშუალებით“.

მესამე სტადიას ბავშის ენის განვითარებაში ვ. სტერნი „მთავარ ეპოქას“ უწოდებს.

6. მესამე სტადია. გრძელდება იგი 2—2.6 წლამდე. ამ დროს ბავში ამთლდება იმ დონემდე, რომ ენის გრამატიკულ ცვალებადობას შეიგნებს. „ისეთი ენა დგას მაღლა, ამბობს ვ. სტერნი, რომელიც ერთი და იგივე სიტყვაში ბგერის მცირე შეცვლით მხოლოობით და მრავლობით რიცხვს გამოხატავს, წინ მიმატებით, ან დაბოლოებით მოქმედება აწმყოდან წარსულში, ან მომავალში გადააქვს და ხარისხების შედარებით კი, მიჩნეული თვისების გაძლიერებას, ან დასუსტებას იწვევს“. მართლაც, მესამე სტადიაში (2—2.6 წ.) ბავშის ენა გრამატიკულ განვითარებას განიცდის; ბავში ხმარობს: მხოლოობით და მრავლობით რიცხვებს, აწმყო, ნამყო და

მყობად დროს, შედარების ხარისხებს და სხვა. წინადადება თანდათან რთულდება და 3—4 სიტყვის გადაბმას წარმოადგენს; „კითხვების პერიოდი“ გრძელდება, მხოლოდ იცვლება კითხვების ფორმა, რადგან იგი არა მარტო საგნების სახელწოდებას ეხება, არამედ დროისა და სივრცის თვისებებსაც. სად?, როდის? 2.6 წლისათვის ბავშის ლექსიკონს შეადგენენ: არსებითი სახელები —60%; ზმნები—20%, დანარჩენი—20%.

7. მეოთხე სტადია. მეოთხე სტადიაში ბავშის მეტყველების სინტაქსიური განვითარება ხდება; ბავში ხმარობს მთავარ და ჩამატებულ წინადადებებს, კითხვითი, პირობითი და გაყოფითი წინადადებებს და სხვა. ეს სტადია გრძელდება 2.6 წლიდან —5-6-8 წლამდე. „კითხვების პერიოდი“ გვირგვინდება შეკითხვებით—რატომ? რომელნიც მოვლენათა მიზეზობრივ დაკავშირებას ეხება. ამავე ხანაში აღსანიშნავია ბავშის მიერ საკუთარი სიტყვების შედგენა, ნაცნობი სიტყვების ან მათი ნაწილების შეერთების საშუალებით.

მე 4-5 წლისათვის ბავშის მეტყველების განვითარების მთავარი მუშაობა უკვე დასრულებულია: მაგრამ ენის დეტალების და რთული ნაწილების დაპყრობა, ენის სტილისტიური დახვეწა გრძელდება მთელი ბავშობის განმავლობაში (20-21 წლამდე). მოვიყვანოთ ბავშის მეტყველების განვითარების ასაკობრივი სქემა, რომელსაც მხოლოდ საორიენტაციო მნიშვნელობა აქვს:

სტადიები:	ასაკი:	მეტყველება
1) პირველ-დაწყებითი	0—1 წლამდე	ყვირილი, ტიტინი, სხვა ადამიანის მეტყველების გაგება.
2) I სტადია	1 წ.—1.6 წ.	გაგონილი ხმების მიბაძვა — „ეხოლალია“, „ბგერა მიბაძვითი „სიტყვები“ „სიტყვები წინადადებები“. ლექსიკონი: 6-8 სიტყვა.
3) II —	1.6 წ.—2.0 წ	გაგება, რომ ყოველ საგანს აქვს თავისი სახელწოდება? „კითხვების პერიოდი“. კითხვები: ეს რა არის? ორსიტყვოვანი წინადადებები. ლექსიკონი: 30—200 სიტყვა.
4) III —	2 წ.—2.6	ენის გრამატიკული განვითარება. კითხვები: სად? როდის?
5) IV —	2.6 წ.—8 წ.	ენის სინტაქსიური განვითარება. საკუთარი სიტყვების შედგენა. კითხვები: რატომ?

II. ბავშის აზროვნების განვითარება.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, სხვადასხვა სახის გამღიზიანებლის მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე მით გამოიხატება, რომ ის ტოვებს ცენტრალურ ნერვიულ სისტემაში კვალს, რომელიც გადაებმის სხვა კვალებს და მათ შეუძლიათ ერთმანეთის აღდგენა ე. ი. მოხდება მათი ისეთი დაკავშირება, როდესაც რომელიმე კვალის აღდგენასთან ერთად წარმოიშვება სხვა კვალიც. (ე. წ. „ასოციატიური პროცესი").

მაგალითად, ვნახეთ რომელიმე ადამიანი; აღთქმა დარჩება კვალის სახით ცენტრალურ ნერვიულ სისტემაში. მეორეჯერ ამ ადამიანის ნახვის (ან მისი სახელისა და გვარის გაგონების) დროს გაცოცხლდება ის კვალი, რომელიც ამ ადამიანის აღქმამ ჩვენში დატოვა; ეს კვალი წარმოშობს სხვა კვალს (სად ვნახეთ ეს ადამიანი?, როდის ვნახეთ?, როგორი იყო ეს ადამიანი მაშინ? და სხვა); ეს წარმოდგენები სხვა წარმოდგენებს წარმოშობენ და ასე შემდეგ, ე. ი. იწყება წარმოდგენათა განუწყვეტელი ცვლა, რასაც ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა ეწოდება. „აზროვნება არის ადამიანის აქტივობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც მეღავნდება ყოფაქცევით და გამომუშავებულია, ევოლიუციის პროცესში, თანდათან გართულებულ ურთიერთობის ნიადაგზე ორგანიზმსა და გარემოცულ შუალს შორის" (ბასოვი). ამ ურთიერობის გამომხატველ ზოგად სახეს შეადგენს ორგანიზმის ყოველი მარტივი რეაქცია-— შუალის ყოველ ელემენტარულ სტიმულზე (მაგ. უპირობო რეფლექსები). ასეთი ელემენტარულ რეაქციებისაგან იქმნება (ვითარდება) ადამიანის ყოფაქცევის რთული წყობა და კერძოდ მისი (ე. ი. ყოფაქცევის) უმაღლესი ფორმა—აზროვნება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი დროის ფსიქოლოგიის ძირითად დებულებას შეადგენს ფსიქიური მოვლენის თვისობრივი თავისებურების აღიარება ფიზიკურსა და ფიზიოლოგიურ მოვლენებთან შედარებით, ძველი (ასოციატიური) ფსიქოლოგია ფსიქიური ცხოვრების ყოველ რთულ ფორმას ანაწილებდა მარტივ ელემენტებათ—წარმოდგენებათ და უკანასკნელთა შორის მექანიკურ კავშირს ამყარებდა. ამგვარივე თვალსაზრისი ახასიათებს თანამედროვე რეფლექსოლოგიას, რომელიც, უარყოფს რა ფსიქიური ცხოვრების თავისებურებას, გამოყავს ის (ე. ი. ფსიქიკა) მარტივი რეფლექსების შეჯამების თანამედროვე, მონისტური, მთლიანი ფსიქოლოგია კი საკითხს საერთოდ მაგ. ფსიქიური ცხოვრების და, კერძოდ, აზროვნების შესახებ, სულ სხვა გვარად უდგება: აზროვნება მარტივ რეაქციათა და (რეფლექსიათა), ან წარმოდგენათა

შეჯამებას კი არ წარმოადგენს მხოლოდ, არამედ ის არის ახალი სახეობა, იმ რეაქციებთან შედარებით, რომლებიც, როგორც ერთეული მომენტები შეადგენენ მას. „აზროვნება არ უდრის რეაქციების უბრალო ჯამს; ის იქმნება მათგან და იგი, ამასთანავე, განსაზღვრავს თითოეულ მათგანს. მთელი კი არ განისაზღვრება ნაწილებათ, არამედ ნაწილები განისაზღვრებიან მ თ ე ლ ი თ“. (ვ. არტემოვი).

აზროვნება გარეგნულად სხვადასხვა რეაქციებით გამოიხატება და თუმცა ფიქრობენ ხშირად, თითქო არის ისეთი აზრი, რომელსაც თან არ ახლავს რომელიმე მოძრაობა, მაგრამ ეს სწორი არ არის. ექსპერიმენტალური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ყოველი აზრი უთუოდ დაკავშირებულია რაიმე მოძრაობასთან, მაგ. კიდურების, მიმიური, სამეტყველო აპარატის, სასიცოცხლო ორგანოების (გული, ფილტვები...), სეკრეტორული სისტემისა და სხვა ორგანოების მოქმედებანი.

ადამიანთა შორის კი, ყველაზე უფრო მჭიდრო კავშირი არის აზროვნებასა და მეტყველებას შორის ე. ი. უფრო მკაფიოდ ხდება აზრების გამოხატვა მეტყველებითი მოძრაობით, ანუ ს ი ტ ყ ვ ე ბ ი თ.

ჯ ო ნ დ ი უ ი ს მიხედვით*) აზროვნების დასრულებულ აქტს ოთხი მთავარი მომენტი ახასიათებს: 1) ა მ ო ც ა ნ ი ს დ ა ს მ ა — თუ საით უნდა იქნეს მიმართული აზრების სვლა, 2) პ ა ს უ ხ ი — ჰ ი პ ო ტ ე ზ ა — სხვადასხვა, შესაძლებელი პასუხების ჩამოთვლა; 3) კ ო ნ ტ რ ო ლ ი, ა ნ უ ჰ ი პ ო ტ ე ზ ი ს შ ე მ ო წ მ ე ბ ა და 4) ჰ ი პ ო ტ ე ზ ი ს მ ი ღ ე ბ ა.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ბავშის აზროვნებას უნდა ვთქვათ, რომ მას (ე. ი. ბავშის აზროვნებას სკოლის ასაკამდე ხანაში) არა აქვს სრული სახე.

თუ რა აინტერესებს ბავშს, ე. ი. როგორი ა მ ო ც ა ნ ე ბ ი ს გადაწყვეტა სურს მას, — ამას მისი შეკითხვები გვიჩვენებენ (1,6 წლის შემდეგ): ე ს რ ა ა რ ი ს?, ს ა დ?, რ ო დ ი ს?, ს ა ი დ ა ნ?, რ ო გ ო რ? რ ა ტ ო მ?, ვ ი ს ი ა?, და სხვა.

შეკითხვების გარდა, ბავში თვითონაც სწყვეტს ამა თუ იმ საკითხს, მაგ. ამტვრევს დედოფალას, რომ გაიგოს, თუ რა არის შიგნით და სხვა. ამოცანას ბავში ისახავს იმ პირობათა მიხედვით, რომელშიაც ის იმყოფება.

ასაკს ცხადია, აზროვნებითი მიზნის დასახვაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რასაც მოწმობს ბავშის შეკითხვის განსხვავებული

---

*) იხ. Джон Дьюи — „Психология и педагогика мышления“.

ფორმა სხვა და-სხვა ასაკში. ამასვე ადასტურებს ე. სტერნის „სტადიათა კანონი", რომლის მიხედვით ბავში 8 წლამდე იმყოფება საგნობრივ სტადიაში, 8 წლის ასაკში—მოქმედების სტადიაში, 9—10 წლის ასაკში მიმართებათა სტადიაში და 11—12 წლის ასაკში კი—თვისებათა სტადიაში (იხ. ჩვენი წიგნის თავი მეVI).

რადგან ბავშს არა აქვს დამაგრებული მიღებული გამოცდილება, ის კმაყოფილდება ყოველგვარი, თუ გინდ სრულებით შეუსაბამო პასუხებით.

ბავშისათვის ყოველი ჰიპოტეზა მისაღებია, თუ უკანასკნელი შეეფერება მის ემოციონალურ მდგომარეობას (სიამოვნებას), ან, თუ პასუხის მომცემი ავტორიტეტულია. ამის გარდა ბავში დაკმაყოფილებულათ გრძნობს თავს, თუ მის შეკითხვაზე რაიმე პასუხს მაინც გასცემენ.

მაგალითად, თუ ბავშს შეკითხვაზე? „სად"? „უპასუხებენ" იქ (მიუთითებლად თუ რა ადგილას? რომელი მიმართულებათ და სხვა), ან: „რატომ? "—„ მიტომ, "—„ რატომ — მიტომ?—„მიტომ" „მიტომ" და ასე გრძელდება იმ დრომდე, სანამ ბავშის ყურადღებას არ მიიპყრობს რომელიმე სხვა „ამოცანა." ა. სმირნოვი ამბობს, რომ ბავშის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სრულიათ საკმაოა, თუ მის შეკითხვაზე: „რატომ არის ზაფხულის შემდეგ ზამთარი? "(შემოდგომას ბავში ვერ ამჩნევს) უპასუხებენ: „იმიტომ, რომ ეს ყოველთვის ასეა". მაშასადამე ბავშის აზროვნებითი აქტში გამოკლებულია-ჰიპოტეზა-პასუხის შემოწმება, რადგან „იკვი და კრიტიკა ბავშისათვის უცხოა".

აქვე აღსანიშნავია ბავშის აზროვნების დამახასიათებელი თვისება—ანიმიზმი, ე. ი. სიცოცხლის მიწერა ყველა „უსულო" საგნისათვის. მაგ. დედოფალას ბავში ისე ეექცევა, თითქო საქმე ქონდეს ცოცხალ არსებასთან: ესაუბრება, უწყრება, ეფერება და სხვა. ა. სმირნოვს მშობლის დღიურიდან შემდეგი ფაქტი მოყავს: რვა წლის ქალიშვილმა შემოდგომაზე მოუტანა დედას რამდენიმე ჩამოვარდნილი ფოთოლი და უთხრა დედას: „მე ვიცი, დედა, რომ შენ შეიყვარებ ამ საბრალოებს; მე არ შემეძლო გულგრილად მეყურებია თუ როგორ კვდებოდენ ისინი მიწაზე." რამდენიმე დღის შემდეგ, ეს ბავში მტირალი ნახეს ფანჯარასთან: ის იყურებოდა ბაღში და მწარედ დასტიროდა მრავალ ჩამოცვენილ ფოთოლს:

ბავშის აზროვნების ანიმისტური თავისებურების განვითარებაში მკვლევარი პიაჟე—4 საფეხურს გაარჩევს: 1) სტადია - 6 - 7 წლის ასაკამდე, როდესაც გასულიერებულია ყველა საგანი 2) სტადია

6-7-8-9 წლები, როდესაც ბავში ცოცხლად თვლის ისეთ საგნებს, რომელთაც მოძრაობა ახასიათებს, იმის მიუხედავათ, თუ რა მიზეზის გამო მოძრაობენ საგნები: თავის-თავად თუ სხვა, გარეშე მიზეზის გამო. აზროვნების ამ სტადიას ახასიათებენ ისეთი ფაქტები, როგორიცაა: ორთქმავლისა და ავტომობილის „მოფერება“, ტრამვაის ვაგონისათვის თაფლის ნამცხვარის მიწოდება და სხვა.

მე-III სტადია — 8-9—11-12 წ.წ., როდესაც „სულიერება“ მიეწერება მხოლოდ ისეთ საგნებს, რომლებიც თავისი სურვილის მიხედვით მოძრაობენ; მათ ეკუთვნიან: მზე, მთვარე, ღრუბლები, ქარი და სხვა;

IV სტადია — 11-12 წლის შემდეგ, როდესაც სულიერება მიეწერება მხოლოდ ცხოველებს.

ბავშის აზროვნების ანიმისტურ თვისებას მეტად უწყობს ხელს ის გარემოება, რომ ბავში რომელიმე საგნისა და ცოცხალი არსების სრული იგივეობის დასადასტურებლათ მათი მინიმალური მსგავსებით კმაყოფილდება. განვიხილოთ, თუ როგორ წარმოიშვება და ვითარდება აზროვნების სხვა-და-სხვა სახე: ცნება, მსჯელობა და გონების დასკვნა.

როგორც ვიცით, ცნება ისეთი აზრია, რომელშიაც ყურადღება ექცევა მიჩნეული მოვლენათა ჯგუფის მხოლოდ ძირითად საერთო და არსებით ნიშნებს. მაგ. ავიღოთ ცნება „ხე“; როდესაც წავიკითხავთ ან მოვისმენთ ამ სიტყვას, გაგვახსენდება არა ერთეული ხე, რომელიც გვინახავს, არა ყველა ცალკე ელემენტი ხის, არამედ ზოგადი, არსებითი ნიშნები, რაც ახასიათებს „ხეს“ საერთოდ. „სიტყვის მნიშვნელობა წინანდელ სინამდვილეს გამოხატავს არა ფოტოგრაფიული სიზუსტითა და სისრულით, არამედ მხოლოდ იმის გამოყოფით, რაც უმეტესად არსებითია ცალკე საგნებისათვის (სმირნოვი). ბავშის აზროვნება ვითარდება იმ დრომდეც, სანამ ის მეტყველებას დაიწყებდეს და უნდა ითქვას, რომ ბავშმა იცის გაცილებით მეტი იმაზე, რისი სიტყვიერი გამოთქმის შესაძლებლობა აქვს; მაგრამ, ბავშის აზროვნება მეტად სუსტია, ღარიბია, ემოციონალური კილოთია გაჟღენთილი, კონკრეტულია. ბავშს არ შეუძლია მოზრდილივით სიტყვით გამოხატოს ამა თუ იმ მოვლენათა კლასის—ზოგადი, არსებითი თვისებები. $1^1/_2$ წლის ასაკამდე ბავშის სიტყვები მხოლოდ შორისდებულებს წარმოადგენენ და მაშასადამე გამოხატავენ მხოლოდ მის ემოციონალურ მდგომარეობას (ვაი“,„ე-“„უჰ“ და სხვა).

$1^1/_2$ წლის შემდეგ, ბავშის აზროვნება ხდება კონკრეტული, ერთეული საგნებით. მაგ. ბავშისათვის სიტყვა „ხე“—მხოლოდ ერთეულ,

კონკრეტულ ხ ე ს გამოხატავს, ე. ი. ბავშის აზროვნება $1^1/_2$—4 წლამდე ერთეული წარმოდგენების საშუალებით ხდება. ვ. ს ტ ე რ ნ ი გადმოგვცემს თავისი 4 წლის შვილის შესახებ, რომ მას შეეძლო თითების დათვლა ხელზე; „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი თითი;“ მაგრამ, როდესაც მამა შეეკითხებოდა თითების საერთო რიცხვის შესახებ, შვილი არასოდეს არ უპასუხებდა „ხუთი“, არამედ ის კვლავ იწყებდა თითების თვლას, ე. ი. 4 წლის ბავშსაც ეძნელებოდა ზოგადი ცნების შედგენა. პროფ. კ ო რ ნ ი ლ ო ვ ი ც იგივეს გადმოგვცემს: 3 წლის ბავშს, რომ ვაჩვენოთ რამდენიმე სხვა-და-სხვა დედოფალა და შეეკითხოთ:„ რა არიან ესენი?“, ბავში არ გვიპასუხებს: „ეს— დედოფალებია“, არამედ ის მიუთითებს თითოეულ დედოფალას ცალ-ცალკე და იტყვის:„ ეს დედოფალაა“, „ეს დედოფალაა“ და ასე შემდეგ.“

მხოლოდ 4 წლის ასაკის შემდეგ ამჩნევს ბავში მრავალ საგანთა შორის არსებულ მსგავსებას, რომელიმე ნიშნის მიხედვით და ყველას ერთი და იგივე სახელწოდებით (სიტყვით) გამოხატავს. ამ რიგად წარმოიშვება ბავშის აზროვნებაში ზ ო გ ა დ ი ც ნ ე ბ ა.

რაც შეეხება ცნების მეორე მხარეს — შ ი ნ ა ა რ ს ს ე. ი. იმ ნიშანთა ჯამს, რომელიც ამა თუ იმ მოვლენათა კლასს ახასიათებს, როგორც ვიცით, მისი გაშლა ხდება გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი ს საშუალებით. მართლაც, რომ გავიგოთ, თუ როგორ ესმის ბავშს ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა, უნდა მივმართოთ, ცნობათა განმარტების მეთოდს.

როგორც გამოირკვა, პირველად ბავში განმარტავს სიტყვებს, მათი გამეორების საშვალებით; მაგ. 2 წლის ბავშს, რომ ვკითხოთ: „რა არის საათი?“ ბავში გვიპასუხებს: „საათი“, ე. ი. პასუხად გაიმეორებს განსამარტავ სიტყვას (ტერმინს).

შემდეგ ასაკში, ბავშის განმარტება თანდათან ეხება ცნების შინაარსის მეტად ხელსახებ ნიშნებს. ბავშის განმარტებათა განვითარებაში შესამჩნევია სტადიებით იგივე თანდათანობა, რაც ბავშის აღქმის შესახებ იყო აღნიშნული, სახელდობრ: ს ა გ ა ნ თ ა (გამეორება ცნების), მ ო ქ მ ე დ ე ბ ა თ ა, მ ი მ ა რ თ ე ბ ა თ ა და თ ვ ი ს ე ბ ა თ ა სტადიები.

აქვე მოგვყავს „ბავშური განმარტებათა“ ნიმუშები, 7 წლის ასაკამდე:.

„პური — არის, რომ ჭამო“.

„საათი — რომ შეხედო დროს“.

„გალებული — ეწოდება, თუ კარი არ არის დახურული“.

„ბეჭედი — რასაც თქვენ ატარებთ თითზე“.

„მაღალი — როდესაც ხე ძალიან დიდია“.
„ტელეგრაფი — ბოძებია ქუჩებისათვის“.
„ტელეგრაფი — ძაფებია“.
„ფრინველი — დაფრინავს ჰაერში“.
„ბალი — სეირნობისათვის“.
„სოფელი—როდესაც შეგიძლია შეხედო ყოველ გამვლელს“ და სხვა.

როგორც ამ განმარტებებიდან სჩანს, ბავშის აზროვნება ღ ა რ ი ბ ი ა ასოციაციების მიხედვით და, აგრეთვე, მთავარი ყურადღება ექცევა საგნის დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა ს ა და ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა ს (უტილიზაციას) ცხოვრებაში.

განყენებული (აბსტრაქტიული) ცნებები: მ ი ზ ე ზ ი, კ ა ნ ო ნ ი, წ ე ს რ ი გ ი, დ რ ო, ს ი ვ რ ც ე, რ ი ც ხ ვ ი, ს ი ლ ა მ ა ზ ე, გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ა, ჭ კ უ ა და სხვა, სრულებით არ არსებობენ და გაუგებარი არიან სკოლის ასაკამდე პერიოდში მყოფ ბავშისათვის. მ ი უ ლ ლ ე რ ი ს ცდები ადასტურებენ, რომ 8 წლის ასაკამდე ბავშები, აბსტრაქტული ცნებების განსამარტავად—კონკრეტულ ცნებებს მიმართავენ, მაგ. „თეორი—ეს არის როგორც შაქარი; ეს არის, როგორც თოვლი, „სილამაზე—ეს დედაა“, „ჭკვიანი—ლენინია“, „სიბერე—ბაბუა“ და სხვა; გამოირკვა, აგრეთვე, რომ აბსტრაქტული სიტყვები ბავშს წარმოდგენილი აქვს კონკრეტული სიტყვების ბგერითი მ ს გ ა ვ ს ე ბ ი ს მიხედვით, მაგ., „რიცხვი—ცხვირი“, „ქვეყანა—ყანა“, „კანონი—გონონი (ბიძიას სახელი), და სხვა. ასე გრძელდება 13-14 წლის ასაკამდე, რის შემდეგ ხდება აბსტრაქციის თანდათან შეტანა აზროვნებაში.

მ ს ჯ ე ლ ო ბ ა ისეთ აზრს ეწოდება, რომელშიაც ერთი ცნება (ე. წ. მსჯელობის პრედიკატი p დამტკიცებულია ან უარყოფილია მეორე ცნების შესახებ (ე.წ. მსჯელობის სუბიეკტი—s). ბავშის მსჯელობა ერდგვარად უკვე გარკვეულია ზევით—ბავშური განმარტებათა განხილვის დროს.

პირველ ხანებში, ბავშის მსჯელობა მხოლოდ ერთ სიტყვას შეიცავს, შემდეგ მსჯელობა ღებულობს თავის ნამდვილ სახეს, შემდეგი ფორმულის მიხედვით: s+p;

როგორც დამტკიცებულია, ბავშის აზროვნებას 3 წლამდე უმეტესად, დ ა დ ე ბ ი თ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ე ბ ი ახასიათებენ (მაგ. „დედა კაქია,“ „ვაში მიდა“ (ვაშლი მინდა და სხვა), უ ა რ ყ ო ფ ი თ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ე ბ ი კი მხოლოდ 3 წლის ასაკის შემდეგ წარმოიშვებიან. ბავშის მსჯელობის ამგვარი თვისება, პ რ ო ფ. ბ ა ს ო ვ ი ს აზრით იმით აიხსნება, რომ ბავშისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმას,

რაც არის და უფრო ძნელია ინის წარმოდგენა, რაც არარის, რაც უშუალოდ არ ახდენს ბავშზე ზეგავლენას.

ბავშის უარყოფითი ფორმის მსჯელობათა სახეს—დაპირისპირება, ანუ ანტითეზა წარმოადგენს, მაგ., „მე კალგი, შენ ალა კალგი," „მე მაქ, შენ ალ გაქ," „ეს—დიდი, ეს—პატარა" და სხვა.

ასეთ მსჯელობებს, ცხადია, უარყოფითს ვერ უწოდებთ ლოლიკური თვალსაზრისით: ესენი--დადებითი მსჯელობებია, რომლებშიაც მოცემულია უარყოფითი პრედიკატი.

მოდალობის მიხედვით, ე. ი. თუ რამდენათ დარწმუნებულია ბავში თავის მჯელობაში, გამოკლევა მოახდინა, სხვათა შორის, ა. სმირნოვმა (8—20 წლის ბავშების); ის აძლევდა ბავშებს შეკითხვებს: „როგორი ამინდი იქნება დღეს!" „ვინ გაიმარჯვებს: ოსმალოები, თუ იტალიელები?" და სხვა. და დაადასტურა, რომ თავისი მსჯელობის უტყუარობაში მით უფრო დარწმუნებულია ბავში, რაც უფრო მცირე ასაკისაა ის (ე. ი. ბავში), ე. ი. ასაკთან ერთად იზრდება ბავშის იქვი და კრიტიკული მოპყრობა თავისი მტკიცებისადმი. მართლაც, ჯერ ბავშის აზროვნება (მსჯელობა) დოგმატიურია (უეჭვო, ურყევი, აუცილებელია,) შემდეგ დოგმატიურობა ადგილს უთმობს ასსერტორიულობას, ანუ ფაქტიურობას („ეს ნამდვილად ასეა") და, ბოლოს, გამოცდილების დაგროვების გამო, ბავშის აზროვნებას ახასიათებს „ფთხილი, სკეპტიკური კრიტიციზმისაკენ გადახრა" (ბასოვი) და მისი მსჯელობა პრობლემატიურ სახეს ღებულობს („ეს შესაძლოა ასეა, მაგრამ, შესაძლოა არ არის ასე").

ამის გარდა, გამორკვეულია აგრეთვე, რომ ბავშის ცოდნის მოცულობას (ე. წ. „ვონებრივი ინვენტარს), განსაზღვრავს ასაკი უფრო სწორად რომ ვთქვათ, გამოცდილების დაგროვება და რაც უფრო მეტია უკანასკნელი, მით უფრო მეტი იქნება იმ მსჯელობათა რაოდენობა, რომელიც მოგვეპოება ამა, თუ იმ საგნის, ან მოვლენის შესახებ. ბავშის აზროვნების სიღარიბე მსჯელობათა მცირე რაოდენობას წარმოადგენს.

გონების დასკვნა--აზროვნების ურთულესი სახეა; იგი შესდგება ორი, სამი ან მეტი მსჯელობისაგან, რომელთა შორის ერთი მსჯელობა (ე. წ. დასკვნა), დანარჩენებისაგან გამომდინარეობს. აზროვნებითი პროცესის მიმართულების მიხედვით, ლოლიკა არჩევს გონების დასკვნის ორ ძირითადსახეს: ერთეული, ან კერძო მსჯელობიდან—ზოგადი დასკვნისაკენ, ე. წ. ინდუქცია და ზოგადი

მსჯელობიდან—კერძო ან ერთეული მსჯელობისაკენ, ე. წ. დედუქ-
ცია. აქვე აღსანიშნავია დასკვნა ანალოგიის (მსგავსე-
ბის) გამო, რომელიც ინდუქციის კერძო შემთხვევას წარმოადგენს
როდესაც, შედარების შემდეგ აღმოჩენილია მსგავსება (იგივეობა) რო-
მელიმე ნიშნის მიხედვით ორ ან რამდენიმე მოვლენას შორის და
აქედან გამოყავთ დასკვნა, რომ ეს მოვლენები მსგავსია სხვა ნიშ-
ნების მიხედვითაც.

როგორც მრავალმა ცდამ დაამტკიცა, სკოლის ასაკამდე ხანაში
შეუძლებელია მივაწეროთ ბავშვებს ნამდვილი სახის ლოგიკური დას-
კვნის გამოყვანა. ინდუქტიური გონების დასკვნები, რომელ-
თა მიხედვით, ბავშვმა ერთეული დაკვირვებები უნდა გააერთიანოს
ზოგადი, საერთო დასკვნით, მისთვის შეუძლებლობას წარნოადგენენ;
მაგ., ბავში ცალ-ცალკე დაადასტურებს, რომ: დედა-კარგია, მამა-კა-
რგია, ძმა-კარგია... მაგრამ ამ ერთეულ მსჯელობებს ვერ გააერთი-
ანებს საერთო, ინდუქტიური დასკვნით, რომ: ყველა-კარგია
მით უმეტეს სიძნელეს წარმოადგენს ბავშისათვის 8 წლის ასაკამდე
დედუქტიური გონების დასკვნები, როდესაც ბავშმა ერთეული მო-
ვლენის შესახებ უნდა დაამტკიცოს, ან უარყოს ის თვისება, რაც
აქვს, ან არაქვს ამ მოვლენის მთელ კლასს; ეს გასაგები იქნება,
თუ გავიხსენებთ, რომ ბავშს, გამოცდილების სიღარიბის გამო, ზოგადი
დებულებები არ მოეპოვება სრულებით.

პიაჟე, სტერნი და სხვები ადასტურებენ, რომ ბავშის აზრო-
ვნებას --გონების დასკვნების მხრივ ე. წ. ტრანსდუქცია ე. ი.
აზრის მოძრაობა ერთეულიდან-ერთეულისაკენ, ან მეტად
ზერელე დასკვნა ანალოგიის გამო ახასიათებს. მაგ. პროფ.
კორნილოვი ერთ ოჯახში მარტივ ფსიქოლოგიურ ცდებს ახდენდა
3 წლის ბავშზე; როგორც კი მივიდოდა კორნილოვი, ეს ბავში ყო-
ველთვის კითხავდა მას: „მოიტანე ამოცანები?" ცხადია, რომ ბავშის
შეკითხვა წარმოადგენს დასკვნას, რომელიც მან გამოიტანა კორნი-
ლოვის ხშირი მსვლელობისა და ამოცანების მიცემისაგან, სახელდობრ:
თუ უფინ მოდიოდა კორნილოვი და მოქონდა ამოცანები, მაშასადამე,
ეხლაც თან ექნება ამოცანები. ვ. სტერინის აზრით გონების და-
სკვნათა წარმოშობა შემდეგი თანდათანობით ხდება სკოლის ასაკამდე
ხანაში ბავშს აქვს დასკვნები ანალოგიის გამო, შემდეგ- ინ-
დუქცია (უმეტესად უსრულო ინდუქცია) და ბოლოს დედუქტიუ-
რი დასკვნები.

ასეთია მოკლედ ბავშის აზროვნებითი პროცესის განვითარება
სხვადასხვა პერიოდში.

თავი მეთორმეტე.

ბავშის ფანტაზია და მხატვრული შემოქმედება (ხატვა)

1. ბავშის ფანტაზია.

მრავალი ექსპერიმენტალური დასკვნა ამტკიცებს, რომ განახლებული რეაქციები იმის ფოტოგრაფიულ ასლს არ წარმოადგენენ, რაც იყო აღთქმული, არამედ მათ ყოველთვის თავისებურება ახასიათებს, რომელშიაც პირად გამოცდილებას შეაქვს დამატებები და შესწორებები. ვ ი ლ ი ა მ ჯ ე მ ს ი ამბობს, რომ „ყოველი განცდა (რ ე ა ქ ც ი ა — კურსივი ჩემია გ. დ.) არის unicum'n" ე. ი. განუმეორებელი, თავისებური, რამდენადაც იგი (რეაქცია) პირობების ისეთ კომპლექსში მიმდინარეობს, რომლის ზედმიწევნით გამეორება შეუძლებელია. ადამიანს, როგორც მეტად განვითარებულ, რთულ ორგანიულ მატერიას, რეაქციების არა პასიური, არამედ აქტიური აღდგენა ახასიათებს, რასაც შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი თ ვ ი ს ე ბ ა ეწოდება. შემოქმედება შეიძლება ეხებოდეს, როგორც რეალური (არსებული) საგნების აღდგენას, აგრეთვე — არარეალური საგნების განახლებასაც. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს — ე. წ. წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ა ს თ ა ნ, ხოლო მეორეში კი — ფ ა ნ ტ ა ზ ი ა ს თ ა ნ. ამრიგად ფ ა ნ ტ ა ზ ი ა არის ნერვიული სისტემის თვისება, რომელიც ისეთი საგნების სახეების წარმოშობას ახდენს, რომლებიც რეალურად არ არსებობენ. მაგ. სხვადა-სხვა მითოლოგიური ტიპები, როგორიცაა: ღმერთი, ეშმაკი, მაჯლაჯუნა, სირინოზები, ციკლოპები და სხვი — ფანტაზიის ნაყოფია, ასეთი ფანტასტიური სახეების დანაწილება შემადგენელ ელემენტებად ნათელყოფს, რომ მასალა, რომლისგანაც ისინი არიან შემდგარი, რეალურ ცხოვრებიდანაა აღებული და იგი აღქმის შედეგია. მაგ. ე შ მ ა კ ი ს სახეს შემდეგი თვისებები შეადგენენ: ეშმაკი — მ ა მ ა კ ა ც ი ა, რომელსაც აქვს რ ქ ე ბ ი, კ უ დ ი, ეშმაკი — მ ა ტ ყ უ ა რ ა და მ ა ც დ უ რ ი ა და სხვა; აშკარაა, რომ ელემენტები ფანტასტიური ე შ მ ა კ ი ს სახის — რეალური, აღქმული საგნები და თვისებებია; ხოლო მათი უჩვეულო შეერთება — იძლევა არარეალურ, ფანტასტიურ სახეს. ამის გარდა ფანტასტიურ შემოქმედებას ახასიათებს ჰ ი პ ე რ-

ბ ო ლ ა, ანუ გადამეტება, ან დამცირება რეალური საგნების თვისებების; მაგ. დევები—მ ე ტ ა დ ღ ო ნ ი ე რ ი ადამიანებად ჰყავს წარმოდგენილი მითოლოგიას; ეშმაკის სახეში, ადამიანური თვისება—მ ა ც დ უ რ ო ბ ა, გადაჭარბებულია; ზღაპრებში მოთხრობილია ბავშის შესახებ, რომელიც მხოლოდ ცერის ოდენა (Мальчик с пальчик") და სხვა.

როგორც ვხედავთ, ფანტაზია ჯერ რომელიმე რეალური საგნის დანაწილებას ახდენს შემადგენელ ელემენტებად და შემდეგ—ამ ელემენტების ახალ მთლიანობაში შეერთებას, ისეთ მთლიანობაში, „რაც არასოდეს და არსად არ ყოფილა". აქედან ცხადია, რომ რაც უფრო მეტი იდეური მასალა აქვს ადამიანს, მით უფრო მეტი შესაძლებლობაა ელემენტების ახალი შეერთებათა შექმნისათვის ე. ი. მით უფრო მდიდარია ფანტაზია. ბავშს $2^1/_2$ წლის ასაკამდე ფანტაზია სრულებით არა აქვს. ამ დროიდან კი, როდესაც ბავში შთაბეჭდილებების მხრივ, ერთგვარად გამდიდრებულია, ფანტაზია სწრაფად ვითარდება და ბავში მრავალ იდეურ კომბინაციას (შეჯგუფებას) ახდენს.

რადგან ბავში, სათანადო გამოცდილების უქონლობას გამო, ვერ არჩევს ერთმანეთისაგან ნამდვილსა და მოჩვენებითს, მისი ფანტაზია უსაზღვროა; მაგ., უბრალო ჯოხი ბავშს სახლად მიაჩნია; იგივე ჯოხს ცხენის მაგიერობა შეუძლია გასწიოს, თუ იგი ფეხებს შუა იქნება მოთავსებული; ხატვის დროს ხ ა ზ ი ბავშისათვის შეიძლება იყოს მცენარეების, ცხოველების და ადამიანის სურათი; „სტუმრობიას" თამაშობის დროს ბავშს შეუძლია ერთსა და იმავე დროს თავი წარმოიდგინოს სტუმრადაც და მასპინძლადაც; საუმელებად არიან: ქალალდის ნახევები, მინის ნატეხები და სხვა. ბავშის ფანტაზიის ასეთი „უდიერობა" აიხსნება მით, რომ ბავში საგნებს ვერ იცნობს ყველა თვისებების მიხედვით, მისი ყურადღება ზერელედ ერთი საგნიდან მეორეზე გადარბის და ამ დროს, მხოლოდ ერთეულსა და ხშირად, უმნიშვნელო თვისებებს ეცნობა. ბავშს, რომ ქონდეს ნათელი წარმოდგენა სახლის, ან ცხენის შესახებ, ჯოხის აღქმა მასში ასე ადვილად სახლის, ან ცხენის წარმოდგენას არ გამოიწვევდა; ბავშისათვის-კი ჯოხის ფეხებ ქვეშ მოთავსება უკვე საკმარისია, რომ თავი ძხედრად მიიჩნიოს. აღქმის ზერელე ხასიათით აიხსნება აგრეთვე ბავშის ფანტაზიის ის თვისება, როდესაც ერთი და იგივე ობიექტს (საგანს) სხვა-და-სხვა საგნების მაგიერობა შეუძლია გასწიოს.*) ვ. ს ტ ე რ ნ ს თავისი ქალიშვილის შესახებ შემდეგი დაკვირვება მოჰყავს:

---

*) აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მიმართვა ზღაპრებისადმი იმ მოსაზრებით, თითქოს ზღაპარი, რომელიც შეთხზულია ხალხის მიერ მისი განვითარების პირველ

„ჰილდა 2.2. ჰილდას ხელში ოთხკუთხიანი ბრტყელი ხის ნაჭერი აქვს, რომელსაც იგი ბ ურ თ ა დ ხმარობს. უეცრად ის ამ ნაჭერს თავზე იდებს და მიჩვენებს: მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ქუდი! ცოტა ხნის შემდეგ: ეს—ფ უ ლ ი ა". ბავშის ფანტიზიას ანტროპომორფისტული სახე აქვს ე. ი. ბავშს ყველა საგანი ადამიანური თვისებებით აღჭურვილად მიაჩნია; ამიტომ ბავში ფიქრობს, „რომ მაგიდა, რომელმაც ტკივილი მიაყენა ბ ო ლ ო ტ ი ა და უნდა იქნეს გ ა ლ ა ხ უ ლ ი, რომ სკამს ს ძ ი ნ ა ვ ს, ფანქარი ი ღ ლ ე ბ ა და ე ტ კ ი ნ ე ბ ა, თუ ბავში მას გასტეხს" და სხვ. თანდათან, გამოცდილების დაგროვების შემდეგ. ბავშის ფანტაზიის უდარდელობა და უსაზღვრო გაქანება იკვეცება. ბავში კრიტიკულად ეპყრობა თავის რეაქციებს და ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი რეალობას.

2. ბავშის ხატვის განვითარება.

ბავშის ფსიქიური განვითარების დონეს გამოსარკვევად საუკეთესო საშვალებას ბავშის ნახატებზე დაკვირვება წარმოადგენს: თუ რას ხატავს, როგორ ხატავს ის და სხვა *). „შემჩნეულია, რომ იდიოტები სრულებით არ ხატავენ; გონებრივათ ჩამორჩენილი ბავშები ხატავენ იშვიათად და ცუდათ; რაც უფრო „ნიჭიერია" ბავში, მით უფრო მრავალფეროვანი და ფართოა მისი ხატვის თემები, მით უფრო უკეთესია მათი დამუშავება და შესრულება" (კორნილოვი). ბავშს 1.6 წლის შემდეგ მეტად უყვარს საწერი მასალა: ქაღალდი, ფერადი ფანქრები და სხვა. ფანქრით „ჯღაბნა" —ბავშის სიხარულის და აღტაცების დაუშრეტელი წყაროა: ხშირად მოზრდილებიც ერევიან ბავშის ხატვითი საქმიანობაში და ბავში მათი „შეკვეთით" და ხელმძღვანელობით სათანადო მოძრაობას ასრულებს. ბავშის ფსიქიური განვითარების გასაცნობად უფრო მნიშვნელოვანია ის ნახატები, რომლებიც ბავშმა თვითონ დახატა (ე. წ. თავისუფალი ხატვა).

საფეხურებზე, საინტერესოა და შეეფერება ბავშის აზროვნებას, „თუ ოდ უნდა იქნეს ფაყოფილი, ვინაიდან, როგორც მრავალმა დაკვირვებამ დაადასტურა, ბავშს უყვარს არა ფანტასტიკა, არამედ „ის, რაც ნამდვილად იყო". ჯადოსნური ზღაპრებისა და ბავშისათვის გაუგებარი სიმბოლოების მაგიერ, რომლებიც იწვევენ ბავშებში შიშის გრძნობასა და ავადმყოფურ ფანტასტიკას, ბავშებს უნდა მიეცეთ კოლექტივისტური სულისკვეთება, რეალური ცხოვრების აღბეჭდა, ბუნება და ადამიანის ზეიმი მასზე, ხოლო სასკოლო ასაკში ზღაპარი უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც საშვალება ფოლკლორის შესწავლებისათვის.

*) ხატვის გარდა ბავშის შემოქმედებითი ნაწარმოებნი სხვა დარგში, როგორც: მუსიკა, ძერწვა და სხვა, ჯერ-ჯერობით სათანადოთ დამუშავებული არ არის.

იმის მიზეზი, თუ რატომ „ჯლაბნის“ ბავში, უნდა ვეძიოთ, როგორც ბავშის ბუნებაში, რომელსაც აქვს ძლიერი ლტოლვა მოქმედებისადმი; აგრეთვე თავისი ახლობელების მიბაძვაშიაც. ეს „ჯლაბნა“ ბავშისათვის უაზრო მოქმედებაა, რომლითაც ის არავითარ გადმოცემით მიზანს არ ისახავს: ბავში ფანქრით გაურკვეველ ხაზებს ავლებს. ეს ხაზები („შტრიხები“) გაუგებარი, უწესრიგო, ერთმანეთზე გადაუბმელი, უმეტესად მოკლე ტეხილი ხაზებია (იხ. ნახ. №13.) ხანდახან ბავში ამჩნევს რომ მის ხაზებს აქვთ მსგავსება რეალურ საგნებთან. ს ე ლ ლ ი („Очерки по психологии детства“) გადმოგვცემს, რომ მისი ორი წლის ბავში ფანქრით ავლებდა შტრიხებს ქაღალდზე და შემთხვევით დახატა სპირალური ხაზი; „კვამლი, კვამლი“,—უეცრად დაიყვირა მან, მეტად გახარებულმა და ამის შემდეგ სპირალურ ხაზების დახატვას სცდილობდა. ბავშის ხატვის ამ საფეხურს „შ ტ რ ი ხ ე ბ ი ს - ს ტ ა დ ი ა“ ეწოდება, რომელიც $1^1/_2$ წლის ასაკამდე გრძელდება. ტეხილი ხაზებიდან ბავში მომრგვალებულ ხაზებზე გადადის: (ე. წ. „ჯლაბნის სტადია $1^1/_2$-დან —2—3 წლამდე იხ. ნახატი № 14). აღსანიშნავია, რომ ბავში არა იმ საგნებს ხატავს, რომლებსაც ხედავს, არამედ მათ, რომელთა შესახებ მას აქვს წარმოდგენა, ხსოვნა. „ბავში თავიდან“ (из головы) და არა საგნებიდან ხატავს“. (ვ. სტერნი) მაგ. ბავშს, რომ ვსთხოვოთ ჩვენი დახატვა, ის ხატვის დროს ერთხელაც არ შემოგვხედავს.

ნახ. 13
შტრიხები.

ყველა საგანზე უფრო, ბავშს ადამიანების დახატვა უყვარს: სხვადასხვა ქვეყნის მკლევართა მიერ შეკრებილი ბავშების ნახატებში, ადამიანის ნახატი 90%-ს შეადგენდა. ადამიანის გარდა, ბავში დიდი ინტერესით ხატავს აგრეთვე მ ი მ ო ს ვ ლ ი ს ს ა შ ვ ა ლ ებ ებ ს (ურემი, ტრამვაი...), მ ც ე ნ ა რ ე ებ ს, ც ხ ო ვ ე ლ ებ ს, ს ა ხ ლ ებ ს და სხვა.

ნახ. 14. ჯღაბნა.

პირველ ხანებში, ადამიანის დახატვის დროს მხოლოდ თავს და ფეხებს აღნიშნავს. ამ ხანას (3—5 წლამდე) ბავშის ხატვაში „თავფეხას პერიოდი“ ეწოდება („период головоноги“): ბავში ეეებერთელა თავს ხატავს, რომელსაც იქვე აქვს მიბმული ფეხები, (იხ. ნახატი № 15); თავზე რამდენიმე წერტილი თვალებსა და პირს აღნიშნავს;

ნახ. 15.
«თავფეხების პერიოდის“ ბავშის ნახატები. (გ. კერშენშტეინერის კოლექციიდან).

ხელები მიბმულია თავზე; ტანი სრულებით არ სჩანს. რადგან ბავში, ხატვის დროს, ხატვის ობიექტს უყურადღებოდ ტოვებს და მხოლოდ იმას ხატავს, რაც საგნის შესახებ ი ც ი ს, ამიტომ მისი ნახატი მრავალი თავისებურებითაა აღსავსე: ა) საგნის ნაწილებს შორის არ არის დაცული სიმეტრია—დიდი თავი, მოკლე ფეხები და სხვა; ბ) ნახატის სივრცითი თვისებები არ შეეფერებიან სინამდვილეს: ხშირად ბავში ადამიანს და საგნებს შებრუნებულად ხატავს, მ ა რ ჯ ვ ე ნ ა და მ ა რ ცხ ე ნ ა, ვერტიკალური და ჰორიზონტალური მდებარეობა (იხ. ნახ. № 16) არეულია და სხვა.

გ) დამახასიათებელია ბავშის ხატვაში აგრეთვე ის შეუსაბამობა სინავდვილესთან, რომელსაც გვიჩვენებს ნახ. № 17, 18.



ნახ. 16.
ვ. სტერნის ქალიშვილის ჰილდას (4.9 წ.) შებრუნებული ნახატები.

გამოხატულია მხედარი, რომელსაც ორივე ფეხი მოუჩანს, თითქოს ცხენი გამქვირვალე იყოს; ნახ. № 18-კი გამოხატავს ადამიანს, რომელსაც მოუჩანს ქუდის ქვეშ--თმა, ტანსაცმელის ქვეშ—ხელები, ფეხები და სხვა. („გ ა მ ს ქ ვ ი რ ვ ა ლ ო ბ ა"). ბავშის ნახატი ყოველთვის გამოხატავს საგნებს მათ მოძრაობაში: მაგ., მამაკაცი ეწევა თამბაქოს და მოსჩანს კვამლის მოძრაობაც, ქალები დადიან ქოლ-



ნახ. 17.
მხედარს დახატული აქვს ორივე ფეხი.

გებით და სხვა (იხ. ნახ. № 19); თუ ბავში სახლს ხატავს, აქაც რაიმე მოძრაობაა გამოხატული—ბუხარი, საიდანაც ამოდის კომლი და სხვა („დინამიურობა“). საგნებიდან გადმოხატვას ბავში მხოლოდ 5 წლის ასაკის შემდეგ იწყებს. „შტრიხებისა“ და „ჯღაბნის“ პერიოდს საკუთრივ ხატვის განვითარებისათვის მხოლოდ მოსამზადებელი მნიშვნელობა აქვს და პედოლოგიაში მას ხატვის წინა-პერიოდი ეწოდება. ამ პერიოდის ევოლიუციაში სამი საფეხურია გასარჩევი: I საფეხურში ბავშს გამოსახვითი მოქმედებას პროცესუალობა ახასიათებს; ბავში კმაყოფილდება მხოლოდ გამოსახვითი პროცესით, შედეგის განხილვა-შეფასების გარეშე; მე II საფეხურში წარმოიშვებიან „ასოციაციები კვალში“—ბავში ჯღაბნის, გატაცებულია პროცესით, მაგრამ მიღებული „კვალი“ მასში იწვევს მსგავსი საგნების ასოციაციას („მამა“, „ბუზი“, „ხარი“...); მე-III საფეხური—შერეულია: აქ მოცემულია: ჯღაბნა, პროცესით გატაცება და ასოციაციები „კვალში“, რაც წინა საფეხურებს ახასიათებს, მაგრამ, მსგავსებით ასოციაციების შემდეგ, ნახატს უმატებს დეტალებს. ხატვის წინა-პერიოდის მნიშვნელობა იმ ვარჯიშობით განისაზღვრება, რომლითაც ბავში თანდათან ეჩვევა ხელის ნერვიულ-კუნთური აპარატის ხმარებას.

ხატვის შემდგომი ევოლუცია კარგად აქვს შესწავლილი გ. კერშენშტეინერს, რომელმაც 15 წლის ასაკამდე ბავშთა 300.000 მდე ნახატი გამოიკვლია. ხატვის ევოლუციას კერშენშტეინერი ყოფს ოთხ საფეხურად:

1) სქემის საფეხური: ბავში ხატავს საგნების ცალკე ნაწილებს, ეს საფეხური მეტად გავრცელებულია და შეიცავს ბავშთა შორის დიდ პროცენტს, სახელდობრ: ვაჟების 60%-ს; ქალების 80%-ს.

2) ფორმებისა და ხაზების გრძნობის განვითარების საფეხური: სქემა რჩება, მაგრამ ბავში იძლევა საგნის გარეგნულ გამოხატულებისა და ხაზების სწორ ურთიერთ დალაგებას: (სკოლის ასაკამდე ხანაში);

3) სწორი გამოსახვის საფეხური: საგნების ფორმა სწორადაა დახატული, მაგრამ მხოლოდ სიბრტყეზე; არ არის პერსპექტივა მოცემული;

4) პლასტიური გამოსახვის საფეხური: სადაც ნახატში უკვე განაწილებულია სინათლე და რჩდილი, მოცემულია პერსპექტივა, გადმოცემულია მოძრაობა და სხვა (11 წლის ასაკიდან).

მრავალი გამოკვლევა ადასტურებს, რომ მე-III და მე-IV საფეხურს აღწევს ბავშთა მეტად მცირე რიცხვი (დაახლოებით: ვაჟების

40%, ქალების 20%), რადგან ამ სტადიების დამახასიათებელი კარგი ხატვა ინდივიდუალური ტალანტსა და სპეციალურ გაწვრთნაზეა დამოკიდებული.

III საფეხური დაახლოებით იმდროიდან იწყება, როდესაც ბავშვი სკოლაში შედის (8 წ.); უმეტეს შემთხვევაში ამ ასაკიდან იწყება გამოსახვითი შემოქმედების **დაცემის პერიოდი**, რასაც იწვევენ: 1) **არამიზანშეწონილი სასკოლო გავლენა**; სკოლებში ხატვა ეხლაც ცუდათ არის დაყენებული, რადგან არ იღებენ მხედველობაში ბავშის ხატვითი ინტერესებს: სკოლებში ბავშს აძლევენ დაასახატავათ არა ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებს, შენობებსა და საერთოდ, მოძრავ საგნებს, არამედ აწარმოებენ გეომეტრიული ფიგურებისა და ორნამენტების გადმოხატვას, „რაც თავის უსიცოცხლო სისუსტით სპობს ბავშის შემოქმედებას და დასაწყისშივე იწვევს არასიმპატიურ განწყობილებას ხატვისადმი". 2) ასაკობრივი თვისებები, როდესაც ბავში უკვე კრიტიკულიდ განიხილავს თავის ნახატს, აფასებს თუ რამდენათ შეესაბამება იგი რეალობას, ბევრ შეუსაბამობას ამჩნევს და ხატვისადმი ინტერესი ეკარგება, რადგან ხატვა „მეტად ძნელ საქმედ მიაჩნია: **ფერები** ბავშს მეტად უყვარს და ხმარობს მათ თავის ნახატებში, იმის მიუხედავად შეეფერება მიჩნეული ფერი საგანს, თუ არა. ბავშისათვის არავითარ შეუსაბამობას არ შეადგენს, რომ მან, მაგ. ფოთლები წითლად შეაფერადოს, თვით ხავერდის ვარდი კი—მწვანედ. „მხოლოდ 5 წლის შემდეგ, უკვე ბავში ნახატებს რეალობასთან შესაბამითი ფერებით შეღებავს ხოლმე.



ნახ. 18.

ადამიანს ტანსაცმელის ქვეშ მოუჩანს ფეხები, ხელები და სხვა.

ბავშის ნახატის თავისებურების ფაქტორებად შემდეგი უნდა დავსახოთ: 1) ბავშის მხედველობითი სახეების არა დამაკმაყოფილებელი ხასიათი, რასაც იწვევს დამკვირველობისა და მეხსიერების სისუსტე; 2) ხატვის დროს ყურადღება ექცევა თვით ხატვის პროცესს

და, ისედაც მკრთალი, გაურკვეველი სახე დასახატავი საგნის—ჰკრება; 3) ბავშის ხელის განუვითარებლობა და, უფრო—მხედველობით—მოტორული კოორდინაციის სისუსტე; 4) ბავშის ნახატის სქემატიურობას იწვევს ის გარემოება, რომ „ბავში ცდილობს კონკრეტული სახის არა სუსტად აღბეჭვდას, არამედ მისი მიზანია საგნის მხოლოდ ზოგადი იდეის გადმოცემა“ (სპირნოვი):

ნახ. 19.

7—11 წლის ბავშების ნახატები.

თავი მეცამეტე.

შთაგონება და ბავში

1. შთაგონება *). საცხოვრებელი წრის პირობებთან სათანადოთ შეგუების მიზნით, ბავში იმეორებს არა მარტო გარეგნულ მოძრაობას, არამედ მოზრდილი ადამიანის ყველა რეაქციას, როგორიცაა, მაგ., აზროვნება, გრძნობები და სხვა. სხვების მიბაძვით ბავში თავისი ძალების ეკონომიას მიმართავს და აადვილებს, ამოკლებს იმ გზას, რომლითაც საჭიროა გარემოწრის პირობების გაცნობა. სხვა ადამიანის ყოფაქცევის წესების ასეთი გადმოღება ორგვარია: მიბაძვა და შთაგონება. მიბაძვა—გარეგნული მოძრაობათა განმეორებაა. ხოლო შთაგონება კი—რომელიმე ადამიანის ზეგავლენით მისი ფსიქიური ცხოვრების უკრიტიკოდ გაზიარებას წარმოადგენს. როგორც ვხედავთ, შთაგონება ისეთ შინაგან მიბაძვას ეწოდება, როდესაც მიჩნეული ადამიანის ფსიქიკაში შეტანილია იდეა (აზრი), რომელსაც იგი პირადი განხილვის და შეფასების გარეშე უყოყმანოდ იზიარებს.

ადამიანისათვის იმდენად ძლიერი და ჩვეულებრივია შთაგონების ზეგავლენით მოქმედება, რომ ცნობილი ფსიქოლოგი სიდის'ი ადამიანს განსაზღვრავს, როგორც „ცხოველს, რომელსაც შთაგონება ახასიათებს". შთაგონებით მოქმედების ტიპიურ მაგალითს ჰიპნოტიური მდგომარეობა წარმოადგენს: ადამიანი ჰიპნოზის **) დროს მთლიანად შთაგონების ზეგავლენის ქვეშ იმყოფება და ბრმად იზიარებს ჰიპნოტიზიორის (ე. ი. ჰიპნოტიური მდგომარეობის გამომწვევი პირის) აზრებს, მაგ. თუ ეტყვიან, რომ მას ხელი აქვს გაქვავებული,—მართლაც ხელს ვერ მოღუნავს, „კოღოები გკბენენ"—კოღოების მოსაგერიებლად ხელებს აქნევს და სხვა.

ყოველდღიურ ცხოვრებაშიაც მეტად ხშირი მოვლენაა შთაგონების ზეგავლენა: მაგ., საკმარისია სადილის დროს ვინმემ განაცხადოს რომ საქმელს ცუდი გემო აქვს, რომ ყველამ იგივე შეამჩნიოს; რომე-

---

*) შთაგონების შესახებ იხ. Сидис: „Психология внушения"; Кравков „Внушение" და სხვ.

**) ჰიპნოტიური მდგომარეობა ემსგავსება ძილს, რომელიც ხელოვნურადაა გამოვწეული მონოტონური, ხანგძლივი შთაბეჭდილების მოქმედების გომი.

ლიმე მოწყენილ საზოგადოებაში ერთ მხიარულ ადამიანს საერთო მხიარულების გამოწვევა შეუძლია („душа общества"). და პირიქით—ერთ დაღვრემილს შეუძლია მხიარულ საზოგადოებაში მოწყენილობა, მელანქოლია დაამყაროს; რომელიმე პეომარის მამაცობის მაგალითი და გამამხნევებელი სიტყვა ბრძოლის ველზე ,ალადგენენ ჯარის მოდუნებულ სამხედრო აღტკინებას და სხვა.

შთაგონების ძალა მეტად ძლიერია კოლექტივში, ბრბოში: ერთ მყვირალას შეუძლია შთააგონოს ბრბოს რომელიმე აზრი და უკანასკნელის ზეგავლენით ბრბო ჩაიდენს ქმედობას, რომელიც ბრბოს დაშლის შემდეგ, თითეულ მონაწილეში მწუხარებასა და გაკვირვებას იწვევს. მასიური, კოლექტიური შთაგონება ჯოგური ინსტინქტის შედეგია და ყველა ცხოველს ახასიათებს; მაგ. თუ გემის დატვირთვა ცხვრის ფარით სურთ, საკმარისია ერთ-ერთი ცხვარი ძალით გემში მოათავსონ, რომ მას სხვა ცხვრებიც მიყვება.

შთაგონების განხორციელებისათვის საჭიროა ორი მხარე:

შ თ ა გ ო ნ ე ბ ი ს გ ა დ ა მ ც ე მ ი და შ თ ა გ ო ნ ე ბ ი ს მ ი მ ღ ე ბ ი (მიმბაძველი, გამზიარებელი). ამის მიხედვით, შთაგონებას ორი პირობა განსაზღვრავს: 1) შ თ ა გ ო ნ ე ბ ი ს გ ა დ ა მ ც ე მ ი ს ა ვ ტ ო რ ი ტ ე ტ ი. მაგ. მოწაფისათვის მასწავლებლის სიტყვა ავტორიტეტულია, მისი აზრები უყოყმანოდ მისაღებია, თუ მასწავლებელი მოწაფეების თვალში ინტელიქტუალურ ძალას წარმოადგენს.

2) შ თ ა გ ო ნ ე ბ ი ს მ ი მ ღ ე ბ ი ს ყ უ რ ა დ ღ ე ბ ი ს ს ი ს უ ს ტ ე: თუ ადამიანს სუსტი ყურადღება აქვს დაღლილობისა, ან განოცდილების უქონლობის გამო, ბუნებრივია, რომ მას არ ექნება შეძლება კრიტიკულად დააფასოს ესა, თუ ის იდეა და უკანასკნელს უყოყმანოდ გაიზიარებს. ბავშს შთაგონების ზეგავლენის ორივე პირობა ახასიათებს: მას აქვს სუსტი (გაფანტული) ყურადღება მცირე გამოცდილების გამო და აგრეთვე, მისთვის ყოველი მოზრდილი ავტორიტეტს წარმოადგენს. ამიტომ არის, რომ ბავშში, შთაგონებისადმი დამორჩილების ხარისხი მეტად დიდია. მოზრდილების დაფასებითი დასკვნები: „კარგია", „ცუდია", „აქ სიცივეა", „აქ რაღაც სუნია" და სხვა ყოველთვის ბავშში სათანადო მიმიკას იწვევს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ბავში უკრიტიკოდ იზიარებს. სასკოლო ასაკამდე ბავში უდიდეს ზეგავლენას მშობლების და ახლობლების მხრივ განიცდის. ბავში მოზრდილების მსჯელობებს იმეორებს და მათ ზნე-ჩვეულებას ითვისებს. „დედამ ასე მითხრა", „მამამ ასე სთქვა" და სხვა—პატარა ბავშების ტიპიური მსჯელობებია.

ბავშს შეგვიძლია ძლიერი შიში შთავაგონოთ, როდესაც ჩვენ სრულებით არ გვეშინია. მაგ. საშიშარი ზღაპრების მოყოლით, სადაც მოთხრობილია ეშმაკების, ჭინკების, მაჯლაჯუნების, კუდიანების და სხვ. არარეალური ცხოველების შესახებ; ბავში იმდენად შეშინდება, რომ მუდამ მათ შესახებ ლაპარაკობს და მოზრდილ ასაკშიაც, როდესაც მას მოსმენილი ზღაპრების უსაფუძვლობის ნათელი შეგნება აქვს, ბავშობაში ჩანერგილ შიშს ვერ იცილებს. რადგან ბავშებს შთაგონების ძლიერი ზეგავლენა ახასიათებს, ამიტომ მათ პასუხებს მოზდილების შეკითხვებზე (ე. წ. ბავშების ჩვენებებს—детские показания) არავითარი ღირებულება არა აქვთ იმის გამოსარკვევად, თუ რა აზრისაა ბ ა ვ შ ი ამა, თუ იმ მოვლენის შესახებ. ბავშს, რომ მწვანე ფერი ვაჩვენოთ და ვკითხოთ: „ეს ხომ წითელი ფერია? ის, უმეტეს შემთხვევაში, დადებითად გვიპასუხებს, მიუხედავათ იმისა, რომ ბავშმა უკვე იცის სხვადასხვა ფერის გარჩევა; იქვე, რომ შეეკითხოთ: „ეს ხომ მწვანე ფერია"?—ბავში აქაც დაგვეთანხმება, ასეთ შეკითხვაზე: „ეს ხომ შენ არ გაგიტეხია?" „ხომ არ გტკივა ხელი?" „ხომ გეშინია" და სხვა, ბავში ყოველთვის გვიპასუხებს ისე, როგორც ეჩვენება მას, თუ ჩვენ თვითონ როგორი პასუხი გვაქვს შეკითხვის შესახებ.

ბავშის შთაგონებისადმი მორჩილების გამოსარკვევად, ლ ი პ მ ა ნ მ ა შემდეგი ცდა მოახდინა: 4—6 წლის ასაკის ბავშებს მან ერთი წამის განმავლობაში მარტივი შინაარსის სურათი აჩვენა, რომელზედაც ქალიშვილი იყო დახატული. ამის შემდეგ მან დაკითხა ბავშებს, თუ რა ფერის ტანსაცმელი ეცვა ქალიშვილს სურადზე. გამოირკვა, რომ ბავშის სწორი პასუხი დამოკიდებული იყო შეკითხვის კილოსა და ფორმაზე: ბავშები მით უფრო იძლეოდენ სწორ პასუხს, რაც უფრო ნათელი იყო შთაგონებითი ელემენტი შეკითხვაში; მაგ. ა) კითხვაზე: „რა ფერის იყო ქალიშვილის ტანსაცმელი?" ბავშებს უძნელდებოდათ პასუხი, „რადგან კითხვის ასეთ დასმაში ბავშები ვერ არკვევდენ, თუ როგორი პასუხი აქვთ თვით შემკითხველს; ბ) როგორი ფერის იყო ქალიშვილის ტანსაცმელი: მწვანე თუ წითელი?" ბავშები უპასუხებდენ — „წითელი". (ნამდვილად კი ქალიშვილს მწვანე ტანსაცმელი ეცვა). გ) „ქალიშვილს ხომ მწვანე ტანსაცმელი ეცვა"—ბავშები უყოყმანოდ და სწრაფათ უპასუხებდენ: „მწვანე". ვ ი ლ ჰ ე ლ მ პ რ ე ი ე რ ს თავისი 2.6 წლის შვილის შესახებ ასეთი ცნობა მოყავს: როდესაც საკმაოდ დამშეული მისი შვილი ჭამას იწყებდა, საკმარისი იყო მამას ეთქვა „შენ უკვე აღარ გშია", რომ ბავში ჭამას თავს ანებებდა ე. ი. უკრიტიკოდ მამის აზრს იზიარებდა.

ბავშების შთაგონებით ექიმობა სასურველ შედეგებს იძლევა*). თუ ბავში მწარე წამალს არ სვამს, შეგვიძლია შთავაგონოთ მას, რომ წამალი არ არის მწარე, ან წამალს საჩუქრად ვაძლევთ და ბა-ბავში სიამოვნებით შეასრულებს ჩვენ სურვილს. თუ ბავშმა ხელი იტკინა და ტირის, მხოლოდ სულის შებერვას, ან ხელის გადასმას შეუძლია მოსპოს ბავშში ტკივილი. პირიქით, როდესაც ბავში უმტ-კივნელად დაეცა, შესაძლებელია შთავაგონოთ მას ტკივილი: თუ ბავშის დაცემის დროს მშობლები გადამეტებულ შიშსა და ზრუნვე-ლობას გამოხატავენ ეს შთააგონებს ბავშს, რომ მას ძლიერ ეტკინა თავი, ხელი და სხვა, ის იწყებს ღრიალს.

2. კონტრ-შთა-გონება. ასეთი ბრმა მორჩილების გარდა, ბავშს ახა-სიათებს აგრეთვე წინააღმდეგობაც (ნეგატივიზ-მი): კიდევაც რომ იყოს დარწმუნებული, რომ მაგ. საკმელი, ან წამალი არ არის მწარე, თუ მოზდილი ბავშს მას უქებს, უკანასკნელი საწინააღმდეგოს დაიჟინებს. ასეთ შემთხვევაში მიმართავენ ე. წ. კ ო ნ ტ რ - შ თ ა გ ო ნ ე ბ ა ს, რომელიც მოზდილებს სასურველ შედეგებს აძლევს. კონტრ-შთაგონება მდგომარეობს შემ-დეგში: მაგ. ბავში სადილის დროს გაჟინიანდა და სადილს იწუნებს; რაც უფრო მეტად დაუწყებენ ბავშს ხვეწნას, მით უფრო გაჯიუტდე-ბა იგი, მაგრამ, თუ მოზდილები ბავშს დაეთანხმებიან, რომ საკმელი არ ვარგა და საკმელს მოაცილებენ, ბავში საკმელს გემრიელად გა-მოაცხადებს და ჭამას იწყებს. ასეთი ჯიუტობა და საწინააღმდეგო შთაგონებისადმი დამორჩილება, სხვა ცხოველებსაც ახასიათებს. ვ. სტერნი შემდეგ მაგალითს გადმოგვცემს: გლეხს ღორი სასაკლაოზე მიჰყავდა, მაგრამ სასაკლაოს კარებში ღორი გაჯიუტდა და არ მი-ჰყვებოდა: გლეხი მას სწევდა სასაკლაოს ეზოში, ღორი- კი უკან იწევდა. ბოლოს გლეხმა მოისაზრა, მოსცილდა სასაკლაოს კარებს და ღორს სასაკლაოს კარების საწინააღმდეგო მიმართულებით წევა დაუწყო, ღორი უკან-უკან სიარულს განაგრძნობდა და, გლეხის სურ-ვილისამებრ, სასაკლაოს კარებში შევიდა.

შთაგონება ბავშზე $1^1/_2$ წლის ასაკის შემდეგ მოქმედებს; მრა-ვალრიცხოვანი გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ შთაგონების ძლიერება ბავშის ასაკის უკუპროპორციულია ე. ი. რაც უფრო მცი-რეწლოვანია ბავში, მით უფრო ძლიერია შთაგონების ზეგავლენით

---

*) არა მარტო სკოლის ასაკამდე ბავშებზე ახდენს გამკურნავ გავლენას შთაგონებით ექიმობა, არამედ მოზდილ ადამიანებზედაც: მაგ. ონანისტების ექი-მობა, ჰიპობონდრიისაგან სხვადასხვა ფობიებისაგან (შიშისაგან), საერთოდ ნევრას-ტენიისაგან, და სხვა ავამყოფობათაგან განკურნება.

მოქმედება. 8—9 წლის შემდეგ, შთაგონების ძალა თანდათან მცირდება რადგან ბავშის გამოცდილება მატულობს და მას მოელენებისადმი კრიტიკული მიდგომა უნვითარდება.

ამრიგად, შთაგონება მეტად დამახასიათებელი ფაქტია ბავშობის პერიოდისათვის და პედაგოგიკა იყენებს მას საშუალებად ბავშის ზრდა-განვითარების სათანადოთ მიმართვისათვის.

შთაგონებისადმი ძლიერი, ბრმა დამორჩილება ადამიანისათვის მეტად საზიანოა, რადგან იგი მაჩვენებელია ფუქსავატობისა და დამოუკიდებელი აზროვნების უქონლობის; მით უმეტეს საზიანოა ბავშისათვის შიშის და სიყალბის შთაგონება. მაგრამ შთაგონებას აქვს უდიდესი პედაგოგიური მნიშვნელობა ისეთ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა სათანადო და მიზანშეწონილი მსოფლმხედველობისა და სოციალური ყოფა-ქცევის წესების („ჩვევების") შთანერგვა ბავშში. მხოლოდ უნდა გვახსოვდეს, რომ შთაგონების ზეგავლენა, როგორც აღმზრდელობითი საშუალება, ასაკის ზრდასთან ერთად უნდა მცირდებოდეს და ბავში კრიტიკასა და საკუთარი ძალებზე დაყრდნობას უნდა ეჩვეოდეს*).

3. ბავშის სიყალბე. თითქმის ყველა პედოლოგი ბავშს „პატარა მატყუარას" უწოდებს. ბავშზე დაკვირვების შემდეგ ჩვენც შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ, მართლაც, ბავშს მატყუარობა, სიცრუე მეტად ახასიათებს. ბავშის სიყალბეს იწვევს, უმთავრესად, მისი ფრთაასხმული, უსაზღვრო, უპასუხისმგებლო და უდარდელი ფანტაზია, რომელიც არავითარ ანგარიშს რეალობას არ უწევს და ვერ არჩევს ერთმანეთისაგან ნამდვილსა და მოჩვენებითს, ჭეშმარიტებასა და სიყალბეს. ფანტაზიის გარდა, სიყალბეს ბავში აგრეთვე იმ შემთხვევაში მიმართავს, როდესაც მას ეშინია, რომ გაუწყრებიან და სიყალბით სურს დამალოს თავისი დანაშაულის ნიშნები. „შენ გატეხე ეს ჭიქა?-, „კიდევ მოკიდე ხალი საქმიან ქალალდებს"? და სხვა ასეთ მრისხანე შეკითხვებზე, ბავში უარით, სიყალბით უპასუხებს და თავის დანაშაულს, უდანაშაულო პირებს აბრალებს. სიყალბეს ბავში ზოგ შემთხვევაში მოზრდილებისაგანაც ეჩვევა უკანასკნელთ, ბავშის თანადასწრებით მაინც, ევალებათ წვრილმანებშიაც

---

*) პედაგოგიკაში დიდი ხნის განმავლობაში იყო გამეფებული აღმზრდელობითი სისტემა, რომელიც აღზრდას განიხილავდა, როგორც განუწყვეტელ, ხანგრძლივ შთაგონებას. (ამ თეორიას, რომელსაც მისდევდენ გ ი უ ი ო, ბ ე რ ი ლ ო ნ ი და სხვები, ეწოდებოდა: „აღზრდა, როგორც შთაგონება". მაგრამ ეს შეხედულება ამჟამად უარყოფილია, რომ ბავშის აღზრდა მოზრდილების ბრძად დამორჩილების სახით იმუშავებს ბავშში პასიობას, სპობს მასში აქტივობას, თვითმოქმედებას.

სიყალბეს ერიდებოდენ, რადგან ბავში მეტად მიმბაძველი არსებაა. ქვემომოყვანილი, პირველი შეხედვით მეტად უმნიშვნელო სიყალბის მაგალითებიც—კი, ბავშს სიყალბეს აცნობენ. „თუ ჭკუით იქნები ბურთს მოგიტან“ და შემდეგ არ ასრულებენ დაპირებას; ბავშის დაცემის დროს მოზრდილების შეკითხვა: „შენ გატეხე იატაკი?“—ბავში უკვირდება იატაკს და ამჩნევს, რომ იგი არ არის გატეხილი; მტირალი ბავშის ყურადღების მისაპყრობად, ბავშს ეუბნებიან: „აი, მე რა მიკავია ხელში“—ხელში კი არაფერი უჭირავს; ფანტასტიური ზღაპრების, ან ყალბი ამბების მოთხრობა, რომელთა სიყალბეში ბავში მალე დარწმუნდება და სხვა ამგვარი მაგალითებით ბავში გაიგებს, რომ შესაძლებელია განზრახ სხვისი მოტყუება და ძლიერი მიმბაძველობის გამო, ეჩვევა სიყალბეს. შეჯიბრებაც და თავისი თავის შექება აგრეთვე ბავშის სიყალბეს იწვევენ. დიდი დანაშაულია ბავშების წინაშე, როდესაც მოზრდილები მათ შეგნებულ სიყალბეს აიძულებენ; მაგ. თუ მშობლებს არ სურთ ვინმეს მიღება, ბავშს აგზავნიან და ავალებენ უთხრას მოსულს, რომ ისინი შინ არ არიან; მეზობლისათვის სესხის შესახებ უარის თქმა მაშინ, როდესაც ბავშმა იცის, რომ მათ გასასესხებელი აქვს და სხვა მრავალი მაგალითები.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ბავშის სიყალბის დასათრგუნავად დაუშვებელია, მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, მკაცრი ზომები: გალახვა, ზედმეტად დარცხვენა და სხვა. შთაგონებით ადვილად და უმტკივნელოდ შეიძლება გადავაჩვიოთ ბავში სიყალბეს.

თავი მეთოთხმეტე.

სქესობრივი საკითხი და მისი პედაგოგიკა

1. ფრეიდის თეორია.

ბავშის სქესობრივი ცხოვრება უკანასკნელ დრომდე არ იყო სათანადოთ გაშუქებული პედოლოგიურ ლიტერატურაში. მრავალი გამოჩენილი პედოლოგი თავის თხზულებებში ბავშისც ხოვრების მნიშვნელოვან სქესობრივ მხარეს, გაკვრით ეხება. ბავში მათ სქესობრივად „ნეიტრალურ“ (ე. ი. უსქესო) ტიპათ მიაჩნიათ, რომელსაც სრულებით არა აქვს სქესობრივი გრძნობა სქესობრივი მომწიფების ასაკამდე. ბავშის მიერ სქესობრივი გრძნობის გამომჟღავნების ერთეული შემთხვევები—კი არა ნორმალურ, პათოლოგიურ მოვლენათ მიაჩნიათ.

საკითხი ბავშის სექსუალობის შესახებ ბოლო დროს ვენის ფსიქიატრმა ზიგმუნდ ფ რ ე ი დ მ ა*) დაამუშავა. ფრეიდი ამბობს, რომ სექსუალობა ბავშს დაბადებიდან ახასიათებს. ყველა პირობა გვაიძულებს, ფრეიდის აზრით, ასეთი დასკვნის გამოტანას ბავშის სექსუალობის შესახებ. ჯერ კიდევ დედის მუცელში ჩანასახს უკვე რე-3 თვეზე ემჩნევა სქესობრივი ნიშნები, დაბადების შემდეგ—კი ბავშები (ქალები და ვაჟები) ერთმანეთისაგან აშკარად განსხვავდებიან: სქესობრივი ორგანოებით, წონით, სიმაღლით, სხეულის მოყვანილობით, კანქვეშ ცხიმის რაოდენობით, მკერდისა და თავის მოცულობით, მუსკულატურითა და სხვა. დაბადებისთანავე სხვა-და-სხვა სქესის ბავშს სხვადასხვა სქესობრივი ჯირკვლები აქვს: ვაჟებს—სათესლე, ქალებს—საკვერცხე. ფრეიდის აზრით, გულუბრყვილობა, ან განზრახ თავის დაბრმავება იქნება, რომ ეს ჯირკვლები უმოქმედოთ ჩავთვალოთ ასეთი დიდი ხნის განმავლობაში, როგორიცაა დრო დაბადებიდან—13—15 წლამდე, ე. ი. სქესობრივი მომწიფების ასაკამდე. აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ ბავშის სქესობრივი ჯირკვლები სქესობრივ გორმონს იმუშავებენ, რომელიც ერთვის სისხლს და ბავშის კონსტიტუცია—ფსიქიურ ცხოვრებაზე გავლენას ახდენს. სქესობრივი გრძნობა ისეთივე ინსტინქტია (ე. ი. თანდაყოლილი, მი-

---

*) იხ. Фреiд: „Три статьи о теории полового влечения“ М· 1912.

ზანშეწონილი თვისებაა), როგორც შიმშილი. შიმშილის შემდეგ, სქესობრივ გრძნობას მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს ადამიანების (ცხოველების) მოთხოვნილებათა შორის, რადგან ის ისეთ ბიოლოგიურ საჭიროებას ემსახურება, როგორიცაა—შთამომავლობის წარმოშობა, გვარის გაგრძელება. ყოველი სიამოვნება, ფრეიდის თეორიის მიხედვით, სექსუალური (სქესობრივი) განცდაა. როდესაც ბავში დედის რძით დაკმაყოფილებულია, მას ძალიან უყვარს თავისი თითების წოვა. „რატომ წოვს ბავში თითებს? ბავში რომ დედის ძუძუს წოვდა, ეს გასაგებია—მას აწუხებდა შიმშილი, მაგრამ თითების წოვა რით არის გამოწვეული? ამ კითხვაზე ფ რ ე ი დ ი უპასუხებს, რომ ამით ბავში სქესობრივ გრძნობას იკმაყოფილებს. ასეთივე სექსუალური ხასიათი აქვს ფრეიდის აზრით, სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც, კერძოდ, შარდისა და ექსკრემენტის გამოყოფის აქტებს (დეფეკაციას).

სქესობრივად „ნეიტრალური“ ასაკი ე. ი. ისეთი ხანა ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც მას სექსუალობა არ ჰქონდეს, არ არსებობს. სექსუალობა ადამიანს დაბადებიდან სიკვდილამდე თან სდევს.

ფ რ ე ნ დ ი ს აზრით, ტერმინი „სქესობრივად ნეიტრალური“ უნდა იქნეს გაძევებული ადამიანის გამომკვლევ მეცნიერებიდან, რადგან ის ფაქტებს ეწინააღმდეგება და პედაგოგიური თვალსაზრისით კი სასკოლო ასაკამდე ბავშობის სათანადო შესწავლას და მასზე ზეგავლენას ხელს უშლის. სქესობრივი მომწიფების დრომდე, სქესობრივი გრძნობა (lidido sexualis) ბავშის ორგანიზმში არ არის ლოკალიზაცია-ქმნილი ე. ი. რომელიმე განსაზღვრულ ორგანოს ფუნქციებთან არ არის დაკავშირებული, არამედ დაფანტულია მთელ სხეულში; მომწიფების ხანაში-კი ეს გრძნობა მეკრებილია, დაკავშირებულია სქესობრივი ორგანოების ფუნქციებთან და მიზნად შთამომავლობის წარმოშობას ისახავს.

ფ რ ე ი დ ი ს თეორიას იზიარებს რუსეთის პედოლოგი პ. ბლონსკი, რომლის აზრით, თითების წოვის გარდა, პატარა ბავშის სექსუალობას ამტკიცებს იქვიანობა და ზიზღი დედისადმი, როდესაც უკანასკნელს შვილი ეყოლება, ან როდესაც ბავში შეამჩნევს მშობლებში სქესობრივი ურთიერთობის ამა თუ იმ ნიშანს. სექსუალურია, აგრეთვე, ბავშების მტრული განწყობილება იგივე სქესის მშობელისადმი და ეჭვიანობა მეორე სქესის მშობელის მიმართ.

2. ბავშის სექსუალობის ფორმები.

ექ. ე. არკინი ბავშის სექსუალობის ფორმათა შემდეგ კლასიფიკაციას იძლევა*), 2—8 წლამდე მისი აზრით ბავშის სექსუალობას შეუძლია 4 ფორმა მიიღოს: ავტოეროტიული ჰეტეროეროტიული, სქესობრივი ცნობისმოყვარეობა და სხვა ფორმა. ე. არკინმა 2—8 წლამდე ასაკის 158 ბავშის სექსუალობის გამოკვლევა გაანაწილა ასეთი ცხრილის მიხედვით.**)

ბავშების სექსუალობის ფორმები:

ა. (აუტოეროტიული ფორმა)		გ. (ჰეტეროეროტიული ფორმა)		სქესობრივი ცნობის მოყვარეობის ფორმა		სხვა ფორმები	
ვაჟები	ქალები	ვაჟები	ქალები	ვაჟები	ქალები	ვაჟები	ქალები
49	20	48	18	13	8	6	7

მოყვანილი ცხრილის პირველ სვეტში (ა) შედიან ის ბავშები, რომელთაც თავისი სექსუალობა აუტოეროტიული ფორმით გამოხატეს. აუტოეროტიზმს ეკუთვნის სქესობრივი გრძნობის დაკმაყოფილება თავისივე სხეულის საშუალებით, როდესაც სხვა ობიექტი არ არის საჭირო: მაგ. ონანიზმი (მასტურბაცია) და სხვა. ბავშობაში ონანიზმი მეტად გავრცელებული მოვლენაა (90-95 %), რომელსაც ბავშები არ მალავენ. საბავშო სახლებში და ბაღებში პატარა ბაშებზე დაკვირვება მოწმობს, რომ მათ ძალიან უყვართ თავისი გენიტალიებზე (სქესობრივი ორგანოებზე) ხელის კიდება და როდესაც ხელმძღვანელები უკრძალავენ ბავშებს ასეთ მოქმედებას, ისინი დიდხანს რჩებიან საპირფარეშოში, სადაც ონანიზმს მიმართავენ.

---

*) იხ. Д.—р. Е. Аркин: „Дошкольный возраст" გვ. 374.

**) მოყვანილი ცხრილის სხვადასხვა სვეტში შედიან ხშირად ერთი და იგივე ბავშები, რომელთაც თავისი სექსუალობა რამდენიმე ფორმაში გამოხატეს და ეს იმ გარემოებას იწვევს, რომ ბავშებისა ჯამი ყველა სვეტში უდრის არა 158-ს არამედ 172-ს.

სექსუალობის გამოხატვის მეორე სახეს ე. წ. გ ე ტ ე რ ო ე რ ო ტ ი ზ მ ი შეადგენს. (გ) გეტეროეროტიზმი არის სქესობრივი ლტოლვა მეორე პირისადმი, განურჩევლად იმისა იქნება უკანასკნელი მოზრდილი, თუ ბავში, ქალი, თუ ვაჟი. მართლაც, ბავშებს მეტად უყვართ მ ი ხ უ ტ ე ბ ა, კოცნა, ერთად დაწოლა და სხვ. ა რ კ ი ნ ი აღნიშნავს 9 შემთხვევას, როდესაც პატარა ქალები და ვაჟები სექსუალობას თავისივე სქესის მიმართ (ე. წ. ჰ ო მ ო-ს ე ქ ს უ ა ლ ი ზ მ ი) იჩენენ.

ბავშების სექსუალობის მესამე ფორმას ს ქ ე ს ო ბ რ ი ვ ი ც ნ ო ბ ი ს მ ო ყ ვ ა რ ე ო ბ ა ეკუთვნის, რომელიც ეხება, როგორც საკუთარ გენიტალიებს, აგრეთვე, უმთავრესათ, სხვების გენიტალიებს. ბავშები თავის სქესობრივ ორგანოებს ათვალიერებენ და ერთმანეთსაც უჩვენებენ მათ. „პირველად პატარა ვაჟი ფიქრობს, რომ ორივე სქესს მამაკაცის გენიტალიები აქვს და მხოლოდ და შემთხვევით აღმოაჩენს, რომ პატარა ქალიშვილებს სხვაგვარი სქესობრივი ორგანო აქვს-შენიშნულია, რომ პატარა გოგონები უკმაყოფილო არიან მით, რომ არა აქვთ ისეთი სქესობრივი ორგანოები, როგორიც პატარა ვაჟებს.

ბავშის სექსუალობის უკანასკნელ სახეს არკინის ცხრილში, ბავშის ისეთი მოქმედებანი შეადგენს, როგორიცაა: უწმაწური სიტყვების ხმარება—ცინიზმი, სექსუალური შინაარსიის ნახატები და წარწერები საპირფარეშოს კედლებზე და სხვა. ფრეიდის აზრით, ადამიანი ბავშობიდან სიკვდილამდე სქესობრივ „შიმშილს“ განიცდის და ადამიანის ფსიქიური მდგომარეობა და კერძოდ, სიზმრების შინაარსი სექსუალობის არანორმალურად დაკმაყოფილებაზეა დამოკიდებული.

სქესობრივი გრძნობის დაკმაყოფილება დიდ ნერვიულ დაძიმვასა და უამრავი ენერგიის დახარჯვას მოითხოვს. თუ ეს გრძნობა დაკმაყოფილებული არ არის, ის ძლავრად ცდილობს მიიღოს გამოსავალი (დაცლა) სხვა ფორმებში. მაგ. ხელოვნების სხვადასხვა დარგში, ან თეორეტიულ აზროვნებაში. ის ფაქტი, რომ კასტრატებს შორის, რომელთაც სქესობრივი ენერგია არ აქვთ, არ შეიძლება იყოს გენიოსი, რენანი ამტკიცებს თუ რა მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს სქესობრივი გრძნობა. ხელოვნების აყვავება და თეორეტიული აზროვნების განვითარება სათანადო ეკონომიურ პირობებში შესაძლებელია სქესობრივი ენერგიის გამო.

ამრიგად სქესობრივი ენერგია, შეიძლება იქნეს გადატანილი თავისი პირდაპირი დანიშნულებიდან (სქესობრივი აქტი, ონანიზმი და სხვა) სხვა მხრივ—შრომისაკენ. სქესობრივი ენერგიის ასეთ გადა-

ტანას, სხვა მიმართულებით მოხმარებას ეწოდება სუბლიმაცია (ლათ. sub—ქვეშ, liemn—ზღურბლი ე. ი. ცენტრალური ნერვიული სისტემის ზღურბლის ქვეშ სქესობრივი ენერგიის შეტანა.)

რაც შეეხება ფრეიდის თეორიის სისწორეს, უნდა ვაღიიაროთ გადაჭრით, რომ მისი შეხედულება ბავშის, სექსუალობაზე, მთლიანად აღებული, უკიდურეს თვალსაზრისათ უნდა იქნეს მიჩნეული. მართლაც ის ქმაყოფილება, რომელსაც განიცდიან ბავშები წოვისა და დეფეკაციის აქტების შესრულების დროს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს შეფასებული, როგორც სექსუალური ხასიათის სიამოვნება, არამედ მას იწვევს ორგანოთა მოქმედება. ამ მხრივ, ფრეიდის თეორია უსათუოდ, სუბიექტიურ, ცალმხრივ, ხელოვნურსა და დაუსაბუთებულ მოსაზრებას წარმოადგენს.

ხოლო, რაც შეეხება ფრეიდის ძირითად იდეას ბავშური სექსუალობის შესახებ, ასეთი სწორად უნდა ჩაითვალოს. „საკვარისია ყურადღებით დაუკვირდეთ ბავშებს მათი სიცოცხლის პირველ პერიოდშიაც კი, რომ შევხვდეთ სქესობრივი ხასიათის აქტივობას.“ (ბასოვი), მაგრამ უკანასკნელი მეღავნდება არა იმ რეაქციებში (დედის ძუძუს და თითების წოვა, დეფეკაცია), რომლებზედაც უმართებულოდ მიგვითითებენ: ფრეიდი და მისი ადეპტები.

3. ბავშის სექსუალობა და საზოგადოება.

ფრეიდი არკვევს, თუ რატომ ებრძვის თანამედროვე საზოგადოება ბავშობის ხანაში ონანიზმს და სექსუალობის სხვა ფორმებს მკაცრი დატუქსვითა და დაშინებით. მართლაც, ლიტერატურა, რომელიც ეხება ინფანტილურ (ბავშობის ასაკის) სექსუალობას, საშიშარ შედეგებს აღნიშნავს: ნაადრევი სექსუალობა პათოლოგიური (ავადმყოფური) მოელენაა, რომელსაც თან სდევს: სისხლნაკლულობა, ჭლექი, ძვლების დასუსტება (რახიტი), გონებრივი ჩამორჩენა, ფსიქიური დაავადება და სხვა მრავალი უბედურება. მაგრამ ასეთი აზრი, რომელიც მეტად გავრცელებულია, როგორც მეცნიერულ ლიტერატურაში, აგრეთვე საზოგადოების ფართო წრეებშიაც, გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ამჟამად არსებული სტატისტიკა ამას ვერ ადასტურებს. მოგვყავს არკინის მიერ შედგენილი ცხრილი, რომელიც 350 ბავშის გამოკვლევას ეხება და რომელთაც სხვადასხვა ფორმით სქესობრივი ინსტინქტის გამომჟღავნება ემჩნეოდათ; ასეთი ბავშებიდან აღმოჩნდა:

	რიცხვი		საერთო რიცხვი
	ვაჟები:	ქალები:	
ჯანმრთელი . .	30	26	56
სუსტი .	54	19	73
ჩლუნგი . .	12	8	20
მკვირცხლი .	46	19	65
ყურადღების მქონე .	14	6	20
გაფანტული .	26	11	37
კეთილი .	22	11	33
მკაცრი .	36	10	46

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს სექსუალობის შედეგი არც ისე დიდია, როგორც ამტკიცებენ. „მარტო ის ფაქტი, რომ მასტურბაცია ბავშობის ასაკში მეტად გავრცელებულია, ასეთ აზრს უნდა აბათილებდეს, რადგან, თუ უკანასკნელი სინამდვილეს შეეფერება, კაცობრიობა დიდი ხნით ადრე უნდა გადაგვარებულიყო. საჭიროა თავიდან მოვიცილოთ აზრი იმის შესახებ, რომ ბავშობის, ან ჭაბუკობის ასაკში მასტურბაციის ნგრევითი გავლენა ორგანიზმის გამოფიტვას იწვევს, არის მიზეზი გონებრივი ნიჭის მნიშვნელოვანი დასუსტების მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ან ფსიქიური დაავადების“. (არკინი) რა თქმა უნდა, ნაადრევი სექსუალობა უვნებელი მოქმედება არ არის, მაგრამ მისი გავლენა არც ისე საშიშარია, როგორც ამას გავრცელებული შეხედულება აღიარებს.

ფრეიდის აზრით, საზოგადოების სასტიკი შებრძოლების მიზეზი ნაადრევ სექსუალობასთან, ეკონომიურ პირობებში უნდა ვეძიოთ: რადგან საზოგადოებას არსებობის საკმარისი საშუალებები არ მოეპოება, ის იძულებულია განსაზღროს თავისი წევრების რიცხვი და მათ სექსუალურ ენერგიას განხრა შრომისაკენ (სუბლიმაცია) მისცეს. ეკონომიური მოსაზრების გარდა საზოგადოება აგრეთვე პედაგოგიური მოსაზრებითაც ხელმძღვანელობს: რადგან სქესობრივი ლტოლვის აღმოცენება აღზრდის გავლენას და ინტელექტუა-

ლური წინ'ვლის შესაძლებლობას სპობს, ამიტომ სქესობრივი გრძნობის დაკმაყოფილება, რაც შეიძლება გვიან ასაკში უნდა იქნას გადატანილი. მნიშვნელოვანია აგრეთვე მოზარდი თაობის ჯანმრთელობის დაცვის მოსაზრება: სქესობრივი მოქმედება ბავშს იმ ნივთიერებას (ცილას) აცლის, რომელიც აუცილებელია ზრდისათვის; გარდა ამისა სექსუალური ლტოლვა დაკავშირებულია ნერვიული ცენტრების ძლიერ დაჭიმვასთან, რაც ბავშისათვის მეტად საზიანოა; ამ მოსაზრებათა გამო, სანამ ბავშის სხეულებრივი ზრდა ხდება, სქესობრივი გრძნობა უნდა იყოს დაჩრდილული, სუბლიმაციაქმნილი.

4. სექსუალობის ფაქტორები.

სექსუალობას ისე, როგორც ადამიანის ყველა მხარეებს, განსაზღვრავენ: ბიოლოგიური და უმეტესად სოციალური პირობები. სქესობრივი გრძნობა წარმოიშვება სქესობრივი ინსტინქტიდან და მისი განვითარება დამოკიდებულია ბავშის კონსტიტუციაზე: სქესობრივი ჯირკვლებზე, ეპიფიზზე და სხვა. ბიოლოგიურ პირობებზე უფრო მეტად განსაკუთრებით სექსუალობის წარმოშობის დრო, ტემპსა და ხარისხზე სოციალური პირობები ზოქმედებენ. ექვესელოვსკაიას აზრით*) სქესობრივი გრძნობის წარმოშობა არ არის დამოკიდებული მხოლოდ გორმონების მოქმედებაზე, არამედ უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირობით (ე. ი. შეძენილ, სოციალურ) გამღიზიანებლებს, ასეთები არიან: სქესობრივი ორგანოებზე მიკარება, ან თვით ბავშის, ან მოზრდილის მიერ; „ძიძები და მშობლები ბავშს ონანიზმს აჩვევენ, როდესაც კიდებენ ხელს მის გენიტალიებს და ამით აწყნარებენ და აძინებენ მას; ბავშს ხშირად დედ-მამის ოთახში აწვენენ, სადაც ის მშობლების სქესობრივი აქტის მოწმედ ხდება; ბავშების წაყვანა საერთო აბანოში, ბავშის დიდხანს თბილ ლოგინში დატოვება, ბავშის გენიტალიების უსუფთაობა, ან დაბანვის დროს დადხანს ხელის მოკიდება გენიტალიებზე, ფიმოზა და გლისტები, ვაჟების და ქალიშვილების უკონტროლოდ ერთად თამაშობა, ამხანაგების გავლენა, პორნოგრაფიული შინაარსის წიგნები და სურათები, ორაზროვანი ანეკდოტების და გინების მოსმენა და მრავალი სხვა პირობა, ბავშის სექსუალობის წარმოშობა-განვითარებას ხელს უწყობს. სქესობრივი გრძნობა შეიძლება აღიძრას სხვადასხვა საგნებით, რომელთაც აქვთ თუნდაც ძალიან შორეული კავშირი სექსუალური ობიექტთან, მაგ.: ფეხსაცმელებით, ფეხებით, თმების, ტანსაცმელისა და იღლიავის სუნით და სხვ.

---

*) იხ. Веселовская: „Педологические основы полового воспитания“.

ფრეიდის თეორიას, დაბადებიდანვე ბავშის სექსუალობის შესახებ, უდიდესი პედოლოგიური მნიშვნელობა აქვს. მას ბევრი მკვლევარი ებრძვის, მის ცალმხრივობასა და გაზვიადებულ ხასიათზე მიუთითებენ; მაგრამ ერთი რამ მაინც უტყუარია: ფრეიდმა პირველად აღნიშნა ფაქტი ბავშის სექსუალობის შესახებ და მიუთითა-რა მასზე მშობლებსა და აღმზრდელებს, რომლებიც დაუშვებელ გულგრილობას იჩენდენ ბავშის სექსუალობისადმი, მასთან ბრძოლის საშუალებები აღმოაჩინა—სექსუალური ენერგიის სათანადოთ მიმართვის სახით. (სუბლიმაცია) აღმოაჩინა.

როგორ უნდა მოიქცეს პედაგოგი ბავშის სექსუალობის მიმართ? როგორია სქესობრივი აღზრდის მეთოდები?

5. სექსუალობის პედაგოგიკა.

ექ. ვესელოვსკაიას და სხვა პედოლოგების აზრი სწორია, „რომ საჭიროა ბრძოლა არა ბავშის სექსუალობასთან, არამედ იმ სოციალურ პირობებთან, რომლებიც ბავშის სექსუალობის გაფურჩქვნას ხელს უწყობენ. ამ მხრივ, აუცილებელია ბავშის ნორმალურ ჰიგიენურ და სანიტარულ პირობებში ჩაყენება: კვება, რომლიდანაც უნდა იქნეს გაძევებული ისეთი საქმელები, რომლებიც ნერვიული სისტემის აღგზნებას იწვევენ: ჩაი, ყავა, კაკაო, პილპილი და უმეტესად კი ალკოგოლის სასმელები—ღვინო, არაყი*) და სხვა; აუცილებელია ბავშების გენიტალიების სისუფთავე, ვაჟების ფიმოზას მოცილება, ქალიშვილების გლისტებისაგან გაწკურნება, სუფთა ჰაერი, მოძრაობათა თავისუფლება, თამაშობა, რომელიც აღმზრდელების ‘ეუმჩნეველი მეთვალყურეობით უნდა ხდებოდეს, ნათელი და სუფთა საპირფარეშოები, საკმაო ძილი, გადამეტებული ცეკვის, აკრძალვა რომლის დროს, ბრუნვითი მოძრაობათა გამო, აღგზნება ჩნდება (ექსტაზი) და სხვა. თუ ბავშს ონანიზმი ან სექსუალობის სხვა ფორმები ემჩნევა, არავითარ შემთხვევაში დაშინებასა და გაზვიადებას არ უნდა მიჰმართონ; ავტორიტეტული სიტყვა ბავშს მისი საქციელის უვარგისობას შთააგონებს და ის „თავის ჩვეულებას ისევე ადვილად უარყოფს, როგორც შეიძინა იგი“. საჭიროა აგრეთვე ბრძოლა სოციალური ცხოვრების ისეთ მახინჯ პირობებთან, როგორიცაა: ძილი ბავშებთან, მიკარება მათ გენიტალებზე, ცინიკური სიტყვების წარმოთქმა ბავშების თანდასწრებით, ორაზროვანი ანეკდოტებისა და ეროტიული

*) ჩვენში, მეღვინეობის რაიონში (კახეთი, ზემო-იმერეთი, რაჭა...) გავრცელებულია მეტად მავნე ჩვეულება: ბავშებს (2 წლიდან) ღვინოს ასმევენ და ეკვიც არ ებადებათ იმის შესახებ, რომ ასეთი მოქმედებით ბავშის ნორჩ ორგანიზმს სწამლავენ და სექსუალობის განვითარებას ხელს უწყობენ.

თხზულების შინაარსიის გადმოცემა, უშვერი სიტყვებით გინება, პორნოგრაფია და სხვა: საკირო‌ა, ამასთანავე ბავშის სქესობრივი განათლება: მე-3-4 წლიდან ბავში უკვე იძლევა კითხვებს იმის შესახებ, თუ საიდან გაჩნდა იგი. ასეთ კითხვაზე მშობლები არა სწორ პასუხებს აძლევენ: „შენ ციდან ჩამოვარდი“, „ექიმთან გიყიდეთ“, „ყანჩამ მოგიყვანა“, „კომბოსტოში გიპოვეთ“ და სხვა ასეთები. ამის მაგიერ ბავშმა უნდა მიიღოს სწორი და გასაგები პასუხი - მხოლოდ შემდეგი შეზღუდვით, რომელსაც იძლევა ლასსინგი: „ბავშს სიმართლე უნდა უთხრა, მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არა მთლიანი სიმართლე“ („Ребенку нужно сказать правду, только правду, но не всю правду“). ერთ გერმანელ ექიმს, თავის ნაშრომში სქესობრივი განათლების შესახებ შემდეგი სანიმუშო საუბარი მოყავს დედასა და შვილს შორის: შვილის შეკითხვაზე, თუ საიდან გაჩნდა, დედა ასე უპასუხებს: „კი, შვილო, ეს შესანიშნავი ამბავია. შენ ჩემს სხეულში გაიზარდე. პირველად შენ ისეთი პატარა იყავი, რომ შენი შემჩნევაც კი ძნელი იყო. შემდეგ, დაიწყე ზრდა ჩემს სხეულში, მე შენ გგრძნობდი და, რამდენიმე თვის განმავლობაში, მიხაროდა, - რომ მე ბავში მეყოლება. როდესაც შენ საკმაოდ დიდი შეიქენი, მე გამოგყავი ჩემი სხეულიდან და, ამასთან ერთად ძლიერ ტკივილებს განვიცდიდი. ამიტომ მიყვარდი ძალიან და შენც ყოველთვის გიყვარდი, თითქო გრძნობდი, რომ შენ ჩემი ნაწილი ხარ.

მართლაც, ამგვარ საუბარში, სათანადო ახსნის გარდა, არის ბევრი სინაზე და სიყვარული, რომლებიც ლამაზად ხდიან ბავშის წარმოდგენას დაბადების შესახებ.

ცხოველების სქესობრივ აქტზე და მშობიარობაზე მითითებით, რაც ბავშში არავითარ სქესობრივ განცდებს არ იწვევს, შეიძლება მივცეთ ბავშს ნათელი წარმოდგენა ყველა სქესობრივი საკითხის შესახებ. სქესობრივ კითხვებზე ბავშმა აღნიშნული სწორი პასუხები სასკოლო ასაკამდე ხანაში უნდა მიიღოს, რადგან სასკოლო ასაკში ბავში სექსუალური კითხვებით მოზრდილს (მასწავლებელს) აღარ მიმართავს და თვით შეიმუშავებს პასუხებს არა. საიმედო და საზიანო წყაროებიდან, როგორიცაა: ამხანაგების ახსნა, პორნოგრაფიული ლიტერატურა და სხვა. მაგრამ ყველაზე უფრო უკეთეს და საიმედო საშუალებას სქესობრივი ენერგიის სუბლიმაციისათვის ქალებისა და ვაჟების ბავშობიდანვე ერთად აღზრდა წარმოადგენს, რადგან ამით ბავშები, სქესის მიუხედავათ, ერთმანეთს შეხედავენ, როგორც ამხანაგებს.

სქესობრივი დარიგება-გაკვეთილები მაინც უძლური არიან წინააღუდგენ და ებრძოლონ იმ ძლიერი აღგზნების კერას, რომელიც სქესობრივი მოქმედებასთან დაკავშირებით ღვივდება. ძლიერი აღგზნების კერას უნდა დაუპირისპირდეს ისეთივე ძლიერი და ხანგრძლივათ მომქმედი კერები. ფსიქოლოგიის ძირითადი დებულება აღიარებს, რომ, თუ გამღიზიანებელის ძლიერების ჩაქრობა გვსურს, საჭიროა, რომ ის (გამღიზიანებელი) მუდმივი და ჩვეული გახდეს; ამის გამო იგი იმდენათ დასუსტდება, რომ ჩვენ ველარ შევამჩნევთ, როგორც ვერ ვამჩნევთ სინათლეს, ჰაერს, სუნთქვას და სხვა ჩვეულებრივ მოვლენებს. საბჭოთა სასკოლო სისტემა'ში საბოლოოდ განმტკიცებული ქალ-ვაჟთა ერთად აღზრდის პრაქტიკა, როგორც სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში, აგრეთვე სკოლის ყველა საფეხურზე, პიონერთა და ა. ლ. კომკავშირის ორგანიზაციები, სათანადო ხელმძღვანელობის და ზედამხედველობის პირობებში—საკლუბო მუშაობა, წრეები, ფიზკულტურა და თვითორგანიზაცია სქესობრივი ენერგიის სუბლიმაციის საუკეთესო საშუალებებია.

სწორად დაყენებული სქესობრივი აღზრდა უნდა აღწევდეს ორ ძირითად მიზანს: 1) სქესობრივი მომწიფების ხანამდე ბავშმა უნდა მიიღოს სათანადო სქესობრივი განათლება: თუ ძველი აღზრდა არ ამზადებდა ბავშს სქესობრივი მომწიფებისათვის და ჭაბუკი—ახალი სქესობრივ შეგრძნებებს ხვდებოდა რჩევა-დარიგებას მოკლებული, უყურებდა მათ, როგორც „საიდუმლო" აკძალულსა და არა ჩვეულებრივ მოვლენეას და სქესობრივ ლტოლვას განიცდიდა მწვავე თვით გაკიცხითა და სხეულებრივი-ფსიქიური დაავადების მუდმივი შიშით, თანამედროვე და მომავალი სქესობრივი აღზრდის შედეგათ სქესობრივმა თავისებურებამ უნდა დაჰკარგოს ბავშისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ხოლო ადამიანის სქესობრივ ცხოვრებას ბავშმა უნდა შეხედოს, როგორც ჩვეულებრივ, ბუნებრივსა და მასიურ მოვლენას, რომლის მიზანდასახულობა და განხორციელების გზები ბავშებმა უკვე განიხილეს და შეისწავლეს მცენარეთა და ცხოველთა გამრავლებაზე დაკვირვების დროს;

2) სქესობრივი მომწიფების ხანაში-კი, როდესაც ილვიძებს ინსტინქტი და ახალგაზრდა მძლავრად ილტვის მისი დაკმაყოფილებისაკენ, სქესობრივი აღზრდის მთავარი ამოცანაა—ბავშის აცილება ნაადრევი სქესობრივი აქტისაგან, ან ონანიზმისაგან, ვინაიდან სქესობრივი მოქმედება დაკავშირებულია იმ ენერგიის დიდი რაოდენობით ხარჯვასთან, რაც აუცილებელია ზრდა-განვითარებისათვის; ახალი აღზრდა მიზნად ისახავს სქესობრივი გრძნობის ყოველგვარი გამომჟღავნების არა ჩაკვლას, არამედ—მისთვის მკაფიო და სასარგებლო გამოხატულების მიცემას (სუბლიმაცია) სახელდობრ, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის მიმართულებით.

თავი მეთხუთმეტე.

ბავშის აქტივობის განვითარება. ბავშის მოქმედების რთული ფორმები: თამაშობა და შრომა

1. ბავშის აქტივობის განვითარება.

ადამიანის აქტივობა, ანუ მოქმედიანობა, რაც სხვადასხვა რეაქციებით გამოიხატება (გარეგნული მოძრაობანი და ფიზიოლოგიური პროცესები) ბიოლოგიურ საშუალებას წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს შუალის პირობებთან შეგუებას.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ადამიანის აქტივობის საერთო მიმართულებას — „ყ ო ფ ა ქ ც ე ვ ი ს რ ე გ უ ლ ი ა ც ი ა ს“ უწოდებენ. უკანასკნელი ხორციელდება ამა თუ იმ მოქმედების ამორჩევა-მიღებით, ან უარყოფით და განისაზღვრება ბიო-სოციალური გამღიზიანებლებით (სტიმულებით).

ადამიანის ყოფაქცევის რეგულიაციას სამი მიმართულება ახასიათებს: 1) პროცესის სიჩქარის (ტემპის) მიხედვით—ა ჩ ქ ა რ ე ბ ა-შ ე ნ ე ლ ე ბ ა, 2) ინტენსივობის მიმართულების მიხედვით—გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა-შ ე ს უ ს ტ ე ბ ა და 3) წარმოშობის მიმართულების მიხედვით—გ ა მ ო წ ე ე ვ ა პ რ ო ც ე ს ი ს დ ა მ ი ს ი დ ა მ უ ხ რ უ ჭ ე ბ ა (შ ე ფ ე რ ხ ე ბ ა) *).

ამგვარ აქტივობას, რომელიც აუცილებელია გარემო წრის პირობებთან მიზანშეწონილად შეგუებისათვის „ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ა“ ეწოდება; უკანასკნელის ფსიქიურ სტიმულს-კი—ს უ რ ვ ი ლ ი (ლ ტ ო ლ ვ ა, ნ დ ო მ ა).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყოფაქცევის რეგულიაციას ემპირიულ ფსიქოლოგიაში შეეფერება მოძღვრება ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ი ს ა დ ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ი ს შესახებ, რამდენადაც არც ერთი მათგანი (ე. ი. არც ნებისყოფა და არც ყურადღება) არ არსებობს აქტივობის სახეების გარეშე; ამასთანავე, აქტივობას (ნებისყოფას) უთუოდ წინა უძღვის და თან ახლავს ყურადღება და პირიქით; ამას გარდა, ყურადღება

---

*) პროცესის შეფერხების უნარს, ჩვეულებრივად, „ნებისყოფის სიმტკიცე“ ეწოდება.

უნდა განვიხილოთ, როგორც კერძო სახე ნებისყოფის. ამის გამო, ნებისყოფისა და ყურადღების განვითარების შესწავლა ამ წიგნში, ერთად არის მოცემული.

რადგან საკითხი ნებისყოფის ყურადღების ევოლიუციის შესახებ ჯერ-ჯერობით ვერ არის სათანადოთ დამუშავებული, ამიტომ ქვემომოყვანილი მოძღვრება უნდა იქნეს განხილული, როგორც დროებითი და დაახლოვებით სწორი გარკვევა საკითხის ამ მიმართულებით; მხედველობაში გვაქვს მკვლევარ—ტ რ ო შ ი ნ ი ს *) მოძღვრება.

ტროშინი, ბავშის ნებისყოფის განვითრებაში, 5 პერიოდს აღნიშნავს.

I პერიოდი—ე. ი. მ ო ს ა მ ზ ა დ ე ბ ე ლ ი, ანუ ფ ი ზ ი ო ლ ო გ ი-ურ-ინ ს ტ ი ნ ქ ტ ი უ რ ი ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ა — ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა ; ეს პერიოდი გრძელდება 0 დან-3-4 თვემდე. ამ პერიოდში ბავშს აქვს მხოლოდ თანდაყოლილი რეაქციები (რეფლექსები, ინსტინქტები და იმპულსები), რომლებსაც, როგორც ვიცით, „უნებლიეთი" ე. ი. შეგნებული სურვილისაგან დამოუკიდებელი მოძრაობანი ეწოდება; ეს პერიოდი ხასიათდება აგრეთვე ანალიზატორების მოქმედებით (მხედველობა, სმენა და სხვა). ამ ხანას მ ო ს ა მ ზ ა დ ე ბ ე ლ ი მიტომ ეწოდება, რომ ის წინა უძღვის ორგანიზმის ყოველგვარ აქტიურ ურთიერთობას შუალთან.

II პერიოდი: მე 4—5 თვიდან ბავშში წარმოიშვებიან ე. წ. ნებითი მოძრაობანი და ნებისყოფის (ყურადღების) განვითარების მეორე საფეხურს ტროშინი პ ი რ ვ ე ლ ს ტ ა დ ი ა ს უწოდებს; გრძელდება ეს პერიოდი 4 თვიდან—$1^1/_2$ წლამდე. ნებითი მოძრაობანი წარმოიშვებიან ინსტინქტიური მონაცემებიდან იმ სახით, რომ ქაოტიური მოძრაობითი მოთხოვნილებიდან, რაც, დაბადებიდან 4 თვის ასაკამდე, სხვადასხვა უწესრიგო რეაქციებით გამოიხატება, თანდათან გამომუშავდებიან განსაზღვრული და სასარგებლო მოქმედებანი, სახელდობრ: თავის გაჩერება ($2^1/_2$ თვიდან—4 თვემდე) ქ ა ღ ა ლ დ ი ს გ ა ხ ე ვ ა — მე-5 თვიდან, დ ა ჯ დ ო მ ა—3 დან—11 თვემდე, ფ ე ხ ზ ე გ ა ჩ ე რ ე ბ ა—5 დან—12 თვემდე, ს ი ა რ უ ლ ი—10 დან—16 თვემდე ც ე ც ხ ლ ი ს ჩ ა ქ რ ო ბ ა შ ე ბ ე რ ვ ი თ—მე 12 თვეზე, ბ ო ქ ლ ო მ ი ს გ ა ღ ე ბ ა დ ა დ ა კ ე ტ ვ ა—მე 15 თვეზე, სტვენა—მე 18 თვეზე და მრავალი სხვა.

---

*) იხ. ტროშინი: „Сравнительная психология нормальных и ненормальных детей" ტ. II, თავი 22.

ამ სტადიაში მკლევარისათვის მეტად ადვილადაა გასარკვევი, რომ ნებითი მოძრაობანი მართლაც წარმოიშვებიან თანდაყოლილ რეაქციების საფუძველზე; მაგ., ხელის წავლების საფუძველია რეფლექტორულ-ინსტინქტიური რეაქცია, სახელდობრ—ხელის დამუქვნა, როდესაც რომელიმე საგანი მიეკარება ხელის გულს*); ბავშის მიერ ყველაფრის პირთან მიტანა და გემოს გასინჯვა—წარმოიშვება კვების ინსტინქტის ნიადაგზე, უარისთქმა თავის გაქნევით—წარმოიშვება თავდაცვის ინსტინქტისაგან, რაც პირველ ხანებში—თავის მობრუნებით გამოიხატება; ფიზიოლოგიური სიცილი შეგნებულ-მიბაძვითი სიცილში გადადის, ცეცხლიდან ხელის გაწევის რეფლექსი—ცეცხლის შეგნებული შიშის სახეს იღებს და ასე შემდეგ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, ამა თუ იმ მოქმედების სახის წარმოშობის დრო არ არის ერთი და იგივე სხვადასხვა ბავშისათვის, მაგრამ თანდათანობა, ანუ გადასვლა ეროი სახიდან—მეორეზე ყველა ბავშისათვისაა ტიპიური.

III პერიოდი—მიბაძვითი და შთაგონებული ნებისყოფა-ყურადღება გრძელდება $1^1/_2$ და 3 წლამდე. ამ სტადიის დამახასიათებელია ის, რომ ბავშის ყველა მოქმედებას აქვს, უმთავრესად, მიბაძვითი და შთაგონებითი ხასიათი, სახელდობრ: მეტყველება, ბრძანების, თხოვნისა და დავალების შესრულება და „დაშვებული“ და „აკრძალული“ მოქმედებანი. ცხადია, რომ ამ სტადიის თარიღები ($1^1/_2$ და 3 წელი) არ შეიძლება გავიგოთ ისე, თითქო $1^1/_2$ წლამდე ბავშს არ ახასიათებდეს მიბაძვა - შთაგონება, ან—3-წლის ხეკით შთაგონება თავის ძალას კარგავდეს; ამის შესახებ თვითონ ტროშინი ამბობს, და ჩვენც მიუთითეთ, რომ მიბაძვას ბავშები მიმართავენ გაცილებით უფრო ადრე ასაკში ($1^1/_2$ თვიდან), ხოლო შთაგონება თითქმის 9 წლის ასაკამდე ძლიერდება. ამის გამო ტროშინის დათარიღებას არ აქვს ზუსტი მნიშვნელობა და მით უნდა ვისარგებლოთ იმდენად, რამდენათაც პედოლოგიურ-კვლევითი მუშაობის არსებული შედეგები ჯერჯერობით სხვაგვარ დათარიღების საშვალებას არ იძლევიან.

ამ სტადიის დამახასიათებელი ნებითი აქტები ახლოს დგანან რეფლექსებთან, ე. ი. მარტივი არიან, ვინაიდან მათში მხოლოდ ორი მომენტია გასარჩევი: ლტოლვა და მოქმედება: სურვილი იქვე იწვევს (გადაებმის) მოძრაობას ყოველგვარი განსჯის, ანუ მოტივების ბრძოლის გარეშე.

*) ეს რეაქცია, როგორც ზევით დავინახეთ, ახასიათებს ბავშს დედის მუცელში ყოფნის დროსაც—კი. იხ. ამ წიგნის თავი V.—§ „უპირობო რეფლექსები“-

IV პერიოდი—მექანიკური ნებისყოფა-ყურადღება, რომელიც, ბავშის ინდივიდუალობისა და პირობების მიხედვით, გრძელდება 3 დან-7 წლამდე ე. ი. სკოლის ასაკამდე პერიოდის განმავლობაში. ამ სტადიის შესახებ ტროშინი შემდეგ არსებით ნიშნებზე მიუთითებს: „განსჯის სისუსტე,*) რომელიც არ ზღუდავს სურვილს საკირო საზღვრებით, დაჭიმვის სისუსტე—მხოლოდ უმციერესი წინააღმდეგობის მიმართულებით, შეფერხების სისუსტე, რომელიც განუხორციელებელ განზრახვებს ემიჯნება და ბოლოს, საკუთარ პიროვნებასთან არა საკმაო შეთანხმებლობა, ვინაიდან ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: „მე მინდა", „მე ვერ მოვითმენ, რომ"... და სხვა, მიუთითებენ საკუთარი პიროვნებისა და მისი შესაძლებლობათა სუსტ შეფასებაზე." ყურადღების განვითარების მხრივ ამ პერიოდში ტიპიური არიან ბავშის შეკითხვები და ნგრევითი ინტერესები.

როგორც დავინახეთ, ამ სტადიაში ბავში კმაყოფილდება მხოლოდ პირადი სურვილებით: „მე მინდა," „მე არ მინდა," „თუ მე მინდა—ეს საკმარისია" და სხვა; ბავში ანგარიშს არ უწევს, თუ რამდენათ განსახორციელებელია მისი გადაწყვეტილება (განზრახვა) საკუთარ ძალებისა და ობიექტიურ პირობათა მიხედვით. მაშასადამე, ბავშისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ გადაწყვეტილების მექანიზმს. ამ პერიოდის აქტიობა „ილიუზორული ნებისყოფა, რომელმაც არ იცის საზღვარი და არაფრით არ არის შეზღუდული" (ტროშინი). ამ სტადიის შესახებ სამართლიანად შენიშნავს პროფ. ბასოვი („Общие основы педологии" 1928, გვ. 466), რომ ბავშის ნებისყოფის განვითარების შესასწავლად იგი კიდევ უფრო ნაკლებადაა დამაკმაყოფილებელი, ვიდრე წინა სტადიების დახასიათება, რადგან ის თვისებები, რომლითაც ტროშინი ახასიათებს ამ სტადიის ნებისყოფას (სისუსტე, განსჯის, შეფერხების და სხვა), არ არიან სპეციფიური 3-7 წლის ასაკისათვის, არამედ ეს ნიშნები უფრო მკაფიოდ და ძლიერად მეღავნდებიან წინა ასაკში. ამისთანავე, სკოლის ასაკამდე პერიოდში (3-7 წლამდე) ბავშს ახასიათებს არა შეკითხვები და ნგრევითი ინტერესები, არამედ, მოწესრიგებული პედაგოგიური შუალის პირობებში (სოციალურ-შრომითი აღზრდა საბჭოთა საბავშო დაწესებულებებში) ბავშები შეკითხვებს თვითონვე უპასუხებენ, იმდენათ არ ანგრევენ, რამდენადაც აღმშენებლობას ეწევიან: აშენებენ, ხატავენ, ძერწავენ, თამაშობენ და სხვა.

---

*) ტროშინის ციტატაში კურსივი ჩვენია გ. დ.

ამგვარად, მე-IV სტადიის გამოყოფასა და დათარიღებას უნდა შევხედოთ, როგორც პრობლემატიურს, მოძველებულსა და მხოლოდ მოახლოებით საორიენტაციო მნიშვნელობის მქონე შეხედულებას.

მე V პ ე რ ი ო დ ი—შ ე გ უ ე ბ ი თ ი ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ა-ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა, რომელიც მთელ სასკოლო ასაკს შეიცავს. ამ სტადიაში თანდათან სუსტდება ნებისყოფის მექანიურობა, პიროვნება თავის ძალებსა და ობიექტიურ პირობებს უფარდებს გადაწყვეტილების შესრულების შესაძლებლობას, ძლიერდება შეფერხება და მოტივების განსჯა და სხვა. მაგრამ, ცხადია, რომ სასკოლო ასაკშიაც ნებისყოფის ძალა მაინც სუსტია, ხოლო განსჯა—მეტად მცირე როლს ასრულებს; გადაწყვეტილების მიღებისათვის ამ ასაკშიაც დიდი მნიშვნელობა აქვს უფროსების (ავტორიტეტის) მაგალითსა და მითითება ე. ი. მიბაძვა-შთაგონებას. ტროშინი მე V სტადიას—„შ ე გ უ ე ბ ი თ ი ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ა ს“ მიტომ უწოდებს, რომ სასკოლო ასაკი, სწორედ ისეთი ხანაა, როდესაც ბავშს ახალ, საპასუხისმგებლო პირობებში უხდება ცხოვრება და ის იძულებულია შეეგუოს ახალ მოთხოვნილებებს.

ასეთია, მოკლედ ტროშინის შეხედულება ნებისყოფის განვითარების შესახებ.

2. რა არის თამაშობა?. როგორც აღვნიშნეთ, ბავშის ასაკს 0—8 წლამდე უმთავრესად თამაშობა ახასიათებს. რა არის თამაშობა? თამაშობა არის თავისუფალი, მოქმედება, რომელიც თვითმიზანს წარმოადგენს, ე. ი. ამ მოძრაობით მოთამაშე არა რაიმე სხვა მიზანს ისახავს, რომლის საშუალებაც არის ეს მოძრაობა, არამედ იგი თავისი თავით კმაყოფილდება. ამით თამაშობა განსხვავდება მუშაობა-შრომისაგან, რომელიც აგრეთვე მოქმედებას წარმოადგენს, მაგრამ—არა თვითმიზანს, არამედ—საშუალებას სხვა მიზნის მისაღწევად, სახელდობრ—საარსებო პროდუქტების მოპოებისათვის. არ შეგვიძლია ვუწოდოთ ნამდვილი თამაშობა მაგ. ბანქოს, ნარდის, და ჭადრაკის თამაშს, ან შეჯიბრებას, მატჩებს, ტურნირებს, რადგან ასეთ შემთხვევებში, თამაშობა მხოლოდ საშუალებაა რაიმე მიზნის მიღწევისათვის, როგორიცაა: „რეკორდი“, ფულის მოგება, სახელის მოხვეჭა და სხვა. გარდა ამისა, იძულებითი მოქმედება ან მოქმედება სხვისი კარნახის ქვეშ არ შეგვიძლია აგრეთვე თამაშობად ჩავთვალოთ, რადგან უკანასკნელი უნდა იყოს თავისუფალი, ბავშის შინა ბუნებიდან გამომდინარე და მისი (თამაშობის) შინაარსი, ფორმა და ხანგრძლივობა თვით მოთამაშე ინდივიდუუმის მიერ უნდა იყოს განსაზღვრული. თამაშობის არჩევანის მხრივ ბავშს სრული თავისუფლება უნდა ქონდეს მინიჭებული: თუ ბავშს ყოველ ნაბიჯზე მიუთი-

თებენ, თუ რა უნდა გააკეთოს, როგორ და როდის უნდა გააკეთოს, თამაშობა ბავშისათვის ყოველგვარ ინტერესს კარგავს.

ბავშობის ხანის თავისებურებათა გაგებისათვის, საუკეთესო და საიმედო საშუალებას ბავშების თამაშობაზე დაკვირვება წარმოადგენს. „თამაშობათა სხვადასხვა სახეებში, შეგვიძლია გაძოვარკვიოთ განვითარების ისეთი შესაძლებლობანი, რომელნიც ბავშებშია დამალული, თუ რა ინტერესი სჭარბობს მიჩნეულ ასაკში, ზოგიერთი განსაზღვრული თვისებები, რომელნიც ახასიათებს ვაჟებს და ქალებს და სხვა“ (პროფ. მერი უიტტლი). არც ერთი ცხოველის თამაშობა არ გრძელდება ისე დიდხანს, როგორც ბავშის თამაშობა, და ეს გარემოება გასაგები და ბუნებრივია, რადგან ბავში დაბადების დროს მზა ინსტინქტების მხრივ მეტად ღარიბია, მაშინ როდესაც სხვა ცხოველები დაბადებიდანვე აღჭურვილნი არიან თითქმის ყველა მომწიფებული ინსტინქტით. გარდა ამისა, ის ცხოვრება, რომელშიაც ბავშს არსებობა მოუხდება, იმდენად რთულია, რომ ამისათვის მას ხანგრძლივი მომზადება ესაჭიროება.

3. რატომ თამაშობს ბავში?. რატომ თამაშობს ბავში? ამ კითხვაზე პასუხს სხვადასხვა თეორია იძლევა:

ა) „დასვენების თეორიის“ მიხედვით, რომლის წარმომადგენლებია ლაცარუსი და შტეინტალი თამაშობა დასვენებაა სერიოზული საქმეების შემდეგ. მაგრამ ასეთი ახსნა არ არის მართებული, რადგან ბავში თამაშობს, არა დაღლილობის შემდეგ, არამედ ის დილიდანვე იწყებს თამაშობას, როდესაც გამოძინების შემდეგ, სავსებით დასვენებულია.

ბ) ბავშის თამაშობის მიზეზს არკვევს აგრეთვე შეხედულება, რომელიც გერმანეთის მწერალს შილლერს, ინგლისელ მეცნიერს გერბერტს სპენსერს, ბენს და სხვებს ეკუთვნის; მათი აზრით ბავშის თამაშობა მით აიხსნება, რომ ბავშის სხეულში დაგროვილია თავისუფალი, ზედმეტი ენერგია, რომელიც დახარჯვას მოითხოვს და მისი დაცლა თამაშობით ხდება. როგორც ვხედავთ, შილლერი და სპენსერი თამაშობას უყურებენ, როგორც იმპულსიურ მოძრაობას. ამ შეხედულებას „თავისუფალ ენერგიის თეორია“ ეწოდება. რა თქმა უნდა, თავისუფალი, ჭარბი ენერგია აუცილებელი პირობაა თამაშობისათვის, მაგრამ თამაშობას მარტო იგი არ განსაზღვრავს. თავისუფალი ენერგიის თეორია ცალმხრივი და არა დამაკმაყოფილებელი ახსნაა, რადგან ბავში თამაშობაში არა მარტო ზედმეტ. თავისუფალ ენერგიას ხარჯავს, არამედ მთელ თავის ენერგიას და მისი თამაშობა გრძელდება იმ დრომდე, სანამ ბავში სავსებით არ დაიქანცება.

გ) მეტად სერიოზული და მნიშნელოვანია მიულერის ერნსტ გეკკელისა და სტენლი ჰოლლისეგ. წ. ბიოგენეტიური თეორია*). ამ თეორიის მიხედვით, ბავშის თამაშობა ატავიზმს წარმოადგენს ე. ი. ისეთ თანდაყოლილ მოძრაობას, რომელიც წინაპრებიდან მემკვიდრეობით შთამომავლობაზეა გადმოცემული ეს ატავიზმები მიზან'შეწონილობას მოკლებული არიან, რადგანც საზოგადოებრივი განვითარების მიჩნეულ დონეს არ შეეფერებიან. ერნსტ გეკკელის აზრით: „ონტოგენეზისი (ე. ი. ინდივიდის განვითარება) არის ფილოგენეზისის და (ე. ი. გვარის განვითარების) შემოკლებული განმეორება:“ ბავშის (ინდივიდის) განვითარება დედის მუცელში, ჩასახვიდან—დაბადებამდე, არის კონსპეკტური (მეტად აჩქარებული და შემოკლებული) განმეორება ცხოველების (გვარის) ბიოლოგიური განვითარებისა ერთ უჯრედიან ცხოველებიდან—მრავალუჯრედიან ცხოველამდე—პიტეკოიდამდე ე. ი. ადამიანის უახლოეს წინაპარ მაიმუნამდე. გეკკელი ადამიანის ჩანასახის ევოლიუციაზე მიუთითებს, რომელიც თავიდან ერთ უჯრედს წარმოადგენს, თან და თან რთულდება, ღებულობს სხვადასხვა ფორმას(ქიაყელა, თევზი და სხვა) და ბოლოს დაბადების მეათე თვეზე მეტად ემსგავსება პიტეკ ანთროპუსს (ადამიანის უახლოეს წინაპარ—მაიმუნს). დაბადების შემდეგ-კი მომწიფებამდე ბავშის განვითარება, ბიოგენეტიური კანონის მიხედვით, არის კაცობრიობის განვითარების კონსპეკტური განმეორება: პირველყოფილი მდგომარეობიდან დღევანდლამდე ბავშის თამაშობის ევოლიუციაზე დაკვირვება ნათელყოფს იმ განვითარების საფეხურებს, რომელიც განვლო კაცობრიობამ თანადროულობამდე. მაგ. ბავშის მიერ ხეებზე ასვლა, ფორთხვა, ჩიტის ბუდეების დანგრევა, შუბისა და შვილდ-ისრის გაკეთება, ხმარება და სხვა, მიგვითითებს პირველყოფილ ადამიანის მონადირეობის სამეურნეო ფორმაზე და ასე შემდეგ. ე. ი. ბავშის თამაშობა გაიელის შემოკლებულად ადამიანის სამეურნეო განვითარების ყველა საფეხურს.

ბიოგენეტიური თეორია ინდივიდის განვითარების სავსებით დამაკმაყოფილებელი ახსნა არ არის, რადგან იგი მხოლოდ ბიოლოგიური შეხედულებაა, რომელიც სოციალურ ფაქტორებს ანგარიშს

---

*) ბიოგენეტიურ თეორიას ცნობილი პედაგოგი ფრ. ფრებელიც იზიარებდა (1782—1852). ჩვენს დროში ამ თეორიის მიმდევრები არიან იტალიელი პედაგოგი მარია მონტესორი (იხ. მისი წიგნი „Дом ребенка“). რუსეთის პედაგოგი პროფ. პ. ბლონსკი, ე. არკინი და სხვები.

ინდივიდუალური თამაშობის განვითარებას ორი სახე აქვს: ა) თამაშობა საკუთარ კიდურებთან და ბ) თამაშობა საგნებთან. პირველად ბავში ხელებს თვალებთან ამოძრავებს, ხელები პირთან მიაქვს, თავისი ფეხებს ეთამაშება და სხვა. ამით ბავში თავის სხეულს ეცნობა და „იპყრობს“, მას. საკუთარი სხეულის დამორჩილებას ემსახურება აგრეთვე: სირბილი, ხტუნვა, ხეებზე აფორთხება და სხვა. შემდეგი საფეხური თამაშობის განვითარებაში არის—თამაშობა საგნებთან. ბავში ეთამაშება მძივებს, ქაღალდს ტ სხვა. საგნებთან თამაშობა ორგვარია: ნგრევითი თამაშობანი, როდესაც ბავში საგნებზე სინჯავს თავის ძალებს და ამით ეცნობა: წინააღმდეგობას, ინერციას, მანძილს, ფორმას და სხვა. ბავში საგნით დიდხანს არ თამაშობს; ის მას მალე მოსწყინდება, გასტეხს და უკვირდება, თუ როგორაა იგი გაკეთებული. ბავშის ნგრევითი თვისებას „ბავშის ვანდალიზმს“ უწოდებენ. კონსტრუქტიული, ანუ მშენებლობითი საგნებთან ისეთს თამაშობას ეწოდება, როდესაც ბავში ელემენტებისაგან (ნაწილებისაგან) ქმნის ახალ სინთეზს, როგორიცაა: პატარა აგურებით, ან კოლოფებით სახლის აშენება და სხვა. ინდივიდუალურ თამაშობას აგრეთვე ბავშის მიერ სხვადასხვა როლის შესრულება ეკუთვნის; მაგ. ჯოხზე შეჯდომა და მხედრის როლის შესრულება, მეხრეობა და სხვა.

II. ბავშის თამაშობის მეორე სახეს სოციალური ანუ ჯგუფობრივი თამაშობანი ეკუთვნიან. ბავში 1 წლის ასაკამდე უკვე მოზრდილებთან თამაშობს („დამალვა-გამოჩენა“), მაგრამ ლტოლვა პატარა ბავშებთან თამაშობისადმი მას მალე ემჩნევა. პირველ ხანებში თავის ტოლებთან თამაშობის დროს, ბავში მაინც თავისთვის თამაშობს და თავის ინდივიდუალობას და პირად ინტერესებს ინარჩუნებს. ასეთ თამაშობას ეწოდება „თამაშობა ერთი-მეორეს გვერდით“ („игры рядом“); მაგ. ბავშები ერთად არიან, მაგრამ ცალ-ცალკე თამაშობენ, ოთახში თავ-თავისთვის დარბიან, გაშლილი ხელებით ტრიალებენ, მაგრამ ერთმანეთთან არ თამაშობენ; რომ ბავში მარტო დარჩეს ის ასეთ თამაშობას იქვე თავს დაანებებს. ასეთი თამაშობა 4-დან 6 წლამდე გრძელდება. 6 წლის ასაკის შემდეგ კი ეგ. წ. „თამაშობანი ერთმანეთთან“ იწყებენ („игры друг с другом“), როგორიცაა: ფერხული, კატა-თაგვობია, სტუმრობია, პიონერები და სხვა. სოციალური თამაშობის უკანასკნელ სახეს შეადგენს ეგ. წ. „თამაშობანი ერთი-მეორეს წინააღმდეგ“.—ჭიდაობა, „ომობია“, „ყაჩაღობა“ თეთრები და წითლები, წითელი არმია და სხვა.

არ უწევს; უკანასკნელნი კი, როგორც ვიცით, ინდივიდის განვითარებაზე გადამჭრელ ზეგავლენას ახდენენ. „ზოგიერთი საფეხურები, რომელნიც წინაპრებმა, გაიარეს სავსებით გამორიცხულია ინდივიდუალურ განვითარებაში; ზოგიერთი სტადია კი ახალ მოთხოვნილებებთან შეფარდებით შეიცვალა. ონტოგენეზისი არ არის მონა იმისა, რაც გადმოცემულია და ყოველ სტადიაში შეიძლება წარმოიშვას ახალი ელემენტები, რომელთაც არა აქვთ არავითარი ფილოგენეტიური ნიშვნელობა (უ. დრუმმონდი „Введение в изучение ребенка"). ბიოგენეტიური თეორიის მიმდევრები ბავშის თამაშობის განვითარებაში ისეთივე თანდათანობას უყურებენ, როგორიც კაცობრიობის განვითარებას ახასიათებდა; მაგ. ამბობენ, რომ ჯერ ბავში ნადირობას თამაშობს („ბავში მონადირე"), შემდეგ მწყემსობას („ბავში—ნომადი"), მკვიდრ მიწადმოქმედობას („ბავში—მიწადმომქმედი"), გაცვლას („ბავში—ვაჭარი") და სხვა. მაგრამ საზოგადოებრივი სამეურნეო ფორმების ასეთ თანდათანობას და ატავისტურ განმეორებას ბავშის თამაშობის ევოლიუციაში ვერ ვამჩნევთ. ჩვენი დროის ბავში თამაშობს „მატარებლობიას", „ტელეფონობიას", „თეატრობიას" და სხვა თანადროული კულტურული ცხოვრების დამახასიათებელ თამაშობას და თავისი წინაპრების მიერ განვლილ გზას ბრმად არ მისდევს. საერთოდ კი, ეს თეორია მართებულია დედის მუცელში ყოფნის პერიოდის მიმართ.

2 „ინსტინქტის თეორია" თამაშობის შესახებ ანუ „თამაშობა, როგორც გაწვრთნა, ან ბუნებრივი თვითაღზრდა" გამოჩენილ გერმანელ მკვლევარს კარლ გროოს ეკუთვნის. მისი აზრით თამაშობა არის ინსტინქტი, რომლითაც ბავში მომავალი სერიოზული ფუნქციების შესრულებისათვის შეუგნებლად ემზადება. ბავშისათვის თამაშობა ბუნების მიერ შექმნილი სკოლაა, რითაც ბავში აგროვებს გამოცდილებას, ეჩვევა მიზანშეწონილ მოძრაობას, წვრთნის მახსოვრობას, ყურადღებას და, საერთოდ, საცხოვრებელი წრის პირობებს ეგუება. მიბაძვას თამაშობაში დიდი ადგილი უკავია, მაგრამ ბავშის თამაშობას მარტო ის კი არ განსაზღვრავს, რადგან ბავში ყველაფერს არ ბაძავს; ის მხოლოდ ისეთ მოვლენებს ბაძავს, რომელიც შეეფერება მის ასაკს, სქესს, ტემპერამენტს და სხვა მის ფიზიოლოგიურ-ფსიქიურ პირობებს. მაგ. სხვადასხვა ასაკში მიბაძვის ობიექტი სულ სხვა-გვარია; პატარა გოგონებიც ხედავენ მოვარჯიშე ჯარისკაცებს, მხედრებს, პატარა ვაჟებიც უყურებენ, როგორ შრომობს ოჯახში დედა, მაგრამ სქესის მიხედვით მას სპეციფიური თამაშობანი ახასიათებს.

ამრიგად, თამაშობის იმპულსი არის, როგორც შინაგანი, ბიოლოგიური ფაქტორი (ინსტინქტი), აგრეთვე გარეშე, სოციალური პირობაც, რამდენადაც ბავშის თამაშობა საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი მიბაძვას წარმოადგენს.

თემას, მასალასა და ფორმას თამაშობისათვის იძლევა შუალი ე. ი. ის გარემო ბუნების და უმეტესად სოციალური პირობები, რომელშიაც ცხოვრობს ბავში:—„თუ მოზრდილი ადამიანის მდგომარეობა მის შეგნებას განსაზღვრავს, ბავშის მდგომარეობა მის თამაშობას განსაზღვრავს"-ო —ამბობს მ. მარკოვიჩი*). თუ ძველი რომის ბავშები გლადიატორებისა და სასამართლოს თამაშობით იყვნენ გატაცებული, რითაც ძველი რომაელების სიყვარულს ბრძოლისა და კანონებისადმი გამოხატავდენ, თუ ინდოელების ძერწავენ, ბავშები „სასაფლაოს" თამაშობენ, თიხიდან საფლავებს მათ ყვავილებით და ფოთლებით ამშვენებენ და ამით ბუდიხმის დამახასიათებელ „მოსპობის" კულტს ამყლავნებენ, თუ თანადროული ბურჟუაზიული საზოგადოების ქალიშვილები „სამზარეულოს" თამაშობენ, ვაჟები-კი —„ონს" რითაც ბურჟუაზიული სახელმწიფოს აღზრდის იდეალს განასახიერებენ, ჩვენი საბჭოთა ქვეყნების ბავშები, რომელნიც იზრდებიან მრავალრიცხოვან ბავშთა კომუნებში, თამაშობენ თავის ახალ თამაშობებს, სადაც მომავალი კომუნიზმის იდეალები გამოკრთის... სკოლის ასაკამდე პატარა ბავშების თამაშობაში ხშირად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენები პოულობენ გამოხატულებას ისე, როგორც მზე—წყლის პატარა წვეთში. ომი, მიწისძვრა, რევოლიუცია, 1 მაისის დღესასწაული, ლენინის სიკვდილი —ყველაფერს ამას ეხმაურება ამჟამად პატარა ბავში თამაშობის სახით **).

4. თამაშობის სახეები.

ბავშების თამაშობანი მეტად მრავალფეროვანი არიან და მათი კლასიფიკაცია ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ თამაშობა ინდივიდუალურია და დამოკიდებელია მრავალ პირობაზე, მაინც შესაძლებელია საერთო საზომისა და თვისებების გამონახვა, რომლებიც საშუალო, მასსიურ ბავშს ახასიათებენ. მრავალი დაკვირვება მოწმობს, რომ დასაწყისში ბავშის თამაშობა ინდივიდუალურია, ე. ი. ბავში თამაშობს მარტო, თავისთვის.

---

*) იხ. მ. მარკოვიჩი: „Художественное воспитание и современность" 1925 წ. გვ. 25.

**) op cit. გვ. 25-26.

უდიდესი სიამოვნების გარდა, რომელსაც ბავში სოციალური თამაშობის დროს განიცდის, უკანასკნელს აქვს აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი აღმზრდელობითი გავლენა. სოციალური თამაშობაში ბავშმა მასზე დაკისრებული მოვალეობა უნდა შეასრულოს და მას არ უნდა ულალატოს. სოციალური თამაშობის დროს ხდება ფუნქციების განაწილება მოთამაშეთა შორის. მაგ. შემდეგი როლებია განაწილებული: „ომობიაში“—მტრის ორი ბანაკი და თითოეულის სარდალი და ჯარი, „თამაშობაში“ „კოოპერატივი“:—გამყიდველი და მყიდველი და სხვა. სოციალური თამაშობის დროს რომელიმე ბავში (უმთავრესად ყველაზე უფრო მოზრდილი) იღებს ხელმძღვანელობას („რეჟისორობას“, „წინამძღოლობას“) და სხვები-კი ასრულებენ მის მითითებას—ბრძანებას.

5. სათამაშოები. იმ საგანს, რომლითაც ბავში თამაშობს, სათამაშო ეწოდება. ჩვენს დროში ბავშს შეიძლება ჰქონდეს სამგვარი სათამაშო: ა) საფაბრიკო წარმოების სათამაშოები, რომელთაც მეტად რთული მექანიზმი აქვთ, ისინი ნამდვილ მანქანებს წარმოადგენენ, ბავში კი—ამ მანქანის უბრალო დამატებას. ასეთი სათამაშოები არიან: დედოფალა (ტიკინა), რომელიც თვალებს ამოძრავებს, მღერის და სიტყვებსაც წარმოთქვამს: ორთქლმავალი, რომელიც აწყობის შემდეგ მოძრაობს ლიანდაგზე და ყვირის; გემი, რომელიც წყალში დაცურავს, პატარა აეროპლანი და სხვა.

საფაბრიკო წარმოების სათამაშო, რომელიც მხოლოდ ერთგვაროვან მოძრაობას ახდენს და ბავშში თავისუფალი შემოქმედების შესაძლებლობას სპობს, პედაგოგიური თვალსაზრისით მიუღებელია; მართლაც, ბავშიც ვერ ერთობა ასეთი სათამაშოთი, მალე მობეზრდება იგი და, პირველი გატაცების შემდეგ, ბავში მას არ აქცევს ყურადღებას და იქვე დაამტვრევს მას.

ბ) შინამრეწველობის-სათამაშოები: კასრები, ნიჩბები, შინაური ცხოველები და სხვა, ბავშისათვის უფრო საინტერესო და პედაგოგიურად მიზანშეწონილი არიან.

გ) ბუნებრივი სათამაშოები: თოვლი, სველი სილა, წყალი, ფერადი ქაღალდები, ქვები, კოლოფები, ფიცრის პატარა ნაჭრები და სხვა, ბავშებისათვის საუკეთესო მასალას წარმოადგენენ, რადგან ასეთები ბავშის აქტივობას არ ზღუდავენ, ყოველგვარ ცვლილებებს იტანენ და ბავშის მოძრაობას და ფანტაზიას ფართო გასაქანს აძლევენ. ყველა სათამაშოზე უფრო ბავშს თავისი ხელით გაკეთებული სათამაშოები უყვარს. და აგრეთვე ისეთები, რომელნიც

მეტად უბრალოა ან მოზრდილი ადამიანის სახმარი საგნების პატარა მოდელია (პატარა ნავი, ტიკინა, ჭურჭლეულობა, ორფქლმავალი, ვაგონები და სხვა), ან და სათამაშოები, რომელნიც ჩვეულებრივ შეხედულებას სიმძიმის შესახებ არღვევს (ერქანი, საპნის ბუშტები, ბზრიალა და სხვა.).

მოგვყავს ბავშვების თამაშობათა სახეების სქემა:



ძლიერი მიმბაძველობის გამო, განსაკუთრებით კი სკოლის ასაკამდე ხანაში, ბავში, თამაშობის სახით, თავისებურად აღადგენს ყველაფერს, რაც მის ირგვლივ ხდება. ამ მხრივ, შინაარსის მიხედვით ბავშის თამაშობაში შემდეგი თანამიმდევრობაა გასარჩევი: 1) სამი წლის ასაკამდე, სანამ ბავშის ცხოვრება მომწყვდეულია ოჯახის ვიწრო ჩარჩოებში, თამაშობა, უმეტესად, საყოფა-ცხოვრებო ხასიათისაა: დედა და შვილი, სტუმრების მიღება, საოჯახო უქმეები, ექიმი, გულმოსული დედა და მამა, მთვრალი მამა, ბებიას ლოცვა ხატის წინ. 2) როდესაც ბავში გამოდის ოჯახის ჩარჩოებიდან, მისი თამაშობაც ეხება ეზოს, ქუჩის, სახელოსნოს, ფაბრიკა-ქარხნის ცხოვრების აღდგენას; ამ დროსვე იწყება სხვადასხვა სახის საწარმოო თამაშობანი, როგორიცაა, ავტომობილის, ჰაეროპლანის, წისქვილის, მანქანების... კეთება და სხვა.

3) უფრო ფართო საზოგადოებრივი შუალში ყოფნა, სკვლის თამაშობის შინაარსს: 5 წლიდან— 8 წლამდე თამაშობის თემებია: პიონერები, წითელი არმია, მიტინგი, დემონსტრაცია, რევოლიუცია, კრება და სხვა.

6. ბავშის შრომა. როგორც აღვნიშნეთ, თამაშობა—ბავშის მოქმედების ძირითადი სახეა 8 წლის ასაკამდე ხანაში, რითაც ბავში ივარჯიშებს მუსკულატურას, ამდიდრებს და ამკვიდრებს თავის გამოცდილებას, ეცნობა სხადასხვა საგნის თვისებებს (წონა, სიდიდე....) ანვითარებს კოლექტივისტურ ჩვევებს-სხვა ბავშებთან თავისი მოქმედებათა შეთანხმების გზით, ღებულობს უდიდეს ემოციონალურ აღგზნებას და სხვა.

მაგრამ, საჭიროა ვიცოდეთ, რომ სკოლის ასაკამდე ხანა არ არის მხოლოდ თამაშობის ასაკი: აქვე საჭირო და შესაძლებელიცაა შრომითი აღზრდის დაწყება.

შრომას არსებითად ახასიათებს შემდეგი: ა) ისეთი შედეგის მიღება, რომელიც საჭიროა მომავალი ცხოვრებისათვის, ანუ—ისეთი მიზნის მიღწევა, რომელსაც აქვს რეალური ღირებულება; ბ) შუალის გარდაქმნა, ახალი საგნების გაკეთება, მასალის გადაბუშავება, გ) წინასწარ ან მუშაობის პროცესში გეგმის შედგენა, დ) იარაღების ხმარება. ამასთანავე შრომას გაცილებით მეტი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თამაშობას, ვინაიდან: ა) შრომა აიძულებს ადამიანს შეეგუოს განსაზღვრულ მასალისა და იარაღების თვისებებს; ბ) შრომა ამდიდრებს ბავშის ინიციატივასა და აქტიობას. გ) შრომა რეალური საგნების გაკეთებით, იწვევს მოძრაობათა დიფერენციაციას დ) შრომა იწვევს ბავშში პასუხისმგებლობის შეგნების

ჩამოყალიბებას კოლექტივის წინაშე; ე) შრომა იძლევა საიმედო ობიექტიურ საზომს ადამიანის ღირებულების შეფასებისათვის, რადგან შრომითი ვარჯიშობის დროს იქვე და ნათლადაა შესამჩნევი შეცდომა; მაშასადამე, ბავშს თავისი ძალთა შესახებ სწორი, გადაუმეტებელი წარმოდგენა ექნება და სხვა.

შრომა ბავშის ასაკის ზრდის პირდაპირ პროპორციულია: რაც უფრო ხანში შედის ბავში, მით უფრო მეტ ადგილს იკავებს მის ცხოვრება-მოქმედებაში შრომა.

როდესაც ლაპარაკი გვაქვს ბავშთა შრომის შესახებ, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ პედაგოგიურად ჩვენ დაინტერესებული ვართ არა ბავშთა შრომის პროდუქტებით, არამედ—შრომით, როგორც აღმზრდელობითი ფაქტორით, რომელიც მეტად შეუწყობს ხელს ბავშის განვითარებას; ბავშთა შრომითი, საქმიანობის ორი ძირითადი სახეა გასარჩევი: 1). თ ვ ი თ ს ა მ ს ა ხ უ რ ი და 2) ს ა წ ა რ მ ო ო შ რ ო მ ა.

თ ვ ი თ ს ა მ ს ა ხ უ რ ი ეხება ყოველდღიურად საჭირო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, როგორიცაა: სისუფთავის დაცვა, სათამაშოებისა და ჭურჭლის ალაგება და წესიერად შენახვა, მაგიდის გაწყობა-ალაგება, ლოგინის გაწყობა, ჩაცმა-გახდა და სხვა. შრომის ეს სახე, როგორც ვიცით, არ ქმნის ახალ ღირებულებას. ის მხოლოდ ახდენს საგნების გადაჯგუფებას და ამიტომ ასეთი შრომა ბავშსაც ძალე მოსწყინდება ხოლმე, რადგან ის გრძნობს, რომ არ არის ასეთი შრომით ახალი ღირებულების შემქნელი. მაგრამ ასეთი შრომის აღმზრდელობითი მნიშვნელობა მეტად დიდი არის, რამდენადაც იგი დაკავშირებულია მთელი კოლექტივის სამსახურთან. ამის გამო, საჭიროა ბავშებს განუმარტოთ თვითსამსახურითი სხვადასხვაობა შრომის მნიშვნელობა კოლექტივისათვის, შეევიტანოთ მასში სხვადასხვაობა და გართულება, რაც გააღვივებს ბავშების ინტერესს მისდამი.

ს ა წ ა რ მ ო ო შ რ ო მ ა ორი სახისაა: ა) შ რ ო მ ა ბ უ ნ ე ბ ა ში, როგორიცაა: მუშაობა ცოცხალ კუთხეში, ბოსტნის, ან ბაღის კვალის, მცენარეების, ფრინველების, ცხოველების მოვლა და სხვა; ბ) შ რ ო მ ა მ ა ს ა ლ ა ზ ე ი ა რ ა ღ ებ ი თ; შრომის ეს სახე მეტად შემოქმედებითია, რადგან შედეგათ გვაძლევს ახალ საგნებს: ყუთი, გალია, ფარცხი, ცხვირსახოცი და სხვა. ბავშთა საწარმოო შრომა მასალაზე, უმთავრესად, დ ო ო ბ ი თ ა და კ ე რ ვ ი თ განისაზღვრება.

სკოლის ასაკამდე ხანაში ბავშის შრომითი აღზრდა გამოიხატება მით, რომ თამაშობას თანდათან მიეცეს შრომითი განხრა. თანამედროვე პედოლოგია, ბავშთა შრომის განვითარების შესახებ შემდეგ საფეხურებს იძლევა: 1) სკოლის ასაკამდე პერიოდში—ე. წ.

თამაშობა—შრომის სტადია: ამ სტადიაში ბავში ახდენს საკუთარ ძალთა გასინჯვას იმ შრომითი მოქმედების სახეებზე, რომლებსაც ის ხედავდა მოზრდილთა შორის; ბავშს სურს, რომ თვითონ დაჭრას, გახერხოს, დააწებოს; ის კმაყოფილდება მხოლოდ მით, რომ თვითონ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება და ყურადღებას არ აქცევს თავისი მოქმედების ნაყოფს.

როგორც ვხედავთ, შრომის ეს სტადია მეტად ახლოა თამაშობასთან; ამ სტადიას ახასიათებს ბავშის შრომითი ორიენტირობა: მასალისა და იარაღის წინასწარი გაცნობა და მოძრაობითი სახის ძირითადი რეფლექსების გამომუშავება.

2) პირველი სასკოლო ასაკს (8 დან-12 წლამდე)—უტილიტარული შრომის სტადიაუწოდებენ. ამ სტადიაში, ბავში უკვე დაინტერესებულია შრომის შედეგით, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს შედეგი უცბად შეიძლება იქნეს გამოყენებული პირადი ინტერესებისათვის; ამასთანავე, ბავში ამ სტადიაში აკეთებს არა ყოველდღიურ ცხოვრებაში საჭირო საგნებს, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ სათამაშოებს;

3) კონსტრუქტიულ-ტეხნიკური შრომის სტადია მეორე სასკოლო ასაკს (12 დან—16 წლამდე) შეიცავს; ამ სტადიას ახასიათებს ბავშის მიერ მოზრდილთა ტეხნიკური შემოქმედების პროდუქტების გაკეთება, როგორიცაა: მოდელები, აპარატები და სხვა. ამ სტადიაში ბავში სცდილობს არამიბაძვას, არამედ რაიმე ახალი იარაღის, საგნის შექმნას (ოსტატობა და შემოქმედება შრომითი პროცესში).

4) სქესობრივი სიმწიფის პერიოდს—კი ნამდვილი პროფესიონალური შრომის, ანუ ინდუსტრიალური სტადია შეგვიძლია ვუწოდოთ, რამდენადაც ამ ასაკის ბავშთა შრომითი ინტერესები დაკავშირებულია განსაზღვრულ პროფესიასთან, ხოლო ამ საქმიანობის სტიმულია—არსებობისათვის ბრძოლა, ეკონომიური მოსაზრებები.

თავი მეთექვსმეტე.

„დედისერთა“ ბავშის აღზრდის თავისებურებანი

„დედისერთა“ ბავშის თავისებურებაზე მეცნიერულ დაკვირვებას სულ უკანასკნელ დრომდე არ აწარმოებდენ. „დედისერთა“ ბავშისადმი ასეთი უყურადღებობას იწვევდა, უმეტესად, ის საერთო უყურადღებობა ბავშის შესწავლისადმი, რაც მეტაფიზიკურ მეცნიერებას ახასიათებდა, რომელიც, აღიარებდა რა „სულის სუბსტანციონალობას,“ ე. ი. უცვლელობას ყველგან და ყოველთვის, განიხილავდა ბავშს, როგორც მოზრდილი ადამიანის მინიატურას, როგორც „დაპატარავებულ მოზრდილ ადამიანს.“ ამ მიზეზის გამო, საერთოდ ბავში და კერძოდ „დედისერთა“ ბავში არ იყო სპეციალურად შესწავლილი იმ დრომდე, სანამ არ ჩამოყალიბდა **პედოლოგია.** მეცნიერება ბავშის ზრდა-განვითარების კანონების შესახებ, რომელიც უარყოფს „სულს“, უტყუარად ადასტურებს ბავშის არსებით განსხვავებას მოზრდილი ადამიანისაგან და, მაშასადამე, ბავშის სპეციალურად შესწავლის აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს.

პედოლოგიის განუვითარებლობა და „დედისერთა“ ბავშის **იშვიათობა,** განსაკუთრებით უკანასკნელი იმპერიალისტური ომის შიერ შექმნილი მძაფრი ეკონომიური კრიზისის გამო,—აი მთავარი ფაქტორები იმისა, რომ „დედისერთა“ ბავში არ იყო შესწავლილი.

ჩვენი მიზანია—არსებული ლიტერატურისა და ნაწილობრივ, საკუთარ დაკვირვებათა მიხედვით, ზოგადად მაინც მიუთითოთ „დედისერთა“ ბავშის სპეციფიურ ფსიქო-ფიზიკურ თვისებებზე, რომლებსაც იწვევენ ბავშის იზოლიაციაქმნილი აღზრდის პირობები.

ზემოხსენებული მიზანი გვავალებს, რომ ის თავისებურებანი, რაც ქვემოთ იქნება აღნიშნული „დედისერთა“ ბავშის შესახებ, გავავრცელოთ ყველა ბავშზე, რომელიც თავის ტოლ ბავშთა კოლექტივის გარეშე, ე. ი. განცალკევებით იზრდება; ამიტომ „დედისერთა“ ბავშად უნდა ჩაითვალოს არა მარტო **ერთადერთი** ბავში, არამედ: ა) მრავალბავშიანი ოჯახის **პირველი შვილი** („პირმშო“), თუ-კი ის დიდხანს არის „ერთადერთ ბავშად ოჯახში, ბ) **უკანასკ-**

ნელი შვილიც, თუ ის მშობლებს ეყოლათ მშობიარობის შედარებით ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ და სხვა უფროსი შვილები-კი საკმაოდ მოზრდილნი არიან, გ) ყველა ბავში, რომელიც მოკლებულია ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიცაა **კოლექტიური, ანუ სოციალური აღზრდა.**

ჩვენი წიგნის ეს თავი ეხება სპეციალურად „დედისერთა" ბავშს, ვინაიდან მისი აღზრდის პირობები მეტად ტიპიურია, იზოლაციაქმნილი, ანუ ინდივიდუალური აღზრდის ყოველი სახისათვის.

ერთი ბავში მეტად ხშირი მოვლენაა ოჯახში, რასაც იწვევენ **მძიმე ეკონომიური პირობები**, რაც აიძულებს მშობლებს იყოლიონ მხოლოდ ერთი ბავში, რადგან მეტის მოვლა-პატრონობა მათ არ ძალუძთ.

როგორ იზრდება „ერთადერთი" ბავში ოჯახში?

როდესაც მშობლებს ყავთ რამდენიმე შვილი, მათ არ შეუძლიათ იმდენი დრო, ენერგია და ყურადღება მოანდომონ თითოეულ ბავშს, რამდენსაც ანდომებენ მხოლოდ ერთ შვილს.

მთელ თავის სიყვარულს, მზრუნველობასა და შიშს დედ-მამა ერთადერთი ბავშისაკენ მიმართავს და სწორედ ეს გარემოება ახდენს საზიანო გავლენას მასზე.

მშობლების მუდმივი მზრუნველობა და შიში უხშობს ბავშს **დამოუკიდებლობას, აქტივობას, თვითმოქმედებას**. თუმცა მშობლები ათავისუფლებენ ბავშს ყველა საზრუნავი საქმისაგან, თუმცა დედის მუდამ მზრუნველი და ფრთხილი თვალები აცილებენ ბავშს ყოველგვარ უსიამოვნო, საზიანო დაბრკოლებას, ამით ზიანი, ბავშის თავისუფლების შეზღუდვის სახით, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე სარგებლობა. ბავშს ყოველ წუთს ესმის: „არ წახვიდე," „არ დაეცე," „ფრთხილად", „არ იტკინო", „არ გაცივდე" და სხვა.

ასეთი გადამეტებული გაფრთხილება და ბავშის მაგიერ ყველა მოქმედების შესრულება ბავშს საშვალებას უსპობს თ ვ ი თ ო ნ გამოიკვლ ი ოს, თ ვ ი თ ო ნ გააკეთოს რაიმე, თ ვ ი თ ო ნ ისწავლოს გაფრთხილება საკუთარი საზიანო ცდებისაგან, თ ვ ი თ ო ნ მიიღოს ცოდნა, დამოუკიდებლობა, საკირო ჩვევები საკუთარ განცდათა და რეაქციების საფუძველზე. თვით ბავშებიც კარგად გრძნობენ მათი სურვილების შებოკვას და ურყევი სალტებით თავისუფლების შეზღუდვას, გადაჭარბებულ სიყვარულსა და ყურადღებას, შენატრიან სხვა ბავშებს, რომელნიც თავისუფლად მოქმედობენ და მათი ოცნებაა—დედის, მამის და სხვა „მზრუნველთა" ზრუნვისაგან განთავისუფლება.

არა მარტო შინ, არამედ ქუჩაზე, სტუმრად ყოფნის დროს, სკოლაში თან დასდევს მშობელი თავის „ერთ“ შვილს და ყველგან და ყოველთვის ერევა ბავშის მოქმედებაში, ყველგან არიგებს და აფრთხილებს მას (ე. წ. „დედის ფრთის ქვეშ მყოფი ბავშები“-„Маменькины дети“).

თვითმოქმედების განუვითარებლობა დიდად საზიანოა „დედისერთა“ და, საერთოდ, ყოველი ბავშისათვის. მუდამ სხვებზე დამოკიდებული ბავში ვერ ერკვევა თავისით მარტივ პირობებშიაც-კი, არ იცის ყოველდღიური საჭიროების აქტების შესრულება, როგორიცაა, ჩაცმა, გახდა, ჭამა და სხვა... სამართლიანად ამბობს პროფესორ **გუტს მუტსი**: „ჩვენი ცხოვრება აბობოქრებული ზღვაა, ამიტომ ყოველმა ჩვენგანმა თვითონ უნდა ისწაელოს ცურვა, საქისა და იალქნების ხმარება... მხოლოდ ბორძიკით და დაცემით სწავლობს ადამიანი სიარულს“.

პასივობის გარდა „დედისერთას“ სპეციალური თვისებაა—**ნაადრევი ინტელექტუალური განვითარება**. „დედისერთა“ გაცილებით მაღლა დგას გონებრივი განვითარების მხრივ, ვიდრე მისი ტოლი ბავშები, „დედისერთა“ —**ვუნდერკინდია**. მან ბევრი რამ იცის მშობლების საუბრების გამო; ის ყველას აკვირვებს თავისი თეორიული ცოდნით, „არაბავშური“ მსჯელობით და ინტერესებით. მაგრამ ასეთი აჩქარებული და უდროო განვითარება დიდ ზიანს აყენებს ბავშის სათუთ ნერვიულ სისტემას, რომელიც უჩვეულო დატვირთისაგან გადაღლილია, გაცვეთილია. ბავში კარგავს „ბავშურ გულუბრყვილობას“, და ასეთი ბავში არასოდეს არ ამართლებს ახლობლების მოლოდინს, რომ შისგან გამოვა დიდი მოაზროვნე, გენიოსი და სხვა.

იგივე უნდა ითქვას „დედისერთა“-ს ემოციონალური მხარის შესახებ: რადგან დედ-მამა, განსაკუთრებით კი დედა, მუდამ თავის „ერთადერთ“ შვილთანაა, დედა ხშირად გაუზიარებს მას თავის განცდებს, მწუხარებას, სიხარულს, ე. ი. ხდის შვილს მესაიდუმლედ და მრჩეველად, ბავში თავიდან იტვირთება მისთვის უჩვეულო სიცოცხლის სერიოზული კითხვებით და კარგავს **უდარდელობას**. ამით იღრუბლება ბავშის სულიერი განწყობილება, რომელიც, **ვილიამ სტერნის** თქმით, „არის მოწმენდილი, ულრუბლო ცა, იშვიათი და სწრაფად გასაფანტავი ღრუბლებით“. ასეთი ბავში კარგავს ილუზიებს და ბავშური ოცნებების მშვენიერ სამყაროს, ის ნერვიულია, ნევრასტენიითა შეპყრობილი. „ყველაფერზე უფრო სასაცილოა, როდესაც ბავშს აქვს მოზრდილი ადამიანის სიდინჯე “ (იმ. კანტი).

„ერთადერთ“ ბავშს მშობლები არც იცილებენ და ვერც ახერხებენ, დროებით მაინც, მოცილებას, რადგან ბავშს, მშობლების გარდა, არ ჰყავს სხვა წრე; ბავში ხდება უნებლიეთი მოწმე მშობლებს შორის ისეთი საუბრების, რომელითაც ჰკიცხავენ ნაცნობებს, ან ისმენს და უყურებს მშობლების ურთიერთ შორის სქესობრივ საუბრებს და მოქმედებას, და ასეთი პირობები ბავშში შეიმუშავებს **უნდობლობას, იჰვიანობას** ადამიანების მიმართ და აგრეთვე ხელს შეუწყოფს **სექსუალობის** გაფურჩქვნას, რომლის საუკეთესო სკოლა ბავშს შინ აქვს.

„დედისერთა“ ბავში **მოწყენილია**; მას მშობლები მრავალ საათამაშოს აძლევენ, ეს-კი იწვევს ბავშის ტვინის დაღალვას და მოწყენილობას. მშობლები ცდილობენ ბავშის გართობას: ბავში ღებულობს სულ ახალსა და ახალ შთაბეჭდილებას, ადრე ეჩვევა ყოველგვარ სიამოვნებას, ბავშობაშივე განცდილი აქვს სიამოვნების სხვადასხვა სახე და ამიტომ კარგავს ინტერესს ცხოვრებისადმი, მას მოწყენილობა შეიპყრობს, მელანქოლიური, პესიმისტური თვითგრძნობა განუვითარდება.

თვითმკვლელთა სტატისტიკა მოწმობს, რომ თვითმკვლელობის დიდ %-ს „ დედისერთა“ (ინდივიდუალურად აღზრდილი) ბავშები შეადგენენ. პირველი შეხედვით საფიქრალია, თითქოს, რადგან მშობლები მეტად ზრუნავენ „ერთადერთი“ საყვარელი ბავშის ჯანმთელობის შესახებ, ასეთი ბავში ჯანსაღი უნდა იყოს. მაგრამ პირიქით: „მშობლების მხრივ თავისი ბავშის ჯანმრთელობის შესახებ მუდმივი შიშის გამო, „ერთადერთი“ ბავში ეჩვევა თავისი თვითგრძნობაზე ზედმეტი ყურადღების მიპყრობას, მას თვითონ იპყრობს შიში (ფობია) ავადმყოფობის, ისტერიულად შთაიგონებს არარსებულ ავადმყოფობას და ხდება მანიაკი, ნევრასტენიკოსი (ნეზი). **ექ. ფრიდიუნგმა** გამოიკვლია ჯანმრთელობის მხრივ 100 „დედისერთა“ ბავში და მათ შორის აღმოჩნდა: ჯანმრთელი—მხოლოდ 13 ბავში, ნევრასტენიით შეპყრობილი 69 და მძიმე ნეიროპატიით დავადებული -18 ბავში. მართლაც, გადამეტებული შეფუთვნა და სხვა, ფიზიკურად ასუსტებს ბავშს და „ერთადერთი“ ბავში უფრო ხშირად ავადმყოფობს, ვიდრე მრავალბავშიანი ოჯახის შვილები. „დედისერთა“ ბავშის განსაკუთრებულ თვისებას წარმოადგენს—ჟირვეულობა და აღვირახსნილი **ეგოცენტრიზმი.**

„დედისერთა“ ბავში განებივრებულია, ჟირვეულია მშობლების დათმობის გამო: მშობლები მზად არიან დაუთმონ მას და დააკმაყოფილონ მისი ახირებული სურვილებიც-კი, ოღონდ არ უყურონ ბავ-

შის ტირილს და ოდნავ შეწუხებას. ამასთანავე, რადგან „ერთადერთი“ ბავში მუდამ შექებას ისმენს და ყურადღების ცენტრია ოჯახში. ის **დიდი წარმოდგენისაა თავის თავზე**, გადაჭარბებულად **თავმოყვარეა, ამაყია, ეგოისტია**, არ შეუძლია საქმეში ელემენტარულად თანამშრომლობა, თანაგრძნობა და სხვა. „ერთადერთი“ ბავშის ეგოიზმის ფაქტორებია: 1) **მშობლების დათმობა** 2) **მშობლებისთვის მიბაძვა**, რომელნიც, უმეტეს შემთხვევაში, ეგოისტები და თავმოყვარენი არიან, რადგან მათი „ერთშვილიანობის“ მოტივია „შეუწუხებელი“ ცხოვრება. ცნობილი მწერალი ლ. ტოლსტოი „Крейцерова соната“-ში მშობლების შესახებ ამბობს, რომ ისინი ეგოისტები არიან, როდესაც არ სურთ განიცადონ შიში და მწუხარება შვილების ავადმყოფობა-სიკვდილისაგან და ამიტომ უარს ამბობენ შვილოსნობაზე. „მშობლები,—ამბობს ტოლსტოი,—უარყოფენ სიყვარულს და ამკვიდრებენ მხოლოდ თავის ეგოიზმს; ისინი თავის თავს კი არ სწირავენ საყვარელ არსებას (ე. ი. ბავშებს), არამედ პირიქით, მოსალოდნელ საყვარელ არსებას (ე. ი. მომავალ შვილს) სწირავენ თავის თავს“.

3) ბავშის ეგოიზმის მესამე ფაქტორად უნდა ჩაითვალოს „დედისერთა“ ბავშის მონოპოლური, ერთპიროვნული უფლება ყველაფერზე, რაც-კი ოჯახში მოიპოება; თუ ბავშს არ ჰყავს ძმები და დები, რომლებსაც მან უნდა გაუზიაროს მშობლების სიყვარული, ზრუნვა და სხვა, ის თავს ჩასთვლის ყველაფრის (ტანსაცმელი, სათამაშოები, საჭმელი, წიგნები...) შეუზღუდველ მესაკუთრედ, მონოპოლისტად. მას აზრათაც არ მოსდის, რომ საჭიროა, ან შესაძლებელია ვინმეს რაიმე გაუზიაროს, გაუყოს, დაუთმოს, და, თუ მას მისცეს ასეთი წინადადება, ის ამას შეხედავს, როგორც სასტიკსა და უსამართლო მოთხოვნას. მიაჩნია რა „დედისერთა“ ბავშს, მშობლების ქონება, სიყვარული და შრომა თავის მონოპოლიად, ის ცხოვრებაშიც (სკოლაში, სამსახურში და სხვა) ეგოცენტრიული საზომით უდგება სხვა ადამიანებს და მოითხოვს მათგან მთელ ყურადღებას, სიყვარულს, პატივისცემას, დათმობა-მორჩილებას და სხვა.

ასეთი ეგოისტი ბავშები საცოდავი, უბედური, ანტისოციალური ელემენტები არიან, რადგან უმართებულო, გადაჭარბებულ ინდივიდუალურ პრეტენზიებს საზოგადოება სასტიკად ეწინააღმდეგება, და ბავში ვერ შესძლებს შეგუებას გარემოცულ პირობებთან, თანამშრომლობას და სხვა. „ერთადერთი“ ბავშის აღმზრდელობით სისტემას, სხვათა შორის, აკლია ყოველმხრივი განვითარების ისეთი მძლავრი ფაქტორი, როგორიცაა—სოციალური ანუ ჯგუფური

თ ა მ ა შ ო ბ ა. როგორც ვიცით, ჯგუფური თამაშობის დამახასიათებელი თვისებებია: ყველა მონაწილეს თანასწორუფლებიანობა, თამაშობის საერთო პირობების დაცვის საჭიროება, დაკისრებული როლის პირნათლად ასრულება და სხვა. წარმოიდგინეთ განებივრებული „დედისერთა“ ბავში ასეთ თამაშობაში: ის არავის და არავითარ წესს არ დაემორჩილება, მოითხოვს, რომ ყველა მოთამაშე მას ემორჩილებოდეს, დამარცხებას და შენიშვნას ვერ აიტანს, თამაშობაში არ ექნება სიმკვირცხლე და მოხერხებული, მოწესრიგებული, მიზანშეწონილი მოძრაობა (მოტორულ ფუნქციათა სუსტად განვითარების გამო), ის გადაიმტერებს და გადაემტერება ამხანაგებს, რომელნიც მას ვერ იგუებენ, დასცინიან, სცემენ და სხვა. სოციალურ თამაშობაში მონაწილეობის მიღების პირველი ფუჭი ცდის შემდეგ ასეთი ბავში დიდი ხნით კარგავს ხალისს სოციალური ურთიერთობისადმი და მ ა რ ტ ო ო ბ ა ს ამჯობინებს. განიცადა რა დამარცხება რეალურ ბავშებთან თამაშობის მხრივ, ბავში შიმართავს თავის ფრთაასხმულ ფანტაზიას, წარმოიდგენს თამაშობის ამხანაგებს და ასეთ „ჰოგონებულ,“ არარეალურ ამხანაგებთან იწყებს თამაშობას. ფ ა ნ ტ ა ზ ი ი ს უ ს ა ზ ღ ვ რ ო გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა განცალკევებული აღზრდის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს. ზემომოყვანილ თვისებებს უნდა დავუმატოთ აგრეთვე მ ო რ ც ხ ვ ო ბ ა, როგორც ანტისოციალური ემოცია; „დედისერთა“ ბავში კოლექტივში, საზოგადოებაში ცუდად გრძნობს თავს: ის შეპყრობილია სირცხვილით, რომელსაც იწვევს იმის შიში, რომ შესაძლოა მას არ მიაქციონ სათანადო ყურადღება.

აი, ასეთ უბედურსა და ანტისაზოგადოებრივ ტიპს წარმოადგენს „დედისერთა“ ბავში,—იზოლიაციაქმნილი აღზრდის მსხვერპლი.

ხშირად „დედისერთა“ ბავშების მშობლები ცდილობენ აღზარდონ შვილი მის ტოლებს შორის და ამ მიზნით იწვევენ მასთან სხვა ბავშებს. მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის, რადგან იგი მაინც ს უ რ ო გ ა ტ ი ა სოციალური აღზრდის, რადგან ბავშის ამხანაგებად მშობლები იწვევენ ხელოვნურად შერჩეულ, ერთფეროვან ბავშთა ჯგუფს: „ჭკვიან“, „წყნარ„ (ე. ი. პასიურ), „ზრდილობიანსა“ და „წესიერ“ ბავშებს. თუ რომელიმე მოწვეული ბავში აქტივობას გამოიჩენს, არ დაემორჩილება „დედისერთა“ განებივრებულ ბავშს, ააატირებს მას და სხვა, ცხადია, მშობლები მას „გასწმენდენ,“ ე. ი. გააქევებენ თავისი შვილის ამხანაგთა წრიდან... ასე რ ომ, ბავშების მოწვევა „დედისერთასთან“ მიზანს ვერ აღწევს.

ბავშის სათანადოდ აღზრდის საუკეთესო საშუალებაა მისი აღზრდა საბავშო დაწესებულებაში, ბავშთა კოლექტივში, რასაც დაახლოვებითაც ვერ გაუწევს მაგიერობას ვერავითარი, თუ-გინდ საუკეთესოდ დაყენებული, ოჯახური, განცალკევებული აღზრდა.

საბავშო ბაგა, საბავშო ბაღი, საბავშო კერა, საბავშო მოედანი, საბავშო სახლი *) და სოციალური აღზრდის სხვა დაწესებულებები, სადაც აღზრდის საქმე საღ პედაგოგიურ საფუძველზეა დაყენებული,—აი. სად მოიცილებს ბავში იმ მავნე თვისებებს, რომელიც შემუშავდება მასში ოჯახური, იზოლიაციაქმნილი აღზრდის გამო. საბავშო დაწესებულებაში, რომელიც თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთ უჯრედს წარმოადგენს, ბავშთა კოლექტივი არის არა ხელოვნურად შერჩეულ ბავშთა ჯგუფი, არამედ მასში შედიან სხვადასხვა ტემპერამენტის მქონე ბავშები, რომელთა ურთიერთ ზეგავლენა უფრო მრავალმხრივი და პედაგოგიურად მიზანშეწონილი იქნება, ვიდრე ზემომოყვანილი ერთფეროვანი ბავშთა წრის.

ჯერჯერობით კი, სანამ საბავშო დაწესებულებათა ქსელი არ არის საკმაოდ დიდი და არ შეუძლია დაიტიოს სკოლის ასაკამდე ყველა ბავში, საჭიროა, რომ ოჯახში დარჩენილი ბავში არ იყოს იზოლაციაქმნილი სხვა ბავშებისგან, მეტ დროს ბავშთა წრეში ატარებდეს. ოქტომბრელთა, პიონერთა და კომკავშირის ორგანიზაციები,—აი საუკეთესო წრე, სადაც ბავში საბოლოოდ განიარაღდება ოჯახის ინდივიდუალისტურ თვისებებისაგან და იქნება აღჭურვილი მომავალი მოწესრიგებული საზოგადოების აქტიური შემოქმედის, მშენებლისა და მებრძოლის თვისებებით; ეს თვისებებია: კოლექტიურობა, აქტივობა, კონკრეტულობა, დინამიურობა, პიონერობა (ე. ი. შემოქმედება, ახალი წამოწყების ინიციატივის მატარებლობა), სოციოცენტრიზმი (და არა ეგოცენტრიზმი) და სხვა.

თუმცა საბჭოთა წყობილების სინამდვილეში ყოველი მშობელი ღრმად არის დარწმუნებული, თუ რამდენად მიზანშეწონილია შვილების საბავშო დაწესებულებაში ვიცემა, არიან ისეთები, უმეტესად „დედისერთა“ ბავშის მშობლები, რომლებიც ერიდებიან თავისი შვილის სოციალურად აღზრდას, რადგან ეშინიათ, რომ: 1) არ მოაკლდეს მას მოვლა: არ გაცივდეს, არ მოშივდეს და სხვა, 2) არ დაიჩაგროს და არ გაირყვნეს, 3) არ დაავადდეს რომელიმე ინფექციური

*) საბავშო სახლის ვალია ბავშებს გაუწიოს ოჯახის სრული მაგიერობა და შესაძლებლობაც აქვს მოახდინოს ბავშებზე სათანადო პედაგოგიური ზეგავლენა, რადგან იგი ინტერნატის ტიპის დაწესებულებაა და ბავშები მთელ დროს იქ ატარებენ.

ავადმყოფობით. მაგრამ როგორც ზემონათქვამიდან დავინახეთ, პირველი ორი მოსაზრება სრულიად უსაფუძვლოა. რაც შეეხება მესამე მოსაზრებას, ე. ი. ინფექციური სენით დაავადების შიშს, ამის შესახებ ჩვენ აქ მოვიყვანთ პროფ. ჩ ე რ ნ ი ს აზრს, რომელიც კითხვაზე, თუ რა უფრო საზიანოა ბავშისათვის: ცუდი აღზრდის მიღება, თუ გადამდები სენით დაავადება, ასე უპასუხა: „მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ ცუდი აღზრდა გაცილებით უფრო საზიანოა, ვინაიდან ინფექციით ბავშები ადრე თუ გვიან მაინც დაავადდებიან და ეს გარდამავალი, დროებითი ბოროტებაა, ცუდი აღზრდის შედეგები-კი რჩება და გავლენას ახდენს ადამიანზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში“.

———

თავი მეჩვიდმეტე.

მენტიმეტრიული მეთოდები

1. ბავშის გონებრივი განვითარების გაზომვის მეთოდები (მენტიმეტრია.)

ქვემოდ მოგყვავს სხვადასხვა მეთოდი, რომელიც ეხება ბავშის ე. წ. „ნიჭიერების“, გონებრივი განვითარების გაზომვას; ვრცლად არის გადმოცემული მეტად პოპულიარული ბ ი ნ ე-ს ი-მ ო ნ ი ს მენტიმეტრიული მეთოდის შინაარსი, მხოლოდ უნდა აღენიშნოთ, რომ ამ მეთოდით სარგებლობა გარეგნულ სიმარტივის მიუხედავათ, უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს და, პრაქტიკული განხორციელების დროს, სავსებით თავის პედაგოგიურ ღირებულებას ვერ ამართლებს. ამის გამო, ბინე-სიმონის მეთოდიც უნდა განვიხილოთ, მხოლოდ როგორც ერთ-ერთი ნიმუში, მიმართულება მენტიმეტრიაში, რომელიც ჯერ-ჯერობით გადასამუშავებელ მასალას წარმოადგენს და არ შეიძლება იქნეს დაფასებული, როგორც უტყუარი და საიმედო საშუალება ბავშთა გონებრივი განვითარების დონეს გამორკვევისათვის.

2. „ნორმალური“ ბავში.

ყველასათვის ცნობილია, რომ ადამიანებს შორის არსებობს ინდივიდუალური განსხვავება ფიზიკური და ფსიქიური თვისებების მხრივ და შეუძლებელია მოვნახოთ ისეთი ორი ადამიანი, რომელიც ყოველმხრივ ერთმანეთს ემსგავსებოდეს: ყოველი ადამიანი თავისებურია. მაგრამ, ეს განსხვავება ადამიანებს შორის ემორჩილება კანონს, რომელსაც „გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს მ რ უ დ ე, ან ზ ე დ ა პ ი რ ი“ ეწოდება („кривая, или поверхность распределения“). მაგალითად, რომ დავაწყოთ მწკრივში სათითაოდ სიმაღლის მიხედვით, ვთქვათ 10.000 ბავში, დავინახავთ, რომ ბავშების დიდი ნაწილი (50% მაინც) მწკრივის შუა ნაწილში მოთავსდება, ე. ი. საშუალო სიმაღლის იქნება; ბავშების მცირე ნაწილი მწკრივის დასაწყისში იქნება (25 პრ.) ე. ი. დაბლები და ამდენივე (25 პროც.)—მწკრივის ბოლოში ე. ი. მაღლები. ასეთივეა ბავშის ინდივიდუალური განსხვავება ფსიქიური თვისებების მხრივაც: საშუალოდ „ნიჭიერი“ ბავშების რიცხვი უფრო მეტია, უფრო ცოტაა —„უნიჭო“ და მეტად „ნიჭიერი“ ბავშთა რიცხვი. ასეთ საშუალო

ბავშს, რომელსაც განაწილების მრუდეში დიდი რიცხვობრივი ადგილი უკავია, „ნორმალურ" ბავშს უწოდებენ.

ცნობილია აგრეთვე, რომ „ნიჭიერ" ბავშს ფიზიკური ჯანმრთელობით უპირატესობა აქვს „უნიჭო" ბავშებთან შედარებით. ნიუიორკში 1923 წელში ერთმანეთს ბავშების სამი ჯგუფი შეადარეს: მეტად „ნიჭიერი, საშუალოდ „ნიჭიერი" და „უნიჭო"; აღმოჩნდა, რომ პირველ ჯგუფს საშუალოდ უფრო მეტი სიმაღლე და წონა ჰქონდა, ვიდრე დანარჩენ ჯგუფებს, რაც სჩანს ქვემომოყვანილი ცხრილიდან (პროფ. ხოლინგვორსის მიხედვით).

ბავშები	მეტად „ნიჭიერი"	საშუალო „ნიჭის"	„უნიჭო"
სიმაღლე (დიუმები)	52.6	51.2	49.6
წონა (ინგლის. გირვ.)	74.0	63.9	59.5

უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილში მოყვანილი ციფრები საშუალოა თითეული ჯგუფისათვის და მეტად ნიჭიერი ბავშებს შორის არის ხოლმე რამდენიმე, რომელიც სიმაღლითა და წონით უფრო ნაკლებია, ვიდრე „უნიჭოთა" ჯგუფის საშუალო ბავში.

3. ადამიანის გონებრივი განვითარების გაზომვის მეთოდები წარსულში.

ადამიანთა შორის არსებული განსხვავებისა და გონებრივი განვითარების დონეს გამორკვევა სწარმოებდა ყოველთვის. ექ. კემპბელს ასეთი მაგალითი მოყავს ებრაელების ისტორიიდან: „ერთ-ერთი საბაბის გამო დაწესებული იყო სიტყვიური ტესტი (ამოცანა), როგორც შეუცდომელი დიაგნოსტიური კრიტერიუმი: ყველას, ვინც ვერ შესძლებდა სიტყვა „შიბოლეტ"-ის დამაკმაყოფილებლად წარმოთქმას, ეფრაიმიტად (ე. ი. მწვალებლად გ. დ.) თვლიდენ, მდინარე იორდანის ნაპირზე ჰკლავდენ და ანგარიშს არ უწევდენ იმ გარემოებას, რომ შესაძლებლი იყო დიაგნოსტური შეცდომა".

გავიხსენოთ, საშუალო საუკუნეებში არსებული—ადამიანთა ვინაობის გამორკვევის მეთოდი, როდესაც სურდათ გაეგოთ: „კუდიანი" ან „ბოროტი სული" იყო ადამიანი, თუ არა: საეკვო ქალს, ან კაცს წყალში ჩააგდებდენ და, თუ არ ჩაიძირებოდა, ეს უტყუარი ნიშანი იყო მისი „ავსულიანობის", რასაც სასტიკად სჯიდენ (დაწვა, ორგანოების მოკვრა, ამოღრძობა და სხ.). რაც შეეხება ადამიანის გონებრივი განვითარების გაზომვის მეთოდებს, ასეთები მრავალგვარი იყო სხვა-

დასხვა დროს. მაგ. ერთ დროს ფიქრობდენ, რომ გონებრივი განვითარების გაზომვა შესაძლებელია გარეშე გრძნობების სიმახვილის გამორკვევით: ვისაც მახვილი ქონდა მხედველობა, სმენა, შეხება, გემო, ყნოსვა და სხვა ანალიზატორები, ის გონებრივად მაღლა იდგა და, პირიქით. მაგრამ, ეს მეთოდი მალე იქნა უარყოფილი, რადგან გამოირკვა, რომ ადამიანს შესაძლოა არ ქონდეს სრულებით რამდენიმე გარეშე გრძნობა და, მიუხედავათ ამისა, მაინც, გონებრივი განვითარების მხრივ, მეტად მაღლა იდგეს; ასეთი იყო ორი ქალიშვილი: ლ ა უ რ ა ბ რ ი ჯ მ ე ნ ი და ე ლ ე ნ ე კ ე ლ ლ ე რ ი, რომლებსაც დაბადებიდან არ ქონდათ სმენა, მხედველობა და შეტყვეულების უნარი, მაგრამ, მხოლოდ შეხებითი შეგრძნებით, გონებრივად იმდენად განვითარდენ, რომ სათანადოთ შეითვისეს კულტურის მიღწევები (კითხვა, წერა, მუსიკა და სხვა.)

იყო ადამიანის „ნიჭიერების“ გამორკვევის ცდა გარეგნულ მოძრაობაზე (აქტივობაზე) დაკვირვებით,*) რადგან ფიქრობდენ. რომ ყოველი აზრი, უსათუოდ, გარეგნულ გამოხატულებას—მოძრაობის სახით ღებულობს: სხვადასხვა პირს რაიმე მოძრაობითი ამოცანას აძლევდენ და იმის მიხედვით, თუ როგორ ასრულებდა მას გამოსაცდელი პირი (სწრაფად, ზუსტად და სხვა) გამოქონდათ დასკვნა მისი გონებრივი განვითარების შესახებ. მაგრამ, ეს ცდა უნაყოფო და არა მართებული აღმოჩნდა, რადგან, როგორც ვიცით, ხშირია შემთხვევა, რომ გონებრივად მაღალ საფეხურზე მდგომი პირი, მოძრაობის მხრივ მეტად უხეში და ზანტია.

ამის შემდეგ შეიმუშავეს ტესტები (ამოცანები), რომლებიც ადამიანის ერთეული ფსიქიური თვისებების გაზომვას ისახავდენ მიზნად როგორიცაა: რეაქციების შენახვისა და აღდგენის ხანგრძლივობა (მეხსიერება), ყურადღება, რეაქციის, ანუ გაღიზიანებაზე პასუხის მიცემის სისწრაფე, ასოციაციების სიმდიდრე და თვისებები, კონკრეტული და აბსტრაქტული აზროვნების უნარი და სხვა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ შეიძლება ადამიანს ქონდეს მაგ. ძლიერი მეხსიერება, ან რეაქციის სისწრაფე, მაგრამ მეტად სუსტი გონებრივი განვითარების მქონე იყვეს ე. ი. ერთეული ფსიქიური თვისების ხარისხი არ არის უტყუარი საზომი მთლიანი ფსიქიური განვითარებისათვის.

ბავშების „ნიჭის“ შესახებ მშობლები და მასწავლებლები ხშირად მსჯელობენ: ყოველი მასწავლებელი მოწაფეების დაყოფას მათი თან-

---

*) ადამიანის მოტორულ ფუნქციათა გამოკვლევის შესახებ იხ. ექ. ოზერეცკის მოძრაობათა განვითარების სკალა ამ წიგნის ბოლოში.

დაყოლილი „ნიჭის“ მიხედვით ახდენს: ზოგი მოწაფე მეტად „ნიჭიერია“, ზოგი „საშუალო ნიჭის პატრონია“, ზოგი „სრულიად უნიჭოა და ჩლუნგია“. მაგრამ, მასწავლებლის დასკვნები ბავშის შეფასების შესახებ არ არიან საიმედო, რადგან ეს დაფასება ყოველთვის ცალმხრივი და სუბიექტიურია. ერთი და იგივე ბავშის შესახებ სხვადასხვა საგნის მასწავლებელი სხვადასხვა დაფასებას იძლევა პედაგოგიური საბჭოს სხდომის დროს. მაგ. შეადარეთ მათემატიკის, ენის, ხატვის, გალობის და სხვა საგნების მასწავლებელთა აზრი, რომელიმე ბავშის შესახებ: ერთს ბავში „უნიჭიერესად“ მიაჩნია, მეორეს— „საშუალოდ“ („არა უშავს“ „ასე—ერთნაირი“), მესამეს—„სრულიად უნიჭოდ“ და სხვა. არის აგრეთვე შემთხვევა, რომ მასწავლებელი, რომელიც მოწაფეს „ნიჭიერს“ უწოდებდა, ცოტა ხნის შემდეგ მას „უნიჭოდ“ აცხადებს და, პირიქით. როგორც ვხედავთ, მოწაფეების გონებრივი განვითარების დაფასება მასწავლებლების მხრივ ს უ ბ ი ე ქ ტ ი უ რ ი ა, რადგან მხოლოდ მათ შორის არსებულ ურთიერთობიდან გამომდინარეობს; ასეთი შეფასება ამასთანავე, ც ა ლ მ ხ რ ი ვ ი ა, რამდენადაც მასწავლებელი თავის საგნის მოთხოვნილებათა თვალსაზრისით მსჯელობს*). ხშირად ხდება, რომ ბავში, რომელიც გაკვეთილებზე ზანტი, პასიური, მოწყენილი და ჩლუნგია, თამაშობაში, ან სხვა საქმეების ასრულების დროს (საღამოს მოწყობა, ოჯახში შრომა და სხვა) გასაოცარ მოძრაობას, აქტივობას, სიმკვირცხლეს და დიდ ნიჭს იჩენს. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ბავშისადმი სიმპატია, თუ ანტიპატია მასწავლებლის მხრივ ბავშის „ნიჭის“ შესახებ მსჯელობაზე უდიდეს გავლენას ახდენს: თუ ურთიერთობა მასწავლებელსა და მოწაფეს შორის ანტიპატიაზეა დაფუძნებული, ბავშს „უნიჭოდ“ მიიჩნევს და, პირიქით. აქედან ცხადია, რომ მასწავლებელთა ნსჯელობას ბავშის „ნიჭის“, ან „უნიჭობის“ შესახებ, მეცნიერული, ე. ი., ობიექტიური და მრავალმხრივი შემოწმება ესაჭიროება, და „წინასწარმეტყველება“ ბავშის „უნიჭობის“ შესახებ, რომ ის უვარგისი იქნება ცხოვრებაში, გარდა იმისა, რომ ანტიპედაგოგიური მოქმედებაა, რომელიც ბავშზე უდიდეს ზნეობრივ ზეგავლენას ახდენს და მისი განვითარების შესაძლებლობას სპობს, ძალიან ხშირათ არ მარ-

---

*) ამ მხრივ მეტად ტიპიური და დამახასიათებელია რუსეთის ბუმბერაზი მწერლის ლ. ნ. ტ ო ლ ს ტ ო ი ს წარმატების დაფასება სკოლაში ყოფნის დროს, რომელსაც თითქმის ყველა საგანში სუსტი ნიშნები ქონდა, ან ვლ. ი. ლენინის სიმწიფის ატესტატი, სადაც ლოლიკაში, ე. ი. ს წ ო რ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ც ო დ ნ ა შ ი მას მასწავლებელმა მხოლოდ 4 დაუწერა.

თლდება და „უნიჭო“ ბავში დიდ ბუნებრივ „ნიჭს“ იჩენს ცხოვრების სარბიელზე მუშაობის დროს.

ყოველ შემთხვევაში დამტკიცებულია, რომ მასწავლებლები „უნიჭო“ მოწაფეებს უფრო ზუსტად აფასებენ, ვიდრე გონებრივად მდიდრად დაჯილდოვებულებს.

4. ბინე-სიმონის მეთოდი.

ადამიანის „ნიჭის“, ანუ თანდაყოლილი გონებრივი განვითარების ხარისხის გაზომვა მეცნიერულად მხოლოდ მიმდინარე საუკუნის დასაწყისში იყო წარმოებული. მრავალ საშუალებათა შორის, რომელიც იყო ვამონახული, ყველაზე უფრო მარტივი და მიზანშეწონილია ის მეთოდი, რომელიც ეკუთნის საფრანგეთის ფსიქილოგს ალფრედ ბინეს და მის თანამშრომელს ტ. სიმონს. ამ მეთოდს „ბინე-სიმონის ასაკობრივ მენტიმეტრიული სკალა“ ეწოდება („Измерительная скала ума Бине-Симона“). ბინე-სიმონის მეთოდს ამჟამად მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, მას ადამიანის ინტელიგენტობის ხარისხის გამოსარკვევად ყველგან ხმარობენ, მხოლოდ კოტაოდენის ცვლილებების შეტანით მასში.

ბინეს აზრით, ყოველ ასაკს თავისებური გონებრივი განვითარების დონე ახასიათებს, რომლის გაზომვა შესაძლებელია სათანადოთ შერჩეული ტესტების (ამოცანების) საშუალებით. ბინემ და სიმონმა ბავშებზე მრავალრიცხოვანი გამოკვლევა მოახდინეს და „განაწილების მრუდეს“ მიხედვით გამოარკვიეს, თუ როგორი გონებრივი განვითარება უნდა ჩაითვალოს ნორმალურად მიჩნეული ასაკისათვის. ყოველი ტესტი მიკუთვნებული იყო რომელიმე ასაკისათვის (მაგ. 5 წ.). თუ ამ ასაკის ბავშების უმრავლესობამ გამოიყვანა იგი, უმცროსი ასაკის, ბავშების (4 წ.) მხოლოდ უმცირესობამ შესძლო მისი ამოხსნა და მოზრდილი ასაკის (6 წ.) ბავშებმა კი ყველამ. თუ ტესტი ამოხსნა, ბავშების 100%-მა, ეს ნიშნავდა რომ იგი მიჩნეული ასაკისათვის ადვილია და მას აძლევენ უფრო მცირე ასაკის ბავშებს. სწორი პასუხების 50% ნიშნავდა, რომ ტესტი მეტად ძნელია და უფროსი ასაკის ბავშებს უნდა გადაცემოდა ამოსახსნელად. ამ გზით, ბინემ შეიმუშავა ტესტების მთელი რიგი განსაზღვრული ასაკისათვის (17 წლამდე) და 1911 წელს გამოაქვეყნა თავისი „ასაკობრივი სკალა“, რომელშიაც ტესტების შინაარსი ასაკის ზრდასთან ერთან თანდათან რთულდება*). ტესტების შემუშავების დროს

---

*) ბინე-სიმონის მეთოდისა და უკანასკნელის გამოყენების შესახებ იხ: А. Люблинская и А. Макарова: „Измерительная скала ума“ Л. 1926; В. Стерн.

ბინე ბავშების „ნიჭის“ ყოველმხრივ გამომძღავნებას ითვალისწინებდა და ცდილობდა, რომ ტესტების შინაარსი ყოფილიყო ა ხ ა ლ ი, რაც ბავშებს არ შეხვედრია, ან ისეთი, რომელიც ყველა გამოსაცდელ ბავშისათვის ერთნაირად ნაცნობი იქნებოდა (მაგ. ჩვენება: თვალის, ყურის და სხვა). ხსენებული მეთოდით ბავშების გამოკვლევის დროს გამოირკვა, რომ ბავშების უმეტესობა ნორმალურია, ხოლო უმცირესობა კი, ან ჩამორჩენილია გონებრივი განვითარების მხრივ, ან უფრო მაღლა დგას თავის ასაკზე. ბინე—ბავშების განვითარების მხრივ, ორ ასაკს არჩევს: ქრონოლოგიურ, ფაქტიურ, ანუ „პასპორტისა“ და „გონებრივ“ ასაკს*). თუ ორი ბავში 4 წ. და 7 წლის ერთნაირად ასრულებს რომელიმე ტესტს ეს არ ნიშნავს, რომ მათ ერთნაირი ბუნებრივი „ნიჭი“ აქვთ; პირიქით ასეთი მდგომარეობა იმის მაჩვენებელია, რომ 7 წლის ბავში 3 წლით ჩამორჩენილია 4 წლის ბავშზე; თუ ხუთი წლის ბავშმა ამოხსნა მხოლოდ ის ტესტები რომლებიც, ბინეს სკალას მიხედვით, დაწესებულია 3 წლის ბავშისათვის ეს ნიშნავს, რომ მას აქვს 3 წლის „გონებრივი ასაკი“ ე. ი. ჩამორჩენილია ორი წლით. ბიმე-სიმონის მეთოდი საშუალებას იძლევა, რომ დაახლოებული წარმოდგენა ვიქონიოთ ბავშების გონებრივი განვითარების ხარისხის შესახებ. ეს მეთოდი ბუნებრივი ექსპერიმენტს წარმოადგენს, რომლის დროს ბავში ჩვეულებრივ, ბუნებრივ პირობებშია ჩაყენებული (თამაშობა, ჩვეულებრივი საუბარი და სხვა), გარდა ამისა, ბინე-სიმონის მეთოდი მეტად მარტივ ხელსაწყოებს მოითხოვს (სურათები, ფერები და სხვა) და უკანასკნელი გარემოება, მასიური გამოკვლევის წარმოებას ხდის შესაძლებლად: ტესტები მეტად მარტივ დავალებებს წარმოადგენენ და ამის გამო, ბავშის გამოკვლევა ცოტა დროს მოითხოვს. როგორც აღვნიშნეთ, ბინე-სიმონის იდეა ბავშის გონებრივი განვითარების გაზომვის შესახებ, დღეს საყოველთაო ხმარებაშია. მათი ტესტების „ასაკობრივმა სკალამ“ ნხოლოდ ნაწილობრივი შესწორებები მიიღო სხვადასხვა ქვეყნებში. ეს შესწორებები მით გამოიხატება, რომ დამატებული იყო ახალი ტესტები, ან ზოგიერთი ტესტი ერთი ასაკიდან მეორეში გადაიტანეს. მაგრამ, ძირითადი დებულება ბინე'სი ყველგან დარჩა,

---

„Психологические методы испытания умственной одаренности“: (А Шуберт „Краткое описание и характеристика методов определения умственной отсталости детей“.

*) პედოლოგია არკვევს აგრეთვე ბავშის ე. წ. „ფიზიოლოგიურ ასაკს“, ინის მიხედვით, თუ როგორ ნორმებს მიაღწია ბავშმა სხეულებრივი განვითარების მხრივ (წონა, სიმაღლე და სხვა).

როგორც მენტიმეტრიის დიაგნოსტიური საშუალება, რომლითაც მეტად დაახლოებით შეიძლება ბავშის გონებრივი ასაკის გამორკვევა.

5. ტესტები ბავშთა გონებრივი განვითარების გასაზომათ.

ახლადშობილი ბავშის საკმაო გონებრივი განვითარების გამოსარკვევად გერმანელ მკლევარს შ ვ ა ბ'ს შემდეგი ტესტები აქვს შემუშავებული:

ა) დაკვირვებითი ტესტები.

1. ბავშს აქვს: მთქნარება, სლოკინი, ხველება და ყვირილი;
2. თვალის გუგის დაპატარავება უეცარი სინათლის დროს;
3. ხელების, ფეხების და ხელ-ფეხის თითების გაცხოველებული მოძრაობა.

ბ) ექსპერიმენტალური ტესტები.

1. პირში მოხვედრილი საგნის წოვა;
2. ძუძუს მიახლოვების დროს მისი ძებნა პირით;
2. ძლიერი ხმაურობის დროს ტანის შეკრთომა და თვალის უბეების ძაგძაგი;
4. ტკბილი და მწარე იწვევენ დამახასიათებელ მიმიკას.

პროფ. ბ. ბ ლ ო ნ ს კ ი არ იზიარებს შვაბ'ს ზემომოყვანილ სკალას, რადგან უკანასკნელი „არასაკმაოთ გაარჩევს მოდალურ ახლადშობილ ბავშს ნაადრევათ დაბადებულ, ან ნერვიულად დეფექტიურ ბავშისაგან“ და ამიტომ ბლონსკის შემუშავებული აქვს ისეთი ტექსტების სკალა, რომლითაც შეიძლება გამოვარკვიოთ, თუ რამდენად არის ახლადშობილი ბავში „მინუს-ვარიანტი“, ანუ ჩამორჩენილი ყოფა-ქცევის მხრივ;

ბლონსკის აზრით „მინუს-ვარიანტათ“ უნდა ჩაითვალოს ახლადშობილი ბავში თუ:

1. მაქსიმალურად ხანგრძლივი ძილი დღე-ღამეში გძელდება ზედიზედ 4 საათზე მეტი.
2. ბავშს აქვს, ან მაღალი მონოტონური ყვირილი, ან სრულებით არ შეუძლია ყვირილი.
3. სუსტი, წოვა ან წოვის არ ცოდნა.
4. ძლიერი უეცარი ბგერის დროს არ აქვს შეკრთომის რეაქცია.
5. თვალზე სინათლის უეცრად მოხვედრის დროს, გუგა, დაპატარავების 2-3 წუთის შემდეგ, ოდნავ ფართოვდება.
6. არ აქვს რეაქციები უსიამოვნო ძლიერ სუნზე.

ბინე-სიმონის „სკალა“.

ქვემოდ მოგვყავს ბინე-სიმონის „სკალა“ 0—3 წლამდე ტრებიუს, ხოლო 3—17 წლამდე—ბერტის რედაქციით*).

3 თ ვ ე.

(3 ტესტი, თითო 1 თვეს უდრის).

1. მხედველობის კოორდინაცია (ორივე თვალი ერთი მიმართულებით იყურება. თვალს ადევნებს ნათელ მოძრავ საგნებს).

2. სმენა (რეაქციას ახდენს შეკრთომით ან ყვირილით: კარების მოხურვის, ტაშის ცემის და სხვა ძლიერი ხმაურობის დროს. თავს, ან თვალებს ხმაურობის მიმართულებით მიაბრუნებს).

3. მოძრაობათა კოორდინაცია (ხელს ან სათამაშოს სწორედ პირთან მიიტანს. ხელს წაავლებს და უჭერს თითებს ფანქარს ან სხვ.)

6 თ ვ ე.

(3 ტესტი, თითო უდრის 1 თვეს).

1. მოძრაობათა კოორდინაცია (თვითონ აწევს თავს. დახმარებით ზის 10 წუთი და მეტი)

2. დამოუკიდებელი მოძრაობანი (თუ ზის და უნდა დაეცეს ცდილობს ხელი რაიმეს მოჰკიდოს. სათამაშოსა და ახლობელ საგნებისაკენ იწევს. ცდილობს წამოდგომას, თუ ხელს მოჰკიდებენ).

3. სიტყვენება (თამაშობა უფრო ხანგრძლივი და მეტმივია; ეთანაშება უმეტესად სარახუნოს. იცინის, თუ ართობენ, ან ეხუმრებიან).

1. წ ე ლ ი.

(6 ტესტი, თითო უდრის 1 თვეს).

1. მოძრაობის მიბაძვა.

2. ადგილის შეცვლა: (სასურველი საგნებისაკენ ფორთხავს, ან გაჩერებულია სხვების დაუხმარებლად სკამზე მიბჯენით).

3. გაგება (უყურებს ნაცნობ საგნებს, როცა მათი დასახელება ესმის: დედა, ბურთი, ძაღლი და სხვა).

4. შესრულება (ესმის და ასრულებს მარტივ ბრძანებებს: დაჯექი! არ შეიძლება! გამოაფურთხე!).

---

*) იხ. П. П. Блонский: „Педология“ М. 1925 გვ. 304—305 და კრებული: „Методика педологического обследованиядетей школьного возраста“ ბლონსკის რედაქციით გვ. 66—87.

5. მეტყველება (იმეორებს მარტივ მარცვლებს: და, და, მა, მა; ბა, ბა,).

6. ყურადღების ნიშნები (წამოყვირება, უყურებს, ან მიუთითებს საინტერესო საგნებს).

2. წ ე ლ ი.

(6 ტესტი, თითო უდრის 2 თვეს).

1. მეტყველება (სასურველი საქმელის დასახელება).

2. ნახატები ნაცნობ საგნებს მიუთითებს: (ვაჟი, ძაღლი, კატა, ძროხა, ადამიანი).

3. შესრულება („გადააგდე ბურთი კალათში!". „დახურე კარი!", „მოიტანე ბურთი!").

4. მიბაძვა (თამაშობის დროს სხვა ბავშვების მოძრაობას ბაძავს).

5. განსხვავება (კონფექტს ქაღალდს აცილებს, ნამცხვარის ამოსაღებად ქაღალდის პარკს ხსნის).

6. დამოუკიდებელი მოძრაობანი (პირდაპირ სასურველ ადგილისაკენ მიდის).

ბინე-ხიმონის მეტრიული შკალა გონებრივი დაჯილდოვების გამორკვევისათვის (ბერტ'ის რედაქციით).

ტესტები.	შენიშვნები.
3. წელი. 1. ჩვენება. „მაჩვენე შენი: 1) ცხვირი 2) თვალები 3) პირი . . საჭიროა სამი დადებითი პასუხი.	1. კითხვებს აძლევენ ცალ-ცალკე. პასუხი შესაძლებელია ჟესტის სახით (ცხვირის წინ გამოწევა, პირის გაღება და სხვა). დასაშვებია ბავშის გამხნევება და კითხვის გამეორება. ტესტი არკვევს მეტყველების გაგებას.
2. რიცხვების გამეორება. „დაუგდე ყური და გაიმეორე 3—7“ თუ ბავშმა ვერ შესძლო—„6—4“, „7—2“. საჭიროა ერთი დადებითი პასუხი.	2. შეიძლება, ჯერ მხოლოდ ერთი რიცხვის წარმოთქმა და შემდეგ წყვილ რიცხვზე გადასვლა. რიცხვების წარმოთქმა საჭიროა წყნარი ხმით, ხმის, აუმაღლებლად, ურიტმოდ, სიჩქარით—2 რიცხვი წამში. ტესტი გვიჩვენებს გაგონილი სიტყვის გამეორების შეძლებას.
3. ბავშის სქესი. შენ ვაჟი ხარ, თუ ქალი?“ (ვაჟისათვის); „შენ ქალი ხარ, თუ ვაჟი?“ (ქალისათვის). დადებით პასუხად ჩაითვლება: „მე ვაჟი ვარ, ან მე ქალი ვარ “.	3. სიტყვები „ვაჟი“ და „ქალი“ უნდა იყოს თქმული გარკვევით და ერთნაირი გამოთქმით. თუ ბავში იძლევა პასუხს, „კი“ ან „არა“ და სხვა, კითხვა უნდა იქნეს გამეორებული იგივე სახით.
4. გვარი. „შენი გვარი?“ თუ ბავში მხოლოდ სახელს ამბობს, უსვამენ კითხვას: „შემდეგ?“ რა გვარია დედაშენი? და სხვა.	
5. ნაცნობი საგნების დასახელება. „ეს რა არის“?—უჩვენებენ: 1) ფულს, 2) პატარა დანას, 3) გასაღებს. საჭიროა სამი სწორი პასუხი.	არ არის საჭირო ზედმიწევნით ზუსტი პასუხი.
6. სურათების აღწერა. „დახედე ამ სურათს და მომიყევი რა არის დახატული“. თუ ბავში სდუმს, ან ამბობს, „ეს სურათია “, კითხვა უნდა იქნეს გამგე	

ტესტები.	შენიშვნები.
ორებული სხვა ფორმით: „მითხარი, რას ხედავ აქ"- პასუხი დადებითია, თუ ბავში სურათს საგნების დასახელებით აგვიწერს.	
4. წვლი.	
7. 6-მარცვლოვანი ფრაზის გამეორება. „შეგიძლია თქვა: მე მინდა ჭამა-სმა? აბა გაიმეორე" თუ ბავში სდუმს, დაიწყეთ ორი მარცვლიდან: „აბა, ჩემთან ერთად გაიმეორე „მამა . . ჩემი ქუდი . . . მე ძალიან მცივა"	7. სიტყვები გარკვევით და წყნარად წარმოთქვით. გამოტოვება და დამახინჯება შეცდომად ითვლება, ცუდი გამოთქმა არა. თუ ბავშმა პირველი ფრაზა სწორად გაიმეორა, მას დანარჩენ ფრაზებს არ აძლევენ.
8. სამი რიცხვის გამეორება. ყური დამიგდე და გაიმეორე: 1) 9—1—4. 2) 2—8—6. 3) 5—3—9. საჭიროა ერთი სწორი პასუხი.	8. ტესტის ამოხსნის პირობები იგივეა, რაც № 2-ში. თუ პირველი პასუხი სწორია, მეორე და მესამე მაგალითს ბავშს არ აძლევენ.
9. ფულის ანგარიში. მაგიდაზე 4 მანეთი ან 4 კაპიკია. „ხედავ ამ ფულებს? დათვალე და მითხარი რამდენია?" შეცდომა არ არის დასაშვები.	9. ფულები მაგიდაზე ერთი-მეორეს გვერდით აწყვია. საჭიროა, რომ ბავშმა ჯერ მითითებით დასთვალოს და არა უცბათ დაასახელოს რომელიმე რიცხვი. ტესტი რიცხვების რიგზე ჩამოთვლის ცოდნას გვიჩვენებს.
10. ორი ხაზის შედარება. „ხედავ ამ ხაზებს? მითხარი, რომელი უფრო გრძელია?" პასუხი უყოყმანოდ უნდა იყოს სწორი.	10. ხაზები დახატულია მელნით თეთრ ქაღალდზე, მათი სიგრძე 6 და 5 სანტ., მანძილი მათ შორის—3 სანტ. კითხვის გამეორება დაუშვებელია.
11. პირისახეების შედარება. ბავშს უჩვენებენ წყვილად ექვს პირისახეს. „ამ ორი პირისახესაგან რომელი უფრო ლამაზია?" საჭიროა სამი სწორი პასუხი.	11. დასაშვებია კითხვის გამეორება. ტესტი არკვევს ესთეტიური გრძნობის განვითარებას ბავშში (პირისახეები შერჩეულია ასე: ლამაზი და მახინჯი).(იხ. სურათი მეორე გვერდზე).

ტესტები.	შენიშვნები.
5 წელი. 12. ერთდროულად სამი დავალების შესრულება. „აი გასაღები. დადევი იგი მაგიდაზე. შემდეგ კარები დახურე, შემდეგ მომიტანე წიგნი, რომელიც სკამზეა კარებთან. გაიგე? ჯერ გასაღები მაგიდაზე დადევი; შემდეგ კარები დახურე, შემდეგ წიგნი მომიტანე". ტესტი ამოხსნილია, თუ ბავში სამივე დავალებას შეასრულებს.	12. დასაშვებია სამი სხვაგვარი დავალება, მაგრამ ასეთი მარტივი და ადვილად შესასრულებელი უნდა იყოს. თუ შესრულების დროს ბავში მერყეობს არ არის დასაშვები კითხვები, „აბა შემდეგ რა არის! ", „რა დაგავიწყდა?" და სხვა.



ტესტები.	შენიშვნები.
13. კვადრატის გადმოხატვა. ბავშს უჩვენებენ კვადრატს 3×4 კვ. სანტიმ. რომელიც დახატულია მელნით მუყაოზე და სთხოვენ მის გადმოხატვას. ტესტი შესრულებულია, თუ ბავშმა კვადრატის ფორმა გადმოხატა (და არა სიდიდე).	13. საჭიროა ბავშმა გადმოხატოს მელნით და არა ფანქრით.
14. 10-მარცლოვანი ფრაზის განმეორება. „ყური დამიგდე და გაიმეორე". 1) ეს ვანოა. ის მეტად ცელქია. 2) წადი სკოლაში, ხომ გესმის ზარი. 3) დედა შინ არის, აკეთებს საქმელს. საჭიროა ორი სწორი პასუხი.	14. იხ. ტესტი № 7.
15. ასაკი. „რამდენი წლის ხარ?" საჭიროა სწორი პასუხი (წლებში).	15. თუ ბავში უსწორო პასუხს იძლევა შეიძლება შეეკითხოთ: „რამდენი წელი შეგისრულდა?"
16. განსხვავება დილასა და შუადღის შორის. „ეხლა დილაა თუ შუადღე?" (თუ დილაა) და „ეხლა შუადღეა, თუ დილაა?" (თუ შუადღეა).	16. დასაშვებია კითხვის გაბეორება.
17. ოთხი ძირითადი ფერის დასახელება. ბავშს უჩვენებენ რიგზე ოთხ ფერად ქაღალდს 2×6 სანტიმ. (წითელი, მწვანე, ლურჯი, ყვითელი) და კითხავენ: „ეს რა ფერია?" საჭიროა ოთხი ფერის ცოდნა.	17. ტესტი გრძელდება 6 წუთი.
18. რიცხვების გამეორება. ყური დამიგდე და გაიმეორე: 1) 3—6 —8—1; 2) 5—7—4—9: 3) 8—5—2—6; საჭიროა ორი სწორი პასუხი.	18. იხ. ტესტი № 2.

ტ ე ს ტ ე ბ ი.	შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.
19. ო რ ი ს ი მ ძ ი მ ი ს შ ე დ ა რ ე ბ ა. ბავშის წინ არის ორი კოლოფი 3 და 12 გრამიანი. „ხედავ ამ კოლოფებს, მითხარი რომელი უფრო მძიმეა?“ ივივე მეორდება 6 და 15 გრამიანი კოლოფებზე. საჭიროა ორი სწორი პასუხი.	19. საჭიროა, რომ ბავშმა, ან ერთ ხელში აიღოს თითოეული კოლოფი, ან ერთდროულად ორივე ხელში დაიჭიროს კოლოფები და გვითხრას თუ რომელი უფრო მძიმეა.
6 წ ე ლ ი.	
20. თ ი თ ე ბ ი ს რ ი ცხ ვ ი. „რამდენი თითი გაქვს მარჯვენა ხელზე? მარცხენაზე? რამდენი თითი გაქვს ორივე ხელზე?“ ბავშმა სწრაფად და სამივე შემთხვევაში სწორად უნდა გვიპასუხოს.	20.
21. 13 ე რ თ გ ვ ა რ ო ვ ა ნ ი ს ა გ ნ ი ს დ ა თ ვ ლ ა: მანეთების, კაპიკების, წუმწუმების და სხვა. შეცდომა თვლაში დაუშვებელია.	21.
22. რომბის ვადმოხატვა. „გადმოხატე ეს“. გვერდების სიდიდე—4 სანტიმ. მნიშვნელობა აქვს რომბის ფორმის და არა სიდიდეს ვადმოხატვას.	22.
23. გ ა დ მ ო წ ე რ ა. ბავში მელნით ვადმოიწერს: „ეს ბავში ვანოა“. ტესტი ამოხსნილია, თუ გადმოწერილს წაიკითხავს, ადამიანი, რომელმაც წინედ არ იცოდა ტექსტი.	23. გადმოსაწერი ფრაზა უნდა იყოს გარკვეით დაწერილი მელნით.
24. კ ვ ი რ ი ს დ ღ ე ე ბ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა. „აბა, დამისახელე კვირის დღეები“. ტესტი ამოხსნილია, თუ ბავში პასუხს შეუცდომლად გაბედულად იძლევა.	24. თუ ბავშმა არ იცის როგორ დაიწყოს, შეიძლება გავახსენოთ: ორშაბათი.

ტ ე ს ტ ე ბ ი.	შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.
25. ო თ ხ ი ფ უ ლ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა: მაგიდაზეა შაურიანი, აბაზიანი, მანეთიანი და ჩერვონციანი. „ეს რა არის?“ თუ ბავშვი გვიპასუხებს: „ფული“—უნდა ვკითხოთ: „კი, მაგრამ რამდენია?“	25. ბავშს ფულს ხელში არ აძლევენ.
26. მ უ ყ ა ო ს გ ა ყ ო ფ ი ლ ი ს წ ო რ კ უ თ ხ ე დ ი ს ა წ ყ ო ბ ა. ბავშის წინ არის ორი სწორკუთხედი (6—9 სანტ.); ერთი მათგანი გაკრილია დიაგონალით და სამკუთხედები ჰიპოტენუზებით არიან ერთმანეთისაგან დაცილებული. „შეაერთე ეს ორი განაკვეთი ისე, რომ აიწყოს ამის მსგავსი ფიგურა“ (მიუთითებენ გაუკრელ მუყაოს სწორკუთხედზე.) ტესტი ამოხსნილია, თუ სამკუთხედები სწორად არიან შეერთებული.	26. ტესტის მიზანია—ბავშის საკომბინაციო უნარის განვითარების აღრიცხვა.
27. კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი ს გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა. „რა არის: 1) ცხენი?.. 2) სკამი?.. 3) სკოლა?.. 4) მაგიდა?.. 5) ჩქიფი?..“ საჭიროა, რომ სამი პასუხი (ხუთიდან) იყოს სწორი.	27. დასაშვებია ასეთი განმარტებები: „მაგიდა—ეს რაზედაც სადილობენ“, „ცხენი—რომ იმგზავრო“ და სხვა.
28. რ ი ც ხ ვ ე ბ ი ს გ ა მ ე ო რ ე ბ ა. „ყური დამიგდე და გაიმეორე“, 1) 5—2—9—4—7; 2) 6—3—8—5—2; 3) 9—7—3—1—8.	28. იხ. ტესტი № 2.
29. ს უ რ ა თ ე ბ ი ს ა ღ წ ე რ ა. „დახედე ამ სურათს და მომიყევი რას ხედავ მასზე.“ აღწერის დროს ბავში უნდა ხმარობდეს მოქმედების, ან თვისებების გამომხატველ ფრაზებს. საჭიროა სამი სურათის აღწერა.	29. იხ. ტესტი № 6.

ტ ე ს ტ ე ბ ი.	შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.
30. 16-მ ა რ ც ვ ლ ო ვ ა ნ ი ფ რ ა ზ ი ს გ ა მ ე ო რ ე ბ ა. „ყური დამიგდე და გაიმეორე.“: 1) ჩვენ მივდივართ სასეირნოდ, გთხოვთ გვათხოვოთ თქვენი ქუდი. 2) ნინოს აქვს ბაბუას ნაყიდი წითელი თავსაფარი. 3) დედამ გააკეთა კარგი სადილი და უცდის შვილებს. საჭიროა ორი სწორი პასუხი.	30. იხ ტესტი № 7.
31. მ ა რ ჯ ვ ე ნ ა დ ა მ ა რ ცხ ე ნ ჯ მ ბ ა ი ს გ ა რ ჩ ე ვ ა. 1) მიჩვენე შენი მარჯვენა ხელი 2) მიჩვენე შენი მარცხენა ყური . ტესტი ამოხსნილია, თუ სწორია ორივე პასუხი.	31. დაუშვებელია კითხვების გამეორება. დასაშვებია, როცა ბავში თვითონვე ასწორებს შეცდომას.
7 წ ე ლ ი. 32. დ ა უ ბ ო ლ ო ე ბ ე ლ ი ს უ რ ა თ ე ბ ი. ბავშს უჩვენებენ ოთხ პირისახეს: უპირო, უცხვირო, უთვალო და უხელოს. „შეხედე ამ პირისახეს. მითხარი, აქ რა აკლია?.“ თუ ბავში გვიპასუხებს: „ფეხები აკლია„„ ეეკითხებით „არა პირისახეზე?“ საჭიროა სამი სწორი პასუხი. (იხ. სურათი მეორე გვერდზე.)	32. დაუშვებელია ბავშის დახმარება.
33. ს ა მ ი მ ა ნ ე თ ი ა ნ ი ს ა დ ა ს ა მ ი ა თ შ ა უ რ ი ა ნ ი ს შ ე კ რ ე ბ ა. „დათვალე ეს ფული და მითხარი სულ რამდენია.“ თუ ფულები არ არის, ეკითხებიან: „რამდენი გეკნებოდა სულ ფული, რომ გქონდეს სამი მანეთი და სამი ათიშაური.“ კითხვის გაუმეორებლად პასუხი სწორი უნდა იყოს.	33. ტესტის ამოხსნა უნდა გაგრძელდეს არა უმეტეს 10 წამისა.

ტესტები.	შენიშვნები.
34. განსხვავების აღნიშვნა კონკრეტულ საგნებს შორის. 1) „შენ ფინახავს პეპელა“?—კი. „ბუზი?—კი ეს ერთი და იგივეა, პეპელა და ბუზი?,—არა. „რატომ არ არის ერთი და იგივე?“ ან „რა განსხვავებაა პეპელსა და ბუზს შორის?“. იგივე კითხვები უნდა დაისვას: 2) ფიცარსა და მინას შესახებ. 3) ქაღალდსა და ქსოვილის შესახებ. თუ ბავში აღნიშნულ საგნებს არ იცნობს, მაშინ აძლევენ: 1) რძე—წყალი, 2) ფიცარი—რკინა, 3) ქვა—კვერცხი და სხვა. საჭიროა ორი სწორი პასუხი (სამიდან).	34. ბავშმა უნდა აღნიშნოს რაიმე განსხვავება, თუ გინდ არა არსებითი. პასუხი „ბუზი—ბუზია, პეპელი-კი პეპელია“—არადამაკმაყოფილებელია.

ტ ე ს ტ ე ბ ი.	შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.
35. კ ა რ ნ ა ხ ი. დასწერე ამ ფურცელზე: „ის სახლებს ხატავს“. ტესტი ამოხსნილია, თუ სიტყვები დაწერილია განცალკევებით და გასარჩევად.	35. დასაშვებია მხოლოდ მთლიანი ფრაზის გამეორება.
8 წ ე ლ ი 36. კ ი თ ხ ვ ა დ ა წ ა კ ი თ ხ უ ლ ი ს დ ა მ ა ხ ს ო ვ რ ე ბ ა. „წამიკითხე ეს. (წაკითხვის ორი წამის შემდეგ) მომიყევი რა წაიკითხე“. ტესტი: სამი სახლი ცეცხლში. მოსკოვი 5 სექტემბერი. „წასულ ღამეს ძლიერმა ხანძარმა მოსპო სამი სახლი ქალაქის ცენტრში. უბინოდ არის ამჟამად ოცი ოჯახი. ზარალი 150 ათას მანეთს აღემატება. ერთმა ცეცხლის მჭრობელმა აკვნიანი ბავშის გადარჩენის დროს მეტად დაიწვა ხელები.“ ტესტი ამოხსნილია. თუ შინაარსის გადმოცემის დროს გამოთქმულია ორი აზრი.	36 თუ ბავშვმა კითხვა არ იცის, ტესტი ამოხსნილად არ ჩაითვლება.
37. პ ა ს უ ხ ე ბ ი ა დ ვ ი ლ კ ი თ ხ ვ ე ბ ზ ე. 1) „წარმოიდგინე, რო შენ მატარებლით უნდა წახვიდე. თუ მატარებელზე დაიგვიანე, როგორ მოიქცევი?“. 2) „როგორ მოიქცევი თუ გატეხე სხვისი ნივთი (ფიალი)?“ 3) „როგორ მოიქცევი, თუ მეგობარმა, რომელთანაც შენ თამაშობდი არა განძრახ დაგარტყა?“ საჭიროა ორი სწორი პასუხი.	37. დაუშვებელია კითხვების გამეორება და პასუხის კარნახი. ამ ტესტის პასუხები ოქმში სიტყვა სიტყვით უნდა იყოს ჩაწერილი.

ტ ე ს ტ ე ბ ი.	შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.
38. უკუ-თვლა 20-დან 1-მდე. „ეენ იცი თვლა 1, 2, 3 და ასე შემდეგ? შეგიძლია თუ არა უკუ-თვლა? დაიწყე 20-დან და წადი ერთისაკენ." თუ ბავშვმა ვერ გაიგო: „დათვალე ასე: 20, 19. 18. დასაშვებია მხოლოდ ერთი შეცდომა.	38.
39. დ ღ ი ს ს რ უ ლ ი თ ა რ ი ღ ი. „დღეს რა დღეა?" „რომელი თვეა?" „რა რიცხვია?", „რომელი რიცხვია?" დასაშვებია რიცხვში შეცდომა 3 დღის ფარგლებში.	39. თუ ბავშვმა პირველი კითხვა ვერ გაიგო, შეიძლება ასე ვკითხოთ: „დღეს ორშაბათია, თუ რა არის?"
40. ხ უ რ დ ა. „პურის საყიდლ·დ დედამ შენ დუქანში გაგაგზავნა, მოგცა 25 კაპიკი., პურში მიეცი 7 კაპ. რამდენ ხურდას მოუტანს უკან დედას?" საპიროა სწორი პასუხი.	40.
41. რ ი ც ხ ვ ე ბ ი ს გ ა მ ე ო რ ე ბ ა. „დამიგდე ყური და გაიმეორე: 1) 2—5—0—3—6—4;) 2) 8—5—3 9—1—6; 3) 4—7—1—5—8—2. საპიროა ორი სწორი პასუხი.	41. იხ. ტესტი № 2. დასაშვებია ციფრების გადასმა.
9 წ ე ლ ი. 42. თ ვ ე ე ბ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა. „დაშისახელე წელიწადის ყველა თვე". ტესტი 15 წუთი გრძელდება. დასაშვებია ერთი გამოტოვება, ან ერთი გადასმა.	42. თუ ბავში ვერ ხვდება, თუ რას მოითხოვენ მისგან, შესაძლებელია დავიწყოთ: „იანვარი... შემდეგ?"
43. 9 ხ მ ა რ ე ბ ა შ ი მ ყ ო ფ ი ფ უ ლ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა. მიუთითებენ თითეულზე და კითხავენ: „ეს რა არის?" (კაპიკი, 3 კაპიკი, შაური, ორი შაური, სამი შაური, აბაზი, ათი შაური, მანეთი, ჩერვონეცი). ტესტი აღმოხსნილია თუ ყველა პასუხი სწორია.	43. ფულები მაგიდაზე არის; დაუშვებელია მათი ხელში აღება.

ტ ე ს ტ ე ბ ი.	შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.
44. კ ი თ ხ ვ ა დ ა წ ა კ ი თ ხ უ ლ ი ს დ ა მ ა ხ ს ო ვ რ ე ბ ა. „წაიკითხე ეს და მომიყევი რა წაიკითხე". ტესტი და მეთოდიკა იგივეა, რაც ტესტში № 36. ტესტი ამოხსნილია, თუ ბავშმა ტექსტის 6 აზრი გადმოსცა.	44. გადმოცემის დროს დასაშვებია კითხვა: „კიდევ რა არის?"
45. კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი ს გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა, არა მათი მოხმარებაზე მითითებით (იხ. ტესტი № 27), არამედ უფრო სწორი სახით: გვარზე მითითება, აღწერა (ფერი, სიდიდე, ანაგობა და სხვა). საჭიროა სამი სწორი პასუხი (ხუთიდან).	45. იხ. № 27 ტესტის მასალა. სანიმუშო პასუხები. „ცხენი—ცხოველია, რომელიც ატარებს ეტლს". „მაგიდას აქვს ოთხი ფეხი და საბურავი, გაკეთებულია ხიდან" და სხვა.
10 წ ე ლ ი. 46. ნ ს ი მ ძ ი მ ი ს რ ი გ ზ ე დ ა წ ყ ო ბ ა. (წონის გამორკვევა) „ხედავ ამ კოლოფებს? მათი გარეგნობა ერთნაირია, მაგრამ წონა—სხვადასხვა: ზოგი უფრო მძიმეა, დანარჩენი უფრო მსუბუქი. მოძებნე ყველაზე მძიმე კოლოფი და დადეი იგი აქ, მაგიდაზე. შემდეგ მოსახე ოდნავ უფრო მსუბუქი და დადეი მის გვერდით. შემდეგ მოძებნე კიდევ უფრო მსუბუქი და ისიც გვერდით დადეი. ბოლოს, დადეი აქ ყველაზე უფრო მსუბუქი. „გაიგე?" თუ ბავშმა გაიგო ეუბნებიან: „აბა დაიწყე", თუ არა—ტესტის პირობას იმეორებენ. ბავშმა ეს ცდა სამჯერ უნდა გაიმეოროს. სამი ცდისაგან—ორი შეუცდომელათ უნდა იყოს შესრულებული. ტესტის ხანგრძლივობა—3 წამი.	46. საჭიროა ხუთი ერთნაირი, პატარა კოლოფი, ერთი და იგივე ფერის და სიდიდის. კოლოფები სავსეა საფანტით, პატარა ქვებით და სხვა, და სხვადასხვა წონის არიან, სახელდობრ: 3, 6, 9, 12, 15 გრამი, ან 6, 9, 12, 15, 18 გრამი. კოლოფებს ერთმანეთში აურევენ და ბავშის წინ დაანწყობენ. კოლოფის წონა დაწერილია კოლოფის მეორე გვერდზე წვრილი ციფრებით, რომ ბავშმა არ იცოდეს და არ შენიშნოს ეს. პირველი ცდის შემდეგ კოლოფებს კვლავ ერთმანეთში აურევენ.

ტ ე ს ტ ე ბ ი.	შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.
47. ს ა მ ი ს ი ტ ყ ვ ი ს ა გ ა ნ ფ რ ა ზ ი ს შ ე დ გ ე ნ ა. „მე მოგცემ სამ სიტყვას და შენ ფრაზა (წინადადება) შემიდგინე ისე, რომ ეს სიტყვები ამ ფრაზაში შედიოდენ. სიტყვები შემდეგია: ქალაქი—მდინარე—ფული. აი ქალალდი. დასწერე ფრაზა (წინადადება), რომელშიაც სამივე სიტყვა უნდა იყოს. ტესტი დადებითად ამოხსნილად ჩაითვლება მაშინაც კი, თუ ბავში ორ ცალკე აზრს შეადგენს. მაგალითად: „ქალაქი არის მდინარეზე;“ „მე ფული მაქვს“. უარყოფით პასუხად უნდა ჩაითვალოს ასეთი ამოხსნა: „მე ვცხოვრობ ქალაქში. აი მდინარე. მე მაქვს ფული“. თუ ბავში სამივე სიტყვას ერთ აზრში მოიყავსებს („მდინარეზე მდებარე ქალაქში მე ფული დავკარგე“) ამოხსნილად ჩაითვლება, როგორც მოცემული ტესტი, აგრეთვე ტესტი № 53 11 წლისათვის.	47. სიტყვა „ფრაზას“ მაგიერ შეიძლება ვიხმაროთ „წინადადება“—თუ ბავში ამ სიტყვასაც ვერ გაიგებს, არ არის საჭირო მისი განმარტება და ტესტი ამოუხსნელად უნდა ჩაითვალოს. თუ ბავშმა ვერ გაიგო მისგან რას მოითხოვენ, შესაძლებელია კითხვის გამეორება, ხოლო დაუშვებელია ფრაზის შედგენაში დახმარება.
48. დ ა მ ა ხ ს ო ვ რ ე ბ ი თ ხ ა ტ ვ ა. „დაუკვირდი ამ ორ სურათს და შემდეგ დამიხატე. უყურე მათ რამოდენიმე წუთი, შემდეგ-კი მე ამ სურათებს წავიღებ. (10 წუთის შემდეგ) დაიმახსოვრე. ეხლა სცადე მათი დახატვა“. ტესტი ამოხსნილად ითვლება, თუ ერთ-ერთი სურათი შესრულებულია სავსებით ზუსტათ, მეორე-კი—ნახევრად ზუსტად.	48. სანამ სურათებს ვუჩვენებდეთ, საჭიროა ბავშის გაფრთხილება, რომ ის ცოტა ხანს უყურებს მათ და შემდეგ მახსოვრობით უნდა დახატოს. ქალალდსა და ფანქარს ბავშს წინასწარ აძლევენ.
11 წ ე ლ ი.	
49. შ ე უ ს ა ბ ა მ ო ბ ა თ ა ა ხ ს ნ ა (ჯრაზების კრიტიკული გარჩევა). „ყურადღებით მოისმინე, რაც წავიკითხო. ის რასაც წავიკითხავ—სისულელეა, შეუსაბამობაა. დამიგდე ყური და მითხარი სად არის აქ შეუსაბამობა (შეცდომა)?“	49. ტესტის მიზანია—ბავშის კრიტიკული უნარის ხარისხის გამოკვლევა. ყოველ ფრაზას კითხულობენ წყნარად, გარკვეული კილოთი და წაკითხვისთანვე, უცბად სცვლიან ინტონაციას და ბავშს ეკითხებიან „სად არის აქ შეუსაბამობა?“

ტ ე ს ტ ე ბ ი.	შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.
1. „ერთხელ ერთმა ველოსიპედისტმა თავი მოიტეხა და იქვე გარდაიცვალა. ის წაიყვანეს საავადმყოფოში; შიშობენ, რომ ის არასოდეს არ გაჯანსაღდება“. სად არის აქ უაზრობა?	
2. „მე მყავს სამი ძმა: იაშა, კოლია და მე“. სად არის აქ უაზრობა?	
3. „გუშინ მოხდა მატარებლის დამსხვრევა, მაგრამ არა სერიოზული: მოკვდა მხოლოდ 48 კაცი“. სად არის აქ სისულელე?	
4. „ტყეში საბრალო ქალაშვილის გვამი 18 ნაწილად გაპრილი ნახეს. ამბობენ, რომ მან თვითონ მოიკლა თავი“. სად არის აქ უაზრობა?	
5. „ერთმა ადამიანმა სთქვა: თუ მე ოდესმე თავი მოვიკალი, არასოდეს არ ა"ოვირჩევ ამისათვის პარასკევს, რადგან პარასკევი უბედური დღეა და უბედურებას მომიტანს“. რა არის სისულელე ამ ადამიანის სიტყვებში? ტესტი ამოხსნილათ ითვლება, თუ ბავშმა სამი სწორი პასუხი გასცა.	
50. პ ა ს უ ხ ე ბ ი ძ ნ ე ლ კ ი თ ხ ვ ე ბ ზ ე (მოსაზრების გასინჯვა).	
1. „მითხარი, როგორ უნდა მოიქცე, თუ სკოლაში მიდიხარ და ატყობ, რომ გაგვიანდება?	50. სწორი პასუხი: „საჭიროა აჩქარება, საჭიროა სირბილი“ და სხვა.
2. „რა უნდა თქვა, თუ გეკითხებიან იმ ბავშის შესახებ, რომელსაც შენ კარგად არ იცნობ?	სწორი პასუხი: „არ ვიცი, არაფერი არ უნდა თქვა, უნდა გაჩუმდე“ და სხვა.
3. „წარმოიდგინე, რომ რომელიმე ბავში შენ ცუდათ მოგეპყრო; რატომ არის, რომ შენ უფრო ადვილად აპატიებ მას, თუ გულმოსული იყო, ვიდრე მაშინ, თუ ის არ იყო გულმოსული?“	სწორი პასუხი: „განრისხების დროს ადამიანმა არ იცის, რას შვრება. როდესაც ადამიანი გულმოსულია, ის პასუხს არ აგებს თავის მოქმედებაში“ და სხვა.
4. „რატომ უნდა ვიმსჯელოთ ადამიანის შესახებ იმის მიხედვით, თუ რას აკეთებს ის და არა იმის მიხედვით,	სწორი პასუხი: „რადგან სიტყვები გვატყუებს. საქმეები კი — სიმართლეა“.

ტ ე ს ტ ე ბ ი.	შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.
თუ რას ამბობს ის თავისი თაეის შესახებ?“	
5. „როგორ უნდა მოიქცე, სანამ გადაწყვეტდე რომელიმე მნიშვნელოვანი (სერიოზული, დიდი) საქმის ასრულებასე?“	
საპიროა სამი სწორი პასუხი.	
51. 150 სიტყვა 3 წამში.	
„გაქლევ სამი წამის ვადას და ამ დროს რაც შეიძლება ბევრი სიტყვა მითხარი. გუშინ ერთმა ბავშმა მითხრა 200 სიტყვა, შენ კი ეცადე, რომ უფრო მეტი სთქვა. თქვი ყველაფერი რაც იცი და რაც გაგახსენდება: სახლი, ბაღი, ყუთი და სხვა. მზად ბარ? აბა, დაიწყე!“ ტესტი ამოხსნილია, თუ ბავშმა არა ნაკლები 60 სიტყვისა წარმოსთქვა. მთლიანი ფრაზები და რიცხვების ჩამოთვლა (1... 2... 3..) დაუშვებელია.	
52. რ ი ც ხ ვ ე ბ ი ს გ ა მ ე ო რ ე ბ ა.	
„დამიგდე ყური და გაიმეორე:“	
1. 9—6—8—4—7—5—1;	
2. 4—8—2—0—3—6—5;	
3. 5—9—2—8—1—3—6;	
საპიროა ერთი სწორი პასუხი.	
53. ს ა მ ი ს ი ტ ყ ვ ი დ ა ნ ფ რ ა ზ ი ს შ ე დ გ ე ნ ა.	
„მე მოგცემ სამ სიტყვას და შენ იმათგან ფრაზა შემიდგინე. ეს სიტყვებია: ქალაქი—მდინარე—ფულიო“.	
საპიროა ერთი მთლიანი ფრაზა.	
12 წ ე ლ ი.	
54. რ ი თ მ ე ბ ი.	
„იცი რა არის რითმა? თუ ორი სიტყვა დაბოლავებულია ერთნაირი ბგერით, ეს არის რითმა. მაგ., „ხელი“ —„ცელი“: ორივე სიტყვას აქვს დაბოლოება „ელი“ „ბალი“ და „ნალი“ —რითმებია. და სხვა. გიგე? აბა, ეხლა გაიხსენე სამი სიტყვა, რომელიც ერითმება სიტყვას „სიარული“? იფიან: „საქმეები თვითონ მეტყველებენ თავის შესახებ, სიტყვები არ არიან საიმედო“.	
სწორი პასუხი: „უნდა გაეცნო საქმეს“ „უნდა მოიფიქრო“ და სხვა.	
51. სიტყვა „დაიწყეს“ შემდეგ, გამომკვლევი დანიშნავს დროს და დასწერს ქაღალდზე, ან სიტყვებს, ან სიტყვების რიცხვს წერტილებით, ან ხაზებით აღნიშნავს. გარდა ამისა საპიროა აღინიშნოს სიტყვების რაოდენობა 1, 2 და 3 წამში.	
ტესტი ბავშის სიტყვების მარაგს და ამ სიტყვების შინაგან დაკავშირებას აღრიცხავს.	
განყენებული სიტყვები და სიტყვათა სერიები მიგვითითებენ მაღალ ინტელექტუალურ ხარისხზე. დასაშვებია ბავშის წაკეზება: „აბა, კიდევ... ნევდეგ“ და სხვა.	
52. იხ. ტესტი № 2 მეთოდიკა.	
53. იხ. № 47.	
54. იგივე სიტყვა უარყოფითი ნაწილაკით არა (სიარული,—არა სიარული) დადებით პასუხად არ ითვლება. ბავშის სიტყვები ოქმში იწერება.	

ტ ე ს ტ ე ბ ი.	შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.
ქრე ჩქარა: გეძლევა 1 წამი".	
55. სიტყვების სათანადოთ დალაგება. (ფრაზას რეკონსტრუქცია) „დაალაგეთ ეს სიტყვები რიგზე ისე, რომ მათ ფრაზა შეადგინონ: 1) იცავს პატრონს ძაღლი კარგი მამაცად. 2) ჩემს ვთხოვე რვეულის მე მასწავლებელს გასწორება. 3) წავედით ამ ადრე ჩვენ დილით აგარაკზე.	55. ყოველ ფრაზაზე 1 წამი ეძლევა. სწორი პასუხები: კარგი ძაღლი პატრონს მამაცად იცავს. მე ჩემს მასწავლებელს რვეულის გასწორება ვთხოვე. ამ დილით ადრე ჩვენ აგარაკზე წავედით.
56. სურათების აღწერა-განმარტება. სურათის აღწერის დროს ბავშმა უნდა გადმოგვცეს სიუჟეტი და ის გრძნობები, რომლებსაც ბადებს ეს სურათი.	56. იხ. ტესტი № 6.
13 წელი.	
57. შთაგონებისადმი წინააღმდეგობა. ბავშს უჩვენებენ ექვს ფურცელს, რომლებზედაც დახატულია 6 წყვილი ხახი. პირველ 3 ფურცელზე მარჯვენა ხახი ცოტა უფრო გრძელია მარცხენა ხახზე, დანარჩენ ფურცლებზე კი — ორივე ხახები თანასწორია. პირველი 3 წყვილის შესახებ: „ამ ორ ხახში რომელი უფრო გრძელია?„ უკანასკნელი სამი წყვილის შესახებ: „აქ რომელი უფრო გრძელია." ტესტი ამოხსნილია, თუ 3 თანასწორი წყვილი ხახისაგან, ორი მაინც არის გარკვეული.	57.
58. ცხოვრების ამოცანათა ამოხსნა. შეგიძლია, თუ არა, მიპასუხო ამ ამოცანებზე:	58. ტესტი უნდა იქნეს წაკითხული აუჩქარებლივ, წყნარი ხმით. სწორი პასუხი: „ადამიანმა თავი დაიხრჩო»· ჩამოხრჩობილი და სხვა.

ტ ე ს ტ ე ბ ი.	შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.
1) „ერთი ქალი, რომელიც ხშირ-ხეებიან ბაღში სეირნობდა, საშინლად შეშინდა და გაჩერდა. შემდეგ ის ახლობელ მილიციელთან გაიქცა და უთხრა, რომ მან ხის შტოზე... (პაუზის შემდეგ) როგორ ჰფიქრობ, რა ჰნახა მან ბაღში?“	
2) „ჩემს მეზობელს სამი სტუმარი ჰყავდა. ჯერ მოიხმეს მილიციელი, შემდეგ ექიმი, შემდეგ ეტლი... (პაუზის შემდეგ). რა მოხდა იქ?“	სწორი პასუხი: „რაიმე შემთხვევა.“ ბინეს ტესტებშია: ექიმი, ნოტარიუსი, მღვდელი; პასუხი; „ის კვდება“, „ძალიან ავად არის“ და სხვა.
საჭიროა ორივე ამოცანის ამოხსნა.	
14 წელი.	
59. 26-მარცვლოვანი ფრაზის გამეორება. „დამიგდე ყური და გაიმეორე: 1) ჩემი უმცროსი ძმა ვანო მხიარულად ატარებდა ზაფხულის თვეებს; ის იპერდა თევზს. 2) ზაფხულობით ქალაქში დიდი სიცხეა: ამიტომ ჩვენი ოჯახი მიდის აგარაკზე. 3) ამ უკანასკნელ წლებში ბევრი სკოლა გაიხსნა; იგი აძლევს ხალხს განათლებას და ცოდნას“. საჭიროა ერთი სწორი პასუხი.	59. იხ. ტესტი № 7. ფრაზის გამეორება სიტყვა-სიტყვით უნდა ხდებოდეს. სიტყვების გადასმა დასაშვებია; დაუშვებელია გამოტოვება. თუ ბავშმა სწორად გაიმეორა პირველი ფრაზა, მეორე და მესამე ფრაზას მას აღარ აძლევენ.
60. განყენებული (აბსტრაქტული) ტერმინების განმარტება. შეგიძლია მიპასუხო რა არის: 1) დაჯერება . . 2) სამართლიანობა 3) ხრდილობა . საჭიროა ორი სწორი პასუხი.	60. პასუხი დამაკმაყოფილებლად ითვლება იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ბავში იძლევა კონკრეტულ განმარტებას.
15 წელი.	
61. გამოკრა დახატვა. ბავშს ჭრიენებენ ორ ფურცელ ქაღალდს (15 კვ. სანტ.) ერთი რჩება მაგიდაზე გაშლილად, მეორეს-კი ჭკე-	61. აკრძალულია ქაღალდის ხელში აღება; აგრეთვე-მეორე ფურცლის ცდისათვის დაკეცა. ბავშის ნახატში უნდა იყოს ორი რომბი, რომელიც

ტ ე ს ტ ე ბ ი.	შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.
ცავენ ჯერ ორად, შემდეგ ოთხად მეორეჯერ ნაკეცზე ხატავენ პატარა სამკუთხედს (სიმაღლით 1 სანტ.) რომლის ფუძედ არის ქაღალდის ნაკეცი. „აი ოთხად დაკეცილი ფურცელი ქაღალდი. წარმოიდგინე, რომ მე მაკრატლით მოვჭერი ეს სამკუთხედი. ეს ქაღალდი, რომ გავშალოთ, დამიხატე რას მივიღებთ?“ ტესტი ამოხსნილად ითვლება, თუ ბავშმა სწორად დახატა.	მოთავსებულია ერთ ხაზზე და თითოეული უნდა იყოს მოთავსებული ფურცლის სათანადო ნახევრის ცენტრში. ტესტი არკვევს წარმოსახვის განვითარებას.
62. გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ულ ტ ე რ მ ი ნ ე ბ ს შ ო რ ი ს. რა განსხვავებაა. 1) სიღარიბესა და უბედურებას შორის? 2) სიამოვნებასა და ბედნიერებას შორის? 3) ევოლიუციასა და რევოლიუციას შორის? საჭიროა ორი სწორი პასუხი.	62. პასუხები უნდა იქნეს ჩაწერილი მთლიანად. დაუშვებელია დანატებითი განმარტებების მიცემა. დასაშვებია წაკეზება სიტყვებით: „აბა“, „კარგი“, „თამამად“ და სხვა.
63. გ ა დ ა ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ი ს ა მ კ უ თ ხ ე დ ი ს ხ ა ტ ვ ა. მუყაოს სამკუთხედი (10X15) დიაგონალზე იჭრება. „დაუკვირდი მუყაოს ქვედა ნაწილს. წარმოიდგინე რომ მე მას მოვატრიალებ და მივადებ ამ გვერდს (მიუთითებენ გვერდზე Ac). ამ (AB) გვერდს და მოვათავსებ ამ კუთხეს (c) წერტილში B. დამიხატე როგორი ფიგურა იქნება“ ტესტი ამოხსნილია, თუ: დაცულია სწორი კუთხე ACB და AC უფრო მოკლეა, ვიდრე AB.	63. საჭიროა რამდენიმეჯერ იქნეს გამეორებული ქვედა ხამკუთხედის მოტრიალება, რადგან ამით მეტად ადვილი ხდება ამოცანას ამოხსნა.
16 წ ე ლ ი. 64. ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ი ს გ ა გ ე ბ ა.	64. კითხვა აუჩქარებელი და გარკვეული უნდა იყვეს.

ტესტები.	შენიშვნები.
„დამიგდე ყური რა წავიკითხო. როდესაც კითხვას დავასრულებ, შენ უნდა ძომიყვე შენი სიტყვებით წაკითხულის შინაარსი. აბა დაუგდე ყური:“	
სიცოცხლის ღირებულების შესახებ მრავალი აზრი არსებობს. ზოგი ამბობს, რომ იგი კარგია, ზოგი-კი— რომ იგი ცუდია. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მას (სიცოცხლეს) შუა ადგილი უკავია პირველსა და მეორეს შორის; რადგან, ერთის მხრივ, ბედნიერება არაოდეს არ იძლევა იმდენს, რამდენიც ჩვენ გვსურს, მეორეს მხრივ კი, უბედურებაც არაოდეს არ იძლევა იმდენს, რამდენიც ჰსურთ ჩვენს მტრებს.	
„აბა მომიყევი, რაც წავიკითხე“.	
პასუხმა უნდა აღადგინოს სამი აზრი: 1) სიცოცხლე არც ცუდია, არც კარგია. 2) სიცოცხლე არ არის ისე კარგი, როგორც გვსურს. 3) იგი არ არის ისე ცუდი, როგორც სხვებს ჰსურთ.	
65. ვ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა.	65.
„აბა, მოიყვანე სამი მთავარი განსხვავება ბურჟუაზიულ-დემოკრატიულსა და საბჭოთა რესპუბლიკას შორის“.	
საჭიროა მითითება სამ მთავარ განსხვავებაზე.	

ასეთია ბინე-სიმონის მენტიმეტრიული შკალის შინაარსი. ბავშის გონებრივი დაჯილდოვების გამორკვევა ბინე-სიმონის მეთოდით შემდეგნაირად ხდება: გამოკვლევა ცალკე ოთახში უნდა ხდებოდეს; თუ ბავში მორცხვობს, საჭიროა მოფერებით მისი გამხნევება. გამოკვლევის დროს არ არის საჭირო ბევრი ლაპარაკი, საჭიროზე მეტი განმარტების მიცემა და დროს დაკარგვა იმისთვის, რომ ბავშმა, ყოველი მიზეზის გარეშე, სწორი პასუხი მოგვცეს. დადებითი პასუხი აღინიშნება + (პლიუსი), უარყოფითი-კი — (მინუსი). თითოეული ბავშის შესახებ შემდეგი ფორმის ინდივიდუალური ცხრილი უნდა გვქონდეს:

№ 1. გვარი, სახელი

დაბადების თარიღი.....

გამოკვლევის თარიღი

ტესტების №№ . .	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
პასუხები . .	+	+	—	—	+	—	+	—	—	+	+				
ტესტების №№ . .	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36
პასუხები . .															

ბავშის გამოკვლევა არა მისი პასპორტის ასაკიდან უნდა დავიწყოთ, არამედ იმ ასაკიდან, რომელიც ერთი, ან ორი წლით მცირეა, შავ., თუ ბავში 8 წლისაა მას ვაძლევთ არა 8 წლის ასაკისათვის დაწესებულ ტესტებს ბინე-სიმონის შკალაში, არამედ 6—7 წლის ასაკის ტესტებს.

არის შემთხვევა, როდესაც გამოკვლევა უნდა იქნეს დაწყებული ბავშის პასპორტის ასაკის 3—4 წლით ადრე, თუ ვამჩნევთ, რომ ბავში მეტად ჩლუნგია *), გამოკვლევის დაწყება ხდება იმ დროიდან, როდესაც ბავშმა მოგვცა ზედ-ზედ ხუთი დადებითი პასუხი და გრძელდება იმ დრომდე, სანამ ზედ-ზედ ხუთ უარყოფით პასუხს

*) ბავშის წინასწარი ზოგადი გამოკვლევა, თუ რომელი ასაკის ტესტები უნდა მივცეთ მას, ე. წ. „სორიენტაციო საუბრის“ საშუალებით ხდება, რომელიც წარმოადგენს ბავშთან უბრალო საუბარს და ერთგვარად მაინც არკვევს ბავშის გონებრივი განვითარების დონეს. იხ. კრებული „Методика педологического обследования детей школьного возраста“ под редакцией П. П. Блонского გვ.გვ. 91--94.

ა რ მ ი ვ ი ღ ე ბ თ. მაგრამ ხშირადაა, როდესაც ბავში ზედი-ზედ ხუთ დადებითი პასუხს ვერ გვაძლევს. ასეთ შემთხვევებში ასე იქცევიან: მაგ. უნდა გამოვიკვლიოთ 6 წლის ბავშის გონებრივი დაჯილდოვების ხარისხი; ვაძლევთ მას ტესტებს №№ 12, 13, 14....რომლებზედაც ბავშმა ზედი-ზედ 5 პლიუსი ვერ მიიღო; ასეთ პირობებში გამოკვლევას აგრძელებენ იმ დრომდე, სანამ ბავში არ მიიღებს 5 მინუსს ზედი-ზედ; აქედან უბრუნდებიან პირველად მიწოდებულ ტესტს, და ბავშს უფრო მცირე ასაკისათვის დაწესებულ, დაღმავალი სიძნელის ტესტებს აძლევენ იმ დრომდე, სანამ ბავში არ მოხსნის ზედი-ზედ 5 ტესტს, ე. ი. აძლევენ ბავშს ტესტებს: №№ 11, 10, 9, 8, 7... მოვიყვანოთ ცხრილი:

ტესტების №№	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	11	10	9	8
პასუხები	+	—	+	—	—	+	+	—	—	—	—	—	+	+	+	+

ბინე-სიმონის მეთოდით გამოკვლევის დროს იგულისხმება შემდეგი: ბავში მიიღებს პლიუსებს (ე. ი. ამოხსნის დადებითად) ხუთი ზედი-ზედ ამოხსნილ ტესტების ქვეითვ; ხოლო ყველა ტესტებზე, რომელნიც ხუთი ზედი-ზედ მიღებული მინუსის ზევით არიან, ბავში მინუსებს მიიღებს, რადგან ბინე-სიმონის შკალა შედგენილია ისე, რომ მასში ტესტების შინაარსი თანდათან რთულდება და უფრო მეტ სიძნელეს წარმოადგენს.

ამოხსნილ ტესტების დათვლა ხდება ორი გზით 1) ზედი-ზედ ამოხსნილი მეხუთე ტესტის რიცხვს უნდა მივუმატოთ დანარჩენი დადებითად ამოხსნილი ტესტები; 1) ზედი-ზედ ამოუხსნელი მეხუთე ტესტის რიცხვს უნდა გამოვაკლოთ ყველა მინუსები. მაგალითად:

ტესტების №№	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
პასუხები	+	+	+	+	+	—	+	—	+	+	—	+	+	+	—	—	—	—	—

1) 16+6=22+; 2) 30—8=22+;

ბავშის გონებრივი ასაკის გამოსარკვევად ბერტის მიერ შედგენილია ცხრილი, რომლითაც სწრაფად შეგვიძლია გავიგოთ ბავშის გონებრივი ასაკი. აქვე მოგვყავს ბერტის ცხრილი:

ბერტის ცხრილი

გონებრივი ასაკის მონახვისათვის.

წლები	0/12	1/12	2/12	3/12	4/12	5/12	6/12	7/12	8/12	9/12	10/12	11/12	12/12	წლები
2	0		1		2		4		4		5		6	III
3	6		7			8		9		10			11	IV
4	11	12		13	14		15	16		17	18		19	V
5	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	VI
6	31			32			33			34			35	VII
7	35		36		37		38		39		40		41	VIII
8	41			42			43			44			45	IX
9	45				46				47				48	X
10	48		49		50			51			52		53	XI
11	53				54				55				56	XII
12	56						57						58	XIII
13	58						59						60	XIV
14	60				61				62				63	XV
15	63						64						65	XVI

მაგ. გავიგოთ იმ ბავშის გონებრივი ასაკი, რომელმაც მიიღო 22+; მოვძებნოთ რიცხვი 22 ჰორიზონტალში; მარცხნივ აღნიშნუ-

ლია 5 წელი; ხოლო ვერტიკალური ხაზი ზევით გვიჩვენებს $^3/_{12}$-ს. მაშასადამე, იმ ბავშის გონებრივი ასაკი, რომელმაც 22 + მიიღო უდრის 5 წ. 3 თვეს.

ბავშის გონებრივ ასაკს აღნიშნავენ ასოთი I, პასპორტის ასაკს-კი—A. გონებრივი ასაკის (I) შეფარდება პასპორტის ასაკთან (A) იძლევა ე. წ. გონებრივი განვითარების ინდექსს, ანუ გონებრივი განვითარების ტემპის მაჩვენებელს IQ.

$IQ = \frac{I\ (\text{თვეებში გამოხატული})}{A\ (\text{თვეებში გამოხატული})}$. გონებრივი განვითარების მაჩვენებლის პროცენტული გამოხატვისათვის საჭიროა $\frac{I}{A}$ გამრავლდეს 100. ამრიგად: $IQ = \frac{I\ (\text{თვეები}).\ 100}{A\ (\text{თვეები})}$. მაგალითი: A=6 წელს; I=5 წ. 3 თვეს. $IQ = \frac{5\ \text{წ.}\ 3\ \text{თვე.}}{6\ \text{წ.}} = \frac{63.\ 100}{72} = 87{,}5$. ე. ი. 6 წლის ბავში 87,5%-ით შეეფერება თავის ასაკს გონებრივი დაჯილდოვების მხრივ, ე. წ. გონებრივი ჩამორჩენილობის კოეფიციენტი, მაშასადამე იგი 12,5%-ით ჩამორჩენილია.

6. ბინე-სიმონის ტესტები რუსეთში.

რუსეთში ბინე-სიმონის მეთოდით ბავშების გამოკვლევა, სხვათა შორის, ორმა პედაგოგმა: ა. ლიუბლინსკაიამ და ა.მაკაროვამ აწარმოვა (იხ.მათი „Измерительная скала ума для детей школьного возраста“ Л. 1925 წ.). მათ რამდენიმე ასეული ქალაქის და სოფლის ბავში გამოიკვლიეს და შეიმუშავეს შკალა ბავშების გონებრივი განვითარების გაზომვისათვის 3—8 წლამდე. ეს შკალა მნიშვნელოვანია მით, რომ აქ ასაკის ერთეულად აღებულია არა 1 წელიწადი, როგორც ბინე-სიმონის შკალაში, არამედ უფრო მცირე ერთეული, სახელდობრ—$^1/_2$ წელიწადი. სანიმუშოდ აქვე მოგვყავს მათი შკალა, რომელიც სამი სვეტისაგან შესდგება: პირველ სვეტში მოთავსებულია ტესტები მუშების ბავშებისათვის, მეორეში—ინტელიგენტების ბავშებისათვის, მესამეში კი—საერთო ხასიათის ტესტებია.

ასაკი	მუშათა ჯგუფი	ინტელიგენტთა ჯგუფი	საერთო ჯგუფი
3 წელი	1) სახელისა და გვარის დასახელება. 2) დიდი და პატარა ქვების გადარჩევა. 3) 2 ციფრის გამეორება. 4) 4—5 მარცლოვანი ფრაზის გამეორება. 5) სურათზე საგნების ჩამოთვლა [გახსენებით ფერის ცნობა] *)	სახელისა და გვარის დასახელება. შეხებით საგნის გაგება. 6-მარცვლოვანი ფრაზის გამეორება. 5 ფერის მოძებნა. სურათზე საგნების ჩამოთვლა.	სახელისა და გვარის დასახელება. შეხებით საგნის გაგება. 2 ციფრის გამეორება. 4 მარცლოვანი ფრაზის გამეორება. სურათზე საგნების ჩამოთვლა. (გახსენებით სამკუთხედის მონახვა).
3½ წელი	1) 5 ფერის მოძებნა. 2) ფიგურების ფიცარში ჩალაგება (2 წამი). 3) მართულიდან გასაღების მოხსნა. 4) ორი სიმძიმეს შედარება. 5) ორი ნაპრიდან სურათის შედგენა. (გახსენებით სამკუთხედის მონახვა).	მართულიდან გასაღების მოხსნა. 3 დავალების შესრულება. 3 ციფრის გამეორება. ფიგურების ფიცარში ჩალაგება. ორი ნაპრიდან სურათის შედგენა. (6-მარცლოვანი ფრაზის გამეორება).	მართულიდან გასაღების მოხსნა. 6-მარცლოვანი ფრაზის გამეორება. 5 ფერის მოძებნა. ფიგურების ფიცარში ჩალაგება. ორი ნაპრიდან სურათის შედგენა.
4 წელი	1) 3 ლითონის ფულის დათვლა. 2) 6-მარცლოვანი ფრაზის გამეორება. 3) ხაზების სიგრძის შედარება. 4) ფიგურების ფიცარში ჩალაგება (1½ წამი). 5) ადამიანის დახატვა („თავფეხა").	ორი სიმძიმეს შედარება. 3 ლითონის ფულის დათვლა. 10-12-მარცლოვანი ფრაზას გამეორება. პასუხი ადვილ კითხვებზე. დანიშნულების მიხედვით საგნის განმარტება. (2—3 გარეული ცხოველის დასახელება). (ადამიანის დახატვა „თავფეხა").	დავალების შესრულება. ორი სიმძიმეს შედარება. 3 ციფრის გამეორება. პასუხი ადვილ კითხვებზე. ადამიანის დახატვა („თავფეხა"). (დანიშნულების მიხედვით საგნის განმარტება).

*) ბრჩხილებში ჩასმული ტესტები დამატებითი, ანუ სათადარიგოა.

ასაკი	მუშათა ჯგუფი	ინტელიგენტთა ჯგუფი	საერთო ჯგუფი
4½ წელი	1) 3 დავალების შესრულება. 2) 4 ლითონის ფულის დათვლა. 3) ციფრის გამეორება. 4) 10—12-მარცვლოვანი ფრაზას გამეორება. 5) ადამიანის დახატვა (თავი, ფეხები, თვალები ან ტანი). (ფიგურის ფიცარში ჩალაგება (1½ წამი).	3 ფერის დასახელება. ფიგურების ფიცარში ჩალაგება (1½ წამი). 4 ლითონის ფულის დათვლა. 2 სამკუთხედიდან სწორკუთხედის შედგენა. ადამიანის დახატვა (თავი, ფეხები, თვალები, ან ტანი),	10—12-მარცლოვანი ფრაზის გამეორება. 4 ლითონის ფულის დათვლა. დანიშნულების მიხედვით საგნის განმარტება. ფიგურების ფიცარში ჩალაგება. ადამიანის დახატვა (თავი, ფეხები, თვალები ან ტანი).
5 წელი	1) ზეპირად ერთის 4-დან გამოკლება. 2) მოსმენილიდან 2 მოგონების გადმოცემა. 3) პასუხი ადვილ კითხვებზე. 4) დანიშნულების მიხედვით საგნის განმარტება. 5) 3 ფერის დასახელება.	ორმაგი კვანძის გასკვნა. ზეპირად ერთის გამოკლება 4-დან. პასუხი ძნელ კითხვებზე. მოგონებით 2 საგნის შედარება. ჩხირებიდან ფიგურის შედგენა. (ასაკის დასახელება). (სამი სწორი ნაპრიდან სურათის შედგენა).	4 ლითონის ფულის დათვლა. ზეპირად ერთის გამოკლება 4-დან. მოსმენილიდან 2 მოგონების გადმოცემა. მოგონებით 2 საგნის შედარება. ადამიანის დახატვა (თავი ფეხები, თვალები ან ტანი).
5½ წელი.	1) ფიგურების ფიცარში ჩალაგება (1 წამი). 2) სამი ნაპრიდან სურათის შედგენა. 3) 2 სამკუთხედიდან სწორკუთხედის შედგენა. 4) კვადრატის გადმოხატვა. 5) ადამიანის დახატვა (თავი, ფეხები, თვალები, პირი, ცხვირი, ხელები, ან ტერფები). (2—3 გარეული ცხოველის დასახელება).	4 ციფრის გამეორება. მოსმენილიდან 5 მოგონების გადმოცემა. კვადრატის გადმოხატვა. სურათის აღწერა. დანაკლისის სურათზე მონახვა. (დღის დროის დასახელება და ახსნა). (თითების რიცხვი ხელებზე).	ორმაგი კვანძის გასკვნა. ზეპირად ერთის გამოკლება 4-დან. მოგონებით ორი საგნის შედარება. ორი სამკუთხედიდან სწორკუთხედის შედგენა. კვადრატის გადმოხატვა. (ასაკის დასახელება). (სურათის აღწერა).

ასაკი	მუშათა ჯგუფი	ინტელიგენტთა ჯგუფი	საერთო ჯგუფი
6 წელი	1) ორმაგი კვანძის გასკვნა. 2) მოსმენილიდან 4 მოგონების გადმოცემა. 3) ძნელ კითხვებზე პასუხი 4) მოგონებით ორი საგნ-ს შედარება. 5) სურათის აღწერა. (ადამიანის დახატვა (ორი გამოტოვებით).	1) მარჯვენა ხელის და მარცხენა ყურის ჩვენება. 2) 16-მარცლოვანი ფრაზის გამეორება. 3) 3 ალმაცერი ნაპრიდან სურათის შედგენა. 4) ადამიანის დახატვა (ორი გამოტოვებით). 5) ესთეტიური შედარება. (გარეული ცხოველის დასახელება). (გაგება, თუ რა დღე იყო)	4 ციფრის გამეორება. ძნელი კითხვებზე პასუხი. ჩხირებიდან ფიგურის შედგენა. სურათის აღწერა. ესთეტიური შედარება. (დღის დროის დასახელება და ახსნა) (მოსმენილიდან 4 მოგონების გადმოცემა.
6½ წელი	1) ციფრის გამეორება. 2) მოსმენილიდან 5 მოგონების გადმოცემა. 3) ჩხირებიდან ფიგურის შედგენა 4) ესთეტიური შედარება. 5) დანაკლისის აღმოჩენა სურათზე. (14-მარცლოვანი ფრაზის გამეორება). (დღის დროის დასახელება და ახსნა).	13 ლითონის ფულის დათვლა. ფულების დათვლა 3 X 2 + 3 X 1). ფიგურების ფიცარში ჩალაგება (1 წამი). 4 სწორი (ალმაცერი) ნაპრიდან სურათის შედგენა. პარალელოგრამის გადმოხატვა. ადამიანის დახატვა (ერთი გამოტოვებით).	მარჯვენა ხელის და მარცხენა ყურის ჩვენება. 16-მარცლოვანი ფრაზის გამეორება. მოსმენილიდან 5 მოგონების გადმოცემა. ადამიანის დახატვა (ერთი გამოტოვებით). დანაკლისის აღმოჩენა სურათზე. 23 ალმაცერი ნაპრიდან სურათის შედგენა). (გაგება თუ რა დღე იყო).
7 წელი.	1) მარჯვენა ხელის და მარცხენა ყურის ჩვენება. 2) მოსმენილიდან 6 მოგონების გადმოცემა. 3) სამი ალმაცერი ნაპრიდან სურათის შედგენა. 4) პარალელოგრამის გადმოხატვა. 5) ადამიანის დახატვა (გამოტუტოვებლად). (4 გარეული ცხოველის დასახელება).	2) კვირის დღეების ზედიზედ დასახელება. 18 — 20 - მარცლოვანი ფრაზის გამეორება. მოსმენილიდან 10 მოგონების გადმოცემა. 8 გარეული ცხოველის დასახელება. ადამიანის დახატვა. (გამოუტოვებლად). (პირ-უკუ რიგით 2—3 ციფრის გამეორება)	13 ლითონის ფულის დათვლა. 18-მარცლოვანი ფრაზის გამეორება. მოსმენილიდან 8 მოგონების გადმოცემა პარალელოგრამის გადმოხატვა. ადამიანის დახატვა (გამოუტოვებლად). (თითების რიცხვი ხელებზე).

მოყვანილი შკალა ბავშის გონებრივი განვითარების გაზომვისათვის შემდეგნაირად შეიძლება იყოს გამოყენებული: ხსენებულ შკალაში მოთავსებულია ისეთი ტესტები, რომელთა ამოხსნა სავალდებულოა საშუალო, ანუ ნორმალური ბავშისათვის. ბავშს ტესტებს მისი პასპორტის ასაკის მიხედვით აძლევენ და თუ ბავში ყველას გამოიყვანს ის ნორმალურად ითვლება და უფროსი ასაკისათვის ყოველ ხუთი ტესტის ამოხსნის დროს ბავშის გონებრივ ასაკს $^1/_2$ წელიწადი ემატება*). ბინე-ბერტის მეთოდის გარდა მრავალი სხვა მენტიმეტრიული მეთოდი არსებობს, როგორც: პროფ. როსსოლიმოს „ფსიქოლოგიური პროფილების მეთოდი“,—„საორიენტაციო საუბარის მეთოდი“ „ლაბირინტების მეთოდი“ „გამოტოვებული რიცხვების მეთოდი“ და სხვა. (იხ. Методика педол. обсл. детей школьного возраста“ პ. ბლონსკის რედაქციით გამოცემული კრებული გვ. გვ. 88 და შემდეგი, აგრეთვე პ. ბლონსკის „педология“ გვ. გვ. 305 და შემდეგი).

7. ბინეს სისტემის მეცნიერულ-პედაგოგიური ღირებულება.

ამ ბოლო დროს ბინე-სიმონის მეთოდით საყოველთაო და უეჭვო გატაცება თანდათან ნელდება და არა მარტო საბჭოთა პედოლოგები, არამედ დასავლეთ ევროპის და ამერიკის მკლევარები და პრაქტიკული მუშაკები აღნიშნავენ, რომ ბინე-სიმონის მეთოდი ძველი, მეტაფიზიკური ფსიქოლოგიის საფუძველზეა აგებული და მაშასადამე, მისი პედაგოგიური ღირებულება საეჭვოა ან შეზღუდულია.

ბინე-სიმონის სისტემას, მკლევარების აზრით, შემდეგი ნაკლი ახასიათებს:

1. ყალბი, მეტაფიზიკური საფუძველი**). ბინე'ს საფრანგეთის სახალხო განათლების სიმინისტროსაგან კონკრეტული პედაგოგიურ-პრაქტიკული დავალება ჰქონდა მიცემული: მას უნდა შეეშუშავებია მეცნიერული გამოკვლევის სისტემა, რომლითაც სკოლებში გონებრივად ჩამორჩენილი ბავშების გამოყოფა უნდა მომხდარიყო. მაშასადამე, ბინეს სასკოლო პროგრამიდან უნდა შეერჩია

---

*) დაწვრილებით მენტიმეტრიული მეთოდის შინაარსიხა და ტეხნიკის შესახებ იხ.: А. Люблянская; А. Макарова: „Измерительная скала ума“ Л. 1928. და В. Стерн: „Психологические методы измерения умственной одаренности“.

**) იხ. ვ. არტემოვის წერილი „Проблемы одаренности и марксизм“ (კრებულში „Психология и марксизм“ კორნილოვის რედაქციით) გვ. 93—112 და ლ. ვიგოდტსკი: „Педагогическая психология“ გვ. 328—331.

ისეთი მასალა, რომელიც მოწაფის გონებრივი განვითარების დონეს განსაზღვრავდა და ამ მასალით გამოკვლევის დროს, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული მოწაფის ასაკი, სქესი, სოციალურ-კლასიური და ეროვნული (რასიული) მდგომარეობა.

მაგრამ ბინემ ეს დავალება შესცვალა და მიზნად ბავშის რაღაც ზოგადი თანშობილი გონებრივი დაჯილდოვების („ნიჭის") გამოკვლევა დაისახა ისე, თითქოს ბავშის განვითარების დონე არ იყოს დამოკიდებული ასაკზე, სქესზე, სოციალურ-კლასიურ პირობებზე და სხვა. მართლაც, ბინეს მიერ შემუშავებული ტესტების ცხრილის პირველი რედაქცია ასეთია, რომ ასაკსაც ყურადღება არ ექცევა: აღებულია ტესტები უასაკო უსქესო და კლასიური ნიშნის არამქონე „აბსტრაქტული" ბავშისათვის. თავისი მეთოდის პრაქტიკული განხორციელებისთანავე, ბინე დარწმუნდა, რომ „უასაკო" ბავში არ არსებობს და ეს ნაკლი თავისი სისტემის მეორე რედაქციაში გამოასწორა, სადაც ტესტები დალაგებული იყო ასაკის მიხედვით. 1911 წ. გამოცემულ თავისი სისტემის მესამე რედაქციაში ბინე უკვე ანგარიშს იმ გარემოებას უწევს, რომ ზოგიერთი ტესტის ამოხსნა დამოკიდებულია სკოლაში და ოჯახში მიღებულ ცოდნაზე (მაგ. თითების რაოდენობა, თავის ასაკის ცოდნა და სხვა) და ასეთები თავისი შკალიდან ამოიღო, რადგან მას სურდა „თანშობილი, ზოგადი დაჯილდოების", და არა ცდაზე და სოციალური ფაქტორებზე დამოკიდებული განვითარების ხარისხის გამოკვლევა. და ბოლოს ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ბინეს არც ერთმა თანამედროვე მიმდევარმა არ იცის თუ იგი რას იკვლევს"—ამბობს ვ. არტემოვი. ანგვარი მენტიმეტრიული გამოკვლევების ძირითადი ნაკლი ის არის. რომ მათ საფუძველს წარმოადგენს ყალბი აზრი რაღაც საერთო თანშობილი გონებრივი „ნიჭიერების" შესახებ, რომელიც არ არის დამოკიდებული არავითარ სოციალურ პირობებზე.

ამ მხრივ ბინემ უკრიტიკოდ გაიზიარა და საფუძვლადაც დაუდო თავის სისტემას „ემპირიული" ფსიქოლოგიის მეტაფიზიკური ცნება თანშობილი ზოგადი „ნიჭიერების" შესახებ, რაც თანამედროვე მატერიალისტური ფსიქოლოგიისათვის ყოვლად მიუღებელ და სავსებით ყალბ დებულებას წარმოადგენს; ვინაიდან ეხლანდელი ფსიქოლოგია რეალისტური მსოფლმხედველობაა, განსაკუთრებით ცდაზეა დამყარებული და გადამჭრელ მნიშვნელობას ორგანიზმის განვითარებისათვის სოციალურ ფაქტორებს ანიჭებს.

2) ბინეს მეთოდი მხოლოდ ბავშების ინტელექტს იკვლევს და მათ ემოციონალურ და ნებისყოფის სფეროს სრულებით არ ეხება.

ამ მხრივ ბინეს სისტემა დაკავშირებულია ძველ სკოლასათან, რომელიც ყველა აღმზდელობით ხერხს მხოლოდ გონებრივი ძალების გარწვთნისათვის ხმარობდა.

3) სკოლის ასაკამდე ხანაში ბავშის გამოსაკვლევად აღებულია დიდი პერიოდი —1 წელიწადი.

საჭიროა მით უფრო მცირე დროს აღება, რაც უფრო მცირეწლოვანია ბავში.

არტემოვის აზრით, ბინეს და მისი მიმდევრების სისტემა „ბუნებრივი დაჯილდოების შესახებ“ მთლიანი სკოლის პრინციპებს ეწინააღმდეგება და მაშასადამე რეაქციონური მოძღვრებაა, ვინაიდან ბინეს მიხედვით, მატერიალურად უზრუნველყოფილი კლასების ბავშები მემკვიდრეობით გაცილებით უფრო კარგს ზოგად თანშობილ გონებრივ დაჯილდოებას ღებულობენ, ვიდრე პროლეტარების შვილები; მიჩნეულ ასაკში პირველი უკანასკნელზე უფრო განვითარებული აღმოჩდებიან და პროლეტარების შვილებისათვის დახშული იქნება საშუალება დადგენ განათლების იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ბურჟუაზიის შვილები არიან. ამრიგად შეიძლება დაჯილდოების „მეცნიერული“ თეორიით დაფარო აშკარა რეაქციონური აზრები*).

ცნობილი მკვლევარი ბერტი, გონებრივი დაჯილდოების მაგიერ ხმარობს „სასკოლო გამოსადეგრობის“ ცნებას (Школьная пригодность), ე. ი. ბინეს აბსტრაქტულ და ზოგადი „ნიჭიერების“თეორიას აძლევს პსიქო-ტეხნიკურ განხრას და არა თანშობილ აბსტრაქტულ ნიჭიერებას იკვლევს, არამედ ბავშის კონკრეტულ სკოლაში შემუშავებულ ჩვევებს: წერაში, კითხვაში, და ანგარიშში**), სწორედ ისე, როგორც ფსიქოტეხნიკა ამა თუ იმ პროფესიისათვის მუშაკის ვარგისობას (გამოსადეგრობას) იკვლევს.

სანამ არ შექმნილა ახალი, უფრო მეცნიერული სისტემის შკალა, ბინე-სიმონის მეთოდს, როგორც საორიენტაციო საშულებას, დაახლოვებით მაინც შეუძლია გამოარკვიოს, თუ რომელი ბავშია ჩამორჩენილი და არ ძალუძს ნორმალურ ბავშთან მეცადინეობა სკოლაში ან სკოლის ასაკამდე დაწესებულებაში და საჭიროა მისი გამოყოფა მიჩნეულ კოლექტივიდან. შესაძლებელია აგრეთვე ბინეს სისტემით თვალყური ვადევნოთ ყოველწლიური გაზომვის საშუალებით, თუ როგორ ხიდის ბავშის ფსიქიური განვითარება.

---

*) არტემოვი op. cit.

**) მასიური სკოლის მუშაკებს ბავშების „სასკოლო გამოსადეგრობის“ გამოკვლევა იმ ტესტების მიხედვით შეუძლიათ, რომელნიც მოცემულია 4 რეფულში „Школьные тесты“ (ГИЗ), აგრეთვე: Е. Гурьянов: „Учет школьной успешности“.

თავი მეთვრამეტე.

ბავშის მოტორული ფუნქციათა განვითარების გამოკვლევა

ბავშის მოტორული დაჯილდოების გამოკვლევისათვის ექ. ოზერეცკის მიერ შექმნილია შემდეგი მეტრიული შკალა:

ტესტები 4 წლისათვის.

1. გახილული თვალებით ცალ ფეხზე გაჩერება 15″ განმავლობაში *). გაჩერება საჭიროა ორივე ფეხზე ცალ-ცალკე 2 წამის დასვენების შემდეგ.

2. ადგილზე შეხტომა. საჭიროა ორივე ფეხის მიწიდან ერთდროულად მოცილება. მნიშვნელობა არ აქვს შეხტომის არც სიმაღლეს და არც სიჩქარეს. ტესტი ამოუხსნელად ითვლება, თუ ბავში საჯერ სწორად ვერ შეხტა.

3. ათსაფეხურიანი კიბეზე ასვლა. საფეხურის სიმაღლე 12-15 სანტ. საჭიროა ბავში ისე ავიდეს კიბეზე, რომ არაფერს მოკიდოს ხელი და აბიჯებდეს ასე: მარცხენა ფეხი შეჰქონდეს 1, 3, 5, 7, მე 9-ე საფეხურებზე, მარჯვენა კი — 2, 4, 6, 8 10-ზე. ტესტის შესრულების ვადა 1′30″.

4. კიბიდან გამოსვლა. იხ. ტესტის № 3 პირობები.

5. წარბების ზევით აწევა. დასაშვებია ჩვენება თუ რას მოითხოვენ ბავშისაგან, თუ უკანასკნელმა ვერ გაიგო ტესტი.

6. ხელ-პირის დაბანვა. ტესტი ამოხსნილია, თუ ბავშმა პეშვებით წყალი პირისახემდე მიიტანა.

5 წელი

1. გახილული თვალებით ცალ ფეხზე ხტომა 5 მეტრის მანძილზე. ტესტი ამოხსნილია, თუ მოლუნულ ფეხს იატაკს არ მიაკარებს. საჭიროა ხტომა მარჯვენა და მარცხენა ფეხზე სათითაოდ 1 წამის დროგამოშვებით.

---

*) ნიშანი –წამი, ″—წუთი.

2. ფეხის თითებით სიარული 3 მეტრის სიმაღლეზე. ტესტი ამოხსნილია, თუ ბავში ქუსლებს იატაკს არ მიაკარებს.

3. დაუხმარებლად ჩაცმა. *). ვაჟებმა უნდა ჩაიცვან: შარვალი, ბლუზა, პალტო; ქალიშვილებმა — კაბა, ქვედა კაბა და პალტო. ყველა ფოლაქი ბავშმა დაუხმარებლად უნდა შეიბნიოს.

4. დაუხმარებლად ფეხსაცმელების ჩაცმა, ფოლაქების ან ზონარების შებნევა. ვადა 3′.

5. კიბეზე შერბენა; კიბეს აქვს 10 საფეხური, საფეხურის სიმაღლე 12—15 სატ. 4 წლის ასაკისათვის ტესტი № 3-ის პირობა დაცული უნდა იყოს. ვადა 15″. დასაშვებია, შეცდომის დროს, ტესტის ბოლოდ 2-ჯერ გამეორება.

6. ბურთის მიზანში 1 მეტრის მანძილიდან მოხვედრა. ბავშის ბეერდის დონეზე ჩამოკიდებულია ფიცარი 25×25 სანტ. ბავში 1 მეტრის მანძილიდან ბურთს ბრძანებისთანავე ესვრის. სროლა ხდება მ ო ქ ნ ე უ ლ ი მ ხ ა რ ი თ, ბავშმა ბურთი 3 სროლიდან ფიცარს 2-ჯერ მაინც სადმე უნდა მოახვედროს.

6 წელი.

1. ადგილიდან გადახტომა თოკზე, რომელიც გაბმულია იატაკიდან 20 სანტ. სიმაღლეზე. საჭიროა არა გადაბიჯება, არამედ, გადახტომა (ორივე ფეხებით ერთდროულად). 3 ცდისაგან, ორი სწორი უნდა იყოს.

შენიშვნა: საჭიროა, რომ თოკის ორივე ბოლო არ იყვეს დაბაგრებული; თოკის ერთი ბოლო თავისუფალი უნდა იყოს და ოდნავი ფეხის წამოდების დროს უნდა ვარდებოდეს.

2. დახუჭული თვალებით ცალ ფეხზე გაჩერება 15″ განმავლობაში. საჭიროა მარჯვენა და მარცხენა ფეხზე გაჩერება. რიგ-რიგობით 2 წამის შესვენების შემდეგ.

3. 30 სანტიმეტრის სიმაღლიდან იატაკზე ცერებით გადმოხტომა. თუ ბავში გადმოხტომის დროს ხმარობს ხელებს, ან ქუსლებზე დახტა, ტესტი გამეორებული უნდა იქნეს. თუ ბავში მეორეხელ შეცდა, ტესტი ამოხსნილად არ ითვლება.

4. კიბედან ჩამორბენა. 10 საფეხურიანი კიბე, საფეხურის სიმაღლე 12—15 სანტ. მოაჯირზე ხელის მოკიდება დაუშვებელია.

ვადა —10″ (იხ. პირობები ტესტის № 3, ოთხწლიანისათვის).

---

*) ტესტის ერთფეროვნებისათვის უმჯობესია მ. მონტესსორის „ჩარჩოებიო“ სარგებლობა (იხ. М. Монтессори: „Дом ребенка“).

5. 3-ჯერ ჩაჯდომა ცერებზე. სხეულის ქუსლებზე მიკარება ჩაჯდომის დროს დაუშვებელია.

6. 1 მეტრის მანძილიდან ნასროლი ბურთის მარჯვენა ხელით დაჭერა. სანამ იქნებოდეს ბრძანება „დაიჭირე", ბავშს ხელები ჩაშვებული აქვს. სამი ცდისაგან ორი დადებითი უნდა იყოს.

შენიშვნა: „მემარცხენე" ბავშები ბურთს მარცხენა ხელით იჭერენ.

7 წელი

1. დახუჭული თვალებით 5 მეტრის მანძილზე ცალ ფეხზე ხტომა. ბავშს ჯერ უჩვენებენ, თუ ხტუნვით სად უნდა მივიდეს და შემდეგ თვალებს უხვევენ. დანიშნულ ადგილზე ხტუნვით მისვლის შემდეგ, ბავშს ეტყვიან „გაჩერდი". ტესტი ამოხსნილია, თუ ბავში არ მიაკარებს მოლუნულ ფეხს იატაკს და ხტუნვის სწორი ხაზიდან გადახვევა მარჯვნივ ან მარცხნივ არა უმეტესი 1,5 მეტრისა იქნება. საჭიროა რიგ-რიგობით ხტუნვა მარჯვენა და მარცხენა ფეხით 2 წამის დროგამოშვებით.

2. შუბლის შეკმუხვა. ტესტი ამოხსნილია, თუ შუბლის დანაოჭების დროს პირისახის კუნთების მხრივ დახმარებას ადგილი არ აქვს.

3. ერთი მეტრის მანძილიდან ნასროლი ბურთის მარცხენა ხელით დაჭერა. პირობები იხ. 6 წლიანებისათვის, ტესტი № 6.

შენიშვნა: „მემარცხენე"—ბავშები ბურთს მარჯვენა ხელით იჭერენ.

4. ნასკვის გაკეთება 15 სანტიმეტრის სიგრძის მქონე ძაფზე. ვადა 15". შესრულების დრო ოქმში აღინიშნება.

5. ერთდროულად: ხტუნვა მარჯვენა ფეხზე და მარცხენა ხელის ტრიალი ბეჭის სახსარში 5" განმავლობაში. 2 წამის შესვენების შემდეგ იგივე ერთდროული მოძრაობა ხდება: მარცხენა ფეხზე ხტუნვა და მარჯვენა ხელის ბეჭის სახსარში ტრიალი 5" განმავლობაში. ხტუნვა ადგილობრივ ხდება.

6. წყლით სავსე ფიალის წაღება გაჭიმული ხელით 3 მეტრის მანძილზე. ფიალი დადგმულია ფინჯანზე; ბავში ხელს ფინჯანის ნაპირს ჰკიდებს. წყალი, რომელიც გადატანის დროს დაიქცა, გასაზომ ცილინდრში უნდა იქნეს ჩასხმული. ტესტი ამოხსნილია, თუ ბავშმა გადატანის დროს არა უმეტესი 10 კუბ. სან. წყალი დაღვარა. ტესტის ვადა—10 წუთი.

8 წელი.

1. № 50 ძაფის გაყრა № 6 ნემსში. ორ წამში 3 ჯერ მაინც უნდა იქნეს გაყრილი.

2. ფანქრის წვერის წათლა. ფანქარს კონუსისებური ფორმა უნდა მიეცეს და გრაფიტიც წაწვეტილი უნდა იქნეს. ვადა—2.

3. ცალ ფეხზე ხტომა და ორივე ხელის ბეჭის სახსრებში ტრიალი 5″ განმავლობაში. 2 წამის დასვენების შემდეგ – ხტუნვა მეორე ფეხზე. ხტუნვა ადგილობრივ ხდება.

4. წუმწუმის ცარიელი კოლოფის გადატანა მარჯვენა ფეხით 3 მეტრის მანძილზე. ბავში ფეხშიშველია და მას ტერფის ზედა. ნაწილზე კოლოფს უდებენ. გადატანის დროს ბავშს შეუძლია, როგორც მოუხერხდება, კოლოფი ისე გადაიტანოს: შეუძლია ფეხის იატაკზე წათრევა, ქუსლზე დაყრდნობა და სხვა. ვადა—20″. 3 ცდისაგან ორი მაინც უნდა იყოს დადებითი. 2 წამის შემდეგ იგივე—მარცხენა ფეხით.

5. ორი მეტრის მანძილიდან ბურთის მიზანში მოხვედრა. პირობები იხ. ტესტში № 6 ხუთწლიანებისათვის.

6. ორი მეტრის მანძილიდან ნასროლი ბურთის მარჯვენა ხელით დაჭერა. პირობები იხ. № 6 ხუთწლიანებისათვის.

შენიშვნა: „მემარცხენე" ბავშები ბურთს იჭერენ მარცხენა ხელით.

9 წელი.

1. მხოლოდ მარჯვენა თვალის დახუჭვა; 10″ შემდეგ კი—მხოლოდ მარცხენა თვალის დახუჭვა. ტესტი ამოხსნილად არ ითვლება, თუ ბავშმა მოახერხა მარტო ერთ-ერთი (მარჯვენა ან მარცხენა) თვალის დახუჭვა, მეორე თვალის დახუჭვის დროს კი ხელებს ან პირისახის კუნთებს მოიხმარს.

2. 3 მეტრის მანძილზე დაუღვრელად, გაჭიმული ხელებით ორი წყლით სავსე ფიალის გადატანა. ფიალი მოთავსებულია ფინჯანზე. ბავში ხელს კიდებს ფინჯანების ნაპირებს. გადატანის დროს დაღვრილი წყალი უნდა იქნეს ჩასხმული გასაზომ ცილინდრში. ორივე ფიალიდან დაღვრილი წყალის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15 კუბ. სანტ. ვადა—10″.

3. ხელებით ჩამოკიდება. ორივე ხელით ბავში უნდა ჩამოეკიდოს 5″ განმავლობაში ტრაპეციაზე ისე, რომ სხეულის და კიდურე-

ბის გაკიმვის შემდეგ მიწამდე 10 სანტიმეტრი მანძილი რჩებოდეს. შეცდომის დროს დასაშვებია ტესტის მხოლოდ 3-ჯერ გამეორება.

4. 2 მეტრის მანძილიდან ნასროლი ბურთის დაჭერა მარცხენა ხელით. პირობები იხ. ტესტში № 6. ექვსწლიანებისათვის.

შენიშვნა: „მემარცხენე“ ბავშები ბურთს მარჯვენა ხელით იჭერენ.

5. ბავშმა უნდა დაიჭიროს ზევით ასროლილი მრგვალი ქვა და იგივე ხელით უნდა მოასწროს მაგიდაზე დადებული მეორე ქვის აღება. ქვა უნდა იქნეს ზევით ასროლილი არა უმეტეს 75 სანტ. ქვები ერთნაირი სიმძიმისაა (30 გრამი თითო).

6. ოთხფეხზე, მარჯვენა ფეხის ზევით აწევით 10 მეტრის მანძილზე გარბენა. ვადა—1, 30„. ტესტი ამოხსნილად არ ითვლება, თუ ბავში ზევით აწეულ ფეხს იატაკს მიაკარებს. 3 წამის დასვენების შემდეგ იგივე მარცხენა ფეხის აწევით მეორდება. შეცდომის დროს დასაშვებია ტესტის გამეორება.

11 წელი.

1. ადგილიდან გადახტომა-თოკზე, რომელიც გამბულია იატაკიდან 35 სანტ. მანძილზე. პირობები იხ. ტესტში № 1 ექვსწლიანებისათვის.

2. A. ერთდროულად კბილების გამოჩენა და წარბების ზევით აწევა.

B. ერთდროულად კბილების გამოჩენა და შუბლის დანაოჭება. დასაშვებია წინასწარი დემონსტრაცია.

3. 3 მეტრის მანძილიდან ბურთის მიზანში მოხვედრა. პირობები იხ. ტესტში № 6 ხუთწლიანებისათვის.

4. 3 მეტრის მანძილიდან ნასროლი ბურთის მარჯვენა ხელით დაჭერა. პირობები იხ. ტესტში № 6 ექვსწლიანებისათვის.

შენიშვნა: „მემარცხენე“ ბავშები ბურთს მარცხენა ხელით იჭერენ.

5. რიგ-რიგობით მარჯვენა და მარცხენა თვალის დახუჭვა. 10„ განმავლობაში ბავშმა თითოეული თვალი უნდა დახუჭოს სამჯერ მაინც. შეცდომის დროს ტესტის გამეორება დასაშვებია მხოლოდ 3-ჯერ.

6. ქვის ზევით ასროლა და მაგიდაზე დადებულ ორი ქვის ხელში აღების მოსწრება. მაგიდაზე ქვები დაცილებულია ერთიმეორესაგან $^1/_2$ სანტ. პირობები იხ. ტესტში № 5 ცხრაწლიანებისათვის.

13 წელი

1. ტრაპეციაზე ჩაძოკიდება ერთი ხელით 5„ განმავლობაში. სხვა პირობები იხ. ტესტში № 3 ცხრაწლიანებისათვის.

2. 3 მეტრის მანძილიდან ნასროლი ბურთის მარცხენა ხელით დაჭერა. პირობები იხ. ტესტში № 6 ექვსწლიანებისათვის.

3. $3^1/_2$ მეტრის მანძილიდან ბურთის მიზანში მოხვედრა. პირობები იხ. ტესტში № 6 ხუთწლიანებისათვის.

4. „ოთურმას“ თამაში—ერთი-მეორეზე გადახტომა ხელების საშუალებით. ერთნაირის სიმაღლის ორი ბავში ერთი-მეორეს რიგ-რიგობით გადაახტება. ერთი ბავში მოიღუნება წელში სწორ კუთხემდე, ქვედა-კიდურებთან და ხელებს მუხლებზე დაიბჯენს; მეორე ხელებით მას გადაახტება. დასაშვებია გადახტომისათვის 2 მეტრის მანძილიდან გამოქცევა. სამი გადახტომიდან ორი ისეთი უნდა იყოს, რომ გადამხტომი არ წამოედოს წაკუზულ ბავშის თავს, ან მხრებს. გადამხტომი ბავში ცერებზე უნდა დაჰხტეს.

5. ადგილიდან გადახტომა (გარბენა დაუშვებელია) თოკზე, რომელიც გამბულია იატაკიდან 55 სანტ. მანძილზე. პირობები იხ. ტესტში № 1. ექვსწლიანებისათვის.

6. ხელებზე კედელთან ისე გაჩერება, რომ ტანს ჰქონდეს ვერტიკალური მდებარეობა და ბავ'ში კედელს ქუსლებით, ან ტერფებით ეხებოდეს. ასეთ მდებარეობის შენარჩუნება საჭიროა 5„ განმავლობაში. შეცდომის დროს ტესტი მხოლოდ 3 ჯერ შეიძლება იქნეს გამეორებული

15 წელი

1. სკამზე შეხტომა (სიმაღლე იატაკიდან 45 სანტ.). შეიძლება გამოქცევა 1 მეტრის მანძილიდან. საჭიროა, რომ ბავში სკამზე ორივე ფეხებით ერთდროულად შეხტეს. სამი ცდისაგან, ორი სწორი უნდა იყოს.

2. ადგილიდან გადახტომა თოკზე, რომელიც გამბულია იატაკიდან 65 სანტ. სიმაღლეზე. პირობები იხ. ტესტში № 1 ექვსწლიანებისთვის.

3. 3,5 მეტრიდან ნასროლი ბურთის მარჯვენა და მარცხენა ხელით დაჭერა რიგ-რიგობით. პირობები იხ. ტესტში № 6 ექვსწლიანებისათვის.

4. ქვის ზევით ასროლა და მაგიდიდან სამი ქვის აღების ბოსწრება. პირობები იხ. ტესტში №№ 5 ცხრაწლიანებისათვის და № 6 თერთმეტწლიანებისათვის.

5. ბავშმა უდიდესი სისწრაფით შემდეგი მოძრაობა უნდა მოახდინოს: იატაკზე პირქვე უნდა დაწვეს და ხელები გაშალოს, შემდეგ უნდა ადგეს და გაიქცეს მისგან 5 მეტრის მანძილით დაშორებულ სკამისაკენ, აიღოს იგი 1,5 მეტრის მანძილზე მდგომ მაგიდასან მიიტანოს და დაჯდეს. შემდეგ, ორივე ხელით ადგილი უნდა შეუცვალოს ორ საგანს (საგნებს შორის მანძილი=75 სანტ.); მაგიდის შუა ადგილიდან უნდა აიღოს ფანქარი და ქაღალდი და დასვას სამი +. ვადა 10„. ბავშს წინასწარ უნდ უჩვენოთ, თუ რა მოქმედება უნდა შეასრულოს. თუ ბავშს რაიმე შეეშალა, ტესტს მეორედ უჩვენებენ. ტესტის მესამედ გამეორება დაუშვებელია.

ამ ასაკისათვის არა-საავალდებულო ტესტებია:

6. თავზე გაჩერება კედელზე მხოლოდ ქუსლების მიკარებით 5″ ვანმაელობაში.

7. ხელებით სიარული.

—

ექ. ოზერეცკის მოტორული დაჯილდოების მეტრიულ შკალით შემდეგნაირად სარგებლობენ: გამოკვლევა ბავშის პასპორტის ასაკის ტესტებიდან იწყება. თუ ბავშმა ვერ ამოხსნა, თუ გინდ ერთი ტესტიც-კი, მას აძლევენ უფრო მცირე ასაკის ტესტებს და ასე გრძელდება იმ დრომდე, სანამ ბავში რომელიმე ასაკის ყველა ტესტს არ ამოხსნის. ამის შემდეგ გადადიან უფროსი ასაკის ტესტებზე და გამოკვლევა იმ დრომდე გრძელდება, სანამ ბავში ერთ-ერთ ასაკის ვერც ერთ ტესტს ვერ ამოხსნის. ტესტის დადებითად ამოხსნა აღინიშნება +(პლიუსი), უარყოფითი ამოხსნა — (მინუსი). თუ ტესტის შინაარსი ორმაგ დავალებას მოითხოვს (მაგ. ქვედა და ზედა კიდურების მოძრაობა, მარცხენა და მარჯვენა თვალის დახუჭვა, კბილების გამოჩენა და წარბების აწევა და სხვა) ასეთი ტესტის ნაწილობრივი ამოხსნის დროს სწერენ $^1/_2$+.

ბავშის მოტორულ ასაკად ითვლება ის წელი, რომლის ყველა ტესტი მან ამოხსნა. ამ წელს ემატება სხვა პლიუსების ჯამი გამრავლებული 2-ზე, რაც თვეების რაოდენობას აღნიშნავს (ე. ი. ყოველი პლიუსი უდრის 2 თვეს, $^1/_2$+ კი — ერთ თვეს).

— —·—

თავი მეცხრამეტე.

ანორმალურ ბავშთა ტიპები

(პროფ. ა. გრაბოროვის მიხედვით)

1. ანორმალობის ფაქტორები. როგორც ვიცით, ბავშის ზრდა-განვითარების ძირითადი ფაქტორია ორი: სოციალური და ბიოლოგიური; მათი ზეგავლენით სავსებით განისაზღვრება ადამიანის ფსიქო-ფიზიკური ჯანსაღობა, სიმწიფე და, მაშასადამე, ადამიანის სოციალური გამოსადეგრობის ხარისხიც. იმის და მიხედვით, თუ როგორია სოციალური და ბიოლოგიური პირობათა კომბინაცია, მისი ზეგავლენის მხრივ—გასარჩევია ბავშთა ოთხი ძირითადი ტიპი:

А. დადებითი ბიოლოგიური მონაცემი და დადებითი სოციალური პირობები;

ამგვარ პირობების მქონე ბავშს—შეგვიძლია უწოდოთ ნორმალური.

Б. დადებითი ბიოლოგიური მონაცემი და უარყოფითი სოციალური პირობები; ასეთი კატეგორიის ბავში—სოციალურად გახრწნილია;

С. უარყოფითი ბიოლოგიური და დადებითი სოციალური პირობები;

— ე. წ. დეფექტიური ბავში.

Д. უარყოფითი ბიოლოგიური და უარყოფითი სოციალური პირობები;

— ე. წ. „ძნელად“ აღსაზრდელი ბავში.

უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ოთხი ძირითადი ტიპის გარდა, არ არსებობს ფსიქო-ფიზიკურ ანომალიათა მრავალი გარდამავალი ფორმა.

2. „ნორმალური“ ბავში. ნორმალურ, ანუ იდეალურ ტიპს ისეთი ბავში ეკუთვნის, რომელიც ვითარდება დადებითი ბიოლოგიური მონაცემისა და დადებითი სოციალური ფაქტორების ზეგავლენით და, ამგვარად „ხანგრძლივი და ფართო განვითარებისა და ცოდნის შეძენის უნარი აქვს“.

რიცხობრივად, „ნორმალური“ ბავშები მთელი ბავშთა მოსახლეობის უმრავლესობას (50% ს მაინც) შეადგენენ. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქო ნორმალური ბავშები წარმოადგენენ სავსებით ერთგვაროვან მასას; რამდენადაც განუსაზღვრელად მრავალფეროვანი არიან ბიო-სოციალური პირობები, იმდენად „ნორმალობაც“ სხვა და სხვა ხარისხით გამოიხატვის. მაგ. ნორმალურ ბავშთა შორის გასარჩევია ბავშები, რომლებსაც აქვთ: 1) მაღალი, საშუალო და დაბალი ფიზიკურ-გონებრივი განვითარების დონე; 2) ჩქარი, საშუალო და ნელი მუშაობის ტემპი, 3) ცოდნა-ჩვევათა სხვა და სხვა ჯამი და ასე შემდეგ.

ყველა ზემოხსენებული თავისებურება უთუოთ უნდა იქნას მიღებული მხედველობაში ბავშთა ჯგუფების შერჩევის დროს და უნდა ვეცადოთ, რომ ჯგუფში ნოთავსებული იყოს გონებრივი განვითარების, ჩვევათა რაოდენობის, შრომის უნარისა და სხვა მხრივ, ბავშთა შედარებით ერთგვაროვანი მასა, რაც უზრუნველყოფს პედაგოგიური საქმის წარმატებას, სახელდობრ: 1) მოსპობს უთანასწორობას ბავშთა შორის (ე. ი. ჯგუფში არ იქნება ბავშთა დაყოფა: „ჩამორჩენილნი“, და „წარჩინებულნი“; 2) აადვილებს კონტროლს (ყველა ერთნაირი წარმატებისაა) და 3) საერთოდ, მექანიზაციაქმნილად ხდის მასწავლებლის მუშაობას*).

3. „ძნელი“ ბავშთა ტიპები. „ნორმალურ“ ბავშთა გამოკლებით, ბავშთა მოსახლეობის ისეთები შეადგენენ, რომლებსაც პედოლოგიაში „ანორმალური“, ანუ „ძნელი“ ბავშები ეწოდებათ. საბჭოთა პედოლოგიამ „ძნელი“ ბავშთა შესწავლის საქმეში უდიდესი მუშაობა შეასრულა: შექმნილია ახალი პრინციპები „ძნელი“ ბავშთა კათეგორიების კლასიფიკაციისათვის, შესწავლილია თითოული კათეგორიის თავისებურებანი და დინამიკა და სხვა; ამასთანავე, ზუსტათაა აღრიცხული, ბავშთა ანორმალურ თვისებათა წარმომშობი მთავარი ფაქტორის—სოციალური წრის გავლენათა მთელი მრავალსახეობა. ცხადია, რომ ანორმალურ თვისებათა გარკვევა უდიდეს სამსახურს უწევს, აგრეთვე, ზოგად პედოლოგიურ დასკვნებსაც, რომლებიც საშუალებას იძლევიან, რომ გამოვიყენოთ „ნორმალური“ ბავშის მიმართაც.

ა. სოციალურად გახარწნილი ბავშები. უარყოფით სოციალურ პირობათა აღმზდელობითი ზეგავლენა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ შემთხვევას, როდესაც სრულიად შეთანხმებულია აღმზრდელობითი დაწესებულებისა (სკ. ასაკამდე აღზრ-

*) იხ. ბლონსკი: „Основы педагогики“ изд. раб. прос., გვ. 202

დისა და სკოლის) და სხვა სოციალურ წრის (ამხანაგთა, მოზრდილთა, უმეტესად კი ოჯახის) უარყოფითი მოქმედება მით გამოიხატება, რომ განსხვავებულია სკოლისა და ოჯახის ზეგავლენათა ხასიათი; მაგ. სკოლა ატარებს ანტირელიგიურ, ინტერნაციონალურ-კლასიურსა და, საერთოდ, კომუნისტური აღზდის სხვა სახეებს, ოჯახში-კი—ადგილი აქვს ცრუმორწმუნოებრივ, ნაციონალისტურ და სხ. თვისებებს. ამგვარი, შეუთანხმებელი გავლენის პირობებში, გასარჩევია ბავშთა ორი ჯგუფი: 1. უცხო კლასის ბავშები, რომელთა ოჯახები: ან პასიურია, ან მცირე აქტიობის მქონეა და ან მეტად აქტიურია („მავნებლები„).

2. გადაგვარების გზაზე დამდგარი სოციალური წრის ბავშები: აქ გასარჩევია ასეთი შემთხვევები:

ა) ორმაგი შეფასების კრიტერიუმის მქონე ბავშები: ერთი—„თავისთვის", მეორე „სხვებისათვის".

ბ) ზედამხედველობის გარეშე მყოფი ბავშები: მშობლები არ ადევნებენ, ან ვერ ადევნებენ თვალყურს ბავშების აღზრდას;

გ) ბოროტმოქმედთა წრის ბავშები:

1) ბოროტმომქმედთა შვილები;

2) ხანგრძლივად ზედამხედველობას მოკლებული ბავშები;

3) „უპატრონო" ბავშები („беспризорные)" და სხვა.

ამგვარი წრის ბავშები იძლევიან სასკოლო „დეზორგანიზატორებსა" და ბოროტმოქმედებს.

ბ. ანორმალური კონსტიტუციის მქონე ბავშთა ტიპები.

პროფ. მასლოვი ანორმალური კონსტიტუციის მიხედვით, გაარჩევს ბავშთა ოთხ ტიპს:

1. ნერვიულ-არტრიტიული ტიპი;

2. ექსუდატიურ-კატარალური დიათეზით დაავადებული ტიპი;

3. ასტენიური ტიპი;

4. დასპლასტიური ტიპი.

1. ნერვიულ-არტრიტიული ტიპი ოთხ ვარიაციას იძლევა:

ა) ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის დარღვევა ორგანიზმში, რაც იძლევა შედეგათ: სიგამხდრეს და ფერმკრთალობას, ან, პირიქით, სიმსუქნეს, მცირე მადას, აპატიას.

ბ) არტრიტიული მოვლენები — ბავშებს არ აქვთ მადა; აქვთ: ნერწყვის უხვი დენა, ყვითელი, ან მწვანე ფერის კბილები, სუსტი მუსკულატურა; ჩქარა იღლებიან;

გ) კანის მოვლენები—ეკზემა;

დ) ნერვიულ-ფსიქიური მოვლენები—ჰირვეულობა, მცირე უნარი შრომის და სხვა.

2. ექსუდატიურ-კატარალური დიატეზის მქონე ტიპის დეფექცია—შემაერთებელი ქსოვილის საერთო სისუსტე. ამ ანომალიის სიხშირე, მასლოვის მიხედვით, ასეთია სხვადასხვა ასაკის ბავშთა შორის:

0 დან 3 წლამდე—31,2 %;
3 დან—7 „—21,7%;
7 „ —16 „ „—8,0%.

ექსუდატიურ-კატარალური დიატეზის დამახასიათებელი სიმპტომებია: წონის მხრივ ბავშები მალე იმატებენ და მალე იკლებენ („ნახტომისებური ზრდა"), კანის ძლიერი ქავილი, რომელიც ხშირად გადადის ეკზემაში; ცხვირისა და ყელის ხშირი კატარი (სურდო), ბრონხიტი (ქრონიკული), მუცლის ხშირი აშლილობა, ნერვიულობა და სხვა.

3. ასტენიური ტიპს ახასიათებს სხეულის ყველა სისტემის, ორგანოს და ქსოვილის სისუსტე, რაც იწვევს ასტენიკოსიბავშის დიდი მოვლის საჭიროებას. ამასთანავე, ასტენიური კონსტიტუცია ისე ხშირია, რომ მაგალითად, კრეჩმერი*) მას ნორმალურ ტიპად. სთვლის. ასაკის მიხედვით ასტენიური კონსტიტუციის სიხშირე შემდეგ ზრდას იძლევა:

ჩვილი ბავშობის პერიოდის ბავშთა —1 %-ია ასტენიკოსი;
სკოლის ასაკამდე —„—„—„—10%—„—„—;
სასკოლო ასაკში —კი — 31,6 % —„—.

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, ასაკის ზრდასთან ერთად ასტენიური კონსტიტუციის სიხშირე მნიშვნელოვნად იმატებს. ცხადია, რომ ამის მიზეზია უმთავრესად სოციალური პირობები (კვება, სასკოლო პირობები და სხვა). მორფოლოგიურად (ე. ი. გარეგნულად) ასტენიკოსს ახასიათებს: მაღალი და გამხდარი ტანი, გრძელი კიდურები, ნაზი ჩონჩხი, სუსტად განვითარებული მუსკულატურა, ბრტყელი, და ვიწრო მკერდი, ციცი, ოფლიანი ხელ-ფეხი და სხვა.

4. დისპლასტიურ ტიპს—იმუშავებს ენდოკრინული სისტემის არანორმალური მოქმედება. პროფ. ბელოვი**) გაარჩევს დისპლასტიური ტიპის 43 ვარიაციას.

---

*) იხ. op. cit.

**) იხ. Белов: „Физиология типов" 1928.

უნდა დასძინოთ, რომ სათანადო მოვლის პირობებში, ანორმალური კონსტიტუციის მქონე ბავშები, ასაკში შესვლის შემდეგ, სწორდებიან ე. ი. ნორმალურ კონსტიტუციას უახლოვდებიან; ასეთი გარემოება მოსახლეობის ფართო წრეებსაც აქვთ შემჩნეული, რომლებიც ანორმალურ-კონსტიტუციონალურ თვისებებს—„საყმაწვილოს" უწოდებენ.

გ) ფსიქოპატი, ანუ ცერებროპატი ბავშები.

ფსიქიურად დეფექტიურ ბავშთა ძირითად კონტინგენტს ე. წ. ცერებროპატები შეადგენენ; ამ კათეგორიას ისეთი ბავშები ეკუთვნიან, რომლებსაც ახასიათებს ცენტრალური ნერვიული სისტემის არასაკმაო მოქმედება. ცერებროპატებს შორის პედოლოგია გაარჩევს ორ ტიპს: 1. ნევროპატებსა და ოლიგოფრენებს, 1. ნევროპატ-ბავშებს ახასიათებს ნერვიული სისტემის ავადმყოფური აღგზნებულობა; ასეთი ბავშები ცვალებადი ყოფა-ქცევა-ფსიქიური განწყობილების მქონე არიან: ხან იჩენენ გადაჭარბებული შრომის უნარს, ხან-კი მოდუნებული არიან და მიზნის განხორციელებისადმი განიცდიან შიშსა ე. წ. (ფობიები) და ეპვებს. ნევროპატისათვის ტიპიურია: მცირე სტიმულზე—შეუფერებლად ძლიერი რეაქციები, ხან გადამეტებული წარმოდგენა თავისი თავის შესახებ, (ხან—„განდიდების მანია", ხან-სრულ არარაობად თავისი პიროვნების მიჩნევა, სიყალბე, შთაგონებისადმი ძლიერი დამორჩილება, ენაბლუობა, შარდის შეუკავებლობა, სქესობრივი ანომალიები, (ონანიზმი, მაზოხიზმი, სადიზმი, პედერასტია...), უძილობა, თვითგრძნობის ხშირი ცვლა, უმიზეზოდ გულის არევა, მუცელში—შეკრულობა და გახსნილობა, თავის ბრუ, ოფლიანობა, გულის შეწუხება, მოუსვენრობა და სხვა. ნევროპატიურ ბავშთა მთავარ კონტინგენტს შეადგენენ: ისტერიული, ნევრასტენიული, ეპილეპტიური და სხვა ტიპები.

ნევროპატიას იწვევენ, როგორც მემკვიდრეობითი პირობები ან დედის ძლიერი განცდანი ფეხმძიმეობის დროს, აგრეთვე ოჯახური და სასკოლო პირობები (ბავშის რტყმევა, ან ზედმეტი მოფერება, გადაღლილობა სასკოლო მუშაობით ზედმეტად დატვირთვის გამოდა სხვა).

2. ოლიგოფრენები— გონებრივად არასაკმაოდ განვითარებულ ბავშებს ეწოდებათ. იმისდა მიხედვით, თუ როგორი ხარისხისაა ოლიგოფრენია არჩევენ ბავშთა ოთხ ტიპს. ა) იდიოტები, ბ) იმბეცილები, გ) დებილები და დ) სუბნორმალური ბავშები,

ნორმისაგან ბავშთა გონებრივი ჩამორჩენილობის ხარისხის გამორკვევა ხდება მენტიმეტრიული ფორმულის საშუალებით:

$$JQ = \frac{\text{გონებრივი ასაკი} \times 100}{\text{პასპორტის ასაკი.}} = \text{გონებრივი ჩამორჩენილობის კოეფიციენტს;}$$

თუ ეს კოეფიციენტი 40-ზე ნაკლებია, ბავში იდიოტათ ითვლება. იდიოტი ბავშები მთელ ბავშთა მოსახლეობის $^1/_2$%-ს შეადგენენ. იდიოტიზმს იწვევს ტვინის განვითარების შეჩერება, ან დედის მუცელში ყოფნის დროს, ან ნაადრევი (ჩვილი) ბავშობის პერიოდში. იდიოტიზმის ყველა შემთხვევის 70% ბიოგენური (ე. ი. მემკვიდრეობითი) ხასიათისაა, 30%-კი ჩვილ ბავშობაში გადატანილი მძიმე ავადმყოფობათა შედეგია (ყელქირვება, დიფტერიტი, ტიფი, ყვავილი, ტვინის ანთება და სხვა). იდიოტებს სრულებით არ შეუძლიათ შიილონ უმარტივესი შრომითი ჩვევებიც-კი და საუკეთესოდ წარმოებული აღზრდა უძლურია, რომ მოსპოს იდიოტის 100%-იანი სოციალური ინვალიდობა. ერთად-ერთი სტიმული, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მათ სახეზე სიამოვნების ნიშნები — ჭამაა. მოზრდილი იდიოტების გონებრივი განვითარება ვერ აღწევს 3 წლის ასაკის ნორმალურ ბავშთა გონებრივი განვითარების დონეს.

თუ ინტელექტის კოეფიციენტი 60 დან — 40-მდეა, ბავშებს იმბეცილებათ სთვლიან; მათ ახასიათებს: ანალიზატორების სუსტი მუშაობა, რაც იწვევს იმბეცილის ცუდ შეგუებას შუალთან, ბუნდოვანი წარმოდგენები, რეაქცია არ შეეფერება სტიმულს (უფრო ძლიერია რეაქცია, ვიდრე სტიმული), გაფანტული ყურადღება, მსჯელობები შთაგონებული და აღწერილობითი, დასკვნები-რაიმე საკმაო საფუძვლის გარეშე გამოყავთ, სუსტი მახსოვრობა და სხვა. თუმცა არის ხოლმე შემთხვევა, რომ იმბეცილი განსაცვიფრებელ მახსოვრობას იჩენს, მაგრამ უკანასკნელი უაღრესად მექანიკური ხასიათისაა და არაოდეს არ არის გამოყენებული იმბეცილის მიერ ყოველდღიური საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. იმბეცილებს არ შეუძლიათ დამოუკიდებელი შრომა და არსებობა; უკეთეს შემთხვევაში, შეუძლიათ შეითვისონ მექანიკურად მხოლოდ ზოგიერთი უმარტივესი შრომითი ჩვევები წერა-კითხვის შესწავლა იმბეცილისათვის დაუძლეველი სიძნელეა და ის მოზრდილ ასაკში აღწევს მხოლოდ 7 წლის ასაკის ნორმალური ბავშთა განვითარების დონეს.

ინტელექტის კოეფიციენტი 80 დან-60-მდე ე. წ. დებილებს განსაზღვრავს. ბავშებს-დებილებს შეუძლიათ ისწავლონ წერა-კითხვა და მარტივი ხელობა, თუ სკოლაში მოათავესეს, დებილი-ბავში

მალე ჩამორჩება ამხანაგებს და იძულებული ხდება მიატოვოს სკოლა. დებილ-ბავშს ახასიათებს: სუსტი ყურადღება და მახსოვრობა, მოძრაობათა სიღარიბე, ხანდახან-საჭიროზე მეტი მოძრაობა და სხვა. სპეციალურად მოწყობილ ე. წ. დამხმარე სკოლებში (вспомагательные школы) მოთავსებით დებილი-ბავშები სწორდებიან და მათი განვითარების დონე 12 წლის ასაკის ნორმალური ბავშთა დონეს უთანასწორდება. შესწავლილი მარტივი ხელობით დებილებს შეუძლიათ დამოუკიდებლათ არსებობა.

სუბნორმალურ ბავშებს გონებრივი განვითარების მიხედვით შუა ადგილი უკავიათ ნორმალურსა და დანარჩენ ოლიგოფრენებს შორის; მათი ინტელექტის კოეფიციენტი 100-დან-80-მდეა. ნორმალურ სკოლაში აღზრდის დროს, საჭიროა სუბნორმალურ ბავშთა თვის: სასწავლო მასალის განსაზღვრული მოცულობით შიწოდება, თვალსაჩინოება, ზედმიწევნითი კონკრეტულობა, ხშირი გამეორება და სხვა. სათანადო აღზრდის პირობებში სუბნორმალური ბავშები ნორმას უახლოვდებიან და მოზრდილ ასაკში 100%-იან სოციალურ ვარგისობას იჩენენ, პირიქით შემთხვევაში—ოლიგოფრენიის სხვადასხვა ხარისხამდე დაეშვებიან ხოლმე.

დ) რეცეპტოროპატები ანუ რეცეპტორულად დეფექტური ბავშები. დეფექტიურ ბავშთა ამ კათეგორიას ეკუთვნიან: 1) ბრმა—ბავშები, 2) ყრუ—მუნჯი—ბავშები და 3) ბრმა-ყრუ-მუნჯი ბავშები.

1. ბრმად, პედაგოგიური თვალსაზრისით, არა მარტო ის ბავში ითვლება, რომელსაც დაკარგული აქვს მხედველობა სრულიად, არამედ ისეთიც, რომლის მხედველობა იმდენათ დასუსტებულია, რომ მას არ შეუძლია თავისუფლად სიარული და კითხვა. ბრმა—ბავშთა რაოდენობა, საშუალოდ, უდრის ბავშთა მოსახლეობის 0,2 ‰-ს. სიბრმავე—უმთავრესად სოციოგენური ხასიათისაა; მართლაც, შეძენილი სიბრმავე, შემთხვევათა 95% შეადგენს და მხოლოდ 5% არის თანშობილი ხასიათის. სიბრმავის მთავარ მიზეზებად უნდა ჩაითვალოს: მხედველობითი ნერვის ანთება, რომელსაც იწვევენ: ყელქირვება, დიფტერიტი, ტიფი, ყვავილი (რაც სიბრმავის შემთხვევათა 2½% იძლევა), სიფილისი, ხერხემლის, ტვინის ანთება (ე. წ. „მიელიტი"), თავის ტვინის ანთება (ე. წ. „ენცეფალიტი"); აგრეთვე—თვალის მექანიკური დაზიანება (შემთხვევათა 11%), ბლენორეა (4,9 %)* და სხვა.

*) ბლენორეა—თვალის რქისებრივი გარსის ანთებას ეწოდება, რომელსაც იწვევს მწობლების ტრიპერი. ბლენორეას შემთხვევის თავიდან აცილებისათვის მეანები ახალდშობილ ბავშს თვალებში ჩააწვეთებენ ხოლმე პროტარგოლის 1% ხსნარს.

ბრმების აღზრდა ხდება სპეციალურ სკოლებში, სადაც ბრმა ბავშები კითხვას სწავლობენ რელიეფური ანბანის საშუალებით, შეისწავლიან მუსიკას, სხვადასხვა ხელობას და სხვა.

2. ყრუ-მუნჯი ბავშთა რაოდენობა უფრო მცირეა, ვიდრე ბრმა — ბავშების: მოსახლეობის 10. 000 კაცზე, საშუალოდ აღრიცხულია 4 ყრუ-მუნჯი. ყრუ-მუნჯობ რეცეპტორულ დეფექტად არის მიჩნეული, რადგან ბავშები მუნჯი არიან სიყრუის გამო. სიყრუე შეიძლება იყოს თანდაყოლილი დეფექტი, რაც ყველა შემთხვევის 25 %-ს შეადგენს. დანარჩენ შემთხვევებში-კი (ე. წ. 75 %), სიყრუე შეძენილი ხასიათისაა; შეძენილი სიყრუეს მიზეზებია: მექანიკური დაზიანება სმენითი რეცეპტორის (ყურის), ყურის კატარალური მდგომარეობა, ინფექციური სნეულებანი და სხვა.

თუ ბავშმა დაკარგა სმენა 8—10 წლის ასაკამდე, ის უთუოდ დაკარგავს მეტყველების უნარსაც; ხოლო, 10 წლის ასაკის შემდეგ დაყრუებულ ბავშს, სათანადო აღზრდის პირობებში შეუძლია შეინარჩუნოს მეტყველება.

ყრუ-მუნჯი ბავშები იზრდებიან სპეციალურ სკოლებში, სადაც ისინი შეისწავლიან მეტყველებას სხვადასხვა მეთოდის საშუალებით. ამ მეთოდებს შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია საბჭოთა მეცნიერის — პროფ. სოკოლიანსკის მეთოდი.

3. ბრმა-ყრუ-მუნჯი ბავშები — მეტად იშვიათი მოელენაა; თუ მხედველობაში არ მივიღებთ, მეცნიერების მიერ აღრიცხულ ორ განსაკუთრებულ შემთხვევას (ლუარა ბრიჯმენი და ელენე კელლერი — იხ. ამ წიგნის თავი XVII). ბრმა-ყრუ-მუნჯი ბავშთა აღზრდას აქვს უფრო თეორეტიული, ვიდრე პრაქტიკული ღირებულება.

ე) მახინჯი, ანუ ეფექტოროპატი ბავშები.

გასარჩევია სიმახინჯის (ანუ ეფექტოროპატიის) სამი ხარისხი: 1) ე. წ. „ბუნების თამაშობა" (luxus naturae), 2) „დამახინჯებანი" (deformitates) და 3) თვით სიმახინჯენი (ononstra). სიმახინჯე შეიძლება ეხებოდეს როგორც მთელ ორგანიზმს, ისე მის ცალკე ნაწილებსაც. არსებობს ეფექტოროპატი — ბავშთა მრავალი ტიპი: 1. მთელი ორგანიზმი, ან მისი ცალკე ნაწილები ან მეტად დიდია, ან — გაორებულია; მაგ. შესაძლებელია ასეთი შემთხვევები: ორი თავი, ორი კისერი; ორი ფეხი, ერთი მენჯი და ორი ტანი და ორი თავი; ან, ერთი თავი, ერთი ტანი, და ორი მენჯი და ორი წყვილი ფეხი და სხვა. არის აგრეთვე შემთხვევა, რომ ბავშს

აქვს სხეულის ცალკე ნაწილების ზედმეტი კომფლექტები, მაგ. ზედმეტი: კიდურები, თითები, ხერხემლის მილები, ნეკნები, მკერდის ჯირკვლები; ამგვარ სიმახინჯეს ეკუთვნის აგრეთვე აკრომეგალია, გიგანტიზმი, საერთო ნაადრევი განვითარება და სხვა.

2. სიმახინჯენი, რომლებსაც იწვევს განვითარების შეჩერება: თუ მთელ სხეულს ეხება — ლილიპუტობა (კარლიკობა), როდესაც ადგილი აქვს: ა) ან—სხეულის ნაწილების პროპორციას, ბ) ან—არ არის ასეთი პროპორცია დაცული; ამგვარ სიმახინჯეს უნდა მივაკუთვნოთ ისეთი შემთხვევაც, როდესაც ბავშს არა აქვს: გული, ფილტვები, ღვიძლი და სხვა. ცხადია, უკანასკნელი ტიპის სიმახინჯე—არა სასიცოცხლოა და ბავში მკვდარი იბადება. განვითარების შეჩერება შეიძლება ეხებოდეს: ტვინს, თავის ქალას (microcefolia), პირისახეს, სასქესო ორგანოებს; ასეთივე ტიპის მახინჯებია ბავშები, რომელთაც აქვთ: გაპრილი ზედა ტუჩი, ვერტიკალურად გაპრილი პირი პირისახეზე და სხვა.

3. მესამე ტიპის ეფექტოროპატიას—შინაგანი სიმახინჯენი ეკუთვნიან; ამგვარ დეფექტს ეკუთვნიან მკერდისა და მუცლის ორგანოების არანორმალური მდებარეობის შემთხვევები: მაგ. გულის მარჯვნივ მდებარეობა, სათესლე ჯირკვლების მოთავსება მუცლის მიდამოებში და სხვა.

ბავშის სიმახინჯე მეტად ადრე ვითარდება, სახელდობრ: დედის მუცელში ყოფნის პირველი სამი თვის განმავლობაში. მისი ფაქტორებია: ემბრიონის სისხლის მიმოქცევისა და კვების დარღვევა, ჩანასახის შეზრდა პლაცენტასთან, მემკვიდრეობა და სხვა.

სოციალური შეგუებლობის მიხედვით, სიმახინჯეთა მრავალფეროვნება შეიძლება იქნეს განჯგუფებული ოთხ კლასში:

1. არა სასიცოცხლო მახინჯები;

2. სიცოცხლის უნარის მქონე, მაგრამ შრომის უნარს სრულიად მოკლებული მახინჯები;

3. შრომის მცირე უნარის მქონე მახინჯები, ისიც სათანადო დახმარების პირობებში (ექიმობა, პროტეზები, სპეციალური აღზრდა).

4. ნაყოფიერი შრომის უნარის მქონე მახინჯები.

—

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბავშთა ფსიქო-ფიზიკური ანომალიების ფაქტორებია: ა) მემკვიდრეობა: ლოთობა, სიფილისი, ანორმალური კონსტიტუცია, დისპლასტიურობა და სხვა; ბ) სოციალური პირობები: ჩასახვის, ფეხმძიმეობისა და ჰიგიე-

ნურ-სანიტარული პირობები, ქრონიკული შიმშილობა, ან ავიტამინოზი, პედაგოგიური ზეგავლენის სისუსტე, მომველელთა უვიცობა, ინფექციური დაავადებანი, მექანიკური დაზიანება დაბადების დროს და მრავალი სხვა.

საბჭოთა კავშირში ბავშთა დეფექტიობასთან ბრძოლას უდიდესი ყურადღება ექცევა; ეს ბრძოლა ორი ხაზით მიმდინარეობს: ა) პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი უ რ ი ზ ო მ ე ბ ი ს მ ი ღ ე ბ ა; ამ მხრივ აღსანიშნავია: მშრომელი მოსახლეობის სანიტარულ-ჰიგიენური განათლება, დედათა და ბავშთა დაცვის საკონსულტაციო პუნქტების ფართო ქსელი, პედაგოგიური კონსულტაცია, აღმზრდელობითი დაწესებულებების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა, „ბავშის მეგობართა საზოგადოება“ და სხვა.

ბ) უკვე არსებულ ანორმალური ბავშთა აღზრდა სპეციალურ დაწესებულებებში ე. წ. „დ ა მ ხ მ ა რ ე ს კ ო ლ ე ბ შ ი“, რომელთა რიცხვი ამ ჟამად 700-ს აღწევს.

დ ა მ ა ტ ე ბ ა ნ ი

დ ა მ ა ტ ე ბ ა I.

დ ღ ი ურ ე ბ ი ს ა დ ა ბ ა ვ შ ი ს დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ი ს შ ე დ გ ე ნ ი ს მ ე თ ო დ ი ს (კ. კ ო რ ნ ი ლ ო ვ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ). ბ ა ვ შ ზ ე დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა ო რ გ ვ ა რ დ ღ ი ურ ს მ ო ი თ ხ ო ვ ს: 1) ს ა ე რ თ ო დ ღ ი ურ ს, რ ო მ ე ლ შ ი ა ც ა ღ ი ნ ი შ ნ ე ბ ა გ ა რ ე მ ო წ რ ი ს გ ა ვ ლ ე ნ ა ბ ა ვ შ ზ ე დ ა 2) ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ურ დ ღ ი ურ ს, ს ა დ ა ც ჩ ა ი წ ე რ ე ბ ა დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ე ბ ი ბ ა ვ შ ი ს პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ზ ე.

I. ს ა ე რ თ ო დ ღ ი ურ ი ს გ ე გ მ ა:

A. გ ა რ ე მ ო წ რ ი ს გ ა ვ ლ ე ნ ა თ ა ა ღ რ ი ც ხ ვ ა:

ა) სოციალური წრე, რომელშიაც ბავში სცხოვრობს.

ბ) საბინაო პირობები (სახლის ზომა, ბინები და მათი მოწყობილობა).

გ) რეჟიმი (დღის წესრიგი, ძილი, კვება, მეცადინეობა, ფიზიოლოგიური ჩვეულებები, ჰიგიენური ჩვევანი, აღზრდის სისტემა და სხვა).

B. ბ ა ვ შ თ ა კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა ღ რ ი ც ხ ვ ა.

ა) ბავშების ურთიერთ დამოკიდებულება (მათი სოციალური, ზნეობრივი, ესთეტიური და სხვა რეაქციები).

C. ა ღ მ ზ რ დ ე ლ თ ა კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი ს მ უ შ ა ო ბ ი ს ა ღ რ ი ც ხ ვ ა.

ა)ბავშების ურთიერთობა აღმზრდელებთან და სხვა ადამიანებთან.

ბ) აღმზრდელობითი კოლექტივის მუშაობა ბავშების მიმართ (ამ მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები).

საერთო დღიური უნდა შესდგეს განსაზღვრულ პერიოდისათვის (ერთჯერ ორ კვირაში, ან ერთჯერ თვეში) და იგი აღმზრდელთა კოლექტივის სხდომაზე უნდა იქნეს განხილული.

II. ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ურ ი დ ღ ი ურ ი უ ნ დ ა გ ა მ ო ხ ა ტ ა ვ დ ე ს ა მ ა თ უ ი მ ბ ა ვ შ ი ს ყ ო ფ ა ქ ც ე ვ ა ს. ჩ ა წ ე რ ა ყ ო ვ ე ლ დ ღ ი ურ ა დ ს წ ა რ მ ო ე ბ ს; ა ღ ნ უ ს ხ ე ლ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს ზ უ ს ტ ა დ მ ხ ო ლ ო დ ი ს ე თ ი ფ ა ქ ტ ე ბ ი, რ ო მ ლ ე ბ ი ც ა ხ ა ს ი ა თ ებ ე ნ ბ ა ვ შ ი ს ყ ო ფ ა ქ ც ე ვ ი ს ა მ ა, თ უ ი მ მ ხ ა რ ე ს (მ ი ს მ ო ძ რ ა-

ობას, მეტყველებას, მიმიკას, დამახსოვრებას, სოციალურ, ზნეობრივ ყოფაქცევას და სხვა). როდესაც საკმაო ფაქტიური მასალა დაგროვდება, უკანასკნელი უნდა იქნეს შეჯამებული სათანადო ნიშნის მიხედვით (მიბაძვა, მეტყველება, სხვა ბავშებთან ურთიერთობა და სხვა) და აქედან ბავშის ზოგადი დახასიათება შესდგება.

დღიურის ნიმუში:

თარიღი	ასაკი	ბავშის ყოფაქცევის ფაქტები.
8/III.—22 წ.	3,8.12.	მიბაძვა. დატოვებული წყლის ჭურჭელს შეხედა და იქვე ჩვარის დასველება და იატაკის წენდა დაიწყო; ჩვენ გვიხსნიდა: „ნე ანა, მე ვრეცხავ“ (ანა—მოსამსახურე ქალია).
11/III—22 წ.	3,8,15.	მეტყველება. სხვადასხვაგვარ შეკითხვებს იძლევა ყველაფრის შესახებ, რასაც ხედავს ქუჩაში. მაგ., დღეს შეგვეკითხა: „ეს წყალია“ ვისი წყალი? ეს ვისი სახლია? ეს ძროხაა? ის ბუ-ბუ? სად აქვს ლოგინი? და სხვა.
15/III—22 წ.	3,8,19.	ურთიერთობა სხვა ბავშებთან. გუშინ მოიყვანეს ახალი გოგონა. ტონია მას დიდი ინტერესით მოეპყრო, მაგრამ მასთან დაახლოვებას ერიდებოდა. დღეს კი სულ სხვანაირად შეხვდა ამ გოგონას: თამამად მიეიდა მასთან და რაღაც ჩუმი შეთანხმებით მათ მხიარული თამაშობა დაიწყეს: ერთი-მეორესათვის ხელი-ხელ ჩაკიდებული ტრიალებდენ და ხმამაღლა კისკისობდენ.

აქვე მოგვყავს გეგმა სასკოლო ასაკამდე ბავშების დახასიათების შედგენისათვის:

I. ფორმალური ცნობები ბავშის შესახებ.

1. გვარი, სახელი და მამის სახელი.
2. დაბადების დრო.
3. ეროვნება.
4. მშობლების სოციალური მდგომარეობა.
5. მშობლების: სახელი, მამის სახელი, გვარი.
6. მშობლების მისამართი.
7. ბავშის ფოტოგრაფიული სურათი.

II. ბავშის ფიზიკური დახასიათება.*)

1. ბავშის სქესი.
2. ასაკი.
3. სიმაღლე.
4. წონა.
5. სხეულის აგებულება.
6. კანის ფერი.
7. ზედა ქსოვილები (ელასტიურობა და სხვა).
8. ცხიმის ფენა (სუსტი თანასწორზომიანი).
9. მუსკულატურა (სუსტი, ზომიერი).
10. ძვლების ჩონჩხი (გამრუდებანი).
11. თმის ფერი.
12. თავის გარშემოწერილობა.
13. თავის მაჩვენებელი.
14. პირისახე (ფართო, ვიწრო, გამოწეულობა: ღაწვების, შუბლის, ზედა ყბის ნიკაპის).
15. თვალების ფერი.
16. მხედველობის სიმახვილე.
17. ყურის და ცხვირის ფორმა (სწორი, უსწორო).
18. სმენის მახვილობა.
19. კბილები. (დალაგება და სხვა).
20. მიმიკა (ცოცხალი, ერთფეროვანი და სხვა).
21. მკერდის ფორმა.
22. ფილტვების ტევადობა.
23. ფილტვების მდგომარეობა.
24. მკერდის მოცულობა.
25. გულის მდგომარეობა.
26. სუნთქვის ტიპი (ზედა, ქვედა, შერეული).
27. სუნთქვის რიცხვი.
28. პულსი.
29. ტემპერატურა.
30. მუცლის ფორმა.
31. სქესობრივი ორგანოები.
32. კიდურების სიდიდე.
33. კუნთების ძალა.

---

*) იხ. გამოსაცემათ გამზადებული ჩვენი ნაშრომი „ანთროპომეტრია.“

34. მოძრაობათა კოორდინაცია (მოუხერხებელი, ცქვიტი).

35. გაჩერება, სიარული.

36. კანის მგრძნობიარობა (მიკარება, ტკივილი, სითბო, სიცივე).

37. დერმოგრაფიზმი.

38. რეფლექსები (კონიუნქტიური, საყლაპავი მილის, კანის, მუცლის, ფეხის გულის).

39. ჯირკვლების მდგომარეობა.

40. დეფეკაცია (უმტკივნეულო, შარდის შეუკავებლობა და სხვა).

III. ბავშის სოციალური მდგომარეობა.*)

1. მშობლების სოციალური მდგომარეობა.
2. მშობლების პროფესია.
3. ოჯახის შემადგენლობა.
4. დაბადებისა და საცხოვრებელი ადგილი (სოფელი, ქალაქი).
5. ოჯახის მატერიალური მდგომარეობა.
6. ოჯახის მიერ დაკავებული ბინა.
7. ოჯახის კულტურული დონე.
8. როგორ ეპყრობოდენ ბავშს ოჯახში?
9. იყო თუ არა დაცული ბავშის ცხოვრებაში განსაზღვრული რეჟიმი?
10. ბავშის ფიზიკური და ფსიქიური აღზრდის სისტემა (სხეულის გაწვრთნა, თამაშობანი, სათამაშოები, ამხანაგები, სასჯელი და სხვა).

IV. ბავშის მემკვიდრეობითი თვისებები.

1. არის თუ არა ბავშის რომელიმე ახლობელი (დედა, მამა, ბაბუა, ბებია, ბიძები დედის და მამის მხრივ, ბიცოლა, დედის და მამის დები, ძმები და დები) დაავადებული: სულიერი ავადმყოფობით, იდიოტიზმით, ჩლუნგი გონებით, ეპილეპსიით („ავი ზნე"), ისტერიით, შაკიკით, ტუბერკულიოზით, სიფილისით, ალკოგოლიზმით, ზნეობის ავადმყოფობით (გარყვნილება, ქურდობა და სხვა) ან, თუ იყო რომელიმე მათგანი დასახელებული ავადმყოფობით დაავადებული ოდესმე?

2. ემჩნეოდა, თუ არა იგივე პირებს აშკარად გამოხატული ნიჭი ხელოვნების, ან მეცნიერების დარგში?

---

*) ბავშის სოციალური მდგომარეობის გამოკვლევის შესახებ იხ. П. Люблинский: „Методика социального обследования детства" 1928.

V. ბავშის ფიზიკური განვითარების ისტორია.

1. მშობლების ასაკი ბავშის ჩასახვის დროს.

2. რომელია რიგით ფეხმძიმეობა?

3. დედის მდგომარეობა ფეხმძიმეობის დროს (გადაქანცვა, არა საკმაოდ კვება, ავადმყოფობანი და სხვა).

4. როგორი იყო მშობიარობა (ძნელი, ადვილი და სხვა).

5. ბავშის მდგომარეობა დაბადების დროს.

6. ვინ და რამდენ ხანს აკმევდა ძუძუს?

7. როდის დაიწყო ბავშმა: დაჯდომა, ფორთხვა, სიარული.

8. როდის ამოუვიდა კბილები?

9. როდის დაიწყო ლაპარაკი?

10. როდის მიეჩვია სისუფთავეს?

11. რა ავადმყოფობა გადაიტანა ბავშმა და მისი გავლენა ბავშის განვითარებაზე?

VI. ბავშის ფსიქიკა.

A. შეგრძნებები.

ა) ორგანიული: შიმშილის და წყურვილის გამოხატვა ბავშის მიერ.

ბ) შეხებითი: 1) გაარჩევს თუ არა ბავში სითბოს და სიცივეს. 2) შეუძლია თუ არა დააწყოს წყლით სავსე ჭიქები ალმავალი ტემპერატურის მიხედვით; 3) არჩევს, თუ არა ბავში გალიპულ ზედაპირს ხორკლიან ზედაპირისაგან; 4) შეუძლია, თუ არა მხოლოდ ხელის მოკიდებით გაიგოს სხვადასხვა მასალა (ხავერდი, ატლასი, აბრეშუმი, მაუდი და სხვა).

გ) მოტორული: 1) შეუძლია, თუ არა ბავშს ხელის მოკიდებით გაარჩიოს მარტივი ფორმები, მაგ., კუბი, ან აგურები; 2) გაარჩევს, თუ არა ბავში ორი ფიცრის წონას, თუ ეს ფიცრები ერთნაირი ფორმისაა, მხოლოდ სიმძიმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

დ) გემოვნებითი: 1) გაარჩევს, თუ არა ბავში ძირითად გემოს: ტკბილი, მწარე, მჟავე, მლაშე; 2) შეუძლია, თუ არა გემოთი გაიგოს საგანი.

ე) ყნოსვითი: გაარჩევს, თუ არა ბავში კარგ სუნს ცუდისაგან; 2) შეუძლია, თუ არა ყნოსვით გაიგოს საგანი.

ვ) სმენითი: 1) შეიგრძნებს, თუ არა ბავში ბგერებს; 2) მოაბრუნებს, თუ არა თავს ბგერისაკენ; 3) ესმის, თუ არა ხმის ინტონაცია; 4) როგორ უპასუხებს ბავში მუსიკალურ კილოებს; 5) იცნობს თუ არა საგანს მისი ბგერის მიხედვით; 6) იცნობს, თუ არა ბავში

მიჩნეულ კილოს მუსიკალურ ინსტრუმენტის რამოდენიმე ასეთივე კილოს შორის; 7) როგორია ბავშის სმენის სიმახვილე.

ზ) მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი თ ი: 1) შეიგრძნებს, თუ არა ბავში სინათლეს; 2) ადევნებს თუ არა თვალებს მოძრავ საგნებს; 2) გაარჩევს, თუ არა სპეკტრის ძირითად ფერებს: წითელი, ნარინჯი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ცისფერი და სოსანი; 4) იცნობს, თუ არა მიჩნეულ ფერს სხვა ფერებს შორის; 5) იცის, თუ არა ძირითადი ფერების სახელწოდება; 6) გაარჩევს, თუ არა ფერის სხვადასხვა სახეს; 7) სწორად აფასებს, თუ არა ბავში საგნების სიდიდეს და მათ მანძილს (უფრო დიდი, უფრო პატარა, შორს, ახლოს); 8) რომელი ფერი უფრო უყვარს ბავშს; 9) ნორმალურია, თუ არა ბავშის მხედველობა.

B. აღქმა და წარმოდგენა.

1) ამჩნევს თუ არა ბავში ოდნავ მსგავსებას, ან განსხვავებას საგნებს შორის; 2) ყურადღებას აპყრობს და ამჩნევს, თუ არა ბავში ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება: 3) შეუძლია, თუ არა ბავშს ნარტივი სურათის შინაარსის გადმოცემა; 4) აღქმის რომელ სტადიაშია ბავში (საგნობრივი მოქმედების, თავისებების, ურთიერთობის); 5) გამოარკვიეთ ბავშის წარმოდგენათა მარაგი; 6) გამოარკვიეთ ბავშის წარმოდგენათა ხედმიწევნითობა.

C. მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა.

1) ახსოვს, თუ არა ბავშს ის, რაც მან განიცადა წინა დღით, რამოდენიმე დღის, კვირის, თვის და წლის წინედ; 2) კარგად იმახსოვრებს, თუ არა ბავში საგნებს; რამდენი საგნის გახსენება შეუძლია ბავშს 5—6 საგნიდან; 3) ადვილად და მალე სწავლობს ბავში სიმღერებს და პატარა ლექსებს თუ არა; 4) ზუსტად აღადგენს, თუ ბევრ შეცდომას უშვებს გახსენების დროს; 5) რამდენ ხანს ინახავს მახსოვრობაში შეთვისებულს; 6) ადვილად იხსენებს, თუ არა შეთვისებულს; 7) რას უფრო კარგად იმახსოვრებს: ფერები, პირისახეები, ბგერები, მელოდიები, მოძრაობანი და სხვა; 8) შეუძლია, თუ არა შესწავლილის აზრის თავისი სიტყვებით გადმოცემა, თუ შესწავლილს მექანიკურად იმეორებს.

D. ყურადღება და ინტერესები.

შ თ ა წ ე რ ტ ე ბ ა.

1) შეუძლია, თუ არა ბავშს ყურადღების დამაგრება ერთ საგანზე, თუ ადვილად ხდება მისი ყურადღების გაორება; 2) მკვიდრია

ბავშის ყურადღება, თუ იგი უცბად იბნევა; 3) რა უფრო აინტერესებს ბავშს (ბგერები, ფერები, მოძრაობანი, წარმოთქმული სიტყვები, ნაცნობი საგნები და სხვა); 4) როგორ უპასუხებს ბავში ახალ საგანს, ან მოვლენას: ინტერესს იჩენს, თუ გულგრილად და უყურადღებოთ ეპყრობა; 5) შეუძლია, თუ არა ბავშს ყურადღების მიპყრობა ოდნავ საინტერესო მუშაობისადმი, თუ მხოლოდ საინტერესო მუშაობას ეძებს 6) მალე იღლება ბავში მუშაობის, თამაშობის, ან სეირნობის დროს, თუ არა.

E. ნარმოსახვა და შემოქმედების პროდუქტები.

1) ყველაფერი, რასაც ბავში აღადგენს (სიტყვებით, ან მოქმედებით) არის მხოლოდ ასლი წინედ განცდილის, თუ ბავში იყენებს უკანასკნელს მასალად ახალის შექმნისათვის; 2) ბავში შემოქმედებითია, თუ მოქმედებს შაბლონის მიხედვით; 3) არჩევს, თუ არა ბავში სიმართლეს სიყალბისაგან; 4) ხომ არ ემჩნევა ბავშს ფანტასტიური სიყალბე და თვით გარდაქმნა (სხვა ადამიანად, ცხოველად და სხვა); 5) როგორია ბავშის იდეალები: ფანტასტიური თუ რეალური; 6) ბავშის თამაშობის ხასიათი (ერთეული, კოლექტიური და სხვა); 7) არის თუ არა ბავშის თამაშობაში მომენტი: ნგრევის, შეკრებისა და კოლექციონერობის, აღმშენებლობის, როლების შესრულებისა და სხვა); 8) ემჩნევა თუ არა ბავშის თამაშობას გარემოწრის და სქესის გავლენა; 9) როგორი თამაშობანი და სათამაშოები უფრო უყვარს ბავშს; 10) სათამაშოებს თვითონ იკეთებს, თუ არა; როგორი არიან ასეთები და ბავში მათ დიდხანს ეთამაშება, თუ არა; 11) როგორი სათამაშოები უფრო უყვარს ბავშს: თავისი ხელით გაკეთებული, ფაბრიკის თუ მხატვრული; 12) გარემოწრის საგნებიდან რას ხმაროობს ბავში სათამაშოებათ (სილა, ხე, ავეჯეულობა, ცხოველები და სხვა; 13) ეთამაშება, თუ არა ბავში ტიკინას; როგორი ტიკინები უფრო უყვარს მას. აღწერეთ ბავშის საყვარელი ტიკინა; 14) ცალკე თამაშობა უფრო უყვარს, თუ სხვა ბავშებთან ერთად; 15) ხატავს და ძერწავს ბავში, თუ არა; 16) უყვარს, თუ არა ბავშს ხატვა და ძერწვა; 17) ხატვის რომელ სტადიაშია ბავში (ხანა შტრიხების, „ჯლაბნის“, „თავფეხიანების“ და სხვა); 18) ბავშის შემოქმედების უმთავრესი თემები; 19) რა უფრო უყვარს ბავშს: ბუნებიდან გადმოხატვა, მახსოვრობის მიხედვით ხატვა თუ ფანტაზია; 20) შეკრიბეთ ბავშის ნახატები და ნაძერწი სხვადასხვა ასაკში და დაუკვირდით, თუ როგორი თანდათანობით ვითარდებოდა ბავში.

F. მეტყველება და აზროვნება.

1. მეტყველების განვითარების რომელ პერიოდშია ბავში [პერიოდი „ღუღუნის“ („აღუ), ტიტინის, ლაპარაკის]; 2) როგორ ბგერებს და სიტყვებს წარმოსთქვამს ბავში; 3) ემჩნევა, თუ არა ბავშს რაიმე ჟესტები და მიმიკური მოძრაობანი; 4) ბაძავს, თუ არა ბავში მოსმენილ ბგერებს; 5) ესმის, თუ არა ბავშს სხვა ადამიანების მეტყველების ინტონაცია და შინაარსი; 6) შეადგინეთ ბავშის მეტყველების სიტყვარი; 7) ნორმალურია, თუ არა მეტყველების ორგანოები; 8) რა დეფექტები ემჩნევა ბავშს სიტყვების გამოთქმის დროს; 9) ბავშის ახლობელების შორის არიან, თუ არა გამოთქმის მხრივ დეფექტიური ადამიანები; 10) ახალი სიტყვები ბავშს გაუჩნდება თავის-თავად, თუ ახლობელების მიბაძვით; 11) ადგენს, თუ არა ბავში ახალ სიტყვებს; 12) მეტყველების რა ნაწილები სჭარბობენ ბავშის ენაში და როგორი რიგით ჩნდებიან ასეთები; 13) როგორი ცვლილებებია ბავშის მეტყველებაში: ბრუნვის, რიცხვის, პირის, დროის და სხვა გრამატიკულ ფორმების მიხედვით; 14) აქვს, თუ არა ბავშს ორი და მრავალსიტყვიანი ფრაზები ჩამატებულ წინადადებებით; 15) აქვს, თუ არა ბავშს წინადადების პირობითი და კითხვითი ფორმები; 16) როგორ გამოთქვამს ბავში თავის აზრებს: მდიდარია მისი მეტყველება სიტყვიერებით და გამოთქმის სხვა საშუალებებით, თუ იგი ღარიბია და ბავში ძნელად გამოთქვამს თავის აზრებს; 17) გარემოწრესთან გაცნობის დროს ბავში ბევრ კითხვებს იძლევა, თუ მას ჩუმად, თავისთავად სწავლობს; 18) კითხვების რომელ პერიოდშია ბავში (I პერიოდში—ეს რა არის?, თუ მეორეში—რატომ?); 19) აქვს, თუ არა ბავშს კავშირი საგანსა და მისი სახელწოდებას შორის; 20) როგორი ცნებები აქვს ბავშს: ინდივიდუალური თუ გვაროვნული; 21) როგორია ბავშის მსჯელობები (დადებითი, უარყოფითი, პრობლემატიური და სხვა); 22) ამჩნევს ბავში, თუ არა მიზეზობრივ კავშირს მოვლენათა შორის; 23) როგორი დასკვნები აქვს ბავშს (დასკვნა ანალოგიით, ინდუქტიური, დედუქტიური); 24) როგორია ბავშის დაკვირვებანი დ; დასკვნები: ფართო და კრიტიკულად განხილული, თუ ვიწრო და ცალმხრივი; 25) მკვირცხლია ბავშის აზროვნება, თუ მას უბრალო აზრების გაგება უძნელდება და იგი შემცდარ დასკვნებს აკეთებს 26) უკვირდება, თუ არა ბავში ინტერესით მოელენებს და ჰყოფს მათ ელემენტებად, თუ ინტერესს არ იჩენს და მთლიანად მათ შეიცნაურებს; 27) შეუძლია, თუ არა ბავშს სათანადო მიუდგომლობით მოეპყრას სხვების აზრებს.

G. გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი.

1) როგორია უმთავრესად ბავშის თვითგრძნობა: მხიარული, წყნარი, თუ დაბეჩავებული; 2) როგორი სიძლიერით გამოხატავს ბავში: სიამოვნება-უსიამოვნებას, სიხარულ-მწუხარებას; 3) მყარია ბავშის თვითგრძნობა, თუ უცბად იცვლება იგი; 4) როგორ იქცევა ბავში, როდესაც მას რაიმე საშიშროება მოელის: ის ძლიერ შიშს განიცდის თუ საშიშროებას გულგრილად და მამაცად ხვდება; 2) როგორ გამოხატავს ბავში შიშს; 6) როგორ იქცევა ბავში წინააღმდეგობის დროს: განრისხება ჩნდება ბავშში, თუ ის წყნარი და თავშეკავებული რჩება; 7) როგორ გამოხატავს ბავში განრისხებას; 8) ემჩნევა ბავშში, თუ არა შური და ეჭვიანობა; როგორ გამოხატავს მათ ბავში; 9) ემჩნევა, თუ არა ბავშს ჯიუტობა, თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა; 10) როგორ იქცევა ბავში შექების, ან გაკიცხვის დროს: იკვეხს და წყინს, თუ გულგრილად ეპყრობა სხვისი აზრს; 11) როგორ გამოხატავს ბავში უხერხულობასა და სირცხვილს; 12) რამდენად შეპყრობილია ბავში ეგოიზმით: ცდილობს ბავში მხოლოდ თავისი თავის შესახებ, თუ შეუძლია თავისი პირადი ინტერესის მსხვერპლად მიტანა; 13) რამდენად გამოხატავს ბავში სიმპატიას ახლობელების მიმართ; როგორ გაძოხატავს იგი სიმპატიას მშობლების, ამხანაგების, სხვა ადამიანებისა და ცხოველების მიმართ; 14) ახასიათებს ბავშს: სიმართლე, პატიოსნება და გულწრფელობა თუ მას აქვს მიდრეკილება სიყალბის, მოტყუებისა ძალადობისაკენ, უმთავრესათ სუსტების მიმართ; 15) ვის აფასებს და სურს მიბაძოს თავის მოქმედებაში (მშობლებს, ნაცნობებს, ისტორიული მოღვაწეებს, ბეხატვრული თხზულებების გმირებს და სხვა); 16) როგორ ეპყრობა ბავში ლამაზსა და კოხტას: შეუძლია, თუ არა მას მოძახოს ლამაზი ბუნებაში, ხელოვნების თხზულებებში, და ადამიანის მოქმედებაში, თუ ყველაფერს ეპყრობა განურჩეველად; 17) მიისწრაფვის თუ არა ბავში სიკოხტავესა და სისუფთავისაკენ, როგორც თავისი ტანსაცმელის, აგრეთვე სიცოცხლის სხვა პირობების მხრივ.

J. ნ ე ბ ა -(მოძრაობანი).

1) რა სახით გამოიხატება ბავშის იმპულსიური რეფლექტორული მოძრაობა; 2) რა სახით გამოიხატება ბავშის ინსტინქტიური მოძრაობა (ინსტინქტი კვების, ხელის მოკიდების, სიარულის, მიბაძვის, გადაგდების, ნგრევის, აფორთხების, ბრძოლის, დაგროვების ან საკუთრების, სქესის და სხვა); 3) ბავში განსაკუთრებულად აქტიური

და მოძრაობათა სიუხვის მატარებელია, თუ პასიური და ზანტია იგი; 4) როგორია ბავშის რეაქციები გარეშე გაღიზიანებაზე: ჩქარი თუ ნელი, ძლიერი თუ სუსტი; 5) იჩენს ბავში სიცქვიტეს მოძრაობაში, თუ ზანტია იგი; 6) აქტიურია სურვილების განხორციელების დროს, თუ მოდუნებული და აპატიურია; 7) ბავში წინდახედულია, თუ ფუქსავატი და უდარდელია ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების დროს; 8) დასახული მიზნის მისაღწევად ბავში ხასიათის სიმტკიცეს, თუ სისუსტეს იჩენს: 9) შთაგონებას ბავში ემორჩილება, თუ კრიტიკული და შეგნებულია თავის მოქმედებებში; 10) მოქმედებს ბავში განსაზღვრული საქმის მიხედით, თუ ემორჩილება შემთხვევით თვითგრძნობას, აფექტს.

K. ბავშის დეფექტები.

1) დაავადებულია, თუ არა ბავში: „საყმაწვილო"-თი, ტუბერკულიოზით, სიფილისით, ისტერიით, ეპილეპსიით, სიყალბით, ქურდობით და სხვა;

2) ემჩნევა, თუ არა ბავშს ფსიქიური ჩამორჩენილობა ან გონების სიჩლუნგე;

3) როგორ სძინავს ბავშს: გახილული და დახუჭული თვალებით, თავით საბნის ქვეშ, თუ არა;

4) აქვს თუ არ ბავშს ღამით შიში;

5) დაავადებულია, თუ არა ბავში ღამე შარდის შეუკავებლობით;

6) ენა დაბმულია ბავში, თუ არა; ენა მოჩლექილია, თუ არა; ჩქარა ლაპარაკობს, თუ არა; უარს აცხადებს, თუ არა ლაპარაკის შესახებ სირცხვილის გამო;

7) ემჩნევა, თუ არა ბავშს უმიზნო ჯიუტობა, კაპრიზი და სხვა:

8) ემჩნევა, თუ არა ბავშს თვითგრძნობის მნიშვნელოვანი გარდატეხა;

9) ემჩნევა, თუ არა ბავშს მოუცილებელი აზრები და გრძნობები (შიში სიბნელის, მარტოობის, სიწყნარის, მოჩვენებათა ავადმყოფობის, განდიდების და სხვა);

10) ემჩნევა თუ არა ბავშს ანომალია სქესობრივ სფეროში (ცინიზმი, ონანიზმი და სხვა);

11) ახასიათებს, თუ არა ბავშს საკიროზე მეტი მოძრაობანი (ენის გამოყოფა, ტუჩების ლოკვა, ხელების ქნევა და სხვა);

12) აქვს, თუ არა ბავშს ავტომატიური მოძრაობანი (ბრჩხილების კბენა, ცხვირის ნესტოებში თითების შეყოფა, თითებზე კანის მოგლეჯა და სხვა).

დამატება მე-II-ე

ქვემოდ მოგვყავს ოჯახის სოციალურ—საყოფაცხოვრებო პირობათა გამოკვლევის პროგრამა, რომელიც შედგენილია მოსკოვის სახელმწიფო მე-II უნივერსიტეტთან არსებულ პედოლოგიურ კაბინეტის მიერ. ეს პროგრამა პედოლოგიურ თვალსაზრისით, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, რადგან ოჯახური ფაქტორების სრულ აღნუსხვას შეიცავს.

მოსკოვის სახელმწიფო მე II უნივერსიტეტთან არსებული პედოლოგიური კაბინეტი

გამოკვლევის თარიღი:	ოჯახის სოციალურ-საყოფაცხოვრებო გამოკვლევის რუკა სახელი, გვარი .... ასაკი .... სკოლა ..... ჯგუფი..... ..... ბინის მისამართი	ვაჟი/ქალი №.....

1. ბავში ცხოვრობს—მშობლებთან (მამა, დედა, მამინაცვალი, დედინაცვალი), ნათესავებთან, უცხო პირებთან.
2. ოჯახის შემადგენლობა: მოზრდილები ------- კაცი, ბავშები 7 წლამდე კაცი; 8—17 წლამდე .....კაცი; სულ .....კაცი.
3. სოციალური ჯგუფი
4. სოციალური წარმოშობა: მამის ------ .....დედის
5. მამის პროფესია..... პროფესტაჟი .....მუშაობის ადგილი..... მუდმივი, შემთხვევითი, უმუშევარი
6. დედის პროფესია ..... პროფესტაჟი .....მუშაობის ადგილი ..... მუდმივი, შემთხვევითი, უმუშევარი.
7. ოჯახის დანარჩენ წევრთა საქმიანობა

I. ეკონომიური დონე. 1. თვიური ბიუჯეტი 1 კაცზე ..... ხელფასი—მყარი, შემთხვევითი 2. ხარჯები: ბინაზე .....% „ „ კვებაზე „ „ კულტ. მოთხოვნილებაზე „ ეროვნული ხარჯები		I ეკონომიური დონე.

II. ჰიგიენური დონე.

II. ჰიგიენური დონე.

ა) საცხოვრებელი ბინის პირობები.

ა) საცხოვრებელი ბინის პირობები.

1. სახლი—მრავალბინიანი; პატარა კეთილმოწყობილი, არაკეთილმოწყობილი, დაძველებული, სართული კიბე—ნათელი ბნელი.

2. განცალკევებული ბინა, ...ოთახი საერთო ბინაზე. კუთხე, მუშების საერთო საცხოვრებელი.

3. საცხოვრებელი ბინის მოედანი..... 1 კაცზე ნორმის .....

4. მხოლოდ თავისი ოჯახი: მდგმურები (...კაცი)

5. ბინა—ვრცელი, ვიწროობა, თბილი, ცივი, მშრალი, ნოტიო, ნათელი, ბნელი, ხუფთა, ბინძური.

საკმელის გაკეთება, საცვლების რეცხვა, ხელოსნური სამუშაო—საცხოვრებელ ოთახებში

6. ვენტილაცია—არის, არ არის, საკმაო, არა საკმაო.

7. განათება—ცენტრალური, ჰოლანდური, დროებ-

8. გათბობა—ნავთის, ელექტრ., საკმაო, არა საკმაო.

9. საპირფარეშო—თბილი, ცივი, ხუფთა, ბინძური, ცალკე, საერთო.

10. ქრონიკული ავადმყოფები tbc, (ფსიქოპატები, ნევრასტ.....).

11. ეზო—ვრცელი, ვიწრო, ხუფთა, ბინძური.

ბ) კვება.

ბ) კვება

1. კვება—კარგი, საკმაო, არა საკმაო, შიმშილობა ერთფეროვანი, მრავალფეროვანი, რეგულიარული, არა რეგულიარული.

2. ცხელი საკმელი—დღეში ორჯერ, დღეში ერთჯერ, არა ყოველ დღე.

3. რას იღებს ბავში დილით:

4. ხორცი. რძე, კარაქი, რეგულიარულად, არარეგულიარულად; არ იღებს.

გ) ძილი. 1. მოზრდილები წვებიან საათი, დგებიან საათზე. 2. ბავშებს სძინავთ—საერთო ოთახში. მოზრდილებთან, ცალკე. 3. ბავშს სძინავს ... .დან. საათამდე. სულ საათი, რეგულიარულად, არარეგულიარულად. 4. ძილის პირობები: ა) ბავშს სძინავს—ხარეცელზე, დგამზე, იატაკზე. ჩაცმული, გახდილი, ლოგინის მოწყობილობა—საკმაო, არასაკმაო, სულ არარის; ზევიდან ჩახაცმელის გამოყენება. ბ) ცალკე საწოლი, საერთო—სხვა ბავშებთან, მოზრდილებთან, იგივე სქესთან, სხვა სქესთან. ( ) გ) მყუდროება—საკმაო, განათება, მუსაიფი, ხმაურობა, სცენები, მკბენარები.	გ) ძილი.
დ) ტანსაცმელი და ფეხსაცმელი—კარგი, დამაკმაყ., ცედი. ფეხზე მორგებული, არამორგებული, გაწმენდილი, არაგაწმენდილი, სეზონის შესაფერისი, შეუფერებელი. თბილ საგანთა მარაგი—საკმაო, არასაკმაო. საცვლების მარაგი—საკმაო, არასაკმაო. ესაჭიროება რომ ისარგებლოს მოზრდილების, უფროსი ბავშების ზედასაცმელებით.	დ) ტანსაცმელი და ფეხსაცმელი
ე) ყოფა-ცხოვრების ჰიგიენა 1. სისუფთავე და წესრიგი ბინაში—საკმაო, არასაკმაო, არ არის; 2. ბინის გაქარვა—რეგულიარულად, არარეგულიარულად, არა დალაგება.....ჯერ თვეში.	ე) ყოფა-ცხოვრების ჰიგიენა. ვ) პირადი ჰიგიენა და ბავშის რეჟიმი.
ვ) პირადი ჰიგიენა და ბავშის რეჟიმი. 1. აბანო, აბაზანი .....ჯერ თვეში 2. თეთრეულის გამოცვლა ჯერ თვეში. 3. საწოლის თეთრეულის გამოცვლა..... ჯერ თვეში.	

4. ჰიგიენურ პროცედურას ბავში ასრულებს—რეგულიარულადი არა რეგულიარულად, არ ასრულებს.

5. თავისი პირსახოცი—აქვს, არ აქვს.

6. ცხვირსახოცი—აქვს, არა ქვს.

7. თავისი ჭურჭლეული—აქვს, არ აქვს.

8. პარაზიტები—საწოლში, თეთრეულში, თავში.

9. სუფთა ჰაერზე ყოფნა ზაფხულში .....საათი, ზამთარში .....საათი, რეგულიარულად, არარეგულიარულად.

10. ბავშის საერთო რეჟიმი—მყარი, არამყარი, არარის.

III. საზოგადოებრივი დონე:

III საზოგადოებრივი დონე.

1. ოჯახი—საზოგადოებრივათ-აქტიური, ინდიფერენტული, ანტისაზოგადოებრივი.

2. საზოგადოებრივ მეშაობაში მონაწილეობა—დედა, მამა.

პარტიულობა—დედა, მამა.

4. პიონერები, კომკავშირლები.

5. ოჯახის საზოგად. ინტერესები—გაზეთების წიგნების კითხვა, საუბარი.

IV. შრომითი დონე.

IV. შრომითი დონე.

1. ოჯაბის საერთო ატმოსფერა—შრომითი, ინდიფერენტული, უსაქმო.

2. მოზრდილთა შრომითი დატვირთვა—უმნიშვნელო, ნორმალური, ზედმეტი.

3. განწყობილება შრომისადმი—დადებითი, ინდიფერ. უარყოფითი.

4. ბავშების ნაცნობობა მოზრდილთა პროფესიონალურ შრომის—ახლო, შემთხვევითი, არ არის.

V. საყოფა-ცხოვრებო დონე.

V. საყოფა-ცხოვრებო დონე.

1. ყოფა-ცხოვრების საერთო ორგანიზაცია.

ცხოვრების საერთო წყობა-მყარი, არამყარი, უწესო.

ოჯახი ცხოვრობს—გაშლილად, ჩამწყვდეულად, თავისუფალ დროს ატარებენ უმეტესად—შინ, გარეთ.

როგორ ატარებენ თავისუფალ დროს—კულტ. გარეობა. კითხვა, მუსიკა, კლუბი, თეატრი, კინო, აზარტული თამაშობანი, ლოთობა. სტუმრების მიღება, სტუმრად წასვლა. ფიზკულტურა. ქალაქს გარეულ გასეირნება, უშინაარსო დახვენება, ბავშვების აღზრდისათვის გამოყენება თავისუფალი დროის.

ნაცნობლებთან ურთიერთობა—მეგობრული, მშვიდი კონფლიქტები.

2. ყოფა-ცხოვრების სპეციფიური მომენტები.

2. ყოფაცხოვრების სპეციფიური მომენტები:

ა) ურთიერთ დამოკიდებულება ოჯახის წევრთა შორის. ოჯახი—მყარი, არასაკმაოდ მყარი, შემთხვევითი კავშირი, წუნარი. ერთსულოვანი, უთანხმოებანი. ჩხუბი, გინება.

ა) ურთიერთდამოკიდებულება ოჯახის წევრთა შორის.

ბ) რელიგიისადმი დამოკიდებულება.
ოჯახი—რელიგიური, ინდიფერ., ანტირელიგიური ოჯახის ცალკე წევრები

ბ) რელიგია

რელიგიურ წესების შესრულება, ეკლესიაში სიარული, ხატები.

ეკმობენ—საეკლესიო, ოჯახურ, რევოლიუციონურ დღეებს.

გ) ალკოჰოლი—ოჯახში არ სვამენ, სვამენ დრო გამოშვებით, ხშირად, ორგიები.

გ) ალკოჰოლი

ბავშვი—იღებს იშვიათად, ხშირად, არა.

დ) ოჯახის სექსუალური ატმოსფერა—წუნარი, გადაშეტებული სექსუალობა, უთანხმოებანი სქესობრივ ნიადაგზე. მოზრდილთა სქესობრივი ცხოვრება ბავშვთა თანადასწრებით (შესამჩნევათ), გარყვნილობის სცენები. პროსტიტუცია.

დ) სექსუალური ცხოვრება.

VI. კულტურული დონე.

1. მამა—წ-კ. არამცოდნე, მცირემცოდნე, მცოდნე, განათლებული.

VI. კულტურული დონე.

დედა.—წ. კ. არამცოდნე, მცირემცოდნე, მცოდნე, განათლებული ოჯახის სხვა წევრები.....

2. ბინის მოწყობილობა—კულტურული, „მეშჩანური,“ საშვალო, ღარიბი, მეტად ღარიბი.

3. წიგნები, გაზეთები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ტელეფონი, რადიო.

4. ინტერესები—საზოგადო.-პოლიტიკური. მეცნიერული, ლიტერატურული, მუსიკალური, მხატერული-მდაბიო ინტერესები.

VII. პედაგოგიური დონე.

1. ბავშისადმი დამოკიდებულება—წყნარი, მოუფერება. ცვალებადი, მკაცრი, სასტიკი. ინდიფერენტული, ზრუნვა ბავშის შესახებ—საკმაო, საშუალო, არასაკმაო-უყურადღებობა.

დასჯა—ხშირად, იშვიათად, არ სჯიან, როგორ სჯიან.

ბავშს—ამეცადინებენ, არა; სისტემატიურად, არარეგულიარ., ზღაპრები, საუბრები, კითხვა, თამაშობანი გასეირნება.

2. ბავშთა ყოფა-ცხოვრების ორგანიზაცია

ბავშის საერთო რეჟიმი—მყარი, არამყარი. არარის ,თავისუფალ დროს ბავში ატარებს—შინ ხვაგან.

თამაშობანი—წყნარი, მოძრავი: ციგა: კითხვა, ტეხნიკური საქმიანობა, კლუბში სიარული, კინო .....ჯერ თვეში); ქუჩა; უსაქმოდ დროს ტარება.

კითხულობს—ბევრს, ცოტას, მეტად. კლასიკოსები; ზღაპრული, თავგადასავალთა ლიტერატურა, მეცნიერული (საბუნებისმეტყველო, საზოგადოებათ-მეცნიერული, ტეხნიკური), უსისტემო კითხვა.

სად ატარებს ზაფხულს.

3. კოლექტიური აღზრდის ელემენტები.

ბავში ატარებს დროს—მარტო, ამხანაგებთან. მოზრდილებთან. ამხანაგთა წრე—მყარი, არამყარი, შემთხვევითი.

ამხანაგებთან დამოკიდებულება—მეგობრული, ცვალებადი, კონფლიქტები.

VII. პედაგოგიური დონე.

1. ბავშისადმი დამოკიდებულება.

2. ბავშთა ყოფა ცხოვრების ორგანიზაცია.

3. კოლექტიური აღზრდის ელემენტები.

4. შრომითი აღზრდის ელემენტები		**4. შრომითი აღზრდის ელემენტები.**
ბავშის შრომითი დატვირთვა—დიდი, საშუალო, არასაკმაო. არარის, შრომა რეგულიარ. შემთხვევითი.		
შრომის ხასიათი.		
სკოლის განაკვეთებზე მუშაობა საათი დღეში.		
მოზრდილთა დამოკიდებულება ბავშის მუშაობასთან—დადებითი, ინდიფერენტული, უარყოფითი.		
5. სასწავლო მუშაობის პირობები.		**5. სასწავლო მუშაობის პირობები.**
საერთო მოწყობილობა მეცადინეობისათვის—კარგი. დამაკმაყ., ცუდი.		
განსაკუთრებული ადგილი მეცადინეობისათვის, ხელსაწყოებისათვის, ცალკე კუთხე, მაგიდა, განჯინა ხელსაწყოებისა და სათამაშოთათვის.		
სასწავლო ხელსაწყოები—საკმაო, არასაკმაო, არაქვთ		
სათამაშოები-საკმაო, არასაკმაო, არ აქვს; სისტემატიური. შემთხვევითი შერჩევა.		
მეცადინეობის მბრივ—ეხმარებიან სისტემატიურად, არასისტემატიურად, არ ეხმარებიან, ხელს უშლიან.		
ოჯახის გარეშე არსებულ პირობათა გავლენა		**ოჯახის გარეშე პირობათა გავლენა.**
1. სახლში და ბინაში მცხოვრებთა სოციალური შემადგენლობა, ერთნაირი, შერეული.		
2. არიან, თუ არა ანტიოსოციალური ელემენტები.		
3. ბავშთა მოსახლეობა—მცირერიცხვი, მრავალრიცხოვანი, პაწიები, მოწაფეები, ზედამხედველობის გარეშე მყოფი ბავშები.		
4. მეზობლების გავლენა.		
5. ქუჩის და უბნის გავლენა.		
6. ამხანაგთა წრე.		
7. საბავშო ორგანიზაციები.		

ამ პროგრამით გამოკვლევის შედეგათ, შეგვიძლია შევადგინოთ ოჯახის სოციალური დახასიათება (ე. წ. „სოციალური პროფილი“) *)

*) ოჯახის სოციალური პროფილის ნიმუში იხ. წიგნში А. Невский: „Методы педологии“ вып. II, 1930 გვ. 53—62.

დ ა მ ა ტ ე ბ ა III.

საბავშო დაწესებულებათა და I და II საფეხურის სკოლის ბავშთა დროის ბიუჯეტი.

ა) საბავშო ბაღის სანიმუშო დღიური განაწესი (სამუშაო დღე=7 საათს):

9-დან 10 საათამდე: ბავშების დათვალიერება, დაბანვა, კბილების გაწმენდა, ტანსაცმელის გამოცვლა, რეგისტრაცია.

10—11 ს. საუზმე, ალაგება, ცოცხალი ინვენტარის მოვლა.

11—12 ს. რიტმიული მოძრაობანი (არა უმეტესი 10—12 წამის) ან შემოქმედებით შრომა (ძერწვა, ხატვა, ხეზე მუშაობა), საუბრები, თბრობა, გალობა, თავისუფალი თამაშობანი.

12—$1^1/_2$ ს. ჰაერზე ყოფნა და მუშაობა (ხანდახან გასეირნება, ან ექსკურსიები).

$1^1/_2$—$2^1/_4$ ს. ხელების დაბანვა, სადილი, ალაგება, კბილების წყლით გამორეცხვა.

$2^1/_4$—4 ს. ძილი უმცროსი ჯგუფისათვის. უფროსი ბავშები ისვენებენ; ან წყნარ მუშაობას ასრულებენ (საუბარი, სურათების თვალიერება) 3 საათამდე; 4—4 ს. სეირნობა.

4 ს. ბავშების წასვლა.

ბ) საბავშო მოედნის დღის რეჟიმი:

1) ქალაქად (ხანგრძლივობა არა ნაკლები 8 საათის):

8—$9^1/_2$ ს. ბავშების მოსვლა, ხელ-პირის დაბანვა და კბილების გაწმენდა.

$9^1/_2$—10 ს. საუზმე.

10—$11^1/_2$ ს. მეცადინეობა, თამაშობანი, სეირნობა.

$11^1/_2$—$12^1/_2$ ს. მზის აბაზანი, ტანზე წყლის გადავლება და ტილოთი გახეხვა.

$12^1/_2$ —$1^1/_2$ ს. სადილი.

$1^1/_2$—$2^1/_2$ ს. ძილი.

$2^1/_2$—$3^1/_2$ ს. მეცადინობა და თამაშობანი.

$3^1/_2$—4 ს. ჩაი, შინ წასვლა.

2) სოფლად (ხანგრძლივობა 12—13 საათი):

6—$7^1/_2$ ს. ბავშების მოსვლა;

$7^1/_2$—8 ს. ხელპირის დაბანვა, კბილების გაწმენდა.

8—$8^1/_2$ ს. ჩაისათვის მომზადება.

$8^1/_2$—9 ს. ჩაი.

9—10 ს. ბინის დალაგება, სამეურნეო, სასანიტარო და სხვა კომისიების მუშაობა.

10—11$^1/_3$ ს. თავისუფალი მეცადინეობა, ექსკურსიები.

11$^1/_2$—12 ს. მზის აბაზანები, ბანაობა.

12—12$^1/_2$ ს. სადილისათვის სამზადისი.

12$^1/_2$—1$^1/_2$/ ს. სადილი.

1$^1/_2$—3 ს. ძილი.

3—5 ს. თავისუფალი მეცადინეობა, ექსკურსიები, სეირნობა.

5—5$^1/_2$ ს. ვახშმისათვის სამზადისი.

5$^1/_2$—6 ს. ვახშამი.

6—7 ს. თავისუფალი მეცადინეობა, თხრობა.

გ) საბავშო კერის დღის რეჟიმი (ხანგრძლივობა 10 საათი).

8—9 ს. ბავშების დათვალიერება, ხელპირის დაბანვა. ტანის გახეხვა, კბილების გაწმენდა, ტანსაცმელის გამოცვლა.

9—10 ს. საუზმე, ბინის დალაგება, ცოცხალი ინვენტარის მოვლა.

10—12 ს. რიტმიული მოძრაობანი, (10—20 წამი), შემოქმედებითი შრომა (ინდივიდუალური და კოლექტიური).

12—12$^1/_2$ ს. ჰაერზე ყოფნა და მუშაობა (უფროსი ჯგუფის-კი გასეირნება).

12$^1/_2$—2$^1/_2$ ს. ხელების დაბანვა, სადილი, მაგიდის ალაგება, კბილების წყლით გამორეცხვა.

2$^1/_2$—4$^1/_2$ ს. უმცროსი ჯგუფისათვის ძილი, უფროსი ჯგუფისათვის-კი წყნარი მეცადინეობა (საუბრები და სხვა).

4$^1/_2$—5 ს. ჰაერზე ყოფნა, გასეირნება.

5—5$^1/_2$ ს. საშუადღო დასვენება (полдник).

5$^1/_2$—6 ს. საუბარი, მუსიკის მოსმენა, სურათების თვალიერება, თხრობა.

6 ს. შინ წასვლა.

განუწყვეტელ ათდღიანი საწარმოო კვირაზე გადასვლის შემდეგ სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა სამუშაო დღეების რაოდენობა უდრის 281 დღეს წლის განმავლობაში (იხ. ს.ს.ს.ო. განსახკომის სოცაღზრდის მთავარმართველობის წერილი მეათე 1929 წ.)

დ) პირველი და მეორე საფეხურის შრომის სკოლის მოსწავლეთა დროის რაციონალური განაწილება

ქვემომოყვანილი სქემა შემუშავებულია მოსკოვის ჯანმრთელობის განყოფილების მიერ, შეთანხმებულია სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს (Гус) პედოლოგიურ ქვე-სექციასთან და ეხება პირველი და მეორე საფეხურის შრომის სკოლის ბავშთა შრომისა და დასვენების ნორმებს და აგრეთვე, შრომა-დასვენების შეცვლის წესს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს საქმე შეიცავს მხოლოდ ზ ო გ ა დ-ა ს ა კ ო ბ რ ი ვ კ ო ლ ე ქ ტ ი ურ ნ ო რ მ ე ბ ს, ვინაიდან, ჯერ-ჯერობით პედოლოგიას არ მოეპოება სრული და ზუსტი დებულებები სკოლის და სკოლის-გარედ სხვადასხვა სახის მუშაობის ფიზიოლოგიური თვისებების შესახებ და, ამასთანავე, ეს სქემა ვერ იღებს მხედველობაში ბავშთა სქესობრივ ინდივიდუალურსა და საყოფა-ცხოვრებო პირობათა თავისებურებას.

დაჩქარული მუშაობის ხანგრძლივობის ნორმები ასეთია:

3— 6 წ. ასაკში	— 15	წამი.
7—10 „	— 20	„
10—12	— 25	
12—14	— 30	
14—18 „ „	— 45	„

გაკვეთილის მაქსიმალური ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 45 წამს. გაკვეთილებს შორის დასვენება უნდა გრძელდებოდეს 5—10 წამი.

შრომისა და დასვენების წესიერი ვანაწილებისათვის, განუწყვეტელ სამუშაო ხუთდღიანი კვირაზე გადასვლის პირობებში, შემდეგ ცხრილია შემუშავებული:

ა) ორივე საფეხურისათვის სასწავლო წელი იწყება 1 სექტ.

ბ) სასწავლო წელი სრულდება: I საფეხურისათვის —15 ივნისს;
მე-II „ —20 „

გ) საზაფხულო არდადეგები გრძელდება: $2^1/_2$ თვე ანუ 75 დღე I საფ. და 70 დღე მე-II საფეხურისათვის.

დ) წლის განმავლობაში არდადეგები ეწყობა 2 ჯერ ხუთ-ხუთი დღე: ზამთარში 10-დან—16 დეკემბრამდე და გაზაფხულზე —26-დან —31 მარტამდე.

ე) ყოველი ჯგუფი ისვენებს მეხუთე დღეს (სულ 58 დღე).

ვ) სასწავლო წელში არ შედის აგრეთვე რევოლუციონური დღესასწაულების 6 დღე.

მაშასადამე, სამუშაო დღეების რიცხვი უდრის:

I საფეხურის სკოლისათვის—216 დღე
მე-II „ —220 „

დროის დღიური ბიუჯეტის განაწილების სქემა:

საათები	8—9—10 წ.	11—12—13	13—14—15	15—16—17—18
7 საათი	ძილი 11 საათი	ძილი 10 ს. 30 წ.	ძილი 10 ს.	ძილი 9 საათი
	გაღვიძება. დილის ტუალეტი		ბინის დალაგება	
8 საათი საუზმე. სკოლაში წასვლა, ან გასეირნება.				
9 ს.-9 ს. 45 წ. პირველი გაკვეთილი სკოლაში.				
9 ს. 55- 10 ს. 40 წ. ცვლილება, მეორე გაკვეთილი სკოლაში.				
10 ს. 50 წ. 11 ს. 35 წ. ცვლილება, მესამე გაკვეთილი სკოლაში. საუზმე და ჰაერზე სეირნობა.				
12 ს. 20 წ. 1 ს. 5 წ. მეოთხე გაკვეთილი სკოლაში. ცვლილება.				
1 ს. 15 წ. 2 ს.	საწრეო და საზოგადოებრივი მუშაობა სკოლაში.		მეხუთე გაკვეთილი სკოლაში.	
3 საათი	შინ წასვლა. სადილი.		ცვლილება. საწრეო და საზოგადოებრივი მუშაობა სკოლაში.	
4 საათი	თავისუფალი დრო.		შინ წასვლა.	
	1 ხაათი ჰაერზე ყოფნა. დასაშვებია, ბავშთა სურვილისა და ინდივიდუალური ამორჩევის მიხედვით მეცადინეობანი, დაუძალებ.		სადილი.	
5 საათი	ჩაი.		თავისუფალი დრო. დასვენება, ბავშთა სურვილისა და ინდივიდუალური ამორჩევის მიხედვით მეცადინეობანი, დაუძალებლათ.	
6 საათი	საშინაო სასწავლო მუშაობა, საზოგადოებრივ და სხვაგვარი მუშაობა ძლიერი დაპიმვის გარეშე.		ჩაი.	
7 საათი	ვახშამი.		საშინაო სასწავლო მუშაობა, საზოგადოებრივი და სხვაგვარი მუშაობა 45 წამის განმავლობაში უფრო ძლიერი დაპიმვით.	მუშაობა 1 საათ. განმავლობაში ძლიერი დაპიმვით.

8 საათი	საღამოს ტუალეტი. მომზადება ძილისათვის და დაწოლა.	ვახშამი.		
9 საათი	ძილი დილის 7 ს. 30 წამამდე.	საღამოს ტუალეტი. მომზადება ძილისათვის და დაწოლა.	ვახშამი.	ვახშამი.
		ძილი დილის 7 ს. 30 წამამდე.	საღამოს ტუალეტი. მომზადება ძილისათვის და დაწოლა.	საღამოს ტუალეტი. მომზადება ძილისათვის და დაწოლა.
			ძილი დილის 7 ს. 30 წამამდე.	
მუშაობის ხანგრძლივობა	4 ს. 45 წ.	5 ს. 15 წ.	6 საათი.	7 საათი.

დამატება მე-IV-ე

ს ი ტ ყ ვ ა რ ი

იმ უცხო სიტყვების ახსნა, რომლებიც ამ წიგნში გვხდება.

ა

ა ვ ტ ო რ ი— ადამიანი, რომელსაც ეკუთვნის რომელიმე თხზულება.

ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა—საკუთარი ცხოვრების აღწერა.

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი — განყენებული; საგნის ნიშანი, ახრით გამოყოფილი თვით საგნისაგან, მაგ., სიმაგრე, წარმოდგენილი ყოველგვარი საგნის გარეშე, არის აბსტრაქტული ცნება.

ა დ ე ს ტ ი —ამა თუ იმ მოსაზრების მიმდევარი.

ა ლ ტ რ უ ი ზ მ ი—სიყვარული ადამიანების მიმართ.

ა ნ ა ლ ო გ ი უ რ ი— თანაგვარი, მსგავსი.

ა ნ ა ლ ი ზ ი—შემადგენელ ნაწილებად დაშლა.

ა ნ ი მ ი ზ მ ი—რწმენა სულების არსებობის შესახებ.

ა ნ ო მ ა ლ ი ა—ნორმალური ტიპისაგან გადახვევა.

ა პ ა ტ ი ა—გულგრილობა, უყურადღებობა, მოთენთილობა, ენერგიის სიმცირე.

ა ს ო ც ი ა ც ი ა—კავშირი, შეერთება.

ა ნ ტ ი ფ ე მ ი ნ ი ს ტ უ რ ი—ქალების უფლებების საწინააღმდეგო.

ა ტ რ ო ფ ი ა—მოსპობა, გადაგვარება.

ა ნ ა ლ ი ზ ა ტ ო რ ი—გაღიზიანების აღმქმელი აპარატი.

ა უ ტ ო ე რ ო ტ ი ზ მ ი—თავისი საშუალებებით სქესობრივი გრძნობის დაკმაყოფილება.

ა ქ ტ ი—მოქმედება.

ა რ ტ რ ი ტ ი—სახსრების ანთება.

ინ ტ ე ნ ა ტ ა ლ უ რ ი ხანა—ხანა დაბადებამდე.

ბ

ბ ი ო გ რ ა ფ ი ა—ცხოვრების აღწერა.

ბ ი ო ლ ო გ ი ა—მეცნიერება სიცოცხლის შესახებ.

ბ ი ო ლ ო გ ი უ რ ი—ორგანიზმის სიცოცხლესთან დაკავშირებული.

გ

გ ე ნ ი ტ ა ლ ი ა—სასქესო ორგანო.

გ ო რ მ ო ნ ი—შინაგანი სეკრეციის ჯირკვალის მიერ გამოყოფილი სითხე.

გ ი გ ა ნ ტ ი—უზარმაზარი, ვეებერთელა.

დ

დ ე ბ ი ლ ი (კოსი)—გონებრივი განვითარების მხრივ ოდნავად ნორმაზე ჩამორჩენილი ადამიანი.

დ ე დ უ ქ ც ი ა—ხოგადიდან კერძო დასკვნის გამოყვანა.

დ ი ა გ ნ ო ზ ი—ავადმყოფობის ან სხვა გარემოების გამორკვევა.

დ ი ა მ ე ტ რ ა ლ უ რ ი—მოპირდაპირე.

დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ც ი ა—დაყოფა, დანაწილება ცალკე დარგებათ, განსხვავება.

„დ ო მ ი ნ ა ნ ტ ა“—გაბატონებული აღგზნების კერა.

დ ი ნ ა მ ი უ რ ი—მოძრაობაში მყოფი.

დ ი ა ტ ე ზ ი—მიდრეკილება.

დ ი ს კ უ ს ი ა—კამათი, რომელიმე საკითხის ყოველმხრივ განსჯა, განხილვა.

ე

ე ვ ო ლ ი უ ც ი ა—განვითარება.

ე გ ო ი ზ მ ი— თავის თავის სიყვარული, მხოლოდ პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობა.

ეკონომია—მომჭირნეობა.
ელემენტი—შემადგენელი ნაწილი.
ემბრიონი—ჩანასახი.
ეტაპი—დასრულებული ხანა, საფეხური.
ეპილეპსია—ავი ზნე, ბნედა.
ექსპანსიური—თავშეუყავებელი.
ესთეტიკა—მეცნიერება სილამაზის კანონების შესახებ.

ვ

ვანდალიზმი—ველური, უხეში დამსხვრევა ხელოვნების, ან მეცნიერების ძეგლების.

ი

იდიოტი—გონებრივად უდიდესად ჩამორჩენილი ადამიანი.
იდეა—(მთავარი) აზრი.
იდეალური—სრულყოფილი.
იდეოლოგია—შეხედულებათა სისტემა.
იმბეცილი—სუსტი ჭკუის მქონე ადამიანი.
ინდივიდი ანუ ინდივიდუუმი—განჭყოფელი, ან ცალკე პიროვნება.
ინტელექტუალური— გონებრივი აზროვნებითი.
ინტონაცია—კილოს ხასიათი, ბგერის თავისებურობა.
ინტერნაციონალური— საერთაშორისო.
ინდუქცია—კერძოდ ან ზოგადი დასკვნის გამოყვანა
ინტენსივობა—ძალა, სიძლიერე, დაჭიმულობა.
ინტროსპექცია— თვითდაკვირვება.
ინტუიცია—აზრის, მოვლენის ან ფაქტის უშუალო, შეუგნებელი აღქმა.
ინფანტილური—ბავშური.
ინფორმაცია—ცნობის მოწოდება, ცნობა.
ისტერია—ნერვიული ავადმყოფობა; მისი ნიშნებია: ნებისყოფის სისუსტე; უმიზეზო ტირილი, სიცილი და სხვა.
ინდიფერენტული — უმნიშვნელო (გულგრილი) განურჩეველი განწყობილება.

კ

კარდინალური-ძირითადი, მთავარი.
კაპრიზი—უსაბუთო სურვილი, ან ჟინი.
კონსტიტუცია—სხეულის მთლიანი აგებულება.
კომპლექსი—ელემენტების შეჯამება, კრებული.
კოლექტიური—შეერთებული, საერთო.
კომბინაცია—ელემენტებისაგან სხვადასხვა სახეების შედგენა, მათი შეხმატკბილება.
კონცენტრაცია—შთაწერტება, შეჯგუფება, შემოკრება.
კოორდინაცია—შეთანხმებული მოქმედება.
კონსულტაცია— რჩევა-დარიგების მიცემა, მცოდნე პირთა თათბირი რომელიმე საქმის შესახებ.
კრიტიკა—გარჩევა, განსჯა, გამოკვლევა, შეფასება.
კრიტერიუმი—ნიშანი, ჭეშმარიტების საზომი.
კონსპექტიური—შემოკლებული.
კასტრატი—ადამიანი, რომელსაც სასქესო ჯირკვლები ამოცლილი აქვს.

ლ

ლატენტური—დამალული.
ლოკალიზაცია—ერთი ადგილას დაგროვება, შთაწერტება.
ლოღიკა—მეცნიერება სწორი აზროვნების შესახებ.

მ

მატერია—ნივთიერება.
მატჩი—განსაზღვრული მოგებათა რიცხვის შესახებ შეჯიბრება თამაშობაში ან სპორტში.

მიკროსკოპიული—შეუიარაღებელი თვალით შეუმჩნეველი.
მიმიკა—პირისახის ან სხეულის გამომეტყველება.
მასტურბაცია—(იხ. აუტოეროტიზმი).
მილლიმეტრი მეტრის $^1/_{1000}$ ნაწილი.
მენტიმეტრია—გონების გაზომვის შესახებ მეცნიერება.
მონოგრაფია—თხზულება, რომელიც ერთეულ საკითხს არკვევს.
მონოტონური—ერთფეროვანი.
მორფოლოგიური—გარეგნული.
მემუარები—წერილობითი მოგონებანი წარსულის შესახებ.
მენსტრუაცია—ქალის „თვიური".

ნ

ნეგატივიზმი—უარყოფა.
ნევრასტენია — ნერვების ავადმყოფობა.
ნორმალური—ჩვეულებრივი, ბუნებრივი საშუალო.
ნევროპატი — ნერვიული სისტემის ავადმყოფობა.
აღგზნებულობის მქონე ადამიანი.

ო

ონანიზმი—(იხ. აუტოეროტიზმი).
ონტოგენეზისი—ინდივიდის განვითარება.
ობიექტი—გარეშე დაკვირვების საგანი.
ობიექტიური—გარეშე დაკვირვებისათვის მისაწვდომი.
ოლიგოფრენი—გონებრივად არა საკმაოდ განვითარებული ადამიანი.

პ

პარაზიტი—მეკვთახორა.
პათოლოგიური—ავადმყოფური.
პერიოდი—ხანა.
პანტომიმიკა—მთელი სხეულით რომელიმე რეაქციის გამოხატვა.
პედაგოგიკა—მეცნიერება სწავლა-აღზრდის შესახებ.
პედოლოგია—მეცნიერება ბავშის შესახებ.
პიტეკოიდი ან პიტეკანთროპუსი—ადამიანის უახლოესი წინაპარი მაიმუნი.
პოტენციალური—დამალული, მაგრამ სათანადო პირობებში სამოქმედოთ განმზადებული.
პერიფერიული—ზედაპირზე ან განაპირზე მყოფი.
პრინციპი—ძირითადი დებულება.
პრობლემა—ამოცანა, საკითხი.
პროფესია—მოსაქმეობის განსახღვრული სახე.
პროპორციული—შესაბამისი.
პოპულიარული—ყველასათვის გასაგები, გავრცელებული, სახელოვანი.
პრეტენზია— საჩივარი, ძიება, სარჩელი.
პორნოგრაფია—გარყვნილების ჭამომხატველი თხზულებები, სურათები.
პროფილაქტიური—გამაფრთხილებელი.
პოსტნატალური ხანა—ხანა დაბადების შემდეგ.

ჟ

ჟესტი (კულაცია) — კიდურებით მოძრაობა.

რ

რეაქცია—გალიზიანებაზე პასუხის ჭაცემა.
რადიკალური—არსებითი, ძირითადი.
რეგისტრაცია—აღნუსხვა, ჩაწერა.
რეცეპტორი—გალიზიანების მიმღები აპარატი ორგანიზმში.

ს

სიმპტომი—ნიშანი; სიმპტომოკომპლექსი—ნიშანთა ჯამი.
სიფილისი—ვენერიული ავადმყოფობის ერთ-ერთი სახე.

სინთეზი(სი)—შეერთება.
სეკრეცია—ჯირკვლებიდან თავისებური სითხის გამოყოფა.
სოციალური—საზოგადოებრივი.
სექსუალური—სქესობრივი.
სტიმული—გამღიზიანებელი, აღმძვრელი,
სტატისტიკური—რიცხვითი ცნობები მასიური მოვლენების შესახებ.
სპირალური—ხრახნილის მსგავსი.
სტადია—განვითარების საფეხური.
სპორადიული—შემთხვევითი ერთეული.
სტრუქტურა—წყობა, მოწყობილობა, აგებულება.
სქემა—საგნის ან საკითხის ზოგადი სახით გამოხატვა.
სტატიური—უძრავი.
სპეციფიური—თავისებური, განსაკუთრებული.
სუბიექტი—განცდათა პიროვნება მსჯელობის ქვემდებარე.
სუბიექტიური—პირადი, შინაგანი, მხოლოდ თვითდაკვირვებისათვის მისაწვდომი.

ტ

ტემპერატურა—სითბოს ხარისხი სხეულში.
ტემპი—მოძრაობის (ან განვითარების) სიჩქარე.
ტერმინი—ახრის სიტყვიერი სახე.
ტიპიური—მთელი ჯგუფის დამახასიათებელი.
ტურნირი—შეჯიბრება.
ტექსტი—დაბეჭდილი, ან დაწერილი ახრების მთლიანი გადმოცემა.

ფ

ფაზა(ფაზისი)—მოვლენის განვითარების ცალკე მომენტი.
ფაქტი—ნამდვილი მოვლენა.
ფაქტორი—მიზეზი ანუ მოვლენა, რომელიც განსაზღვრავს სხვა მოვლენებს.
ფოლოგენეზისი—გვარის განვითარება.
ფიზიკური—ორგანიზმის გარეშე არსებული.
ფიზიოლოგიური—ორგანიზმის შიგნით მომხდარი.
ფიქსაცია—აღბეჭდვა, დამაგრება.
ფორმა—გარეგნული სახე, გარეგნობა.
ფრაზა—წინადადება, სიტყვით გამოთქმული, დასრულებული ახრი.
ფსიქიატრი—სულიერ დაავადებათა მცოდნე ადამიანი.
ფსიქოლოგია—მეცნიერება ადამიანის ყოფაქცევის შესახებ.
ფუნქცია—დანიშნულება, ერთი მოვლენის მეორესაგან დამოკიდებულება.
ფსიქოპატი—ადამიანი, რომლის ცენტრალური სისტემა არა საკმაოდ მოქმედებს.
ფონეტიკა—სწავლა მეტყველების ბგერითი მხარის შესახებ.

ქ

ქაოსი—უწესრიგობა, გაურკვეველობა, მოუწყობლობა.

შ

შაბლონი—ერთი და იგივე ცვალელი ფორმა.
შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი—ჯირკვალი, რომელიც, გამოყოფს სითხეს (გორმონს) შიგნით ე. ი. სისხლში.
შტრიხი—წერილი ხაზი.

ც

ცენტრალური—შინაგანი, შეაში მყოფი, მთავარი ხელმძღვანელი.
ცინიზმი—უსირცხვილობა.
ცერებროპატი—იხ. ფსიქოპატი.

ჰ

ჰიპერტროფია ანჰიპერფუნქცია—გადამეტებული მოქმედება ან ზრდა.
ჰომოსექსუალიზმი — სქესობრივი ლტოლვა თავისივე სქესისადმი.
ჰეტეროეროტიზმი—მეორე პირისადმი სქესობრივი ლტოლვა.

დამატება მე V-ე

ლიტერატურა

რომლითაც სარგებლობდა ავტორი „პედოლოგიის“ შედგენის დროს:

კრებული: „Очередные проблемы педологии“ პროფ. ბასოვის რედაქციით, 1930.

В. Прейер: „Душа ребенка“.

В. Стерн: „Психология раннего детства (до 6-летнего возраста)“

Киркпатрик: „Основы педологии“.

А. Б. Залкинд: „Основные вопросы педологии“. М. 1927 და „Педология в С.С.С.Р.“

Друммонд: „Введение в изучение ребенка“.

Р. Гаупп: „Психология ребенка“.

Э. Мейман: „Очерки экспериментальной педагогики“. т. т. I, II, III.

Рубинштейн: „Очерки педагогической психологии“.

П. Блонский: „Педология“, „Педагогика“ და „Возрастная педология“ (1930).

Савич: „Основы поведения человека“.

Е. Аркин: „Дошкольный возраст“ და „Об изучении детского колектива“.

А. А. Смирнов: „Психология ребенка и подростка“.

Бибанова: „Очерки по педагогике младенчества“.

К. Ушинский: „Человек, как предмет воспитания“.

„Основные вопросы педологии в избранных статьях“ — კრებული პროფ. ს. ვასილევსკის რედაქციით.

„Экспериментальная психология и изучение ребенка“ Сборн. ст под ред. и доп. С. Кракова.

„Ребенок, его природа и потребности“ Сборн. статей под. ред. П. Блонского.

„Душевная жизнь детей“ („Воспитание в школе и семье“ под ред Нечаева).

Басов: „Общие основы педологии“ 1928.

Веселовская: „Педологические основы полового воспитания“.

Фрейд: „Три статьи о теории полового влечения“ და „Психология сексуальности“

А. Вейль: „Внутренняя секреция“.

И. Павлов: „Двадцатилетний опыт об'ективного изучения высшей нервной деятельности животных“. მე II გამოცემა. ლენინგრადი. 1924 წ.

Кречмер: „Строение тела и характер“.

Л. Выготский: „Педагогическая психология“.

И. Арямов: „Основы педологии“ და „Общие основы рефлексологии“

И. Арямов: „Рефлексология детского возраста“.

Фл. Мэтир: „Поведение ребенка“.

Ф. И. Шмидт: „Почему и зачем дети рисуют“.

Ивантер: „Педологическое обследование ребенка“.

„Методика педологического обследования детей школьного возраста„ კრებული პ. ბლონსკის რედაქციით.

Озерецкий: „Моторная одаренность“.

Е. Гурьянов: „Учет школьной успешности“ გამოც. მე-IV 1929.

Люблинская и Макарова: „Измерительная скала ума“.

Корнилов: „Очерк поведения ребенка дошкольного возраста“ (მე-3 გამოცემა; არის ქართული თარგმანი).

Корнилов: „Методика исследования ребенка“.

В. Стерн: „Психологические методы испытания умственной одаренности“.

А. Шуберт: „Краткое описание и характеристика методов определения умственной отсталости детей“.

Н. Рыбников: „Язык ребенка“, „Крестьянский ребенок“ 1930.

А. В. Полежаева: „Детская речь и развитие ее“.

„Педагогическая энциклопедия“ ტ. ტ. I, II, III.

Е. Нетер: „Единственный ребенок и его воспитание“.

П. Люблинский: „Методика социального обследования детства“ 1928.

Варендонк: „Детские сообщества“.

А. Залужный: „Формирование социальных навыков у детей предошкольного возраста“. М. 1928.

Гр. Трошин: „Сравнительная психология нормальных и ненормальных детей“.

М. Гремяцкий: „Что такое наследственность“. გამოც. მე-II, 1929.

Филипченко: „Общедоступная биология“.

„Педология“ (15 ლექცია) პედაგ. კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის გამოცემა.

Кащенко и Мурашев: „Исключительные дети“.1929.

А. Граборов: „Типы трудных детей.“ და„ Вспомогательная школа“

Белоусов: „Как надо группировать учащихся в школе მე II გამოც. 1929.

Вайнберг: „Педологические основы комплектования школьных групп“.

Маслов: „Учение о конституциях и аномалиях конституций в детском возрасте“ 1925.

Белов: „Физиология типов“. 1928.

ჟურნალი: „Педология“ 1928-1930წ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8.

Загоровский: „Особенности поведения I-ого школьного детства„ „Р. Прос“. 1930.

„Дитя рабочего“ (კრებული.)

„Советский школьник“ პროფ. რიბნიკოვის რედაქციით შედგენილი დახასიათება პედოლოგიური I ყრილობის მასალების მიხედვით. 1929.

და სხვა მონოგრაფიები ბავშის შესახებ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

		გვ.
	წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა	3
თ ა ვ ი I.	პედოლოგია, როგორც მეცნიერება: პედოლოგიის საგანი. ბავშის შესწავლა წარსულში. პედოლოგია და პედაგოგიკა. პედოლოგიის განვითარება ვ. პრეიერის შემდეგ. პედოლოგია საბჭოთა კავშირში	7
თ ა ვ ი II.	პედოლოგიის მეთოდოლოგია	18
თ ა ვ ი III.	ფსიქო-ფიზიკური განვითარების ძირითადი ფაქტორები: ემპირიზმი და ნატივიზმი. „კონვერგენციის პრინციპი". საკითხი მემკვიდრეობის შესახებ. მენდელიზმი. მემკვიდრეობა ადამიანებში. შუალის პირობების გავლენა. ბიოლოგიური ფაქტორების გავლენა. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები. ენდოკრინული სისტემა. შინაგანი სეკრეცია და შუალის პირობები .	30
თ ა ვ ი IV.	პერიოდიზაცია პედოლოგიაში. დედის მუცელში ყოფნის პერიოდი. ჩასახვა. ჩანასახის განვითარება .	59
თ ა ვ ი V.	ბავშობა დაბადების შემდეგ. ბავშის თანდაყოლილი რეაქციები. „ახლადშობილი ბავში". „უპირობო რეფლექსები." ინსტინქტები. იმპულსები. ატავიზმები და რუდიმენტები	67
თ ა ვ ი VI.	ბავშის ფსიქიური ცხოვრება. რა არის ფსიქიური ცხოვრება. ტვინი, როგორც ფსიქიური ცხოვრების ორგანო. ბავშის კავშირი გარემოსთან. შეხება. ყნოსვა. გემოვნება. სმენა. მხედველობა. მოტორული შეგრძნება. სტატიკური შეგრძნება. ორგანიული შეგრძნება. დაღლილობა და ძილი. გარემყარის აღქმა ბავშის მიერ	79
თ ა ვ ი VII.	ბავშის სხეულის ზრდა-განვითარება. ბავშის ჯანმრთელობის პირობები. სიმაღლე, წონა, თავის მოცულობა და გარშემოწერილობა. თავის ტვინის განვითარება მკერდის გარშემოწერილობა და სუნთქვა. სხეულის ფუნქციონალური განვითარება; დინამომეტრია და სპირომეტრია. ბავშის ჯანმთელობის სხვა პირობები	91

ᲒᲗ.

თ ა ვ ი VIII. ბავშის თანდათანი განვითარება. მნიშვნელოვან ფსიქიურ ფუნქციათა ევოლიუცია. მეხსიერების განვითარება. ბავშის ყურადღება. 108

თ ა ვ ი IX. სივრცისა და დროის აღქმა 122

თ ა ვ ი X. ბავშის ემოციანალური რეაქციები. სიამოვნებისა და უსიამოვნების რეაქციები. შიში. გარისხება. კოლექტიურობის გრძნობა, აᲜᲣ თანაგრძნობა. ᲯᲘᲣᲢᲝᲑᲐ. პოზა და სირცხვილი· შურიანობა და ეპვიანობა. ესთეტიური გრძნობა. ბავშის იდეალები და ინტერესები 127

თ ა ვ ი XI. მეტყველებისა და აზროვნების განვითარება. ადამიანის მეტყველება. მეტყველების განვითარების ფაქტორები. პირველდაწყებითი, I, II, III, და IV სტადიები. ბავშის აზროვნების განვითარება. 138

თ ა ვ ი XII. ბავშის ფანტაზია და მხატვრული შემოქმედება (ხატვა) 152

თ ა ვ ი XIII. შთაგონება და ბავში. შთაგონება, კონტრ-შთაგონება. ბავშის სიყალბე. . 161

თავი XIV. სქესობრივი საკითხი და მისი პედაგოგიკა. ფრეიდის თეორია. ბავშის სექსუალობის ფორმები. ბავშის სექსუალობა და საზოგადოება. სექსუალობის ფაქტორები. სექსუალობის პედაგოგიკა 167

თავი XV. ბავშის აქტივობის განვითარება. ბავშის მოქმედების რიული ფორმები. თამაშობა და შრომა. რა არის თამაშობა? რატომ თამაშობს ბავში? თამაშობის სახეები. სათამაშოები. ბავშის შრომა 177

თავი XVI. „დედის-ერთა“ ბავშის აღზრდის თავისებურებანი. . 192

თავი XVII. მენტიმეტრიული მეთოდები. „ნორმალური“ ბავში. ადამიანის გონებრივი განვითარების გაზომვის მეოდებით წარსულში. ბინე-სიმონის მეთოდი. ტესტები. ბინე-სიმონის „შკალა“ (ბერტის რედაქციით). ბინე-სიმონის ტესტები რუსეთში. ბინე'ს სისტემის მეცნიერულ-პედაგოგიური ღირებულება 120

თავი XVIII. ბავშის მოტორული ფუნქციათა განვითარების გამოკვლევა (ექ. ოზერეცკის მეტრიული შკალა). 237

თავი XIX. ანორმალურ ბავშთა ტიპები . 244

დ ა მ ა ტ ე ბ ე ბ ი.

	ბ3·
I. დღიურებისა და ბავშის დახასიათების შედგენის მეთოდი (კ. კორნილოვის მიხედვით)	254
II. ოჯახის სოციალურ საყოფა-ცხოვრებო გამოკვლევის რუკა.	264
III. ბავშთა დროის ბიუჯეტი	271
IV. სიტყვარი .	276
V. ლიტერატურა	280

შემჩნეულ შეცდომათა გასწორება.

გვერ-დი	სტრიქონი	არის:	უნდა იყოს:
7	მე-3 ზევიდან	Πάϊς	Παῖς
8	მე-4	შეედგანს	შეადგენს
30	სათაური	ფაქტები	ფაქტორები
32	მე-12 ზევიდან	აღდგენა	აღდგენას
49	მე-4	ენდოკრი ნალური	ენდოკრინული
49	მე-13-დან-მე-32-მდე ზევიდან		ეს მასალა უნდა იქნეს გადატანილი 48 გვერდის ბოლოში
52	1 და მე-3 ზევიდან	მოქმედების ... და ... მოქმედება	მიქსედმის .... და .... მიქსედემა
57	მე-8 ზევიდან	არ ახასიათებს	ახასიათებს
64	სქემაში	პოსტანტალური	პოსტნატალური
64	„	4-დან—2-წლამდე	4-დან—8 წლამდე
89	11 ქვევიდან	ბებია	ბიძია
99	ყველგან	მკერდი (ს)	გულ-მკერდი (ს)
99	ცხრილში	29, 47	59, 47
144	1 ქვევიდან	რეაქციათა და (რეფლექსიათა), ან	რეაქციათა (რეფლექსთა), ან....
145	მე-5 ზევიდან	ნაწილებათ	ნაწილებით
145	18 „	დასრულებურ	დასრულებულ
146	14 „	შეკითხვაზე? „სად"? „უპასუხებენ" იქ...	შეკითხვაზე: „სად"? „უპასუხებენ"—იქ...
146	15	რა ადგილას?, რომელი მიმართულებათ	რა ადგილას, რომელი მიმართულებით
148	17 ქვევიდან	ცნობათა	ცნებათა
148	10 „	სტადიებით	სტ დ ების მხრივ
149	12 ზევიდან	(აბსტრაქტიული)	(აბსტრაქტული)
149	7 ქვევიდან	S + P	S ± P
150	17	ფთხილი	ფრთხილი
152	7 ზევიდან	აღთქმული	აღქმული
152	10 „	unicum'n	unicum'n
154	შენიშვნაში მე-4 სტრიქ. ქვევიდან	შესწაელებისათვის	შესწაელისათვის
169	შენიშვნაში	„Дошколный"	„Дошкольный...
169	„	ბავშებისა ჯამი	ბავშების ჯამი
244	89 ქვევიდან	არ არსებობს	არსებობს
247	5 ზევიდან	დეფექცია	დეფექტია
250	4 „	(вспомагательные..	(вспомогательные...
252	13	(microcefolia	(microcefalia).